

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს გეოგრაფიის კათედრა

საქართველოს გეოგრაფია

*სახელმძღვანელო გამოცემულია ქართული სახელმწიფოებრიობის
სამი ათასი და ქრისტეშობის ორი ათასი წლისთავისადმი
მიძღვნულ საიუბილეო ღონისძიებათა პროგრამით.*



საქართველოს განათლების სამინისტრომ დაამტკიცა
სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის



თბილისი
2000

საქართველოს გეოგრაფია. სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. თბილისი, 2000, 336 გვ, რუკები, ილუსტრაციები.

სახელმძღვანელოში განსილულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, მეურნეობა, სოციალური სფერო, ეკოლოგიური პრობლემები, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა და სხვ.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სკოლის არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებისათვის.

სახელმძღვანელო მომზადებულია ივ. ჯაფარიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს გეოგრაფიის კათედრაზე.

ავტორები:

ნ. ელიზბარაშვილი (ხელმძღვანელი), **ლ. მაჭავარიანი**,
დ. ნიკოლაიშვილი, **ბ. სოფაძე**, **ბ. მელაძე**, **ჯ. კახუა**,
ნ. ჯამასკაშვილი, **მ. რატიანი**, **მ. ხაშთასი**, **ნ. პატარიძე**
(ნ.მეაიასა და ნ.კოკიას მონაწილეობით).

რედაქტორი:

პროფ. **ო. ხმაღაძე** – ივ. ჯაფარიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი

სამეცნიერო კონსულტანტი:

პროფ. **ნ. ბერუჩაშვილი** – თსუ კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრის გამგე

რეცენზენტები:

პროფ. **რ. გობეჯიშვილი** – საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი

პროფ. **დ. კერესელიძე** – თსუ ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრის პროფესორი

დოც. **ი. სალუქვაძე** – თსუ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე

საქართველოს მდებარეობა და საზღვრები

საქართველო მდებარეობს ევრაზიის კონტინენტზე, კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. გეოგრაფიულად საქართველო მოქცეულია: ჩ.გ. 43°35'–41°07' და ა.გ. 40°04'–46°44' შორის. მას ძირითადად უკავია შავი ზღვის აღმოსავლეთით და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემური ნაწილის სამხრეთით მდებარე გერიტორია. საქართველოს გერიტორიის გარკვეული ნაწილი წარმოდგენილია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზეც.

საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი მდებარეობს ყოფ. სოფ. აიბგასთან, მდ. ფსოუს მარჯვენა ნაპირზე; უკიდურესი სამხრეთი — მთა ოკიუზდაღზე (საქართველო-სომხეთის საზღვარი), მ.დ. 2441 მ სიმაღლეზე; უკიდურესი დასავლეთი — დაბა ლესელიძესთან, მდ. ფსოუს შავი ზღვის შესართავთან; უკიდურესი აღმოსავლეთი — მდინარეების: აგრიჩაისა (გიშისწყლის) და ალაშნის შესართავთან.

მანძილი უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხრეთ წერტილებს შორის (მერიდიანის გასწვრივ) 275 კმ-ია; უკიდურეს დასავლეთ და აღმოსავლეთ წერტილებს შორის (პარალელის გასწვრივ) — 560 კმ.

რესპუბლიკის კონფიგურაციიდან გამომდინარე, მისი გერიტორია მაქსიმალურად წავგრძელებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მანძილი საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ წერტილებს შორის 613 კმ-ია.

საქართველოს გერიტორიის ფართობია 69,7 ათასი კვ. კმ.

საქართველოს გერიტორიის გეოგრაფიული ცენტრი, ე.ი. წერტილი, რომელიც თანაბრადაა დაშორებული რესპუბლიკის საზღვრებიდან, მდებარეობს სურამის უღელტეხილის დასავლეთით, ხარაგაულის რაიონში. საქართველოს დედაქალაქი — თბილისი 120 კმ-ითაა დაშორებული გეოგრაფიული ცენტრიდან და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ქ. თბილისი საქართველოს ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვრებიდან დაშორებულია 110-110 კმ-ით, სამხრეთი საზღვრიდან — 55 კმ-ით და დასავლეთი საზღვრიდან — 260 კმ-ით.

საზღვრები

საქართველოს საზღვრების საერთო სიგრძეა 1970 კმ. აქედან სახმელეთო საზღვარზე მოდის 84% (1655 კმ), საზღვაოზე — 16% (315 კმ).

საქართველოს სახმელეთო საზღვარი მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, დაბა ლესელიძესთან, მდ. ფსოუს

შესართავთან იწყება. იგი მთა აგეფსთამდე გასდევს აღნიშნული მდინარის ხეობას, კვეთს შაეიზღვისპირა დაბლობს, სოხუმ-სოჭის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებს. საქართველოს *ჩრდილოეთი* საზღვარი, მთა აგეფსთიდან მთა ვაციკუარსამდე, მიუყვება კავკასიონის მთაწარ წყალგამყოფ ქედს. აქ განლაგებულია შემდეგი ძირითადი ოროგრაფიული ერთეულები: მ. აჟარა, მარუხის უღელტეხილი, მ. დომბაი-ულგენი (ზ.დ. 4046 მ), ქლუხორის უღელტეხილი, შოთა რუსთაველის მწვერვალი, მ. ჭანდა, მ. შხარა (ზ.დ. 5068 მ – საქართველოს უმაღლესი მწვერვალი), მ. ფასისმთა, მამისონის უღელტეხილი, მ. გეკარა და როკის უღელტეხილი. მ. ვაციკუარსიდან მ. დიკლოსმთამდე ჩრდილოეთი საზღვარი გასდევს კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობს, კერძოდ ხობის (უმაღლესი მ. მყინვარწვერი – 5033 მ), შანის, კიდევანისა და პირიქითის ქედებს და კვეთს მდინარეების: თერგის, ასის და არღუნის ხეობებს.

მ. დიკლოსმიიდან მთა გინოვროსომდე საქართველოს *ჩრდილო-აღმოსავლეთი* საზღვარი კელაე კავკასიონის მთაწარ წყალგამყოფ ქედს მიუყვება. ქედის ამ მონაკვეთზე მდებარეობს ყაღორის უღელტეხილი. მთა გინოვროსოდან საქართველოს *აღმოსავლეთი* საზღვარი გასდევს მდინარეების: ლავოღებისწყლისა და ალაშნის ხეობებს, კვეთს ალაშნის ვაკეს და აღწევს მინგეჩაურის წყალსაცავამდე.

საქართველოს *სამხრეთი* საზღვარი შაეი მღვის სანაპიროზე, თურქეთის საზღვართან, სოფ. სარფთან იწყება. იგი მიუყვება მდ. გიბაშისხევის ხეობას, კვეთს ჭანეთის (ლაბეთის) ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაბოლოებას, მდ. ჭოროხს, რის შემდეგაც გადის ქარჩხალის მასივის ჩრდილოეთით, შაეშეთის ქედის თხემზე, მხევესა და ყვირალის უღელტეხილზე. შემდეგ კვეთს არსიანის ქედს, მიუყვება მდ. ფოცხოვისწყალს, ერუშეთის მთიანეთს და ვარძიასთან ახლოს, ზ.დ. 1360 მ სიმაღლეზე კვეთს მდ. მტკერის ხეობას. სამხრეთი საზღვარი თითქმის შუაზე კვეთს ხოზაშუინის (კარწახის) ტბას (ტბების სარკის ფართობის 53% საქართველოს ფარგლებშია). აქედან საზღვარი გადის ნიალისყურის (ჩილდირის) ქედის დასავლეთ განშტოებაზე და მიემართება ჯაეახეთის გეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდისაკენ. აქ გაივლის მ. ოკუბდაღზე, კვეთს ახალქალაქ-ნინოწმინდა-ერევნის საავტომობილო გზას, ჯაეახეთის ქედს, მიუყვება ლოქის ქედის თხემს, მდ. დებუდის ხეობას და ემუება ქვემო ქართლის ვაკეზე. შემდეგ კვეთს მდ. ხრამის მტკვართან შეერთების ადგილს „წითელ ხიდთან“, ზ.დ. 260 მ სიმაღლეზე, ჯანდარის ტბა-წყალსაცავს (რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ამერბაიჯანის ფარგლებშია მოქცეული), სამხრეთიდან შემოუვლის იერის მუგანს, კვეთს მ. უდაბნოსა და მ. ჩობანდაღს, გაივლის ელდარის ვაკეს — მტკვარ-არაქსის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთ დაბოლოებას, მიუყვება მდ. იერის ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა სანაპიროს და აღწევს მინგეჩაურის წყალსაცავამდე.

საქართველოს *დასავლეთი* საზღვარი შაეი მღვის სანაპიროს მიჰყვება.

ადმინისტრაციული საზღვრები. საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებია: რუსეთი, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთიდან 815 კმ მანძილზე ესაზღვრება; აზერბაიჯანი — აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — 460 კმ მანძილზე; სომხეთი — სამხრეთიდან 197 კმ მანძილზე; თურქეთი — სამხრეთ-დასავლეთიდან 248 კმ მანძილზე.


რუსეთის ფედერაციაში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საქართველოს ესაზღვრება: კრასნოდარის მხარე (72 კმ); ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა (173 კმ); ყაბარღო-ბალყარეთის რესპუბლიკა (120 კმ); ოსეთის რესპუბლიკა ალანია (170 კმ); ინგუშეთის რესპუბლიკა (58 კმ); ჩაჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია (79 კმ); დაღესტნის რესპუბლიკა (143 კმ).

გეოგრაფიული მდებარეობა

გეოგრაფიული მდებარეობის (ცენტრალური, პერიფერიული, მეზობლური, საზღვაო), მიხედვით საქართველო ცენტრალური და შლესიპირა მდებარეობით ხასიათდება, რაც დაღებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მაგრამ საქართველო, რომელმაც დიდი ხანი არაა, რაც თავი დააღწია საბჭოურ სიერეს, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და სრულად ვერ იყენებს, ეკონომიკური თვალსაზრისით, ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას.

საქართველოს ცენტრალური მდებარეობა იმით გამოიხატება, რომ იგი ერთგვარ „შემაკავეშირებელ ხიდს“ წარმოადგენს ევროპის, წინა აზიის, ასლო აღმოსავლეთის, შუა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. საუკუნეების მანძილზე, სწორედ საქართველოზე გადიოდა აბრეშუმის დიდი ისტორიული საეაპრო გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკეფიო. საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა დასტურდება ე.წ. ტრანსკავკასიური „ენერგოდეფენის“ ამოქმედებით: 1999 წლის 17 აპრილს გაიხსნა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი (სუფსის სახმელეთო გერმინალი და ფოთის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი); 1999 წლის 18 ნოემბერს კი ეუთო-ს (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის) სამიგმე ქ.სტამბოლში ხელი მოეწერა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ტრანსკასპიური გამზადენის პროექტის განხორციელებას. ნავთობსადენის მშენებლობის დასრულება გათვალისწინებულია 2004 წლისათვის. მისი სიგრძე 1730 კმ-ს მიაღწევს. ნაეარაუდეფია ყოველწლიურად 50 მლნ ტ ნავთობის ტრანსპორტირება.

ცენტრალური მდებარეობით საქართველო შეიძლება შევადაროთ მსოფლიოს ბერ ქვეყანას, მათ შორის შეეიყარეას, თუმცა ეს უკანასკნელი ეკონომიკურად მძლავრი, მაღალგანვითარებული მეზობელი ქვეყნების გარემოცვით ხასიათდება. საქართველო კი განვითარებადი ქვეყნების



„დიდი აბრეშუმის გზა“

არეალში იმყოფება. მაგრამ *მღვისპირა* მდებარეობა, რაც განაპირობებს საქართველოს მსოფლიო ოკეანესთან და, შესაბამისად, ყველა კონტინენტთან კავშირს, აშკარა უპირატესობას ანიჭებს მას ისეთ ქვეყნებთან შედარებით, რომლებსაც მღვაზე გასასვლელი არ გააჩნიათ. ამ მხრივ, საქართველო მსოფლიოს ყველა მღვისპირა ქვეყანას შეიძლება შეეადაროს. თუმცა ისეთი მღვისპირა ევროპული სახელმწიფოები, როგორცაა დანია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია და სხვები, ხასიათდებიან *პერიფერიული* (და არა ცენტრალური) მდებარეობით. ბევრი არ არის მსოფლიოში ისეთი სახელმწიფო, რომელიც საქართველოს მსგავსად, ერთდროულად მღვისპირა და ცენტრალური მდებარეობით გამოირჩეოდეს.

სატრანსპორტო - გეოგრაფიული მდებარეობა

საქართველოს საკმაოდ ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. იგი მდებარეობს იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე, რომელიც აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის (ევროპისა და აზიის) ქვეყნებს.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნები ერთმანეთთან ძირითადად დაკავშირებულია სააეგომობილო გზებით. ეს კავშირი, საქართველოზე გაეღიო, ხორციელდება ორი სააეგომობილო გზით, რომლებიც კვეთს კაეკასიონს. მამთარში ეს გზები ხშირად იკეგება და მიმოსელა შესაძლებელია მხოლოდ კაეკასიონის შემოვლით დასაეღეთიდან ან აღმოსაეღეთიდან – შაეი ან კასპიის ზღეის გასწვრიე.

საქართველოს საგრანსპორტო-გეოგრაფიულ მღებარეობაში მნიშენელოეან როლს ასრულებს შაეი ზღეა, ეინაიდან ეეროპა-აზიის ეღრეეფნის ამოქმეღება სწორედ ზღეის ჟაქტორითაა განპირობებული. შაეი ზღეის მეშეეობით უკაეშირღება საქართველო სამხრეთ და ეენგრაღური ეეროპის ქვეყნებსა და მსოფლიო ოკეანეს.

ამრიგად, საქართველო მღებარეობს ეერაზიის უმნიშენელოეანესი საგრანსპორტო მავისგრაღლის ერთ-ერთ მიდაკონგინეგურ მონაეეებზე. საქართველოს ხელსაყრელი საგრანსპორტო-გეოგრაფიული მღებარეობა კიღეე უფრო ნათელი ვახდა მას შემდეგ, რაე დაიეეგმა ეენგრაღური აზიისა და კასპიისპირა ნაეთობისა და გაზის მიღსაღენით გრანსპორტირება ეეროპისაკენ. საქართველო მღებარეობს ორ უმარმაზარ, „მომპოეეებელ“ და „მომხმარებელ“ რეგიონს, ეერძოდ, მსოფლიო მნიშენელობის კასპიისპირა ნაეთობისა და გაზის საბაღოებსა და ეეონომიკურად განეითარებულ ეეროპას შორის.

გეოპოლიტიკური მღებარეობა

საქართველოს გეოპოლიტიკური მღებარეობის ხასიათი მთელი რიგი თაეისებურებებითაა განპირობებული. იგი მოქეეულია ეეროპისა და აზიის, სხეადასხეა პოლიტიკური და რელიგიური ორიენგაციის ქვეეანათა გარემოეეაში. სწორედ ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და ეეონომიკური ეითარება, მმართველობის ფორმა, ეროენული და რელიგიური შემადგენლობა განსამღერაეეს ჩეენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მღებარეობის ხასიათს.

საქართველოს უშუალო მოსამღერე ქვეყნებიდან სამი – პოსგსაბჭოური და ღამოუკიღებელ სახელმწიფოთა თანამეეგობრობის წეერიი, (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი), ერთი კი (თურქეთი) ჩრდილო-აგღანგეკური სამხეღრო ბლოკის (ნაგო) წეერი. საქართველოს არამოსამღერე, მაგრამ მეზობელი ქვეყნებია ყოფილი საბჭოთა კაეშირის მოკაეშირე რესპუბლიკები (უკრაინა, ეაზახეთი, თურქმენეთი), ყოფილი სოეიაღისგური ორიენგაციის ქვეყნები (რუმინეთი, ბულგარეთი) და მუსღიმანური სახელმწიფოები (სირია, ერაყი, ირანი).

საქართველო ისეთ გეოპოლიტიკურ სიერეეში მღებარეობს, საღაე გაღახღართულია ქრისტიანული და მუსღიმანური სამყაროები, რაე გარკეეულწიღად მოქმეღებს იმ პოლიტიკურ პროეესებზე, რომლებიც ამეამაღ

მიმდინარეობს კაეკასიაში. უმუალოდ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან საქართველოს სახმელეთო საზღვრის თითქმის ორი მესამედი ქრისტიანულ ქვეყნებზე მოდის. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რუსეთის შემადგენელ იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულების რელიგიურ აღმსარებლობას, რომლებიც ამ ქრისტიანული სახელმწიფოს ფედერაციის სუბიექტები არიან (ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ინგუშეთი, ჩაჩნეთი და დაღესტანი), მაშინ გამოდის, რომ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების უმრავლესობა მუსლიმანურ რელიგიას აღიარებს. ამ შემთხვევაში ქრისტიანულ სამყაროსთან საქართველოს სახმელეთო საზღვრის მხოლოდ ერთი მეოთხედი მოდის.

გეოპოლიტიკურ მღებარეობაზე გავლენას ახდენს მეზობელი სახელმწიფოების ენობრივი და ეროვნული შემადგენლობაც. საქართველოს მეზობელი ქვეყნების მოსახლეობა განეკუთვნება 4 ენობრივ ოჯახს: იბერიულ-კაეკასიურს, ინდოევროპულს, აღთაურსა და სემიტურ-ქამიტურს.

საერთოდ, ქვეყნის გეოგრაფიული მღებარეობის ხასიათი ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა. იგი დაკავშირებულია საერთაშორისო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ხასიათთან. ისტორიულად საქართველოს გეოგრაფიული მღებარეობა არაერთგვაროვანი იყო. მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მღებარეობა თვალნათლივ წარმოჩინდა. თუმცა მისი სრული რეალიზაციისათვის აუცილებელია სრულყოფილი საკომუნიკაციო სისტემის შექმნა.

საქართველო მსოფლიოს ფონზე

თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოები რიგი თავისებურებით ხასიათდებიან და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ქვეყნების კლასიფიკაცია შესაძლებელია როგორც გარეგნული ფორმებით, ისე შინაარსობრივი მარჩენებლებით. სახელმწიფოთა დაჯგუფების კრიტერიუმებია: საერთაშორისო სტატუსი, გერიტორიის ფართობი, მოსახლეობის რაოდენობა, მმართველობის ფორმა, გერიტორიული მოწყობის ფორმა, ეკონომიკური განვითარების დონე და სხვ.

საერთაშორისო სტატუსის მიხედვით, საქართველომ 1991 წლიდან* (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ) კელაე სუვერენიტეტი** მოიპოვა და თავისი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს პოლიტიკური რუკა რამდენადმე შეივსალა, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფოთა დაშლით, გაერთიანებით, საზღვრების შეცვლით, ახალი სახელმწიფოების წარმოშობითა და სხვ. ძირეული ცვლილებები მსოფლიოს პოლიტიკურ გეოგრაფიაში აღინიშნა მაშინ, როდესაც დაიშალა სოციალისტური სისტემა და წარმოიშვა რამდენიმე სუვერენული სახელმწიფო, მათ შორის საქართველო. 2000 წლისათვის მსოფლიოში 192 სუვერენული სახელმწიფო და მრავალი სამეურვეო (გაეროს კონგრლისადმი დაქვემდებარებული) გერიტორია არსებობდა.

ტერიტორიის ფართობის მიხედვით განასხვავებენ დიდ, საშუალო, მცირე და მიკრო (ჯუჯა) სახელმწიფოებს. საქართველო გერიტორიის ფართობის მიხედვით (69,7 ათასი კმ²) მცირე სახელმწიფოებს მიეკუთვნება. დიდი სახელმწიფოებია: რუსეთი (17 მლნ კმ²), კანადა (10 მლნ კმ²), ჩინეთი (9,6 მლნ კმ²), აშშ (9,4 მლნ კმ²), ბრაზილია (8,5 მლნ კმ²), აესტრალია (7,7 მლნ კმ²) და ა.შ. მცროს სახელმწიფოებია: ეატიკანი (0,4 კმ²), მონაკო (2 კმ²), ნაურუ (20 კმ²), სან-მარინო (60 კმ²), ლიხტენშტეინი (200 კმ²) და მრავალი სხვა, რომელთა გერიტორიას არა მარტო საქართველოს, არამედ მისი დედაქალაქის – თბილისის – ფართობიც (360 კვ.კმ) კი აღემატება. გერიტორიის სიდიდე ქვეყნის სიძლიერის მნიშვნელოვანი მარჩენებელია. ისტორიულადაც ომები და კონფლიქტები სწორედ მიწის გამო ხდებოდა. რაც უფრო დიდია ქვეყნის გერიტორია, მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია მისი ბუნება, მით უფრო მეტი საშუალებაა მოსახლეობის განსახლებისა და წარმოების განლაგებისათვის. მიუხედავად ამისა, გერიტორია

* 1991 წელს – ფაქტობრივად (de facto); 1992 წელს, გაეროს აღიარებით – ოფიციალურად (de jure).

** სუვერენიტეტი (ფრანგ. souverainete – უზენაესობა) გულისხმობს სახელმწიფოს ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და უცხო სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლობას საერთაშორისო ასპარეზზე.

ერთადერთი გადაწყვეტე ფაქტორს არ წარმოადგენს. მხოლოდ გერიგორიის სიდიდე ვერ განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების დონეს. ამის დამადასტურებელი კარგი მაგალითია, ერთი მხრივ, მცირე გერიგორიის მქონე, მაგრამ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები, როგორცაა შვეიცარია, დანია, ბელგია, ნიდერლანდები, ისრაელი და სხვ. მეორე მხრივ კი - დიდი გერიგორიის მქონე, მაგრამ ღარიბი ქვეყნები, როგორცაა აფრიკის ან აზიის ზოგიერთი სახელმწიფო და სხვ. საქართველო, მიუხედავად მცირე გერიგორიისა, ფართობით მსოფლიოს 74 სახელმწიფოს აღემატება, მათ შორის ზემოთ აღნიშნულ მაღალგანვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებსაც.

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის დიდი განსხვავებაა. მოსახლეობის რაოდენობით გამოირჩევიან: ჩინეთი (13 მლრდ მაყსოვრები), ინდოეთი (1,0 მლრდ), აშშ (270 მლნ), ინდონეზია (210 მლნ), ბრაზილია (165 მლნ), რუსეთი (150 მლნ), პაკისტანი (130 მლნ), იაპონია (125 მლნ), ნიგერია (105 მლნ) და სხვ. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 5,5 მლნ კაცს აღწევს. საქართველო ამ მაჩვენებლით აღემატება მსოფლიოს 95-მდე სუვერენულ სახელმწიფოს, მათ შორის ისეთ ქვეყნებსაც, რომელთა გერიგორიის ფართობი 4-7-ჯერ მეტია საქართველოზე (თურქმენეთი, ნორვეგია, ფინეთი, ახალი ზელანდია, გაბონი და სხვ.). მაგალითად, გაბონის გერიგორია თითქმის 4-ჯერ აღემატება საქართველოს ფართობს, მოსახლეობის რაოდენობით კი - 5-ჯერ ჩამოუვარდება მას.

მმართველობის ფორმის (სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აგებულების) მიხედვით ქვეყნები იყოფა რესპუბლიკებად და მონარქიებად. მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა რესპუბლიკაა. რესპუბლიკური მმართველობის ქვეყანაა საქართველო.

მონარქია (ერთმმართველობა) ველისხმობს, რომ სახელმწიფოს მეთაურია მონარქი (მეფე, იმპერატორი, შაჰი, სულთანი და სხვ.). მონარქია ამჟამად 46 ქვეყანაშია. აქ იგულისხმება როგორც აბსოლუტური მონარქიები (საუდის არაბეთი, ომანი, კატარი, ბრუნეი და ე.წ. თუოკრაგიული მონარქია - ვატიკანი), ისე კონსტიტუციური მონარქიები (იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, დანია, ბელგია, შვედეთი, ტაილანდი, კამბოჯა, ლესოტო, იორდანია და სხვ.). კონსტიტუციურ მონარქიებს მიეკუთვნება, აგრეთვე დომინიონის სტატუსის მქონე თანამეგობრობის წევრი ქვეყნები, რომლებშიც სახელმწიფოს მეთაურად ფორმალურად ითლება ბრიტანეთის მონარქი (კანადა, აესტრალია, ახალი ზელანდია, ტუვალუ, შაერიკი, იამაიკა და სხვ.).

რესპუბლიკურ სახელმწიფოებს შორის გამოიყოფა: **საპრეზიდენტო** მმართველობის ქვეყნები (სადაც პრეზიდენტი ერთდროულად არის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური - აშშ, კოლუმბია, მექსიკა და სხვ.); **საპარლამენტო** მმართველობის ქვეყნები (სადაც პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია და არა მთავრობისა - გერმანია, იტალია, ინდოეთი და სხვ.); **შერეული** მმართველობის რესპუბლიკები, რომლებშიც შერწყმულია როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო ფორმები (საფრანგეთი, პორტუგალია, ფინეთი და სხვ.).

საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის ფორმასთან შერწყმულია საპარლამენტო მმართველობის ნიშნები, რის გამოც ქვეყანაში

თაყისებური სახის მმართველობაა. იგი რესპუბლიკური მმართველობის შერეულ ფორმას ემსგავსება. საქართველოში პრეზიდენტი უშუალოდ ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას (როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკებში), მაგრამ მთავრობას (პრეზიდენტის წარდგინებით) ამტკიცებს პარლამენტი (როგორც საპარლამენტო რესპუბლიკებში). პრეზიდენტის საკმაოდ დიდი უფლებამოსილების გამო, საქართველო უფრო საპრეზიდენტო რესპუბლიკებს ემსგავსება.

ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, არსებობს უნიტარული (მარტივი) და ფედერაციული (რთული) სახელმწიფოები. აქ იგულისხმება სახელმწიფოს აგებულების გერიტორიულ-ორგანიზაციული პრინციპები, ე.ი. ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებასა და ქვეყნის შემადგენელი ნაწილების ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის.

უნიტარული ფორმა დამახასიათებელია მსოფლიოს სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის. მათ შორისაა საქართველოც. ასეთი ფორმა გულისხმობს, რომ ქვეყანაში არსებობს მთელი ქვეყნისათვის საერთო ცენტრალური ორგანოები, ცალკეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს კი არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მართვის საშუალებანი და სახელმწიფოებრიობის რაიმე ნიშნები. ასეთი ქვეყნებია: ესპანეთი, ჩინეთი, უინეთი, დიდი ბრიტანეთი, ენესუელა, ეგვიპტე, ახალი ზელანდია და სხვ.


ფედერაციულ სახელმწიფოებში ქვეყნის მთელი ტერიტორია დაყოფილია გარკვეული დამოუკიდებლობის მქონე ერთეულებად (შტატები, პროვინციები, რესპუბლიკები, მიწები და სხვ.), რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ შესაბამის ტერიტორიაზე. გააჩნიათ ხელისუფლებისა და მმართველობის საკუთარი ორგანოები (პარლამენტი, მთავრობა, კონსტიტუცია), მაგრამ საბოლოო ჯამში ემორჩილებიან ცენტრალურ (ფედერალურ) ორგანოებს. ასეთი ქვეყნებია: აშშ, გერმანია, ინდოეთი, ბრაზილია, შვეიცარია, აესტრია, კანადა, აესტრალია, რუსეთი და სხვ., რომელთა საერთო რიცხვი ამჟამად მსოფლიოში 22-ია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ორი ავტონომიური რესპუბლიკაა (აჭარა და აფხაზეთი), დანარჩენი ტერიტორია კი პირობითადაა დაყოფილი მხარეებად, საქართველოს ფედერალური მოწყობის საკითხი კონსტიტუციურად გათვალისწინებული არაა.

მკონომიკური განვითარების დონის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნები იყოფა განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებად. უმრავლესობას განვითარებადი სახელმწიფოები წარმოადგენენ.

განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნებიან: დიდი შვიდეული (აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, კანადა), დასავლეთი ევროპის ყველა სახელმწიფო, აგრეთვე აესტრალია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სხვ. **განვითარებად** ქვეყნებს შორის 3 კატეგორია გამოიყოფა: 1. ახალი ინდუსტრიული (სამხრეთი კორეა, სინგაპური, ბრაზილია, ტაივანი და სხვ.) და **ჩვეულებრივმოქმედებელი**, ე.წ. ოპეკის (OPEC) ქვეყნები (საუდის არაბეთი, ქუვეითი, ერაყი, ირანი, ენესუელა, ალჟირი, კატარი და სხვ.); 2. **მეორე იარუსის** ქვეყნები (ინდონეზია,

* Organization of Petroleum Exporting Countries – ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია. შეიქმნა 1960 წელს. სადღესნო მდებარეობს ქ. ვენაში (აესტრია).



საქართველოს ზოგადგეოგრაფიული მდებარეობა

ფილიპინები, მიანმა, არგენტინა და სხვ); 3. სუსტად განვითარებული ქვეყნები (ეთიოპია, ავღანეთი, სომალი და სხვ).

ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნების დაჯგუფებისათვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია *ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეუპ)* და *ერთობლივი შიდა პროდუქტი (ეშპ)*. ხშირად ეს მაჩვენებლები გამოიხატება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც ყველაზე სრულყოფილად ასახავს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს. ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლებით მსოფლიოში გამოიყოფა: უმდიდრესი (>10000 USS), მდიდარი, საშუალოზე მდიდარი, საშუალო, ღარიბი და უღარიბესი (<500 USS) ქვეყნები.

საქართველოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი აქვს. ვინაიდან საქართველო ეკონომიკური ფორმირების პროცესში იმყოფება, ძნელია მისი მიკუთვნება განვითარებადი ქვეყნის მაღალი კატეგორიისათვის. ზემოთაღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით კი უკანასკნელი წლების განმავლობაში (1994-2000) საქართველომ საშუალოზე მდიდარი ქვეყნებიდან ჯერ უღარიბესში, შემდეგ კი ღარიბი ქვეყნების ჯგუფში გადმოინაცვლა.

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები. საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან აქვს დამყარებული პოლიტიკური (დიპლომატიური) ურთიერთობა.

ამჟამად საქართველოში არაერთი ქვეყნის საელჩოა გახსნილი: აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, ეგიპტის,

ჩინეთის, ისრაელის, თურქეთის, ირანის, რუსეთის, უკრაინის, სომხეთისა და ამერბაიჯანის; თბილისშია ევროკავშირის (EU) წარმომადგენლობა, ეუთო-ს (OSCE*) მისია და სხვ. გარდა ამისა, მრავალ ქვეყანას შეთავსებით ჰყავს ელჩი საქართველოში, საელჩო კი რუსეთის გერიგორიამება. თავის მხრივ, საქართველოს მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოში აქვს გახსნილი საელჩო (აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ავსტრია, ირანი, საბერძნეთი, ისრაელი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, სომხეთი და სხვ.). საქართველოს ზოგიერთი ელჩი შეთავსებით ასრულებს მოვალეობას ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში (მაგ. საქართველოს ელჩი აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში).

საქართველო მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: გაერო (UNO); შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა – ბისეკი (BSEC); მსოფლიო ბანკი (WB), რომელიც ორი ორგანიზაციისაგან შედგება – რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა (IBRD) და განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (IAD); საერთაშორისო საეალეგო ფონდი (IMF); ევროპის საბჭო (Council of Europe); მსოფლიო საეაპრო ორგანიზაცია (WTO) და სხვ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი საქართველო 1992 წლის 31 იელისს გახდა. ბისეკი 1992 წელს ჩამოყალიბდა. როგორც შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონული ჯგუფი, ხოლო 1999 წლის 30 აპრილს ამ ორგანიზაციას საერთაშორისო სტატუსი მიეკუთვნა (ინაუგურაცია ქ. თბილისში ჩაგარდა). მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საეალეგო ფონდის წევრი საქართველო 1992 წელს გახდა. 1999 წლის 27 იანუარს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველო 41-ე წევრად მიიღო. იმავე წლის 27 აპრილს კი სგრასბურგში „ევროპის სასახლეზე“ აღიმართა საქართველოს ეროვნული დროშა. 1999 წლის 6 ოქტომბერს ენეეაში საქართველო მსოფლიო სავაპრო ორგანიზაციაში გაწევრიანდა.

* Organization of Security and Cooperation of Europe – ევროპის უშიპროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია

საქართველოს ტერიტორიის ფორმირება უძველესი პერიოდიდან VI საუკუნემდე

ძეწ. I საუკუნემდე ქართველური გომეზით დასახლებული გერიგორიისა და ქართული სახელმწიფოს ზუსტი საზღვრების დადგენა ერთობ რთულია, თუმცა გარკვეული სურათის წარმოდგენა მაინც შესაძლებელია.

ქართველთა წარმოშობასა და განსახლების არეალზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ ქართველები კავკასიის მკვიდრი, ძირძველი ანუ აეგოქთონური მოსახლეობაა.

5-6 ათასი წლის წინ ქართველურ გომთა განსახლების არეალი ვაცილებით დიდი იყო, ვიდრე თანამედროვე საქართველო. ქართველების მონათესავე ხეთურ-იბერიული გეარგომობა წინა აზიამდე სახლობდა. ძეწ. III-I ათასწლეულებში მათ მიერ დაკავებული გერიგორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან და სირიიდან კავკასიონამდე აღწედა. ხეთები ამ გერიგორიის დასაუღეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, სუბარები კი – მათგან ჩრდილოეთითა და აღმოსაუღეთით. მთელი ეს გერიგორია ძირითადად მთებით გარშემორგყმულ გეგანს წარმოადგენს, რომლის საშუალო სიმაღლეც 1500-2000 მ-ზე მეტია.

ძეწ. II ათასწლეულში ქართველურ გომთა განსახლების არეალი შემცირდა და ძირითადად თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასაუღეთითა და სამხრეთით მდებარე რეგიონებს მოიცაუღდა. არსებობს მოსაზრება, რომ ამ დროისათვის ჩრდილო-დასაუღეთ, ჩრდილოეთ და აღმოსაუღეთ პერიფერიებში დასახლებული იყო ჩრდილოკავკასიური წარმოშობის გომები, რომლებიც მოგვიანებით ქართველებთან ასიმილირდნენ.

ძეწ. II ათასწლეულის დამლევეს ხეთურ-სუბარული სამულობელო წერილ სამთაუროებად დაიყო. მათ შემადგნელობაში იყო: მუსკები (შემდგომ მესხები), თუბალები (გაბალები), მესოვრებნი მდ. ეფურაგის დასაუღეთით მდებარე ერყულ გერიგორიაზე, კასკები და სხვ.

სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ქართველურ გომთა პირველი პოლიტიკური გაერთიანებები: დიაოხი (გაოხი, გაო) – მდ. ჰოროსის აუგში და კოლხა (კოლხეთის სამეფო) – შაეი მღვის აღმოსაუღეთ სანაპიროზე. დიაოხის სამხრეთი პერიფერია მოიცაუღდა თანამედროვე ერზურუმსა და მდ. ყარასუს (დასაუღეთ ეფურაგის) სათაუღებს. ჩრდილოეთიდან იგი კოლხეთით ისაზღვრებოდა.

ძეწ. IX-VIII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა გომებმა ახალი სახელმწიფო (ურარტუ) ჩამოაყალიბეს. ურარტუს ცენტრი იყო ბაიანა, ანუ ეანი (თანამედროვე ეანის გბასთან, თურქეთში). ასევე მნიშვნელოვანი იყო

მანასკერგი (ახლ. მელიამგერდი), ქალაქი, რომელმაც შუა საუკუნეებამდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა.

რამდენიმე საუკუნის არსებობის შემდგომ აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანებები დაემხო. თავდაპირველად მოისპო დიოხი (დაამხო ურარტუს სამეფომ). ურარტუს სამეფომ კოლხას მხოლოდ სამხრეთი რაიონები შემოიერთა, შოგვიანებით კი კოლხეთის სამეფო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე მომთაბარე ტომებმა – კიმერიელებმა დაიპყრეს. ამ ტომებმა ურარტუს სამეფოც დაამხეს, რის შემდგომ დასახლდნენ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

კიმერიელებისა და სხვა ინდოევროპული მოდგმის ტომების შემოსევების შედეგად საკმაოდ შემცირდა ქართველური ტომების განსახლების არეალი.

ძე.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი პოლიტიკური გაერთიანება: დასავლეთით – ეგრისი ანუ კოლხეთის სამეფო და აღმოსავლეთით – იბერიის ანუ ქართლის სამეფო. იბერიის სამეფო მოიცავდა ალაზანგალმა კახეთს, სევანის გბის მიდამოებსა და არაქსის მემო წელის აუზს. სამხრეთით იგი ტავრის ქედამდე და ძველ ადარბაღვანამდე (ჩრდილოეთი ირანი) აღწევდა. მისგან ჩრდილოეთითა და დასავლეთით კოლხეთის სამეფო მდებარეობდა, სამხრეთით – მიდია, კიდეე უფრო სამხრეთით კი – სპარსეთი.

ძე.წ. VII-VI საუკუნეებში დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოს მემობელ ქვეყნებში. მრავალი სახელმწიფო მოისპო, ბევრმა ტომმა კი იცვალა განსახლების არეალი, გააძევა ადგილობრივი მოსახლეობა ან მასთან ასიმილირდა. ამ პერიოდში არსებობა შეწყვიტა წინა აზიის ძლიერმა სახელმწიფოებმა: ურარტუმ, ასურეთმა, მიდია და ბაბილონმა.

კოლხეთის სამეფო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. მისი ქალაქები იყო: გრაპიშონი, კერასუნგი, ფასისი (ახლ. ფოთი), დოსკურია (ახლ. სოხუმი), პიტიუნგი (ახლ. ბიჭვინთა). ლედაქალაქი – აია (ახლ. ქუთაისი).

კავკასიონისა და შუა აზიის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ მომთაბარე ტომები სკეითები, სარმატები (საერომატები), ალანები, პუნები და სხვ., რომლებიც საკვებისა და სიმდიდრის ძიებაში ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდნენ. სკეითები ფლობდნენ საკმაოდ დიდ ტერიტორიას მდ. დუნაისა და დონს შორის, ე.ი. შავი და აზოვის ზღეების ჩრდილოეთ ნაწილს. მათგან აღმოსავლეთით კი სახლობდნენ სარმატები.* სკეითები დასახლდნენ ამიერკავკასიაშიც – აფხაზეთის, ქართლისა და თრიალეთის ტერიტორიებზე.

ძე.წ. IV საუკუნის დამლევს კელაე ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები მცირე აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ორი საუკუნის ბატონობის შემდეგ დაემხო აქემენიდების სამეფო. საქართველოს მახლობლად, ძე.წ. III საუკუნის შუა წლებში ახალი სამეფოები ჩამოყალიბდა: ბაქტრია (კასპიის ზღვის

* სარმატებს მიაკუთვნებენ ქართველების მონათესავე ჩრდილოკავკასიურ ტომებსაც – ჩერქეზებსა და ქისტებს.

აღმოსაყვებით) და პართია, ანუ არშაკიდები (კასპიის ზღვის სამხრეთითა და სამხრეთ-დასაყვებით). ამ უკანასკნელმა თითქმის 5 საუკუნე იარსება და დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ ცვლილებაზე.

ამივე პერიოდში შავი ზღვის სამხრეთით ჩამოყალიბდა პონტოს სამეფო, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველები იყვნენ – გიბარენები, ხალიბები, სანები (ჭანები) და კოლხები. ძეწ. II საუკუნის დამლევს ძლიერ დასუსტებული და ცალკეულ ოლქებად დაყოფილი კოლხეთის სამეფო ქვეყნდებაროდა ძლიერების მწვერებაზე მყოფ პონტოს სამეფოს. კოლხეთის გარდა მის მფლობელობაში იყო ყირიმი, სინდია (ტამანის ნახევარკუნძულისა და ანაპის მიდამოები), მცირე არმენია და სხვ.

ქართული სამეფოების მეზობლად მდებარეობდა სომხური სამეფო, რომელიც ემორჩილებოდა (ძეწ. VI საუკუნის დამლევებიდან) სპარსეთის, ალექსანდრიისა და სელევკიდების სამეფოებს. ძეწ. I საუკუნეში ამ უკანასკნელის დამხობის შედეგად დაარსდა ორი სომხური სამეფო. თავდაპირველად ამ სამეფოებს მცირე ფართობი ეკავათ, მაგრამ შემდგომ საუკუნეებში სახელმწიფოს საზღვრები მემობელი ქვეყნების ხარჯზე გაიფართოვეს. კერძოდ, დაიკავეს იბერიის საში ოლქი (პარიადრის მთიანეთი, ხორძენე, გოგარენე) და კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე მდებარე ხალიბებისა და მოსინიკების ტერიტორიის ნაწილი. შექმნილი ვითარების გამო ქართლის სახელმწიფო ცენტრებმა ჩრდილოეთით გადაინაცვლეს.

ძეწ. I საუკუნეში საქართველოს სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსაყვებით ესაზღვრებოდა არმენია (ანუ სომხეთი) და ალბანია (ალბანეთი, ახლ. აზერბაიჯანი). ალბანეთის ტერიტორიაზე უძველეს ხანაში კავკასიური მოღვმის სხვადასხვა გომი ცხოვრობდა.*

ძეწ. I საუკუნეში რომაელებმა დაიპყრეს იბერია (ქართლი) და კოლხეთი. ქართლი გახდა რომის ვასალი, კოლხეთში (ეგრისში) კი რომაელი მმართველი იყო დანიშნული. ამ პერიოდისათვის საქართველოს ფართობი 90 ათას კვ. კმ-ს აღემატებოდა.

ახ.წ. II საუკუნეში ქართლის სამეფომ მნიშვნელოვნად გაიფართოვა სამხრეთი საზღვრები, კოლხეთის სამეფო კი დაქუცმაცდა. შავი ზღვის აღმოსაყვლეთ სანაპიროზე, მდინარეების რიონისა და ენგურის ხეობებში ლაზთა სამეფო (ლაზები, შანები) წარმოიქმნა, ჩრდილოეთით – აფშილების სამეფო, კიდეე უფრო ჩდილოეთით – აფხაზთა (აბასგები, ანუ აბაზგები) და სანიგების სამეფოები.

მათ შორის უძლიერესი ლაზების (შანების) სამთაერო – ლაზია (ეგრისი) იყო, რომელმაც მოგვიანებით დაიმორჩილა კიდეე დანარჩენი საში. ასე შეიქმნა ერთიანი ეგრისის სახელმწიფო, რომელმაც კოლხეთის უმდიდრესი რაიონი – რიონის დაბლობი მოიცვა. აქ ბევრი განვითარებული ქალაქი იყო. მათ შორის აღსანიშნავია ვარციხე (როდოპოლისი) და ფოთი.

* შუა საუკუნეებში ძველ ალბანელებს შეერივნენ თურქული მოღვმის გომები; რის შედეგადაც ჩამოყალიბდნენ თანამედროვე აზერბაიჯანელები.

უკვე IV საუკუნეში ეგრისის სამეფომ ძლიერ გააფართოვა თავისი საზღვრები და კავკასიონის მთიანი ქედიდან შავი ზღვის სანაპირომდე იყო გადაჭიმული. იგი მდ. ბზიფის ხეობიდან შორაპნამდე, სამხრეთით კი – აჭარამდე აღწევდა. მას ემორჩილებოდნენ სვანებიც, ეგრისის სამეფოს დედაქალაქი ციხეგოჯი (არქეოპოლისი – „ძველი ქალაქი“) იყო.

საქართველოს ტერიტორია VI-XV საუკუნეებში

VI საუკუნეში სპარსელებმა დაიმორჩილეს ქართლი და მისი მეზობელი სახელმწიფოები – სომხეთი და ალბანია. ქართლი სპარსეთის ეასალი და მოხარკე გახდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართლის სამეფო მოხარკედ იქცა. VII საუკუნეში საქართველო არაბებმა დაიპყრეს. ამ პერიოდში საქართველოს გერიგორიის ფართობი 100 ათას კვ. კმ-ს აღწევდა.

IX-X საუკუნეებში საქართველოს ფართობი 90 ათას კმ²-ზე მეტი იყო და თანამედროვე საზღვრებს მნიშვნელოვნად სცილდებოდა თითქმის ყველა მიმართულებით. გამონაკლისია მხოლოდ კავკასიონის მთიანი წყალგამყოფი ქედის გარკვეული (უმთავრესად დასაუღეთი და ცენტრალური) ნაწილი, რომელიც ძირითადად ემთხვევა საქართველოს თანამედროვე საზღვარს.



კვერნაქის ქედის გამოქვაბულები. სამონასტრო კომპლექსი შიომღვიმე (VI ს.).


საქართველო დაყოფილი იყო რამდენიმე სახელმწიფო-პოლიტიკურ გაერთიანებად, რომლებსაც საკუთარი სამღერები და საბაჟოები ჰქონდათ. კერძოდ:

1. ეგრის-აფხაზეთის სამეფო. მოიცავდა ახლანდელ დასავლეთ საქართველოს და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ნაწილს – მდ. ფსოუს შესართავიდან ნიკოფსიამდე (ახლ. გუაფსეს მიდამოები), დედაქალაქი – ქუთაისი. მასში შედიოდა შემდეგი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები: ჯიქეთი, აფხაზეთი, აფშილეთი, სვანეთი, რაჭა, თაკვერი, არგვეთი, ეგრისი, გურია.

2. თბილისის (ანუ ქართლის) საამირო. თბილისის მიდამოების გარდა თავდაპირველად იგი მოიცავდა ქვემო ქართლის ნაწილსაც – კერძოდ, მდ. მტკვრის ხეობას მცხეთის სამხრეთით ხრამის შესართავამდე. მის ფარგლებში მოქცეული იყო მდინარეების: დებედის (ქვემო წელის), ბოლნისისწყლის, მაშავერისა და შავწყაროსწყლის ხეობები, აგრეთვე მდ. მტკვრის შუა წელის აუზი მცხეთიდან ლიხის ქედამდე და თრიალეთის ქედიდან კავკასიონის ჩრდილო, გვერდით ქედამდე. მის ფარგლებში შედიოდა საკუთრივ შიდა ქართლი და დეაღეთი (მდ. არღონის ზემო წელის აუზი, ამჟამად ჩრდილოეთი ოსეთი, ცენტრი – უფლისციხე).

3. კახეთის სამთაურო (ანუ საქორეპისკოპოსო) – მოიცავდა მდინარეების: თერგის, ასის, არღუნის, ანღის ყოისუს, ალაზნის (ზემო წელის),

საქართველო



ბიჭვინთის ტაძარი (XI ს)

იერისა (მემო და შუა წელის) და აღსგაფის აუზებს (ცენტრი – თიანეთი). სამთაერო აერთიანებდა ახლანდელი გარე კახეთის გერიგორიის დიდ ნაწილს, ერწო-თიანეთს, აგრეთვე ხევს, ფხოვს, თუშეთს და ქვემო ქართლის ნაწილს.

4. პერეთის სამეფოში შედიოდა მდ. ალაზნის (შუა და ქვემო წელის), აგრიისისა და იერის (ქვემო წელის) აუზები (ცენტრი – თლავე).

5. ქართველთა სამეფო (ანუ საკურაპალაატო, IX საუკუნის დასასრულიდან – სამეფო) მოიცავდა მდ. მტკერის გემო წელის აუზს ბორჯომის ხეობის ჩათვლით, არგვის (ახლ. არაქსის) გემო წელისა და ჭოროხის თითქმის მთელ აუზს. დედაქალაქი – არგანუჯი (ამჟამად თურქეთშია). სამეფოს ფარგლებში იყო: აჭარა, შავშეთი, სამცხე, ჯაფახეთი, თორი, თრიალეთი, ამოცი (ხომბაფინის ტბის მიდამოები), გაშირი, არგაანი (მტკერის შუა წელი), კოლა (მტკერის გემო წელი), კლარჯეთი (ჭოროხის ქვემო წელი), პარხალი (ჭოროხის მარცხენა შუა წელი), გაო (ჭოროხის მარჯვენა შუა წელი), ჩრდილი; X საუკუნის ბოლოდან – ბასიანი (არგვის, ახლ. არაქსის გემო წელი) და მის სამხრეთით მდებარე გერიგორიები ეანის ტბამდე.

სამთაერო-სამეფოებს შორის დაპირისპირების გამო მათი გერიგორიები ხელიდან ხელში გადადიოდა და სამღერებიც ხშირად იცელებოდა. ძირითადი საცილო ობიექტი საქართველოს შუაგული – შიდა ქართლი იყო.

სამღერების ცელილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ მეზობელი ქვეყნებიც. იმდროინდელ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან ესამღერებოდა ბიზანტიის იმპერია (რომელსაც ჭანეთი და სპერი ეკავა), სამხრეთიდან – სომხური სამეფო-სამთაეროები, აღმოსავლეთიდან – განჯის საამირო (რანი – ახლ. განჯის მიდამოები) და შარვანი, ხოლო ჩრდილოეთიდან – ხაზართა სამეფო, ოენი (ალანები), ღურძუკნი და დიდონი.

XI საუკუნის დამდეგს ქართულ სამეფო-სამთაეროებს შორის ქიშპობა დამთაერდა. შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო. გაჟართოვდა ქვეყნის გერიგორიაც, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მთელი დასავლეთი საქართველო, შიდა ქართლი, შავშეთ-კლარჯეთი და სამცხე-ჯაფახეთი; მცირე ხნით – კახეთი და პერეთიც. საქართველოს გერიგორიის ფართობი 120 ათას კვ. კმ-ს აღწევდა. გაერთიანებულ სამეფოში არ შედიოდა თბილისის საამირო, რომლის გერიგორიაც, IX-X საუკუნეებთან შედარებით, საკმაოდ შემოიკრებულ იყო და ფაქტობრივად მხოლოდ თბილისის მიდამოებს მოიცავდა. მიუხედავად ერთიანი სახელმწიფოს წარმოქმნისა, მაინც პქონდა ადგილი ქვეყნის შიდაგერიგორიულ ცელილებებს. საშინაო აშლილობისა თუ გარეშე მგრის შემოსევების შედეგად ქვეყნის ესა თუ ის ნაწილი სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ ექცეოდა. XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა შემოიერთა კახეთ-პერეთი, ლორე-გამორი და თბილისი. ამ პერიოდისათვის საქართველოს გერიგორიის ფართობმა 180 ათას კვ. კილომეტრს გადააჭარბა.

საქართველოს სახელმწიფო წარმოდგენილი იყო ნიკოფსიიდან შამახიამდე (ახლ. შემახა), კავკასიონის მთაერარი წყალგამყოფი ქელიდან

(კაეკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე მოიყვება: მდინარეების არღონის, თურგის, ასის, არღუნისა და ანდის ყოისუს ზემო წელის აუზებს) მდ.არეზის ხეობამდე (შუა წელის აუზში სამღვარი მდინარის ხეობას რამდენიმე ათეული კილომეტრით სცილდებოდა სამხრეთით). საქართველოს ესამღვრებოდა ყმაღნაფიცი (ვასალი) და მოხარკე ქვეყნები: ჩრდილოეთით – ოვსეთი, ღურბუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი; აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით – დასავლეთი შირვანი, რანი, ადარბადაგანი; სამხრეთით – შაპარმენტა სახელმწიფო (ხლათის სასულთნო) და არზრუმის საამირო; სამხრეთ-დასავლეთით – გრაპიომონის იმპერია.

XIII საუკუნის II ნახევრიდან ქართული სამეფო-სამთავროები სხვა სახელმწიფოების (ჯერ ოქროს ურდოს, შემდეგ – ირანის ილხანების და კვლავ მონღოლების) შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა ქვეყნის ძირითადი გერიგორია მაინც შენარჩუნებული იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სამხრეთ სამღვარს, რომელიც ამ პერიოდში მდ.არეზის ხეობას მიუყვებოდა. საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები (აირარაგი, ბაგრეუანდი, ბასიანის ნაწილი და სხვ.) მას აღარ ეკუთვნოდა. საქართველოს გერიგორია სამ ერთეულად დაიყო: დასავლეთ საქართველოდ (ლიხთიმერეთი – ვარკეულად დამოუკიდებელი), აღმოსავლეთ საქართველო (ლიხთიმერეთი – ვასალი) და სამცხე-საათაბაგო (მონღოლთა გამგებლობაში). ყველაზე ურცელი მათ შორის ლიხთა-



დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათის მონასტერში



XII ს-ის ხიდი მდ.კინტრიშზე

მერეთი იყო, რომელიც ახლანდელი აღმოსავლეთ საქართველოს გერიგორიის ვარდა, მოიცავდა დეალებს, ჰერეთს, თანამედროვე სომხეთის, ნახჭევანისა და აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილს. გერიგორიული ცელილება არ აღნიშნულა დასავლეთ საქართველოში (სამეფოში). ქართულ სამეფოებს სხვადასხვა ხელისუფალი განაგებდა, თუმცა ნომინალურად ქვეყანა მიიწეოდა ერთიანი იყო. სრულიად განსხვავებული ვითარება შეიქმნა სამხრეთ საქართველოში, რომელიც ფაქტობრივად გამოეყო სახელმწიფოს და უშუალოდ მონღოლ-თათართა ყაენს ექვემდებარებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი გერიგორიული ცელილებები საქართველოს სწორედ ამ ნაწილში მოხდა. მას აღარ ესაზღვრებოდა ყმადნაფიცი და ეასალური სახელმწიფოები. ქვეყანა მგრულად განწყობილი სახელმწიფოების ვარემოცვაში აღმოჩნდა.

საქართველოს ტერიტორია XV-XVIII საუკუნეებში

საქართველომ ძირითადი გერიგორია და საზღვრები XIV საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნა, რაც XV საუკუნეში საგრძნობლად შეიცვალა. ამ საუკუნის 40-იან წლებში საქართველომ დაკარგა სივნიეთი (ახლ. ყარაბაღი), ნახჭევანი, ქანისი და მისი ოლქი. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მხოლოდ გელაქუნის (სეევანის) გბის ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიამდე აღწედა. თუმცა მის შემადგენლობაში რჩებოდა თანამედროვე აზერბაიჯანის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი – აგრიჩაის ეაკე (ალაზნის ეაკის სამხრეთ-აღმოსავლეთი გაგრძელება), კაკასიონის მიმდებარე მთიანეთი და სხვ. სამხრეთი საზღვრის აღნიშნული მონაკვეთისაგან განსხვავებით დასავლეთმა ნაწილმა, პირიქით, სამხრეთისაკენ გადაინაცვლა და მის შემადგენლობაში მოექცა ბასიანის მთელი პროვინცია. იმდროისათვის საქართველოს გერიგორიაზე ოთხი სახელმწიფოებრივი ერთეული ჩამოყალიბდა: ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგო. საქართველოს ფართობი XV საუკუნეში 120 ათას კვ. კმ-ს აღემატებოდა. იმერეთის სამეფოს საზღვრები ძირითადად IX-X საუკუნეების ეგრის-აფხაზეთის სამეფოს გერიგორიას ემთხვეოდა. იგი გადაჭიმული იყო კაკასიონის მთავარ წყალგამყოფ და მესხეთის ქედებს შორის. მისი აღმოსავლეთი საზღვარი ვადიოდ ლიხის ქედზე, ხოლო დასავლეთი – შავი ზღვის სანაპიროზე. სამცხე-საათაბაგოს საქართველოს სავრთო ფართობის დაახლოებით მესამედი ეკავა, რომლის უდიდესი ნაწილიც დღეს თურქეთის ფარგლებშია. ყველაზე მეტად შეიცვალა ქართლისა და კახეთის სამეფოთა საზღვრები. იგი უკვე აწუნგისა (თუმეთისა დახვესურეთის საზღვარი) და გუდამაყრის ქედების თხემებზე, მდინარეების – არაგვისა და მტკერის ხეობების გასწვრივ ვადიოდა. ამიერიდან ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იყო დეალები, ხევი, შიდა ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, ვარდაბანი

(აღრე კახეთის საქორეპისკოპოსოში შედიოდა), ქვემო ქართლის ნაწილი (მტკერის მარჯვენა სანაპირო). სამხრეთი საზღვარი კი გელაქუნის ტბამდე აღწევდა. კახეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო ხეესურეთი, თუშეთი, ფშა-ვი, კახეთი, პერეთი, ქვემო ქართლის ნაწილი (მტკერის მარცხენა სანაპირო).

შემდგომ საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიამ და საზღვრებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს. მის ფარგლებში აღარ შედიოდა შაქ-მარვანი (რომელიც აღრე კახეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო) და სომხეთის გარკვეული ტერიტორია (იგი ოსურქმენებმა დაიკავეს). საზღვრების ცვლილებები განპირობებული იყო XVI საუკუნის დასაწყისში ემზობელ სახელმწიფოებში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით. თითქმის ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა ომები ოსმალეთსა და ირანს შორის. მათი საომარი ასპარეზი სხვადასხვა ქვეყნები (ერაყი, მარვანი, სომხეთი, ადარბადაგანი), მათ შორის საქართველოც იყო. ჩვენი ქვეყანა მტრულად განწყობილ ორ დიდ სახელმწიფოს შორის აღმოჩნდა. ამასთან იგი ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს აღარ წარმოადგენდა და კელაე ცალკეულ ნაწილებად იყო დაყოფილი. მსხვილი ფეოდალების სწრაფვამ თვითმმართველობისაკენ საქართველოს ტერიტორიის კიდევ უფრო მეტად დაქუცმაცება განაპირობა.

XVI საუკუნის დასასრულს საქართველოს ტერიტორიაზე გარდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებისა (ამ ტერიტორიების ხარჯზე) ახალი – აფხაზეთის, ოდიშისა და გურიის სამთავროები ჩამოყალიბდა. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი კელაე სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ეკავა, თუმცა იგი სხვა ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდა. სამთავროების ფარგლებში წარმოიშვა სათავადოები, ე.წ. ფეოდალური სენიორები (ქართლის სამეფოში – არაგვისა და ქსნის საერისთავო, საამბლახერო, სამუხრანბატონო, საციციანო, საბარათიანო; იმერეთის სამეფოში – საწერეთლო, სააბაშიძეო, საწულუკიძეო, რაჭის საერისთავო; სამცხე-საათაბაგოში იყო ათაბაგ ჯაყელების, დიასამიძეების, შალიკაშვილების, ხურსიძეების, უზნასძეების, ფანასკერტელების, თუხარელების საფეოდალოები და სხვ.), რომლებიც სამეფო ხელისუფლებისაგან განდგომისა და დამოუკიდებლობისაკენ გამუდმებით მიისწრაფოდნენ.

ჩრდილოეთიდან საქართველოს ესაზღვრებოდა ჩერქეზეთი, ყაბარდო, ოსეთი და დაღესტანი; სამხრეთ-დასავლეთიდან – ოსმალეთის იმპერია, სამხრეთიდან შაქი, აზერბაიჯანი, სომხეთი (ანუ ირანის შემადგენლობაში მყოფი პროვინციები).

XVI საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული საქართველო ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომების ასპარეზად იქცა. ომებს შავის დადება მოჰყვებოდა ხოლმე, რის შედეგად საქართველოს ტერიტორია მათ შორის ნაწილდებოდა. თავდაპირველად ირანის დაქვემდებარებაში მოექცა ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი, ხოლო ოსმალეთის გავლენის ქვეშ – იმერეთის სამეფო (რომლის შემადგენლობაში იყო, აგრეთვე აფხაზეთი, გურია, ოდიში) და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი

(ჭანეთი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო). ასეთი ვითარება შენარჩუნდა XVII საუკუნემდე. ამ დროისათვის საქართველოს ფართობი 70 ათას კმ²-ზე ნაკლები იყო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გარკვეული ტერიტორიული ცვლილებები მოხდა. ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს საზღვრები საკმაოდ გაფართოვდა. ძველი ტერიტორიების გარდა მის ფარგლებში მოექცა ერეკლესა და ნახჭევანის სახანოებიც, ე.ი. სამეფოს სამხრეთი საზღვარი კელაქ მდ. არემის ხეობამდე (ზოგან კიდევ უფრო სამხრეთით) იყო გადაწეული და სევანის ტბის მიდამოებამდე ვრცელდებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა განჯის სახანოც, რომლის ტერიტორიაც მანამდე რანის კუთვნილება იყო, ხოლო პერეთის გარკვეული ნაწილი – ჭარ-ბელაქანი (ახლ. კახი – ბელაქანის მიდამოები) ლეკების მიერ იყო დაკავებული. საქართველოს ტერიტორიის ფართობი 80 ათას კვ.კმ-ს აღწევდა.

ამავე პერიოდში რუსეთის იმპერიის სამხრეთი საზღვარი თითქმის კაკასიონის მთაეარ წყალგამყოფ ქედს მოეხიზა, მაგრამ საქართველოს უმუშალო მოსამდგრედ მაინც ჩრდილოეთი კაკასიის მთიელები (ჩერქეზები, ყაბარდოელები, ოსები, ჩაჩნები, ლეკები) რჩებოდნენ. აღმოსავლეთიდან ემიჯნებოდა ირანი და მისი სახანოები (ნუხისა და ყარაბაღის), ხოლო სამხრეთიდან – ოსმალეთის იმპერია და მისი საფაშოები (ტრაპიზონის, არმურუმის, ყარსის, ბაიანეთის).

საქართველოს ტერიტორია XIX–XX საუკუნეებში

XIX საუკუნეში საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. თაედაიწვევლად, 1801 წელს რუსეთის უზენაესობა აღიარა ქართლ-კახეთის სამეფომ, 1810 წელს – იმერეთის სამეფომ, 1828 წელს – გურიის სამთაერომ 1829 წელს – სამცხე-ჯაეახეთიმა (სამცხე-საათაბაგოს მცირე – ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი), 1830 წელს – ჭარ-ბელაქანმა, 1857 წელს – ოდიშისა და სეანეთის სამთაეროებმა, 1864 წელს – აფხაზეთის სამთაერომ, 1878 წელს – სამცხე-საათაბაგოს უდიდესმა ნაწილმა (მათ შორის აჭარამაც). XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს ფართობი დაახლოებით 102 ათას კმ²-ს შეადგენდა.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქვეყნის სამხრეთმა საზღვარმა. მართალია, მის ფარგლებში აღარ იყო განჯისა და ნახჭევანის სახანოები, ერეკლეს სახანოს უდიდესი ნაწილი, სამაგიეროდ საქართველომ დაიბრუნა ისტორიული მიწა-წყალი: შავიმღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, ჩრდილის (ჩილდირის) ტბის მიდამოები, მდინარეების – ჰოროხის (ქვემო წელის), მტკერის (ზემო წელის), არემის (შუა წელის) აუზები და სხვ. საქართველოს დაუბრუნდა ძირძველი ქართული მხარეები – კლარჯეთი, აჭარა, პარხალი,

თორთოში, კოლა, არგაანი, ხორგეანი, ჩრდილი, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი, გაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ოლითისი). საზღვრის მიღმა დარჩა: ჭანეთი (ანუ ლამისტანი) და მდ. ჭოროხის შემო წელის აუზი (სპერი, ბაიბურდი). ამიერიდან საქართველოს გერიტორია ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა. მას ერთი ხელისუფალი ჰყავდა.

საქართველოს ესაზღვრებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი აღმინისტრაციული ერთეულები: შავი ზღვის ოკრუგი (საზღვარი გადიოდა გაგრის ქედის თხემზე, ე.ი. თანამედროვე საზღვრის შიგნით), ყუბანის ოლქი (კაუკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის მონაკეეთი მდინარეების მზიმთისა და ნენსკრის სათავეებს შორის). თბილისის გუბერნიას ესაზღვრებოდა თურგისა და დაღისტანის ოლქი, ელისავეტოპოლისა და ერევნის გუბერნიები. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან (ქუთაისის გუბერნიასა და ყარსის ოლქს) ემიჯნებოდა თურქეთი.

1918 წელს დაემხო რუსეთის იმპერია და საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ პერიოდში საზღვრის ზოგიერთი მონაკეეთი საკამათო გახდა. თუმცა ამავე წელს შექმნილი საზღვრების დამდგენი კომისიის დასკვნით, საქართველოს სამხრეთი საზღვარი მიუყვებოდა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ საზღვარს, გადიოდა შაჰდაღის, ანუ სევანის ქედის თხემზე (გოგჩის, ანუ სევანის გბის ჩრდილოეთით), უხვევდა ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. აღსტაფის ხეობისაკენ და აღწევდა საღვურ ქეცამდე. საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა საინგილოც. მაგრამ ერობის შექმნის შემდეგ, პოლიტიკური პარტიების აზრით, საზღვრების გატარებისას გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა მოსახლეობის ეროვნულ და რელიგიურ შემადგენლობას.

ივ ჯავახიშვილის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით, საქართველოს ფარგლებში უნდა მოქცეულიყო შემდეგი ტერიტორიები: დაფიქსირებული 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს; დაკანონებული აღრიანოპოლის ზაეისა (1829) და ბერლინის ტრაქტატის (1878) საფუძველზე; ოსმალეთის მფლობელობაში არსებული ზოგიერთი ტერიტორია.

საქართველო დარჩა იმ საზღვრებში, რომელშიც ქუთაისისა და თბილისის გუბერნიები იყო წარმოდგენილი. 1918 წლისათვის საქართველოს ტერიტორიის ფართობი 93 ათ.კმ² იყო.

1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია და გასაბჭოება მოხდა. საბჭოთა რუსეთმა თურქეთს დაუთმო 1878 წელს შემოერთებული ყველა ქართული პროვინცია (აჭარის გარდა), აზერბაიჯანს – საინგილო, ხოლო სომხეთს – ლორე. საქართველოს ტერიტორიის ფართობი 69,7 ათ.კმ²-მდე შემცირდა. მოგვიანებით, 1944 წელს, საქართველოს შემოუერთეს ჩრდილოეთ კაუკასიის ტერიტორიები – მდ. ყუბანის მემო წელის აუზი (ქლუხორის რაიონი) და ჩანეთ-ინგუშეთის მაღალმთიანეთი –ახალხევის რაიონი. ეს ტერიტორიები 1957 წელს კელავ რუსეთმა დაიბრუნა.

საქართველოს ბეობრაზიული შესწავლის მოკლე ისტორია

საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ისტორია 5 პერიოდად იყოფა:

I. ანტიკურ პერიოდში (ძვ.წ. VI საუკუნიდან ახ.წ. III საუკუნის ჩათვლით) კავკასია და მათ შორის საქართველოს ტერიტორია მოქცეული იყო ხმელთაშუაზღვიური ცივილიზაციის სფეროში.

ანტიკური პერიოდი იყოფა ბერძნულ და რომაულ ეპოქებად.

ბერძნულ ეპოქაში ელადელი სწავლულები კარგად იცნობდნენ შავიზღვისპირა ტერიტორიებს. თუმცა აღმოსავლეთ საქართველოზე მათ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. იმდროინდელ ანტიკურ მონათხრობი საქართველოს შესახებ ძირითადად ისტორიული ან ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათისა იყო.

საქართველოს შესახებ ერთერთ პირველ გეოგრაფიულ ნაშრომად ითვლება ისტორიკოსისა და ეროგრაფის *ჰეკატეოს მილეტელის* (ძვ.წ. VI-V სს) „მიწის აღწერა“. ნაშრომი ორი წიგნისაგან შედგება: „ევროპა“ და „აზია“. აქ იგი მოიხსენიებს კოლხებს, კავკასიონს, კასპიისა და პონტოს ზღვებს. მოგვიანებით *ჰეროდოტე* აღნიშნავდა, რომ ამ ნაშრომს თან ახლდა ხმელეთის იმდროინდელი დასახლებული ტერიტორიის (ოიკუმენის) რუკა. მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

„მედიციის მამის“ – *ჰიპოკრატეს* (ძვ.წ. V-IV სს) ნაშრომში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ დახასიათებულია კოლხები, მეგრელები, ნახსენები აქვს მდ. ფასისი. კოლხეთის დახასიათებისას მას აღწერილი აქვს ქარი „ქენქრონი“, რომელიც ფიონს შეესაბამება.

ქსენოფონტე (ძვ.წ. V-IV სს) ბერძენი ისტორიკოსი, სწავლული და მხედართმთავარი იყო. მან იმოგზაურა ბაბილონიდან გრაპიზონამდე. მონახულა შავიზღვისპირა ბერძნული ქალაქები. მოგზაურობის საფუძველზე შექმნა ნაშრომი „ანაბასისი“ („გვეით სულა“), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან წყაროს. ნაშრომი შეიცავს მონაცემებს საქართველოს ბუნებრივი პირობების შესახებაც.

ისტორიკოსმა და მოგზაურმა, „ისტორიის მამად“ წოდებულმა, *ჰეროდოტემ* (ძვ.წ. V ს.) იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში (ეგვიპტეში, მაკედონიაში, ფინიკიაში, არაბეთში, სკითთიაში და სხვ.), მონახულა შავიზღვისპირეთი. საკუთარი დაკვირვებების, ლიტერატურული წყაროებისა და გამოკითხვის საფუძველზე მან აღწერა ამ ქვეყნების ბუნებრივი პირობები, ადამიანები და რელიგია (თხზულებაში „ისტორია“). განსაკუთრებით საინტერესოა *ჰეროდოტეს* მონაცემები შავი (პონტოს ექსინოს) და კასპიის ზღვების შესახებ.

აპოლონ როდოსელის ნაშრომში „არკონავიკია“ საქართველო აღწერილია გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული კუთხით. მასში მოხსენიებულია კუტაია (ახლ. ქუთაისი) – მსოფლიოს ერთერთი უძველესი ქალაქი. აღწერილია უძველესი ქართველური ტომები.

რომაული ეპოქის (ძვ.წ. II – ახ.წ. III სს) მთავარ თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ საქართველოს გეოგრაფიულმა შესწავლილობამ შემდგომი აღმავლობა განიცადა. ამ ეპოქაში შექმნილ ნაშრომებში აღწერილია არა მარტო კოლხეთი, არამედ იბერია და მისგან აღმოსავლეთით მდებარე გერიგორიებიც.

ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის **სტრაბონის** (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს) ნაშრომში „გეოგრაფია“ აღწერილია სმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზებული ერებისათვის ცნობილი დასახლებული ტერიტორიები. საკუთარ დაკვირვებებსა და მრავალრიცხოვან წყაროებზე დაყრდნობით შექმნილი ეს ნაშრომი წარმოადგენს იმდროინდელი გეოგრაფიული ცოდნის ნაკრებს. აქ აღწერილია კოლხეთი, იბერია, ალბანეთი, სომხეთი, კასპიანე, სარმატია. ეს ნაშრომი საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. აღსანიშნავია, რომ ბერძნული წყაროებიდან იბერია აქ პირველად არის ნახსენები. სტრაბონი მას ქალაქებითა და დაბებით კარგად გაჯერებულ ტერიტორიად მოიხსენიებს. იბერიის ქალაქებიდან აღნიშნავს წიწამურსა და არმამციხეს. იბერიის ტერიტორიაზე იგი ოთხ დიდ შავსეგრალს წარმოაჩენს – მომაეალს კოლხეთიდან, არაგვის ხეობიდან, ალბანეთიდან და არმენიიდან. დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან ახასიათებს: პიტიუნგს (ახლ. ბიჭვინთა), დიოსკურიას (ახლ. სოხუმი), სარაპანს (ახლ. შოპარანი), ფასისს (ახლ. ფოთი). მდინარეებს შორის ასახელებს კირუსს (მტკვარი), არაგს (არაგვი), ალაზონიუსს (ალაზანი).

ბერძენი მეცნიერის **კლავდიოს პტოლემეს** (II ს) ნაშრომში „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ აღწერილია მესხეთა (ახლ. მცხეთა), არმასტიკა (არმაზი) და არგანისი (არგანჯი). ცნობილია, რომ პტოლემეს მიერ არის შექმნილი კავკასიის პირველი მუსტი და დაწერილებითი გამოსახულება, რომელიც იმეამინდელი მსოფლიო რუკის ნაწილია.

II. შუა საუკუნეების პერიოდი მოიცავს IV-XVI საუკუნეებს. ანტიკურ პერიოდში დავროვილ გეოგრაფიულ ცოდნასა და აზროვნებას თითქმის ვერაფერი შემატეს ბიზანტიელმა, არაბმა და დასავლეთ ევროპელმა მეცნიერებმა. თუმცა ზოგიერთი მათგანი საქართველოს შესახებ მაინც იძლევა გარკვეულ ინფორმაციას.

ბიზანტიელი ისტორიკოსი **პროკოპი კესარიელი** (V-VI სს) თავის შრომებში მოიხსენიებს კავკასიონს, მდ. ფაზისს, არქეოპოლისს (ნოქალაქევი), კოგიაიონს (ქუთაისი უქიმურიონის ციხითურთ). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ევროპასა და აზიას შორის სამღვარს იგი მდ. ფაზისის ხეობაზე ატარებს.

VII საუკუნის სომეხმა ფილოსოფოსმა, მათემატიკოსმა, კოსმოგრაფმა და გეოგრაფმა **ანანია შირაკაეციმ** თავის ნაშრომში მოგვცა ამიერკავკასიის საკმაოდ დეტალური პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული აღწერა. თუმცა ეს ნაშრომი ძირითადად ადრეული წყაროების (განსაკუთრებით პტოლემეს ნაშრომების) ერთგვარ ნაკრებს წარმოადგენს. ა. შირაკაეცი მოიხსენიებს ქალაქებს, ციხეებს, მთებს, მდინარეებს, გბებს, ბუნებრივ და კულტურულ მცენარეულობას, ცხოველებს, ფრინველებს, თევზებს.

XIII საუკუნეში განსაკუთრებით იზრდება ინგერესი აღმოსავლეთის ქვეყნების – ინდოეთის, ჩინეთის, მონღოლეთის მიმართ. ისინი იზიდავდნენ ევროპულ ვაჭრებს. ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი ქარავანები შოგჯერ კავკასიის ყელზე გადიოდნენ. ბოვიერთი ვაჭარი ამბედროულად მოგზაური იყო, აღწერდა ნანახსა და გავიხილს. ასე აღწევდა ინფორმაცია კავკასიის შესახებ ევროპაში.

იგალიელი მოგზაურის *მარკო პოლოს* (XIII-XIV სს) ჩინეთისაკენ მიმავალი გზა ამიერკავკასიაზე გადიოდა. მარკო პოლოს ნაამბობის საფუძველზე პიჩელ რუსგიჩანომ შექმნა ნაშრომი („მარკო პოლოს წიგნი“), რომელიც შეიცავს საკმაოდ ძვირფას ინფორმაციას საქართველოს გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ. აქ მოცემულია ხალხური თქმულებები, ლეგენდები, მღაპრები; აღნიშნავს ქალაქებსა და ციხეების სიმრავლეს, ახასიათებს ქალაქ თბილისს.

III. **აღორკინების პერიოდი** მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს და წარმოადგენს მსოფლიოში გეოგრაფიული კვლევის აღმავლობის ხანას. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს გეოგრაფიულ შესწავლილობაზეც. ამ პერიოდში, გეოგრაფიულ კვლევებში მონაწილეობენ, როგორც დასავლეთეუროპელი და რუსი, ისე ქართველი სწავლულები. იზრდება საქართველოზე გამავალი საგრანსპორტო გზების მნიშვნელობა, რომელიც კავკასიის ყელის გაღვით ევროპას აკავშირებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ დროიდან მოყოლებული კავკასიის მაგისტრალებს პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

ენციციელმა დიპლომატმა *კონტარინიმ*, რომელიც გაგზავნილი იყო სპარსეთში, მოინახულა საქართველოს ქალაქები: ბაიუმი, ფოთი, ქუთაისი, გორი და თბილისი. იმოგზაურა გურიაში, სამეგრელოსა და ლორეში. ამ ადგილების შესახებ მან მოგვცა მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობები. მნიშვნელოვანია მისი ნაშრომის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილი.

XVI-XVII საუკუნეებში რუსეთის სახელმწიფოს არაერთი წარმომადგენელი ესტუმრა კავკასიას დიპლომატიური მისიით. მათ მიერ შედგენილი ანგარიშები საკმაოდ საგულისხმო ცნობებს შეიცავს. მაგალითად, XVI საუკუნის ბოლოს, *სიმონ ზეენიგოროდსკი* გაგზავნილ იქნა კახეთში. მან თავის „მუხლობრივ სიაში“ დეტალურად აღწერა გაელილი გზა – დარიალის ხეობიდან კახეთამდე. XVII საუკუნეში კახეთში ელჩად იმყოფებოდა *ფეოდორ ფოკონსკი*, რომელიც ელაბ დარიალის ხეობის გაღვით ჩავიდა აქ, მოინახულა თუშეთიც. მის ნაშრომში მოცემულია გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სხვა სახის მონაცემები.

XVII საუკუნის შუა ხანებში იმერეთში რუსეთის ელჩებად იმყოფებოდნენ *გოლოგანოვი* და *იველევი*. მათ გადააკვითეს კავკასიონის ერთ-ერთი ურთულესი გეგეცეკის უღელგეხილი (3452 მ), დაუყენენ რიონის ხეობას, განვლეს შაორის ქვაბული და ნაქერალას უღელგეხილი, მოინახულეს გყიბული და ქუთაისი. გოლოგანოვმა და იველევმა დეტალურად აღწერეს რიონისა და ყვირილის ხეობები, დაახასიათეს იმერეთის ფლორა და ფაუნა, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სხე.

თუკი XVIII საუკუნემდე კავკასიის გეოგრაფიული აღწერები გარდებოდა სხვადასხვა საქმიანობის (საეაჭრო, დიპლომატიური) მიზნებიდან გამომდინარე, ამიერიდან გამოიკვეთა მეცნიერული ინტერესებიც. ასეთი იყო ფრანგი ბოტანიკოსის *ჟოზეფ გურნეფორის* (1656-1708) მოგზაურობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, თურქეთსა და ამიერკავკასიაში. სწორედ იგი ითვლება იმ პირველ მოგზაურად, რომლის მიზანი მეცნიერული კვლევა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია ითვალისწინებდა საფრანგეთის დაინტერესებას აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივ-ისტორიული. პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, ე. გურნეფორის მოგზაურობას უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ღირებულება გააჩნია. თავისი გამოკვლევებით მან საფუძველი ჩაუყარა კავკასიის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ შესწავლას.

ჟან შარდენი (1643-1713) იყო ფრანგი მოგზაური, იუველირი და ძვირფასი ქვებით მოეაჭრე. თავის თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ მან საკმაოდ ვრცლად აღწერა საქართველო. ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს სხვა სამეცნიერო წყაროებიც (ბერძნული, რომაული, სპარსული და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ე. შარდენმა პირველად მოგვცა თბილისის გრაფიკული ჩანახატი.

IV. ახალი პერიოდი მოიყავს XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისს. ამ დროისათვის საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია. იგი აღარ გვევლინება სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირების ასპარეზად.

XIX საუკუნის შუა წლებიდან გეოგრაფიული გამოკვლევები სისტემატურ ხასიათს იღებს. იხსნება არაერთი საეციალური დაწესებულება, სადაც ხორციელდება საქართველოს ამა თუ იმ ნაწილის დეტალური შესწავლა. კერძოდ, იხსნება გვილისის ობსერვატორია (1844), გვილისის ბოტანიკური ბაღი (1845), რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება (1851), კავკასიის მუზეუმი (1866), კავკასიის სამთო სამმართველო და სხვ ქვეყნდება პერიოდული გამოცემები. დაიწყო ქვეყნის ტერიტორიის ზუსტი გეოდეზიური აგეგმვა. გამოიყა ათვერსიანი, ხუთვერსიანი, ერთვერსიანი და ნახევარვერსიანი (ვერსი - 1,067კმ) მასშტაბის რუკები. დაიწყო საქართველოს ჰიფსომეტრიისა და კავკასიონის მყინვარების ინგენიური შესწავლა. განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა დედარაკის მყინვარი, რომელმაც არაერთხელ დააზიანა საქართველოს სამხედრო გზა.

ამ პერიოდის მეკლევართაგან უნდა აღინიშნოს პ. აბიხის, ვ. რადეს, ვ. ლევიწონ-ლესინგის, ა. ეოეიკოეის, ი. ფიგუროესკის, ა. კრასნოვის, ვ. ლოკუჩაევის, ს. შახაროვის, ნ. ალბოეის, ა. რეინჰარდისა და სხვათა შრომები, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებანი.

ვეოლოგმა *ჰერმან აბიხმა* კავკასიაში თითქმის 40 წელი იცხოვრა და გამოაქვეყნა შრომები კავკასიის ვეოლოგიური აგებულების შესახებ. მან პირველმა მოგვცა კავკასიის ოროგრაფიის ზოგადი სქემა. კავკასიის

მცენარეული საფარი შეისწავლა ბიოგეოგრაფმა **გუსტავ რადემ**, რომელმაც დააარსა კაეკასიის მუზეუმი. მას ეკუთვნის პირველი ბიოგეოგრაფიული შრომები კაეკასიის შესახებ. **ელადიმერ დოკუჩაევმა** შეისწავლა ამიერკაეკასიის ნიადაგური საფარი, რის საფუძველზეც შექმნა მოძღვრება ნიადაგ-გეოგრაფიული პორიზონტული და ეერტიკალური ზონალობის შესახებ.

საქართველოში ბოტანიკურ გამოკვლევებს ატარებდა **ანდრია კრასნოვი**, რომელმაც ბათუმში 1912 წელს დააარსა ბოტანიკური ბაღი. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ამიერკაეკასიაში არაერთი სუბტროპიკული კულტურის ინგროდუქტირებაში.

V. უასლმსი (თანამედროვე) კპრიოდის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გეოგრაფიული კვლევები ორგანიზაციული და გეგმ-ზომიერი ხასიათის ხდება. მუშაუდება კვლევის მეთოდური საფუძვლები და ისინი მეტ პრაქტიკულ დანიშნულებას იძენენ. იხსნება ახალი სამეცნიერო თუ სასწავლო გეოგრაფიული ცენტრები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1918), მოგვიანებით კი გეოგრაფიის, გეოლოგიის, გეოფიზიკის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, სამთო მეცყეეობის, ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. შეიქმნა საქართველოს მთელი ტერიტორიის 1:200000-1:10000 მასშტაბის ახალი ტოპოგრაფიული რუკები. 1964 წელს გამოქვეყნდა საქართველოს ატლასი.

თანამედროვე გეოგრაფიულ კვლევებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გეოგრაფიულმა პროგნოზირებამ, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, მეურნეობის მდგრადი განვითარების პრობლემატიკამ, გეოგრაფიული გამოკვლევების სოფლის მეურნეობაში დანერგვის საკითხებმა და სხვ დაიწყო აერო- და კოსმოსური სურათების პრაქტიკული გამოყენება. უხეი გეოგრაფიული ინფორმაციის დამუშავებისა და ელექტრონული რუკა-ატლასების შედგენისათვის XX საუკუნის ბოლოს აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნიკა და პერსონალური კომპიუტერები. იქმნება მონაცემთა გეოგრაფიული ბაზები, საქართველოსა და კაეკასიის გეონიფორმაციული სისტემები, ცალკეული რეგიონებისათვის – ექსპერტული სისტემები. შეიქმნა საქართველოს კომპიუტერული ატლასი.

გეოლოგიურ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მინერალური რესურსების გამოყენების, გზათა მშენებლობისა და მეურნეობის სხვა დარგების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ მხრივ გამოირჩევა ე.რენგატენის, ა.ვერასიმოვის, ი.კუმნეცოვის, ალ.ჯანელიძის, პ.გამყრელიძის, ალ.თვალჭრელიძის, ა.ცაგარელის, ვ.ძოწინიძის, ნ.სხირგლაძისა და სხვათა შრომები. მათთან ერთად უნდა აღინიშნოს გეომორფოლოგების – ი.შქუენის, ბ.დობრინინის, ნ.დუმიტრაშკოს, ალ.ჯაეახიშვილის, ლ.მარუაშვილის, ნ.ასტახოვის, შ.ყვიანის, მ.გაგაშიძის, რ.ვობუჯიშვილის, დ.გაბიძის, შ.ცხოვრებაშვილისა და სხვათა შრომები.

საქართველოს ტერიტორიის კლიმატური პირობები შეისწავლეს ა.ბალაბუემა, მ.კორძახიამ, ი.ქურდიანმა, თ.დავითაიამ, ვ.სულაქველიძემ, კ.გოგიშვილმა, შ.ჯაეახიშვილმა, ა.კოტარიამ, კ.თავართქილაძემ, ნ.გვახა-

რიამ და სხვ რესპუბლიკის მდინარეების, ტბებისა და სხვა ჰიდროლოგიური ობიექტების სრულყოფილი შესწავლა განახორციელეს ბ. ყაზრიშვილმა, ი. შაქარაშვილმა, ლ. ელაღიმიროვმა, ვ. სეანიძემ, გ. ხმალაძემ, ვ. გიგინეიშვილმა, ვ. ვრიგოლიამ, ი. ხომერიკმა, ო. ხმალაძემ, დ. კერესელიძემ და სხვ.

სოფლის მეურნეობის განვითარების კეალდაკეალ სულ უფრო მეტად იზრდება ნიადაგურ-გეოგრაფიული გამოკვლევები. შეიქმნა საქართველოს ნიადაგების რუკა. ამ მსრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ს. მარაბოვის, მ. საბაშვილის, დ. გედევანიშვილის, თ. ურუშაძის, გ. გარასაშვილის, მ. შევარდნაძისა და სხვათა შრომები.

საქართველოს ბიოსამყაროს გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: დ. სოსნოესკიმ, ალ. გროსკეიმმა, ა. კოლაკოესკიმ, ნ. კეცხოველმა, ა. დოლუხანოვმა, მ. სახოკიამ, ი. თუმაჯანოვმა, ე. გულისაშვილმა, ვ. ნახუცრიშვილმა, ა. ჯანაშვილმა, ა. გეგეჭკორმა, რ. გაგნიძემ და სხვ.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს ბუნებრივი პირობების კომპლექსურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ლანდშაფტურ კვლევებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევა ალ. ჯაფახიშვილის, ბ. დობრინინის, ნ. გეომდეკის, ლ. მარუაშვილის, დ. უკლებას, მ. სანებლიძის, ქრ. ჯაყელის, ნ. ბერუჩაშვილის, მ. ხარაგიშვილის, მ. სეფერთულაძის ნაშრომები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. მარუაშვილის "საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია" (1964, 1969-70), "კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია" (1981-86), დ. უკლებას "ადმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები" (1974), "საქართველოს ანთროპოგენური ლანდშაფტები" (1983), ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული "ამიერკავკასიის ფიზიკური გეოგრაფია" (1983), მ. ხარაგიშვილის "საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია" (1990), ნ. ბერუჩაშვილის: კავკასიის ლანდშაფტური რუკა (1980), "კავკასია: ლანდშაფტები. მოდელები, ექსპერიმენტები" (1995). აღნიშნული შრომები გამოიყენება არა მარტო, როგორც ფუნდამენტური სამეცნიერო გამოკვლევები, არამედ როგორც სახელმძღვანელო საქართველოსა და კავკასიის გეოგრაფიული შესწავლისათვის.

ეკონომიკურ-გეოგრაფიულ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნებრივი რესურსების შეფასებას მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, მოსახლეობის გერიგორიული ორგანიზაციის, ეკონომიკის ძირითადი დარგების განლაგება-განვითარების თავისებურებების შესწავლას, ავრეთვე, საქართველოს გერიგორიის რეგიონული განსხვავებების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევას. ამ მსრივ, უნდა აღინიშნოს გ. გეხტმანის, ვრ. მარდალიშვილის, დ. დონდუას, ვ. ჯაოშვილის, რ. კვერენხილაძის, ე. კობახიძის, რ. გაჩეილაძის, ე. გუჯაბიძისა და სხვათა შრომები. არაერთი წელია ვ. ჯაოშვილის "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია" (1996) გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების გეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტ-

ბისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და გეოგრაფიული შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილია გ. გვებგინის, ლ. მარუაშვილის, ვრ. მარდალიშვილისა და კ. ხარაძის შრომები.

საქართველოს ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის შესახებ შედგენილი თემატური რუკები თავმოყრილია სხვადასხვა პერიოდის კომპლექსურ გეოგრაფიულ ატლასებში. მათგან ორი: "საქართველოს სსრ ატლასი" (1964) და "საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასი" (1992) საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

მ ა ს უ შ ტ ი ბ ა ბ რ ა ტ ი ო ნ ი

1997 წელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დიდი ზემოთ აღინიშნა გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავი.

უსამღეროა ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლი მეცნიერების არაერთი სფეროს განვითარებაში.

საქართველოს გეოგრაფიული აღწერის ისტორიაში უპირველესი ადგილი ეახუშტი ბაგრატიონის სახელგანთქმულ ნაშრომს – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ უჭირავს. იგი უპირველესია ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, დღემდე მოღწეულ შრომათაგან არსად ისეთი სისრულით არაა აღწერილი საქართველოს ბუნება, მოსახლეობა და ეკონომიკა, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში; მეორე, აქ გეოგრაფიული მოვლენები და ობიექტები მიზეზ-შედეგობრივად, კომპლექსურად და რეგიონების მიხედვითაა განხილული, რაც გეოგრაფიული ანალიზის საუკეთესო საშუალებაა. „არსად ჩვენი ქვეყნის ბუნება, თვისებები, მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა ისე სიერცე-სიღრმით არ არის განხილული და დახასიათებული, როგორადაც ამ ნაშრომში. წერილობითი ძეგლების, რუკებისა და დემოგრაფიული წყაროების მიხედვით დაწერილი და ავტორისგან საქართველოს ადგილობრივს, ყოველმხრივს პირად შესწავლაზე დამყარებული, ვახუშტის თხზულება ყოველი მკვლევარისათვის, რა მხრივაც იგი საქართველოს წარსულსა და ნაწილობრივ აწმყოს გამოკვლევას არ აწარმოებდეს. ყოველთვის აუცილებლად საჭირო წყარო იქმნება“ – აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი.

ბიოგრაფიული ცნობები. ვახუშტი ბაგრატიონი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილი იყო. იგი სამეფო კარზე აღიზარდა, მიიღო ფართო განათლება და რამდენიმე უცხო ენას დაეუფლა. ვახუშტი ბაგრატიონი ბევრს მოგზაურობდა, მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმართვაში; იღვწოდა პოეზიაში, თარგმნიდა

შხაგერულ და სამეცნიერო ლიგერატურას. მისი უშუალო მონაწილეობით 1712 წელს დაარსდა პირველი ქართული სტამბა, სადაც პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“.

1723 წელს საქართველო თურქეთის ვაჟლენის ქვეშ მოექცა. 1724 წელს ქვეყანა დატოვა ვახტანგ VI-მ და მისმა ამაღამ 1200 კაცის შემადგენლობით. ისინი გურბიევეციის უღელტეხილით გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, მიაღწიეს ასტრახანს და ექვსი თვის მომქანციელი მგზავრობის შემდეგ, ჩაეიდრეს კასპიის ზღვაში. აქვე დასახლდა და კასპიის ხეობის ბოლომდე ცხოვრობდა ვახტანგ ბაგრატიონი. რუსეთში მოღვაწეობისას ვახუშტი ბაგრატიონმა შეადგინა „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, შექმნა „საქართველოს აგლასი“, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1744 წ), თარგმნა „მსოფლიოს საეკლესიო ისტორია“ (1745 წ), „მოსელა ანტიქრისტიკისი“ (1749), „მსოფლიო გეოგრაფია“ (1752 წ). მას ახლო კავშირი ჰქონდა მიხეილ ლომონოსოვთან, აგრეთვე ცნობილ გეოგრაფთან და ისტორიკოსთან ვასილი ტატიშჩევთან. ვახუშტი ბაგრატიონი ელისაბედ დედოფალთან, გრაფ მუვალოვთან და მიხეილ ლომონოსოვთან ერთად 1755 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლადაც მოიხსენიებოდა.



ვახუშტი ბაგრატიონი
(1696-1757)

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ნაშრომში მოცემულია როგორც XVIII საუკუნის პირველი ნახევრის, ასევე წინა პერიოდების საქართველოს კომპლექსური ანალიზი. საქართველოს ყველა პროვინცია დახასიათებულია შემდეგი თანმიმდევრობით: ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა, ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლები, ეთნოგრაფიული ნიშნები. ვახუშტის მიერ პირველადაა გამოვლენილი მცენარეულობის პორიზონტული და ევრტიკალური მონალურობა. აღსანიშნავია, რომ მისი ნაშრომის დაწერიდან მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ მსოფლიო მეცნიერებაში აღიარებულ იქნა გეოგრაფიული მონალურობის კანონზომიერება. ვახუშტიმ დაადგინა ის კავშირი, რომელიც არსებობს ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეს, ჰაერის ტემპერატურასა და მცენარეთა საეკოლოგიურ პერიოდს შორის.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის პირველწყაროცაა. ვახუშტიმ პირველმა დაუკავშირა ბუნებრივი

პირობები და რესურსები სამეურნეო საქმიანობას, განსამდგრა მეურნეობის ფორმები და გამიჯნა რეგიონული ეკონომიკური სახესხვაობანი, შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოყო ბარისა და მთის სამეურნეო ტიპები.

ვახუშტიმ პირველმა განასხვავა მოსახლეობისა და მეურნეობის რეგიონული თავისებურებანი, ეთნოკულტურული განვითარების ტენდენციები და ა.შ. მან განიხილა ქართველთა ეთნოგეოგრაფია, შოგადი ზნე-ჩვეულებანი, მუსლიმანური სამყაროს გავლენა. წარმოაჩინა ამგვარი გავლენის გეოგრაფიული ასპექტები, კერძოდ ირანისა ქართლ-კახეთზე, თურქეთისა – მესხეთზე, ხოლო შერეული ტიპის (ირანულ-თურქული) – იმერეთზე.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი XII-XIII საუკუნეების საზღვრებში საქართველოს რელიეფი. მის მიერ გამოკვლეულია რელიეფის არაერთი ტიპი, მწვერვალთა აბსოლუტური სიმაღლე. მოცემული აქვს კავკასიის გეომორფოლოგიური დაყოფა და საქართველოს მთათა-შორისი ბარის, აგრეთვე მცირე კავკასიონისა და სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის დეტალური აღწერა.

ვახუშტი მოიხსენიებს იმერეთის მღვიმე-გამოქეაბულებს, რომლებიც მურვან ყრუს შემოსევათა პერიოდშია გამოკვეთილი მდ. ყვირილის ხეობაში. მათ ვახუშტი ბუნებრივ წარმონაქმნებად მიიჩნევს, რომლებიც მოსახლეობამ სახიზნადად გადააკეთა. გამოქეაბულები კარგად ყოფილა დაცული, მათში მოწყობილი ყოფილა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სისტემები, ზოგან კი (მღვიმეის – ჭიათურასთან) მონასტრებიც კი ჩაუშენებიათ. ამგვარად გამაგრებული გამოქეაბულები მგრისათვის შეუღწველად ითვლებოდა.

ვახუშტი არაერთხელ ახსენებს ბუნებრივ ჭებს, რომელთაც ქართლსა და რაჭაში საყინულეებად, მაციერად იყენებდნენ. ამგვარ ჭებში ზამთარში ჩამდგარი ცივი ჰაერი და ჩაფენილი თოვლი მაფხულშიც ინარჩუნებდა მიკროკლიმატურ თავისებურებებს. დადგენილია, რომ თუ მაფხულში, ჭის შესასვლელში ჰაერის ტემპერატურა $+18+20^{\circ}$ იყო, მის სირღმეში იგი $0-2^{\circ}$ -ს არ აღემატებოდა. ყინულოვანი მღვიმეები, რომლებიც ათეულამდე აქვს აღწერილი ვახუშტის მარტო თბილისის მიდამოებში, სამაციერო, სასაწყობო და სამკურნალო მიზნით გამოიყენებოდა. სწორედ აქედან მარაგდებოდა მაფხულობით საქართველოს სამეფო კარი ყინულით.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებითაა დახაზიათებული უფლისციხე და ვარძია. უფლისციხე ანტიკურ და ელინისტურ, ხოლო ვარძია თამარის ეპოქაშია გამოკვეთილი. აქ მოწყობილი ყოფილა საქალაქო ყოფაცხოვრებისათვის საჭირო სამეურნეო, თავდაცვისა და რელიგიური დანიშნულების ნაგებობანი. ვახუშტი ასევე მიმოიხილავს ხვამლის მასივის, ბეთლემის, შიომღვიმის, ქცია-ხრამის ხეობის, მჭიმთისა და კელასურის გამოქეაბულებს, განძსაცაეებს, წიგნოსაცაეებს და სხვ.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული საქართველოს ჰაერის მკვლევართათვის. მისი დაკვირვება ჰაეაზე ვიზუალური იყო, ხოლო მაღალმეცნიერულ დონეზე ჰაერის ანალიზისათვის გამოიყენა „წიგნი სააქიმონი“, „კარაბადინი“, „სიგყვის კონა“ და სხვ მიუხედავად იმისა,

რომ საქართველოში პაეაზე მეცნიერული დაკვირვება 1844 წელს დაიწყო, ვახუშტის კლიმატური დარაიონება ახლოსაა თანამედროვესთან. ეს განსაკუთრებით უხეზა აგროკლიმატურ დარაიონებას. თბილისის პაეის შესახებ ვახუშტი ხაგონად ამბობს, რომ იგი... „არს მშენი და მხიარული“. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ვახუშტი არაფერს ამბობს თბილისში ხშირი ქარის შესახებ, რასაც იმით ხსნიან, რომ ძლიერ ჩრდილო-დასავლეთის ქარს იმ პერიოდში ხელს უშლიდა ქალაქის პერიფერიებში არსებული ტყეები.

საკვირველია ისიც, რომ ვახუშტი ბაგრაგიონი, ახასიათებს რა სეგყვის უარყოფით ვაქლიანს საქართველოს მთელ რიგ რაიონებზე, არაფერს ამბობს მის ხშირ ხასიათზე ალაზნის ველის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ეს ფაქტის ალაზნის ველის ტყიანობით აიხსნება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა პაერის მასების აღმავალ დინებას და შესაბამისად სეგყვიანობასაც.

ვახუშტი ბაგრაგიონის მიხედვით, საქართველოს მთელი რიგი რეგიონები ღღეანდელისაგან განსხვავებული კლიმატური თავისებურებით ხასიათდებოდა. უფრო მეტიც, მისი ნაშრომის შედარებითი ანალიზი იმის თქმის საშუალებასაც იძლევა, რომ იმ პერიოდში პაეა გაცილებით მკაცრი ყოფილა, რის გამოც ლანდშაფტური საზღვრები ამჟამინდელთან შედარებით 100-150 მეტრით დაბლა მდებარეობდა.

ვახუშტი ბაგრაგიონი ქართული ჰიდროლოგიური სკოლის ფუძემდებლადაც გველინება. მის ნაშრომში დეტალურადაა განხილული არაერთი მდინარე, გბა თუ მყინვარი. იგი განსაკუთრებული ყურადღებით მდინარე მტკეარს აღწერს, მიმოიხილავს მის სათავესა და შენაკადებს, წყლის თვისებებსა და იქტიოფაუნას. საინტერესოა, რომ მისი მონაცემებით, მდინარე მტკეარს თბილისამდე კასპიის ზუთხი ამოუყვებოდა.

მნიშვნელოვანია ვახუშტისეული მდინარეთა ეტიმოლოგიის საკითხებიც (მაგალითად, ტესურა – „ტეხს ხილეს“, გუბისწყალი – „გუბედ მოედინების“, ქეია – „დამაქეველი ხილთა“ და ა.შ.). ვახუშტიმ ადვილად შეამჩნია საქართველოს მოგიერთ გბამი (მაგალითად ფარავანში) წყლის ხარისხის გაუარესება და შესაბამისად თვემის გაუგემურება, რაც მესაქონლეობას დაუკავშირა. მან არაერთხელ აღნიშნა აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა უმნიშვნელოფანესი როლი სარწყავი მიწათმოქმედების და საერთოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის... „რომელნი ველნი ირწყვიან ლიხებითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესნი, და გემოიანი, და სუეგაკი“ – წერს ვახუშტი. იმ პერიოდში სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში ისეთი კულტურები მოჰყავდათ, როგორცაა ბამბა და ბრინჯი. ვახუშტის ნაშრომში საკმაოდ დიდი და დეტალური ინფორმაციაა საქართველოს სამკურნალო-თერმული თუ სამკურნალო-მინერალური წყლების შესახებ.

ვახუშტი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის გეოგრაფიულ ანალიზს იძლევა. მის ნაშრომში რამდენიმე ათეული კულტურა, შინაური თუ გარეული ცხოველია მოხსე-

ნიებული და დახასიათებული. განსაკუთრებით საინტერესოა ის კულტურები, რომლებმაც ჩვენში თანდათან დაკარგეს სამეურნეო მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით ეხება აბრეშუმს, ბამბასა და ბრინჯს, მოვიერთ სუბტროპიკულ, გყისა და სუბალპურ მდელოთა მცენარეულობას. ნაშრომში ბუნებრივი პირობების საიმედოობა მისი ნაყოფიერებითაა ახსნილი, რაც პირდაპირ კავშირშია ვენახისა და ხეხილის გაერყელების არეალთან. შაჰიმღლისპირეთის ნაყოფიერებას იგი ნარინჯ-თურინჯისა და ლიმონის გაერყელებას უკავშირებს. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვანია, რადგანაც სწორედ კულტურულ მცენარეულობაში აისახება ამა თუ იმ გერიტორიის როგორც აგროკლიმატური პირობები. ისე ნიადაგურ-პედოლოგიური თავისებურებანი. ვახუშტის არც ნიადაგის ნაყოფიერების გამომწვევი ფაქტორი გამოჩნდება მხედველობიდან და მედმიწვევით სრულყოფილად ხსნის ალუვიური ნიადაგების მინერალიზაციის გამომწვევ მიზეზს.

ვახუშტიმ განასხვავა სამეურნეო სპეციალიზაციის რეგიონული სახესხვაობანი და ურთიერთკავშირები, საგარეუბნო მეურნეობის გიპები და ა.შ. იმ პერიოდში ნატურალური გაცულის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი ლეინო ყოფილა, გაერყელებას იწყებს სიმინდი, ლობიო და თამბაქო, დიდი როლენობით მოჰყავდათ ხორბალი (თაეთუხი, დოლის პური, სავაზაფხულო დოკა), ღომი, ქერი და შერი. არაერთი გექნიკური კულტურა. ქვემო ქართლში შემორჩენილი იყო მეთაქლემობა. „უბუშაკო“ საკვებ მცენარეთაგან ვახუშტი მოიხსენიებს ხურმას. საშამთროს (მელსაქენონი), ნესეს, ვაშლაგამს, კაკალსა და სოკოს.

როგორც მთელ მსოფლიოში. ისე საქართველოში, მეურნეობის მთავარი ღარგი სოფლის მეურნეობა იყო. ამის ვაშო, ვახუშტი ბაგრაგიონი შედარებით ნაკლები გულმოღვინებით განიხალავს მრეწველობას, გრანს-პორგს. მომსახურების ღარგებსა და ვაჭრობას. მისი მონაცემებით, მარცო თბილისში 60-მდე მიმართულების ხელოსნობას მისდევდნენ, რისთვისაც ამუშაებდნენ რკინის, სპილენძის, გყეის, გვარჯილისა და სანახმახე კაყის საბადოებს. ვადაამუშაებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და ხე-გყეს. უართო გამოყენება პქონია ქვისა და თიხის ნაწარმს; იალუჯის მალლობზე მოპოებული ბალახისაგან (სახელწ. – კალია) საუკეთესო ხარისხის საპონი მიიღებოდა. ლითონის დამუშაებას მისდევდნენ ქვემო ქართლში. იმერეთისა და რაჭაში. აბრეშუმისა და ბამბის წარმოებით გამოირჩეოდა სამეგრელო, აფხაზეთი და იმერეთი, შინამრეწველობით კი – საქართველოს მთიანეთი.

ვაჭრობას ძირითადად სომეხი და ებრაელი მოსახლეობა მისდევდა. ფულის ერთეული „თეთრი“ ყოფილა, რომელიც დიდი ბრუნვით არ გამოირჩეოდა. ნატურალური გაცულა მიმდინარეობდა როგორც მთასა და ბარს, აგრეთვე ქალაქსა და სოფელს შორის. ვაჭრობდნენ როგორც კვების პროდუქტებითა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებით, ასევე გყეებით (ბაღდალსა და შაჰიმღლისპირეთის ნაესადგურებში).

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაშრომები მთელ მსოფლიოშია ცნობილი და აღიარებული. კარტოგრაფიული ცოდნა მან მემკვიდრეობით, მამისაგან მიიღო. მის მერ გამოცემულია საქართველოს ხელნაწერი ატლასი (შედგება 8 რუკისაგან, 1735 წ.), საქართველოს ატლასი (19 რუკა და 2 გენეალოგიური სქემა, 1745 წ.) და საქართველოსა და კავკასიის სპეციალური რუკები, განკუთვნილი რუსეთის არმიისათვის. საქართველოს ატლასის შესაქმნელად ვახუშტიმ არაერთი ლიტერატურული წყარო და კარტოგრაფიული მასალა გამოიყენა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია სულხან-საბა ორბელიანის გრაფიკული ნაწარმოები კავკასიის შესახებ (1723 წ.), გიმოთე ვაბაშვილის იმერეთის რუკა (1737 წ.) და სხვ.

ვახუშტი ბაგრატიონის ატლასის შესახებ, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა, ევროპამ შეიგყო 1837 წელს, რუსეთმა – 1851 წელს, ხოლო საქართველოში მის შესახებ პირველად 1880 წელს, გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან გაიგეს. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერული ანალიზი მოცემულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ ლევან მარუაშვილის შრომებში.

საქართველოს ბუნებრივი პირობები

გეოლოგიური აგებულება

გეოლოგიური განვითარების ისტორია. გეოლოგიური ისტორიის მანძილზე დედამიწის ზედაპირი მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა – ზღეების ადგილს დროთა განმავლობაში ხმელეთი იკავებდა, ხოლო ხმელეთის ადგილზე წყლის აუზები წარმოიქმნებოდა. შესაბამისად იცვლებოდა კლიმატური პირობები და პიდროგრაფიული ქსელი. ეოლუციას ან გადაშენება-გადაგვარებას განიცდიდნენ მცენარეები და ცხოველები. ამგვარი ცვლილებები შეეხო კავკასიასაც და რა თქმა უნდა, საქართველოს ტერიტორიასაც, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ალპურ ოროგენეზულ მონაში* მდებარეობს.

კავკასიის ტერიტორიაზე დედამიწის ზედაპირის არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ასეული მილიონი წლის მანძილზე მიმდინარეობდა, თანამედროვე რელიეფისა და ბუნებრივი პირობების თანდათანობითი ჩამოყალიბება უკანასკნელი 30 მილიონი წლის განმავლობაში აღინიშნა. კავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარე ეს ცვლილებები განპირობებული იყო პლანეტარული და ადგილობრივი მოვლენებით. პლანეტარული მოვლენების შედეგად აქ იცვლებოდა კლიმატური პირობები, ზღვის დონე, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები. ადგილობრივი პროცესების შედეგად კი ჩამოყალიბდა მთიანი რელიეფი, შეიცვალა სანაპირო ხაზი, იმოლაციის პირობებში ჩამოყალიბდა და განვითარდა მცენარეთა და ცხოველთა მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი (ენდემური) სახეობები.

ყველაზე მწირია ინფორმაცია კავკასიის (და საერთოდ, მთელი დედამიწის ზედაპირის) გეოლოგიური განვითარების არქაულ და პროტეროზოულ ერებზე. იმ დროს დედამიწის ზედაპირზე ადგილი ჰქონდა ინტენსიურ ეულკანიზმს, მიწისძვრებს. ფაქტობრივად არ არსებობდა სიცოცხლე, თუ არ გაეითვალისწინებთ რამდენიმე უმარტივეს ერთუჯრედიან ორგანიზმს. პალეოზოურ ერაში (227 მლნ წლის წინ) კი უკვე გაჩნდნენ ხერხემლიანები (მათ შორის თევზები, წყალხმელეთა ცხოველები და ქვეწარმავლები).

კავკასიის თანამედროვე რელიეფის ჩამოყალიბება დაიწყო კაინოზოური ერიდან, კერძოდ ნეოგენიდან (მესამეული). მანამდე – 40-30 მლნ წლის წინ – კავკასიის თითქმის მთელი ტერიტორია ზღვას („მაიოკოური ზღვა“) ეკავა. ერთადერთი ხმელეთოვანი მასივი, ეიწრო კუნძულის სახით, კავკასიონის გასწვრივ იყო ამოზიდული. საქართველოს ფარგლებში კუნძული დაბალმთიანი რელიეფით ხასიათდებოდა. პალეოგენის ბოლოს ჩნდება ანტიკავკასიონის ხმელეთი, რის შედეგადაც წარმოიქმნა ამიერ-

* ოროგენეზული მონა – მთავარწარმოშობის მონა.

კავკასიის სრუტე, იგი თანამედროვე კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მოიანეთებს შორის იყო მოქცეული. ამ დროს კავკასიონი მცირე კავკასიონთან დაკავშირებული არ იყო (საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ დროს კავკასიონი აბსოლუტური სიმაღლით ჩამოუვარდებოდა ანტიკავკასიონს). საქართველოს მსათამოროსი ბარის ტერიტორია ეკავა მღვას. მხოლოდ ცალკეულ ადგილებში (ძირულის მასივი, გომბორის, რაჭისა და ლეჩხუმის ქედები) იყო პატარ-პატარა კუნძულები.

პალეოგენში აქ ჩამოყალიბდა საქართველოს თანამედროვე ტერიტორიისათვის უჩვეულო მტენარეულობა, რომელიც პოლგაური ფლორის* სახელწოდებითაა ცნობილი. მისთვის დამახასიათებელი იყო სითბოსმოყვარული გროპიკული და სუბგროპიკული მტენარეუბები: პალმები, ეკალიპტები, მაგნოლიები, ქაფურის ხე, დაუნისნაირნი და სხვა, თუმცა გვხვდებოდა მოშიერი პავის მოყვარული ფოთოლმცვივანი (მურყანი, არყის ხე, რცხილა, თხილი, თელა) და სიმშრალისმოყვარული მტენარეუბიც. თავისებური იყო კავკასიის ფაუნაც. გვხვდებოდა მარგორქა, გაპირის** შორეული წინაპრები, გიგანტური კუ და სავანისათვის დამახასიათებელი ცხოველები.

პალეოგენური ფლორის განამარხებული ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება მდ. ხანისწყლის (რიონის მარცხენა შენაკადი) აუზში. აღნიშნული ფლორა ადასტურებს იმას, რომ პალეოგენში კავკასიის ტერიტორიაზე გროპიკული პაეა ყოფილა, თუმცა არა თანამედროვე გროპიკულის ილენგური.

ნეოგენში მძლავრი ოროგენეზული მოძრაობის შედეგად წარმოიქმნა ძირულის მასივი (მემო იმერეთის პლატო), რის შედეგადაც არსებობას წყევგს ამიერკავკასიის სრუტე. იგი ორ (კოლხეთისა და ალბანეთის) უბედ გაიყო. ამჯერად, კავკასიონი დაუკავშირდა ანტიკავკასიონს (ე.ი. მცირე კავკასიონს), ამიგომ უწოდეს ძირულის მასივს „მთიანი ხიდი“. მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე შავი მღვა აღარ უკავშირდებოდა კასპიის მღვას, მაგრამ კავკასიონის ჩრდილოეთით ეს მღვები ჯერ კიდევ შეერთებული იყო ერთმანეთთან.

ნეოგენში კიდევ უფრო ფართოდ ვრცელდება სითბოსმოყვარული გროპიკული ფლორა და ფაუნა: პალმები, ქაფურის ხე, მაგნოლიები, კამელიები, ეირაფები, ანგილოპები, პიპარიონები, ნიანგები, უმარმამარი კუ, ადამიანისმსგავსი მაიმუნები. დაეითვარეჯის ტერიტორიაზე ნაპოვია იმდროინდელი ადამიანისმსგავსი მაიმუნის ნაშთები. მას უდაბნოპითეი (ვარეჯიენზისი) უწოდეს.

* პოლგაური ფლორა პირველად მისწავლეს და აღწერეს ქ. პოლგაის (მდ. დნეპრის აუზში, უკრაინა) მიდამოებში. იგი უარყოფდა იყო გაერცელებული ევრაზიის ტერიტორიაზე ჩ.გ. 55-35 -ებს შორის.

** გაპირი - ტუპქოფოარი ცხოველი, რომელიც ამჟამად გაერცელებულია მხოლოდ სამხრეთაღმოსავლეთი აზიის, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკის ნოტიო კაობიან ტყეებში.

ნეოგენის ბოლოს კლიმატური პირობები იცვლება, რის შედეგადაც იდეენტებიან სითბოსმოყვარული პოლტაური ფლორის ელემენტები და მათ ადგილს ფოთოლმცვიანები იკაებენ. იცვლება ფაუნაც.

მეოთხეულ (ანთროპოგენურ) პერიოდში კაუკასიის ტერიტორიაზე კვლავ გრძელდება ოროგენეტიკული მოძრაობები და ეულკანური პროცესები. ამ პროცესების შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა ალაზნის დეპრესია, სამხრეთ საქართველოს ლაგური პლატოები და იალლუჯის მაღლობი. მდინარეული და გბიური ნაფენებით ამოივსო კოლხეთის დეპრესია და წარმოიქმნა კოლხეთის დაბლობი. ძირეულად შეიცვალა კლიმატი, ნიადაგ-მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო. რაც განპირობებული იყო გამყინვარებით. სწორედ კლიმატის აცივებამ განსაზღვრა მეოთხეულის ცალკე პერიოდად გამოყოფა. ამ პერიოდში გამოჩნდა პირველად მსოფლიო არენაზე ადამიანი (ადამიანისმსგავსი არსება), ამიტომაც უწოდეს ამ პერიოდს „ანთროპოგენური“.

მეოთხეული პერიოდი ორ ეპოქად იყოფა: პლეისტოცენად და პოლოცენად.

პლეისტოცენი გლობალური გამყინვარების ეპოქაა და გრძელდებოდა 600 ათასს წელიწადს. ჰაეა ამჟამინდელთან შედარებით ცივი იყო. მნიშვნელოვანი ფართობი ეკავა თანამედროვე გამყინვარებას. მყინვარები დასავლეთ საქართველოში მ.დ. 1100-1500 მ (აღმოსავლეთ აფხაზეთში 800-1000 მ), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მ.დ. 1800-2200 მ სიმაღლემდე ეშვებოდნენ, ე.ი. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ისინი ტყის ზონაში საკმაოდ ღრმად იჭრებოდნენ. მყინვარებით იყო დაფარული კაუკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი და მისი განშტოებები (გაგრის, ბმიფის, კოდორის, გერმუხის, ხარულის, ქართლის ქედები), აგრეთვე სამსრისა და ჯაეახეთის ქედები.

პლეისტოცენში გამყინვარება ოთხჯერ აღინიშნა. მათ შორის უდიდესი რის-ვიურმის გამყინვარება იყო, მაგრამ მაშინაც საქართველოს ტერიტორიაზე მყინვარები ვაკემდე არ დაშვებულა, (თუმცა მსოფლიოს უერეს ვაკეებზე ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო). იმ დროს უდიდესი მყინვარის სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე 25-30 კმ-ს აღწევდა.

ამჟამად ანტიკაუკასიონზე თანამედროვე გამყინვარება წარმოდგენილი არ არის, იმ პერიოდში კი საკმაოდ დიდი სიერე ეკავა. ამის გამო აქ ხშირად გვხვდება რელიეფის ძველმყინვარული ფორმები: ცირკები, კარები, მორენული ნაფენები და სხვ.

კლიმატის ცვლის შესაბამისად ძირფესვიანად იცვლება ფლორა და ფაუნა. სითბოსმოყვარული მცენარეებისა და ცხოველების ადგილს იკაებენ სიცივისმოყვარულნი. ორგანული სამყარო მდიდრდებოდა ბორეალური (სიცივისმოყვარული) სახეობებით, რომლებიც აქ ეერაზიის კონგინენტიდან, კერძოდ გაიგის მონიდან შემოიჭრნენ და “დასახლდნენ” (განსაკუთრებით ჯაეახეთის ეულკანურ პლატოსა და კოლხეთის დაბლობის ჭაობებებში). მცენარეული საფარი გამდიდრდა ხმელთაშუამდგიური (უმთავრესად დასავლეთ საქართველოში) და წინაამიური (აღმოსავლეთ საქართველოს

უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) ელემენტებითაც. მთებში, ამჟამინდელთან შედარებით, ფართოდ იყო გავრცელებული მემოფილური ელემენტები: ნაძვი, სოჭი, ბზა, წყავი, სურო და სხვ.

ამრიგად, პლეისტოცენში მცენარეული საფარი ძირფესვიანად შეიცვალა. თითქმის მთლიანად გადაშენდა მესამეულში არსებული ტროპიკული ტყე, რომელიც მხოლოდ ერთგვარ თავშესაფარში, ე.წ. რეფუგიუმში შემორჩა. კავკასიის გერიგორიაზე არსებული ორი რეფუგიუმიდან ერთ-ერთი საქართველოში, კოლხეთში მდებარეობს (მიუეალ და ღრმა ხეობებში). სწორედ ამით გამოირჩევა კავკასია ალპებისა და მრავალი სხვა მთიანი მხარისაგან, რომელთა ფლორისა და ფაუნის ყველა სითბოსმოყვარული წარმომადგენელი გადაშენებულია. მიუხედავად მცენარეული საფარის ასეთი ეკოლიუბისა, საქართველოში შემორჩენილია არქაული ელემენტებიც, რომლებიც უფრო მეტად გვხვდებოდა დასავლეთ საქართველოში. ესენია: თუია, მეტასექეოია, პიკორი, გსუგა, დულიხიუმა, ლიქეიდამბარი, კეიპაროსის, მუხისა და ნეკერჩხლის ძველი სახეობები, ცხენისწაბლა (ესკულუსი) და სხვ.

პლეისტოცენიდან მოყოლებული შეიმჩნევა ადამიანის ზეგავლენა ორგანულ სამყაროზე. ჯერ კიდევ პლეისტოცენის დასაწყისში, პალეოლითში, საქართველოს გერიგორიაზე სახლობდა ადამიანი. კერძოდ, უძველესი ადამიანის ადგილსამყოფელი აღრიცხულია დმანისის მიდამოებში, აფხაზეთის მღვისპირა გერასებზე, კუდაროს, ჯრუჭულის, წონის, დევისხერელის და ცუცხეთის კარსტულ მღვიმეებში.

პოლოცენი გლობალური დათბობის ეპოქაა. იგი მოიცავს უკანასკნელ 10-12 ათას წელს (ამჟამადაც პოლოცენის ეპოქაში ვიმყოფებით), რომლის დასაწყისში ადამიანის ზეგავლენა ორგანულ სამყაროზე უკვე საგრძნობი ხდება: ერცელ ფართობებზე (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ბარში) ტყე განადგურდა და მისი ადგილი დაიკავა მეორეულმა სტეპებმა. მცენარეულ საფარში ხელ უფრო მეტად მონაწილეობს ქსეროფიტული ელემენტები. მოისპო მსხვილი ბუბუჭოვრები: ძველი ღომბა, გარეული ცხენი, პირეელყოფილი ძროხა, გარეული ვირი (კანჯარი), ცხენ-ირემი, მამონტი, როსომახა (სამურაი), თახვი, მღვიმის დათვი, მღვიმის ლომი (ლომეფუხეი), მღვიმის აფთარი, მაგყლოვანი მარგორქა, გიგანტური ირემი და სხვ.

ცნობილია, რომ 9-6 ათასი წლის წინ კლიმატი უფრო თბილი იყო, ვიდრე ამჟამად. იმ დროისათვის გამყინვარებას კავკასიონზე გაცილებით მცირე ფართობი ეკავა და მსოფლიო ოკეანის ღონე 4-5 მ-ით მაღალი იყო. 200-300 მ-ით მაღალ იყო გყის მედა სამღვარიც. 5-6 ათასი წლის წინ დაიწყო აციება, რაც ხუთასი წელი გრძელდებოდა. შემდეგ დაბყარდა ახლანდელის მსგავსი კლიმატური პირობები. მართალია აციება-დათბობა შემდგომშიც აღინიშნებოდა, მაგრამ ეს იყო მცირემასშტაბიანი ეკოლიბებები. მაგალითად, XVII-XIX საუკუნეებში აღინიშნა აციება და გენიანობის მაგება, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს – დათბობა. დათბობა დღესაც გრძელდება. ცნობილია, რომ 5-6 ათასი წლის წინ განადგურდა საქართველოს ბარის ტყე, მთებში კი გყის მედა სამღვარმა დაიწია.



ცენტრალური კავკასიონი, თეთნულდი

საქართველოს ტერიტორია აგებულია სხვადასხვა ასაკისა და შედგენილობის ქანებით. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ახალგაზრდა – მეზოზოური და კაინოზოური ქანები, შედარებით ლოკალურად – უფრო ძველი – პალეოზოური და კამბრიულამდელი ასაკის ქანები.

უძველესი, კამბრიულამდელი და პალეოზოური ქანები უმთავრესად გავრცელებულია კავკასიონის ღერძული ზოლის გასწვრივ (მის დასაუღეთ და ცენტრალურ ნაწილში), ძირულის, ლოქისა და ხრამის მასივებზე. ისინი წარმოდგენილია მეტამორფული და კრისტალური ქანებით. – გრანიტებით, გნეისებით, კრისტალური ფიქლებით. განამარხებული ფლორისა და ფაუნის ნაშთები ჩვეულებრივ არ გვხვდება, თუმცა ძირულის მასივზე ცნობილია ფილიტების სერია, რომელიც შეიცავს მარმარილოს და მასში განამარხებულ უძველეს ორგანიზმებს.

მეზოზოური ასაკის ქანები, განსაკუთრებით იურული და ცარცული, ფართო გავრცელებით ხასიათდება. იურული ნალექები უმთავრესად წარმოდგენილია კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, ხოლო აღმოსაუღეთ საქართველოს ფარგლებში – კავკასიონის ღერძულ ზოლსა და ჩრდილოეთ ფერდობზეც, გვხვდება ძირულის, ლოქისა და ხრამის მასივებზეც. ეს ქანები წარმოდგენილია თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, ზოგან – პორფირიტებით, ტუფებით, ტუფოგენური ქანებით.

ძირულის მასივის მიდამოებში, აღნიშნულ ნალექებში გვხვდება ნამარხი ორგანიზმები – ხმელეთის ფლორისა და ზღვის ფაუნის ელემენტები. ნამარხი ფაუნა გვხვდება ლოქის მასივის პორფირიტულ წყებებშიც.

ცარცული ნალექები თითქმის უწყვეტი ზოლის სახითაა გავრცელებული კავკასიონის სამხრეთ ფერდობსა და მის შთისწინეთში. დასაუღეთ საქართველოში იგი ძირითადად წარმოდგენილია კირქვებით, მერგელებით, დოლომიტებით, რის გამოც აქ განვითარებულია კარსტული პროცესები. ამის საუკეთესო მაგალითებია: წებულდის პლატო-ქვაბული (მდ. კოდორის ქვემო წელის აუზში), მ.სათანჯო (გალის რაიონი), ურთის მთა (ზუგდიდისა და

ხოზის რაიონების საზღვარზე), უნაგირას სერი (მთა ცენტრალური ოდიშის პლაგოზე) და სხვ.

მესამეული პერიოდის ნალექები ყველაზე მეტად დამახასიათებელია მცირე კავკასიონისა და საქართველოს მთათაშორისი ბარისათვის. იგი წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაქვებით, კონგლომერატებითა და ქვიშებით.

პალეოგენური წყებებითაა აგებული თითქმის მთელი აჭარა-თრიალეთის ქედი, ხოლო მისი ცალკეული უბნები – ნეოგენურით. მისთვის დამახასიათებელია პორფირიტების, ტუფებისა და ტუფოგენური ქანების ფართო გავრცელება. ნეოგენური ეულკანოგენური წყებებით აგებულია ერუშეთის მთიანეთი, სამსრისა და ჯაეახეთის ქედების უდიდესი ნაწილი, ახალქალაქის პლაგოს საძირკველი. იგი ცნობილია „გოდერძის წყების“ სახელწოდებით და წარმოდგენილია ეულკანური ლაევით – ბაზალტებით, ანდეზიტებით, ანდეზიტბაზალტებით, ტუფებით.

„გოდერძის წყება“ ცნობილია იმითაც, რომ აქ ნაპოვნია მესამეული (ნეოგენური) ფლორის ორი ადგილსამყოფელი: ერთი – გოდერძის უღელტეხილის, ხოლო მეორე – ქისათიბის დიაგომიგის საბადოს (ახალციხის რაიონი) მიდამოებში.

მეოთხეული ნაფენები ყველაზე ახალგაზრდა და მრავალფეროვანია. იგი იყოფა კონგინეტურ და მღვიურ ნაფენებად. კონგინეტური ნაფენები მეტად მრავალგვარია. წარმოშობის მიხედვით ცნობილია ეულკანოგენური, მდინარეული, გბიური, მყინვარული, მღვიმური და სხვ.

ეულკანოგენური ნაფენები განსაკუთრებით დამახასიათებელია სამსრეთ საქართველოს მთიანეთისათვის, აგრეთვე ყელის ზეგნის, მყინვარწვერის მასივისა და ჯერის უღელტეხილის მიდამოებისათვის. შედარებით ლოკალურია იგი მცირე კავკასიონზე და ძირითადად წარმოდგენილია ლაეური ღვარებით – დოლორიტებით, ანდეზიტებით.

მდინარეული და გბიური ნაფენები ყველაზე ფართოდ გავრცელებულია საქართველოს მთათაშორის ბარში. ამ ნაფენებით აგებულია კოლხეთის დაბლობი, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და ალაზნის ვაკეები. მდინარეული ნაფენების სიმძლავრე საკმაოდ დიდია და განისაზღვრება ათეული, მოგჯერ კი ასეული მეტრობით. იგი წარმოდგენილია რიყნარით, ქვიშით, თიხითა და თიხნარით.

მყინვარული ნაფენები ძირითადად დამახასიათებელია კავკასიონის თანამედროვე გამყინვარების მახლობელი ზონებისათვის, თუმცა იგი მყინვარებისაგან მოშორებულ მაღალმთიან რაიონებშიც გვხვდება.

საქართველოს გერიგორიაზე მღვიური ნაფენები ორი სახისაა – შაეი მღვისა და კასპიის. შაეი მღვის ნაფენები ვიწრო ზოლის სახითაა გავრცელებული აფხაზეთის, გურიისა და აჭარის სანაპიროს გასწვრივ. კოლხეთის დაბლობის ფარგლებში ისინი ვადაფარულია მდინარეული ნაფენებით. კასპიის მღვის ნაფენები გვხვდება ქვემო ქართლის ვაკესა და ივრის ზეგანზე.

რელიეფი

საქართველო ოროგრაფიული (მედაპირის ხასიათი, რელიეფის ფორმები) თვალსაზრისით მეგალ მრავალფეროვანია. აქ გვხვდება მაღალი ქედები, მღვნები და პლაგოები, დაბლობები და სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ვაკეები, ღრმა ხეობები და ქვაბულები. მედაპირის აბსოლუტური სიმაღლე ცვალებადობს მდენის დონიდან 5068 მ-მდე (მ. შხარა). დასაყვლით საქართველოს უმაღლესი წერტილი მ.დ.-ზე 1,5-2,3 მ-ით დაბლა მდებარეობს. ეს არის ქ. ფოთსა და სოფ. ყულეეს (ხობის რაიონი) შორის მოქცეული ჭაობების ფსკერი. აღმოსავლეთ საქართველოში უმაღლესი წერტილი მ.დ. 91,5 მ სიმაღლეზე ელდარის დაბლობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მინგეჩაურის წყალსაცავის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან მდებარეობს.

რელიეფის სიმაღლებრივი ზონები საქართველოს გერიგორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. მაღალმთიანი რელიეფის წილად მოდის რესპუბლიკის საერთო ფართობის 20%. მისთვის დამახასიათებელია ძლიერ დანაწევრებული მედაპირი და კლდოვანი მასივები, თუმცა ციკაბო კალთებს (35 -ზე მეტი დახრილობის) ხშირად ცელის მოვაკებული მედაპირები. მაღალმთიან რელიეფში, მ.დ. 2000 მეტრზე ზევით, შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნაშთები (ცირკები, კარები, მორენული ბორცვები) და მყინვარების მიერ გამოქმუნებულია ყუთისებრი, ე.წ. ტროგული ხეობები.

საშუალომთიან რელიეფზე მოდის რესპუბლიკის საერთო ფართობის ერთი მესამედი. იგი ძირითადად წარმოდგენილია მ.დ. 1000-2000 მ სიმაღლეებს შორის, სადაც გაბაგონებულია ციკაბო და საშუალო დახრილობის (20-30) ფერდობები. მდინარეები აქ აეითარებენ სიღრმით ეროშიას, ქმნიან ღრმა და V-ებრი ფორმის ხეობებს.

დაბალმთიანი რელიეფის წილად მოდის საქართველოს საერთო ფართობის ერთ მეოთხედზე ნაკლები. იგი მოქცეულია მ.დ. 500-800-დან 1000 მ-მდე სიმაღლით მოლში, რომლისთვისაც დამახასიათებელია დამრეცი ფერდობები. მდინარეთა ხეობები განიერი და გერასებიანია.

ვაკე-დაბლობებსა და მთისწინეთის გორაკ-ბორცვებს რესპუბლიკის საერთო ფართობის 23%-ზე მეტი უკავია. იგი წარმოდგენილია საქართველოს მთაიანპირის ბარის დასავლეთ ნაწილში მ.დ. 200-600 მ სიმაღლეზე, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში – მ.დ. 400-1000 მ-ზე. აქ მდინარეთა ხეობები ძალიან ფართოა.

საქართველოს მედაპირის **საშუალო სიმაღლე** მ.დ. 1508 მ-ია. იგივე მაჩვენებელი აღმოსავლეთ საქართველოში 1691 მ-ია, დასავლეთ საქართველოში 1314 მ. ადმინისტრაციული რაიონებიდან ყველაზე მაღლაა ყაზბეგის (2882 მ), მესტიის (2594 მ), ონის (2404 მ), ლენტეხის (2410 მ), ნინოწმინდისა (2254 მ) და დუშეთის (2141 მ) რაიონები. ყველაზე დაბლაა ხობის რაიონი (50 მ).

საქართველოს გერიგორია იყოფა 4 უმსხვილეს ოროგრაფიულ ერთეულად. ესენია: კავკასიონის მთიანეთი, საქართველოს მთათაშორისი ბარი, მცირე კავკასიონისა და სამხრეთ საქართველოს ეულკანური მთიანეთი.

კავკასიონის მთიანეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში და ქვეყნის საერთო ფართობის დაახლოებით 1/3 უკავია. იალბუშისა და მყინვარწვერის მერიდიანები კავკასიონს სამ ნაწილად ყოფს: დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონად. დასავლეთ (უმაღლესი მწვერვალი ლომბაი-ულგენი - 4046 მ) და ცენტრალურ (მ. შხარა - 5068 მ) კავკასიონს შორის საზღვარი მიუყვება მდ. ყუბანის ზემო წელის აუზს, გაიელის ჰეიბერ-ყარაჩაის უღელტეხილს, ნენსკრისა და ენგურის ხეობებს და აღწევს ქ. ჯეარამდე. ცენტრალურ და აღმოსავლეთ (მ. მყინვარწვერი 5033 მ) კავკასიონს შორის საზღვარი გასდევს დარიალის ხეობას სოფ. კობამდე (ყაზბეგის რაიონი), ჯერის უღელტეხილს, მდ. მთიულეთის არაგვს და აღწევს დაბა ვინეალამდე (დუშეთის რაიონი). ამრიგად, ცენტრალური კავკასიონი სიგრძით მთლიანად (დაახლოებით 200 კმ) შემოდის საქართველოს ფარგლებში და მოიცავს დვალეთის, სვანეთის, ეგრისის, ლეჩხუმის, რაჭის, ხარულის, მთიულეთისა და ლომისის ქედებს. კავკასიონის აღნიშნულ ნაწილებს შორის ყველაზე მაღალია ცენტრალური კავკასიონი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეულკანური მასივები და თანამედროვე გამყინვარების თითქმის უწყვეტი შოლი.



მაღალმთიანი რელიეფი



თანამედროვე გამყინვარება. უშბა

ოროგრაფიული თვალსაზრისით კავკასიონის მთიანეთი იყოფა სამ ნაწილად. ესენია: კავკასიონის მთაყარი წყალგამყოფი ქედი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ფერდობები. მათ შორის უმთავრესი ოროგრაფიული ერთეულია კავკასიონის მთაყარი წყალგამყოფი ქედი, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ქედის უმაღლესი უბანია ბებენგის კედელი, რომელმაც მდებარეობს საქართველოს უმაღლესი მწვერვალი მხარა (5068 მ). იგი სიმაღლით მ.იალბუშის (5648 მ) შემდეგ მეორეა კავკასიაში. სხვა მწვერვალებიდან აღსანიშნავია: ჯანლა (5049 მ), კათინთაუ (4970 მ), შოთა რუსთაეელის მწვერვალი (4960 მ), გისგოლა (4860 მ) და ლალეერი (4350 მ). ბებენგის კედლიდან დასავლეთითა და აღმოსავლეთით ქედი თანდათან დაბლდება. მდ. ენგურის აუზის დასავლეთით ქედის სიმაღლე 4000 მ-ს არ აღემატება (ეს კანონზომიერება ელინდება საქართველოს ფარგლების გარეთაც, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში). გამონაკლისია მხოლოდ მ.დომბაი-ულგენი.

კავკასიონის მთაყარი წყალგამყოფი ქედის დასავლეთი ნაწილი (მ.აგფუსტიდან აზაუს ქედამდე) წარმოადგენს ამოვისა (მდ. ყუბანის) და შაეი მღეების მდინარეთა აუზების წყალგამყოფს, შუა მონაკეეთი (აზაუს ქელიდან მ.მეკარამდე, 145 კმ მანძილზე) კი – შაეი და კასპის მღეების აუზების წყალგამყოფს.

ოროგრაფიული და სხვა ბუნებრივი თავისებურებების მიხედვით, კავკასიონი იყოფა რამდენიმე ნაწილად: აფხაზეთის კავკასიონი, სვანეთის კავკასიონი, რაჭის კავკასიონი და ა.შ.

კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობის მნიშვნელოვანი მონაკეეთი, მ.ეაიკუარსიდან (მდ.თერგის სათავეები) მ.შაეკლემდე საქართველოს ფარგლებში შემოდის. იგი მოიცავს მთაყარი ქედის პარალელურ – ჩრდილო გამყოფი (გვერდითი) ქედის მონაკეეთს, აგრეთვე, კავკასიონის მთაყარ წყალგამყოფ და აღნიშნულ ქედებს შორის მოქცეულ ქვაბულებსა და მდინა-

რეთა ხეობებს. ვეერლით ქელს მიეკუთენება ხოსის, პირიქითის (თუშეთის), მანის, კიდეგანის, ხევსურეთისა და აწუნგის ქედები. მათ შორის ყველაზე მნიშენლოენია ხოსის ქედი, რომელმეც აღმართულია აღმოსაელეთი კაეკასიონის უმაღლეი მწვეერვალე მყინეარწვეერი (ყაზბეგი – 5033 მ). იგი სიმაღლით მესამეა საქართველოში.

ქეაბულებიდან აღსანიშნაეია თუშეთის ქეაბული, რომელიც განელურადაა გაღაჭიული 42 კმ მანიძილზე. მაკრაგელას ქედი მას ორ ნაწილად – პირიქითისა და გომეწრის ქეაბულებად ყოფს. იგი ყველაზე ერეელი ქეაბულია კაეკასიონის ფარგლებში, რომლის ფართობიც თითქმის 800 კვ.კმ-ია. ასეეე ერეელია თრუსოს ქეაბული, რომელიც თერგის ზემო წელის ხეობაში მღებარეობს. იგი მღდარებით მარგივი ფორმისაა და არ არის გართულებული რომელიმე მნიშენლოენი ოროგრაფიული ერთეულით.

კაეკასიონის სამხრეთი ფერდობი განსხეეეებულია ჩრდილო-ეთისაგან. აქ ვეერლითი ქელის ანალოგიერი ოროგრაფიული ერთეული არ გეზეღება. ქედები უმთაერესად კაეკასიონის მთაერი წყალგამყოფი ქელის განშტოებებს წარმოიადგენს. კაეკასიონის დასაელეთ ნაწილისათეის ძირიიიად აღანელური, ხოლო აღმოსაელეთ ნაწილისათეის – მერიდიანული ორიენგაციის ქედებია დამასასიათეული. ისინი მთაერ ქელს ერთი ბოლოთი (ზღუღარიოთ) უკაეშირღებიან. მაგალითად, სეანეთის ქედი – ატკეერის ზღუღარიოთ, ლენხუმის ქედი – ლაფიწყაროს ზღუღარიოთ და ა.შ. კიდეე ერთი ოროგრაფიული განსხეეეება კაეკასიონის ჩრდილოეთ ფერდობისაგან ის არის, რომ




საქართველო მყინეარწვეერიდან



საშუალომთიანი რელიეფი. რიწის ტბა

აქ ქვაბულები შედარებით დიდი ფართობისაა. აღსანიშნავია მეომ სუანეთის (მდ. ენგური), ქვემო სუანეთის (მდ. ცხენისწყალი), რაჭის (მდ. რიონი), ჩხალთა-საქენის (მდ. კოლორი), ვამურის (მდ. ქსანი), მადრან-დეაღეთისა (მდ. ლიახვი) და ფშავეის (მდ. ფშავეის არაგვი) ქვაბულები.



სუანეთის კაეკასიონი

კაეკასიონის სამხრეთი ფერდობის სივანე აფხაზეთის ფარგლებში 42 კმ-ს შეადგენს, სუანეთოღიშის ფარგლებში – 90 კმ-ს, ხოლო კახეთის ფარგლებში – 15-20 კმ-ს.

კაეკასიონის მდინარეები ვიწრო და ციცაბოკალთებიან ხეობებში მიედინება, სადაც ისინი ხშირად კლდეკარებსა და ვიწრობებს ქმნიან. მათგან მნიშვნელოვანია დარიალის კლდეკარი – მდ. თურგის აუზში, ხიდიკრის კლდეკარი – მდ. რიონის აუზში, ენგურის ვიწრობი – მდ. ენგურზე.

საქართველოს მთათაშორისი ბარი მდებარეობს კაეკასიონსა და მცირე კაეკასიონს შორის. იგი ოროგრაფიული თვალსაზრისით ნაირგვარია. აქ გვხვდება ვაკე-დაბლობები, მთისწინეთის გორაკ-ბორცვები, დაბალმთიანი და მოვჯერ სამუალომთიანი რელიეფი. ბარი ძირითადად შ.დ. 500 მ სიმაღლემდე მდებარეობს. მიუხედავად ამისა, საშუალო სიმაღლის ლიხისა და ცივგომბორის ქედები მასთან ერთად განიხილება. ეს განპირობებულია აღნიშნული ქედების საქართველოს მთათაშორის ბარში ცენტრალური მდებარეობით. თუმცა ლანდშაფტური თვალსაზრისით ვაკეებით მეტია მათი მსგავსება კაეკასიონსა და მცირე კაეკასიონთან.

ოროგრაფიულად საქართველოს მთათაშორისი ბარი იყოფა დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებად.

დასავლეთი ნაწილი ანუ კოლხეთის ბარი დახრილია შავი ზღვისაკენ. იგი მოიცავს გორაკ-ბორცვიან შოლს, კოლხეთისა და ზღვისპირა დაბლობებს.

კოლხეთის დაბლობის ძირითადი ნაწილი მოთავსებულია ოჩამჩირეს, ქობულეთსა და მესტაფონს შორის. მას აქვს სამკუთხედის ფორმა, რომლის ფუძე ებჯინება ზღვას. პიფსომეტრიულად ყველაზე დაბალია ზღვისპირა შოლი. გბებისა და ჭაობების (მაგალითად, პალიასტომის გბის, იმნათის, გრივოლეთისა და მალთაყვის ჭაობების) ფსკერი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს. დაბლობის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი აბსოლუტურად

ბრტყელი ვაკეა, რომელიც ოდნაეა დახრილი დასაუღეთისაკენ, განაპირა ნაწილის ზედაპირი კი ვაცილებით მეტი დაქანებით გამოირჩევა. ვეხელება მცირე ზომის ბორცვებიც. დაბლობზე ღიდი მდინარეები (ენგური, რიონი, ცხენისწყალი, ყვირილა) ქმნიან გამოზიდვის კონუსებს.

კოლხეთის დაბლობის ვაგრძელებაზე, სანაპიროს ვასწერივ მღებარეობს მღვისპირა ვაკეები: ჩრდილოეთში – ბიჭვინთის, სამხრეთში კი – კახაბრისა და გონიოს.

კოლხეთის დაბლობის მიმდებარედ ვადაჭიმულია მთისწინეთის გორაკ-ბორცვიანი ზოლი. მისი ჩრდილოეთი ნაწილი შედარებით ვანიერია (სამეგრელოს ვარგლებში იგი 40 კმ-მდე აღწევს). აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულია ცენტრალური ოდიშის პლატო (ურთის მთა, უნაგირას სერი, ოკრიბა-არგეთის სერი). სამხრეთის ბორცვიანი ზოლი შედარებით ვიწროა. იგი იყოფა გურიისა და სამხრეთ იმერეთის მთისწინეთებად.

საქართველოს ბარის ცენტრალური ნაწილი მცირე ვართობისაა. აქ წარმოდგენილია იმერეთის მალლობი, რომელიც ასიმეტრიულია: დასაუღეთი ნაწილი უფრო ვართოა, ვიდრე აღმოსაუღეთი. ოროგრაფიულად ყველაზე მაღალია ლიხის ანუ სურამის ქედი, რომელიც შაეი და კასპიის ზღეების მდინარეთა წყალგამყოფია. იგი აკავშირებს რაჭის ქედს მესხეთის ქედთან, რითაც იქმნება ერთგვარი „ხიდი“ კავკასიონსა და მცირე კავკასიონს შორის.



საკურამო-იაღნოს ქედი. საშუალო და დაბალმთიანი რელიეფი, სვეტიცხოელის ტაძარი

ლახის ქედი სამეჯლო ხიმალისაა (1500-1600 მ) და ძლიერ დახევილია ღრმა ხეობებითა და კანიონებით.

საქართველოს მთათაშორისი ბარის აღმოსავლეთი ნაწილი (აღმოსავლეთი საქართველოს ბარი) ფართობით ყველაზე დიდია და ოროგრაფიულად ნაირგვარია. აქ გამოიყოფა: შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და ალაშნის ვაკეები. იურის ზეგანი, ელდარის დაბლობი და ციე-გომბორის ქედი.

შავი ზღვის აუზში ასევე ეოგაა დიდი ნახევარკუნძულები და ყურეები, თუ არ ჩათვლით ყირიმის ნახევარკუნძულს (ჩრდილოეთში). საქართველოს სანაპიროსთანაა პატარა კონცხები: ციხისძირის, მწვანე კონცხი. ფოთის,

ანაკლიის, სოხუმის, ბიჭვინთის და სხვ. აქვეა მიუსერის, ახალი ათონის, კელასურის, სოხუმის, ბათუმისა და სხვა ყურეები. შავი ზღვის სანაპირო ზოლი საქართველოს ფარგლებში არაერთგვაროვანია. მისი ცენტრალური ნაწილისათვის, კოლხეთის დაბლობის მიდამოებში, დამახასიათებელია ბრტყელი ზედაპირი, უკიდურეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში (აფხაზეთისა და აჭარის ფარგლებში) კი - გორაკ-ბორცვიანი და მთიანი რელიეფი. წყლის ტემპერატურა მაფხულში +24, +26°-ის ტოლია. ზღვის წყალი ძირითადად, მათ შორის საქართველოს მიდამოებში, არ იყინება. მკაცრ ზამთარში, ოდესის უბესა და ქერჩის სრუტეში წყლის ზედაპირზე პერიოდულად ჩნდება თხელი ყინულოვანი ფენა. თითქმის ფსკერამდე წყლის ტემპერატურა მუდმივია და 9°-ს არ აღემატება.

შავი ზღვა 150-200 მ სიღრმიდან ფსკერამდე პრაქტიკულად უსიციცხლოა (თუ არ ჩათვლით ანაერობულ ბაქტერიებს), რადგან წყალი სრულიად მოკლებულია კანგზადს (O_2) და მის ნაცულად ჭარბადაა მომწამვლელი გაზი გოგირდწყალბადი (H_2S), რომლითაც გაჯერებულია ზღვის წყლის საერთო მოცულობის 86%. მისი კონცენტრაცია წყალში 11-14 მგ/ლ-ს შეადგენს. ამით განსხვავდება იგი მსოფლიოს სხვა ზღვებისაგან. შავი ზღვის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს - იგი უდიდესი უკანგზადო წყალსაგვეია. სამაგიეროდ, ზედა თბილი ფენა დიდი რაოდენობით შეიცავს კანგზადს და მდიდარია ორგანული სამყაროთი (ძუძუმწოვრებით, თევზებით, კიბოსნაირებით, ჭიებით, მოლუსკებით, უმარგივესებით და სხვ.), რომელთა შორის 150 სახეობა რელიქტურია, 240 - ენდემური. ზღვის ფაუნის უმეტესობა ხმელთაშუა ზღვიდან არის შემოსული. თევზებიდან გვხვდება: ორაგული, ზუთხი, თართი, კეფალი, სტაერიდა, სარდინი, ქაშა, ქაშაყი, ქამბალა და სხვ., თუმცა აღსანიშნავია, რომ ამჟამად შავი ზღვის მწვავე ეკოლოგიურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად შეზღუდა მისი ბიომრავალფეროვნება - შესამჩნევად შემცირდა სარეწაო მნიშვნელობის თევზთა რაოდენობა.



შავი ზღვის წყლის ტემპერატურის დინამიკა საქართველოს სანაპიროსთან



ს უ კ რ ა ი ნ ა

რ უ ს ე თ ი

აჭარის
ფეოდალური
რესპუბლიკა

სევატოპოლი
ილიტი

ნოვროსიისკი

საქართველო

ბათუმი

ტრაპიზონი

სამუნი

სანაბა

ს ა მ გ რ ე ლ ე ა

2245 ა

მთლადოვა

ოდესა

სამურზაქანი

რ უ მ ი ნ ე თ ი

კონსტანტა

ბ უ ლ გ ა რ ე თ ი

ეანა


ახსენიძის
სამეგრელო

სტამბული

ქაჯინჯინჯის
ფეოდალური
რესპუბლიკა

თ უ რ ე ქ ე თ ი

საქართველოსა და ყველა მღვისპირა ქვეყნისათვის შავ მღვას (როვორც თბილ მღვას) უდიდესი გურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობა აქვს. გურისტული სუზონი საქართველოს მღვის სანაპიროზე 5-6 თვეს ვრძელდება (მაისიდან ნოემბრამდე). საუკეთესო პერიოდია ივლის-აგვისტო-სექტემბერი, როდესაც წყლის ტემპერატურა მაქსიმალურად უახლოვდება ადამიანის ორგანიზმისთვის კომფორტულ ტემპერატურას. გარდა ამისა, ტალღების სიმძლავრე შავ მღვამე იშვიათად აღემატრება 3 ბალს. უსაფრთხოა შავი მღვის ისტიოფაუნაც. საქართველოს სანაპირო ზოლი, განსაკუთრებით აჭარასა და აფხაზეთში, კომფორტული პლაჟებითაა წარმოდგენილი. საქართველოს მღვისპირეთის ესთეტიკურ ღირებულებას ამალღებს აგრეთვე მდიდარი და მრავალფეროვანი მცენარეულობა, მღვისპირა და მთიანი ლანდშაფტების ულამაზესი შერწყმა. საქართველოში საერთაშორისო მნიშვნელობის მღვისპირა კურორტებია: ქობულეთი, ბიჭვინთა, ახალი ათონი, გაგრა. ადგილობრივი მნიშვნელობისაა ბათუმი, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახინჯაური, ურეკი, სოხუმი, კინდლი, გუდაუთა და სხვ. ურეკი განსაკუთრებით პრაქტიკულია ბავშვებისათვის, რომელიც გამოირჩევა მაგნეტიკური ქეიშით მოფენილი ვრცელი პლაჟებით. კურორტი მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს და საუკეთესოა სისხლის მიმოქცევის ორგანოების, ნერვული სისტემის, სასუნთქი ორგანოებისა და პიპერტონული დაავადებების სამკურნალოდ. საქართველოში, განსაკუთრებით მღვისპირეთში, სათანადო გურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქ-



კურორტი ბიჭვინთა

ტურის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ტურისტული ინდუსტრია შეიძლება გადაიქცეს ქვეყნის საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგად.

შაიბლესპირეთის ცნობილი კურორტებია: ბულგარეთში – ოქროს ქეიშები („ზღაგნი-პიასიცი“), მზიური ნაპირი („სლინიევი-ბრიაგი“); რუმინეთში – მამაია; უკრაინაში – იალტა; რუსეთში – სოჭი, ანაპა, გელენჯიკი და სხვ. შაი ბლესი ეკოლოგიური მდგომარეობის გამო გარკვეულწილად გაუარესდა ბლესპირეთის ესთეტიკური და რეკრეაციული ფასეულობები. უფრო მეტიც, ეკოლოგიური ეითარებიდან გამომდინარე, არსებობს საშიშროება, რომ ბლეა, რომელიც ყოველწლიურად 40 მლნ ტურისტს მასპინძლობდა, შესაძლოა „არასტუმართმოყვარე“ გახლეს.

შაი ბლეა, რომელიც მსოფლიო ოკეანეს უკავშირდება ბოსფორის, დარდანელისა და გიბრალტარის სრუტეებით (მარმარილოს, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების გავლით), ძირითად სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი ევროპა-აზიის სატრანსპორტო კავშირებში. ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედება საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელოვანი გარანტიაა, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია მოსალოდნელი ეკოლოგიური საშიშროებაც.

საქართველოს ნაესადგურები უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩევა. საქართველოში საერთაშორისო დანიშნულების სამღვაო პორტებია: ბათუმი, ფოთი, სოხუმი. მთელ ბლესპირეთში კი უდიდესი ნაესადგურებია: ბურგასი, ვარნა (ბულგარეთი); კონსტანცა (რუმინეთი); ოდესა, ილიჩევსკი (უკრაინა); ნოეოროსიისკი, ტუაფსე (რუსეთი); გრაპიზონი, სამსუნი, მონღულდაქი (თურქეთი) და სხვ.

შაი ბლეა დიდ როლს ასრულებს საქართველოს ჰაეის ფორმირებაში. იგი განაპირობებს დასაეღეთ საქართველოში თბილი და ნოგიო ჰაეის ჩამოყალიბებას. საქართველოს შაიბლესპირეთში ხშირია ნოგიო, ტროპიკულის მსგავსი ამინდი. აგმოსფერული ნალექები შაე ბლეაზე არათანაბრად ნაწილდება. დასაეღეთური ქარებისა და რელიეფის ექსპოზიციის გამო, შაიბლესპირეთში ყეეღაზე უხვნალექიანია საქართველოს ბლესპირა უბნები. აქ ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1500-2500 მმ-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი შაეი ბლესი დასაეღეთ და ჩრდილო-დასაეღეთ სანაპიროებთან 300-500 მმ-ს არ აღემატება.

შაეი ბლესი სამეურნეო მნიშვნელობას განაპირობებს მასში არსებული ბუნებრივი წიაღისეული რესურსებიც. ბლესი ფსკერზე ფართოდაა გავრეეღებული რკინა-მანგანუმის კონკრეციები. შაეი ბლესი ჩრდილო-დასაეღეთ ნაწილში აღმოჩენიღა მაღალხარისხოვანი ნაეთობისა და გავის წყალქეეღმა საბადოები, თურქეთის სანაპირო მეღფეებში კი – ქეანახშირის საკმაოდ დიდი მარაგი. ბლესი წყლიდან მიმდინარეობს მარილის სამრეწეეღო მოპოეეღაც. გარდა ამისა, შაეი ბლესი პრაქტიკეღად მთელი სანაპირო აგეღულია მაღალხარისხოვანი საშენი მასალებით: ქეიშებით, თიხებით, ქეიმაქეეღებით, კირქეეღებითა და სხვ. მათი წყალქეეღმა მოპოეეღა ბათუმის მიღამოებში უკეე

მიმდინარეობს. შავი ზღვის თითქმის მთელი სანაპირო მდიდარია მაგნეტიკური ქვიშით. საქართველოს ფარგლებში ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სუფსა-ნაგანების მიდამოები (ურეკი, ვრიგოლეთი). ზღვისპირა ქვიშა მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მაგნეტიკურ რკინას.

ხმელთაშუა ზღვასთან და საერთოდ მსოფლიო ოკეანესთან შედარებით შავი ზღვა ნაკლებ მარილიანია, რაც ზრდის მის რეკრეაციულ დანიშნულებას. იგი, როგორც ღრმული წყალსატევი, განსაკუთრებულ წყალშემკრებ აუზს წარმოადგენს, საიდანაც მსოფლიო ოკეანესთან წყალგაცვლა არაინტენსიურია. გარდა ამისა, ზღვაში დიდი რაოდენობით ჩაედინება მტკნარი წყალი (კონტინენტური ჩამონადენი უდრის 300 კმ³/წ); საკმაო რაოდენობის მტკნარი წყალი შემოდის ამოვის ზღვიდანაც (30-38 კმ³/წ), რომელსაც შავი ზღვა მის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქერჩის სრუტით უკავშირდება. ამასთან, შავ ზღვაზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და კონტინენტური ჩამონადენი, აღემატება აორთქლებას. არათანაბარია წყლის მარილიანობა თვით შავი ზღვის ფარგლებშიც: ნაპირებისაკენ, სადაც ზღვას მდინარეები უერთდება, სიმაღლე კლებულობს 3‰-მდე, ცენტრისაკენ კი მაგვულობს 15‰ - 18‰-მდე. ზედაპირულ დინებას შავი ზღვიდან ბოსფორის სრუტით მარმარილოს ზღვაში გააქვს დაახლოებით 400 კუბური კილომეტრი შედარებით მსუბუქი, ნაკლებმარილიანი წყალი. სიღრმისეულ დინებას კი შავ ზღვაში შემოაქვს 200 კმ³ მლაშე და მძიმე წყალი, რომელიც ზღვის ღრმა



აჭარის შავიზღვისპირეთი, ციხისძირის მიდამოები

სწორედ ამიგომ შაეი ზღვის ქვედა ფენა უფრო მარილიანია, ვიდრე ზედა. ამდენად, შაეი ზღვიდან გაცილებით უფრო მეტი მტკნარი წყალი გაედინება, ვიდრე შემოედინება.

მიუხედავად იმისა, რომ შაეი ზღვა მსოფლიო ოკეანეს უკავშირდება, იგი მაინც ჩაკეტილ წყალსაგვედ ითულება და მასში წყლის განახლებას (ხმელთაშუა ზღვის წყლებით) ასობით წელი სჭირდება, ხოლო შაეი ზღვის წყლის მთლიანად შეცვლას – 130-140 წელიწადი. საინტერესოა, რომ შაეი ზღვის ღრმულის ასავესებად საქართველოს ყველაზე წყალუხემა მდ. რიონმა 420 საუკუნე უნდა იდინოს, მსოფლიოს ყველაზე წყალუხემა მდინარე ამაზონმა კი – 100 წელიწადი.

შაეი ზღვის მდინარეებს (განსაკუთრებით მდ. ღუნაის) ზღვაში ყოველწლიურად ჩააქვს ათასობით გონა ნიგრატი, ფოსფატი, ვოგირდი, ტყვია, თუთია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი და სხვა მანე ნიეთიერებები. ამგვარი პრობლემა შაეი ზღვის აუზის ქვეყნების საერთო სამრუნაეია. ზღვაში მდინარეების მიერ ჩამოტანილი ნარჩენების გამო პასუხისმგებლობა არა მარტო ზღვისპირა ქვეყნებს (საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი) ეკისრებათ, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მდინარეული ქსელით შაეი ზღვის აუზშია მოქცეული (იუგოსლავია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, სლოვენია, უნგრეთი, სლოვაკეთი, აესტრია, გერმანია, ჩეხეთი, მოლდოვა, ბელარუსი და სხე). შაე ზღვაში მრავალი მდინარე ჩაედინება. მათ შორის მნიშენელოვანია: ბზიფი, კოდორი, ენგური, რიონი, სუფსა, ჭოროხი (საქართველო); იეშილ-ირმაქი, ყიზილ-ირმაქი, იენიჯე, საქარია (თურქეთი); კამზია (ბულგარეთი); დნესტრი, დნეპრი, სამხრეთი ბუგი (უკრაინა); ღუნაი (რუმინეთი-უკრაინა); ამოვის ზღვას ერთეის დონი, ყუბანი და სხე. შაეი ზღვის აუზის მდინარეებზე განლაგებულია ისეთი მნიშენელოვანი ქალაქები, როგორცაა: სოფია, ბუქარესტი, ბელგრადი, ბუდაპეშტი, ბრატისლავა, ბაგრები, ლუბლიანა, სარაეო, ეენა, კიშინიოვი, მინსკი, კიევი, ანკარა. კონგინენტური ეეროპის გერიგორიის 1/3 მიეკუთენება შაეი ზღვის აუზს, სადაც დაახლოებით 160 მლნ კაცი ცხოვრობს.

კონგინენტური ჩამონადენი და ქარების რეჟიმი შაე ზღვაში წარმოქმნის განსხეაეებული მიმართულებისა და სიჩქარის დინებებს. ყველაზე ძლიერი დინება, რომელიც საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრაობს, შემოუვლის შაეი ზღვის მთელ სანაპიროს. იგი მდ. ღუნაის შესართაეთან იწყება, გაიელის ზღვის დასაელეთ და სამხრეთ სანაპიროებს და აღწევს საქართველომდე. შემდეგ მიუყეება კაეკასიის მთელ სანაპიროს, ყირიმის ნახეეარკუნძულს და ოდესის უბისაკენ მიემართება, რის შემდეგაც უერთდება საწყის დინებას. წყლის ამ დიდი ბრუნეის შიგნით არსებობს შედარებით მცირე ზომის ორი მნიშენელოვანი დინება: ე.წ. „შაეი ზღვის ეელოსიპედი“, რომელიც წარმოადგენს დასაელურ და აღმოსაელურ წრიულ დინებას, სადაც წყლის მასები გადაადგილდება საათის ისრის მიმართულებით.


საქართველოს ზღვისპირეთში ასევე ცნობილია ორი საპირისპირო მიმართულების დინება: ერთი აფხაზეთ-სამეგრელოს სანაპიროს გასწერიე

სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მიედინება, ხოლო მეორე – აჭარა-გურიის სანაპიროს გასწვრივ ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. წყლის ამ ორი ნაკადის გამყოფი ხაზი ფოთის განედზე მდებარეობს.

შაეი ზღვის დონე წლის განმავლობაში მცირედ ცვალებადობს. მაფსულ-ში იჯი სამუალოზე 12 სმ-ით მაღალია, გვიან შემოდგომაზე კი – 7 სმ-ით დაბალი. მნიშვნელოვანია ქარის მოქმედებით გამოწვეული წყლის დონის ცვალებადობა. ძლიერი ქარის დროს გაალღის სიმაღლემ შეიძლება 5-6, მოგჯერ 7-8 მეტრსაც მიაღწიოს.

შაეი ზღვაში რთული ეკოლოგიური ვითარებაა შექმნილი, რასაც განაპირობებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კომუნალური და საკურორტო ობიექტების, ტრანსპორტისა და მეურნეობის სხვა დარგების ნარჩენების ზღვაში ჩაშვება. შაეი ზღვის დაბინძურებაში დიდი „წვლილი“ შეაქვს საზღვაო ფლოტს, განსაკუთრებით ნავთობპროდუქტების გადამშიდ განკერებს.

შაეი ზღვას ეკონომიკურად არც თუ მდიდარი ქვეყნები ესაზღვრება, ამიტომ ზღვის ეკოლოგიური პრობლემები მსოფლიო საზოგადოების დახმარების გარეშე ვერ გადაწყდება. შაეი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამის BSEP-ის (Black Sea Environmental Programme) მიხედვით შემუშავებულია გრძელვადიანი გეგმა, რის საფუძველზეც 2000 წლიდან დაიწყო შაეი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის აღდგენა-გაუმჯობესება. მდგრადი განვითარების მისაღწევად ზღვისპირა ქვეყნებმა მრავალი ვალდებულება უნდა იკისრონ, მათ შორის: ნავთობპროდუქტებით დაბინძურების კონტროლი, წყლის შემადგენლობის სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა. მყარი ნარჩენების ზღვაში და მასში ჩამდინარე მდინარეებში მოხვედრის აღმოფხვრა და ჯარიმების ერთობლივი სისტემის დანერგვა. გადაუდებელ და სერიოზულ დახმარებას საჭიროებს საქართველოს ზღვისპირა ქალაქებისა და პორტების წყალგამწმენდი ნაგებობები. არადა, სტატისტიკური მონაცემებით, დაბინძურების 70% სწორედ მუნიციპალურ წყლებზე მოდის. პროგრამის ფარგლებში, შაეიზღვისპირა ქვეყნები ქმნიან ერთიან რეგიონს არა მარტო გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, არამედ საერთო სატრანსპორტო სისტემების განვითარების, ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებისა და დაცვის, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით.



საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების რუკა

ნიადაგები

ნიადაგური საფარის მრავალფეროვნება განპირობებულია ბუნებრივი ფაქტორების – ამგებელი ქანების, კლიმატის, რელიეფისა და ბიოსამყაროს ნაირგვაროვანი ურთიერთმოქმედებით, რის შედეგადაც ფორმირდება ეს მნიშვნელოვანი ბუნებრივი წარმონაქმნი. ნიადაგში ასევე აისახება გრუნტის, ზედაპირული წყლებისა და ადამიანის ინტენსიური სამეურნეო ზემოქმედების შედეგებიც. ამიგომ, სრულიად მართებულად, ნიადაგს „ლანდშაფტის სარკეს“ უწოდებენ. ნიადაგის პროფილის ფორმირებისათვის აუცილებელია გარკვეული პერიოდი. ამიგომ დროც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიადაგწარმოქმნელ ფაქტორად გვევლინება. ამდენად, ნიადაგის (და საერთოდ ლანდშაფტის) წარმომობისა და განვითარების შესწავლისათვის გასათვალისწინებელია არა მარტო სიერციითი, არამედ დროითი ფაქტორიც. ნიადაგი თხელი ფენის სახით დედამიწის ზედაპირის იმ ნაწილში ფორმირდება, სადაც ერთმანეთს აქტიურად უკავშირდება ლითოსფერო, აგმოსფერო, ჰიდროსფერო და ბიოსფერო.

ნიადაგის ძირითადი თვისებაა ნაყოფიერება. ესაა ნიადაგის უნარი უზრუნველყოს მცენარე მისი მრავალ-განვითარების პროცესში საკვები ელემენტებით, გენით, პაერით. ნიადაგის ნაყოფიერებას განსაზღვრავს მის ზედაპირულ ჰორიზონტში აკუმულირებული მუქი მეფერილობის ორგანული და ორგანულ-მინერალური ნივთიერება *ჰუმუსი*.

საქართველოს რთული რელიეფური პირობები, გეოლოგიური აგებულების თავისებურებანი, კლიმატური არაერთგვაროვნება და მცენარეული საფარის მრავალფეროვნება განაპირობებს მოზაიკურ ნიადაგურ საფარს. აქ წარმოდგენილია ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, როგორც ჰაობისა და ნახევრად უდაბნოს, ისე მთისა და ბარის ნიადაგები. საქართველოში მკაფიოადაა გამოხატული ნიადაგების ევრტიკალური ზონალობა. თვისობრივად განსხვავებული ნიადაგური საფარით ხასიათდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბარი. მთაში, განსაკუთრებით კი მაღალ მთაში, რეგიონალური სხვაობა ნაკლებად შეინიშნება.

პრინციპული სხვაობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთათაშორისი ბარის ნიადაგურ საფარს შორის განპირობებულია მკვეთრად განსხვავებული კლიმატური პირობებით. დასავლეთ საქართველოს *ჰუმიდური* (ნოტიო) ჰაეის პირობებში წარმოდგენილია ჰაობის, ეწერ-ლებიანი (კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა დადაბლებულ ნაწილში), სუბტროპიკული ეწერი (ზღვიურ და ძველ მდინარეულ ტერასებზე), წითელმიწა და ყვითელმიწა (კოლხეთის მთისწინებსა და გორაკ-ბორცვიან ზოლში) ნიადაგები; აღმოსავლეთ საქართველოს არიდული (მშრალი) ჰაეის პირობებში – ყავისფერი, მეემიწა, რუხი, წაბლა, დამლამებული და სხვა ნიადაგები.

დაბალ და საშუალო მთის ტყეებში წარმოდგენილია ყომრალი ნიადაგები, რომლებიც დასავლეთში წითელმიწებისა და ყვითელმიწების ზემოთაა გავრცელებული, აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში კი –

ყავისფერი ნიადაგების ზემოთ. სამხრეთ საქართველოს ეულკანური ზეგნები-სათვის დამახასიათებელია მთის შეემიწები. საქართველოს მაღალ მთებში (1800-2000 მ-დან) გავრცელებულია მთა-მდლოს ნიადაგების სახესხვაობები.

ზონალურ პრინციპებს დაქვემდებარებული ნიადაგების გარდა საქართველოში მრავლადაა ამონალური და ინტრაზონალური ტიპები. ამონალური ნიადაგები საქართველოში წარმოდგენილია მდინარეულ ნაფენებზე ფორმირებული ალუვიური ნიადაგების სახით. ისინი დიდი სახე-სხვაობით ხასიათდებიან და, როგორც წესი, ვითარდებიან მდინარეთა ჭალებსა და ტერასებზე. ინტრაზონალური ნიადაგები უმეტესად საქართველოს მთებშია წარმოდგენილი კარბონატულ სუბსტრატზე ფორმირებული ნემომპალა-კარბონატული ნიადაგების სახით. მათი პროფილის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ამგებელი ქანის ფაქტორი ასრულებს.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს ძირითადი ნიადაგების მოკლე დახასიათება.

ჭაობის ნიადაგების სახესხვაობები (გორფიანი, ლამიანი, კორდიან-ლებიანი) ძირითადად კოლხეთის დაბლობის ექსტრაჰუმიდურ დადაბლებულ ნაწილში გვხვდება, თუმცა შესაბამისი პირობების შემთხვევაში, მცირე ფრაგმენტების სახით, საქართველოს სხვა რეგიონებშიც შეინიშნება (ტბების მიდამოებში ან მაღალმთიანი ზონის დადაბლებული რელიეფისა და ცივი ჰაეის პირობებში, სადაც აორთქლება შესუსტებულია). ჭაობის ნიადაგი ხასიათდება სუსტად დამლელი ორგანული ნივთიერების მაღალი შემცველობით („უხეში ჰუმუსის“ სახით), რომლის ქვეშ განვითარებულია მკერძი ლებიანი ან გაღებებული პორიზონგი. სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით, ჭაობიანი ნიადაგების ათვისება შესაძლებელია მხოლოდ მეღორაპიული ღონისძიებების შემდეგ.

სუბტროპიკული ეწერი (ორთშტეინიანი) ნიადაგები გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მღვიურ და ძველ მდინარეულ ტერასებზე აფხაზეთში, სამეგრელოსა და იმერეთში – კოდორის, ენგურის, რიონის, ცხენისწყლის, ყვირილასა და სხვა მდინარეთა ტერასებზე. ისინი არაერთგვაროვანი პროფილითა და რთული ვენებისით გამოირჩევიან, რის გამოც მრავალი სახელწოდებით არიან ცნობილი: ფსედოეწერი, ყვითელმიწა-ეწერი, პლინტოსოლები და სხვ. ისინი მწირ და დაბალნაყოფიერ ნიადაგებად ითვლებიან. ჭაობიან და ე.წ. ეწერ ნიადაგებს შორის გარდამავალ ნაწილში გავრცელებულია *ეწერ-ლებიანი* ნიადაგები.

წითელმიწები ვითარდება წითელი ფერის ფერალიტურ ქანებზე უსწორმასწორო რელიეფის პირობებში (ვორაკ-ბორცებზე) მ.დ. 500 მ სიმაღლემდე. მისი გავრცელების გეოგრაფია მოიცავს აჭარას, გურიას, ნაკლებად სამეგრელოსა და იმერეთს, ფრაგმენტულად – აფხაზეთს. იგი ხასიათდება R_2O_3 -კანგეულების (ვანსაკუთრებით რკინის) მაღალი შემცველობით, რიც გამოც მორფოლოგიურად მოწითალო ან ნარინჯისფერი პროფილით გამოირჩევა. წითელმიწები მაღალნაყოფიერი ნიადაგებია და

ინგენსიურადაა გამოყენებული სოფლის მეურნეობაში ჩაის, ციგრუსების, ტუნგისა და სხვა სუბტროპიკული კულტურებისათვის.

ყვითელმიწები ჭარბობს კოლხეთის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (აფხაზეთი, ნაწილობრივ სამეგრელო და იმერეთი). მასში რკინის ვანტები ნაკლებადაა (წითელმიწებიან შედარებით) და პროფილს უფრო მოყვითალო შეყერილობა ახასიათებს. ყვითელმიწებზე გაშენებულია ჩაი, თამბაქო, ხეხილი და სხვა სუბტროპიკული კულტურები.

ალუვიურ ნიადაგებს, რომლებიც მდინარეულ ნაშალ მასალაზე ვითარდებიან, მნიშვნელოვანი გერიგორია უკაეია მდინარეების ქვემო წელის ხეობებში. ძველი ალუვიური ძლიერ კარბონატული ნიადაგები ლამების სახელწოდებითაა ცნობილი. აგრარული თვალსაზრისით ალუვიური ნიადაგები მაღალნაყოფიერია.

შავმიწები აღმოსავლეთ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი. ძირითადად წარმოდგენილია ივრის ზეგნის შემალღებულ ადგილებზე, შირაქისა და სამგორის ველებზე და სხვ. საქართველოში შავმიწები ერთერთ ყველაზე ნაყოფიერ ნიადაგად ითვლება ჰუმუსის მაღალი შემცველობის გამო. გამოიყენება უმთავრესად მარცელეული და მრავალწლიანი კულტურებისთვის. შავმიწები სამხრეთ საქართველოს ეულკანურ ზეგნებზეც გახედება მ.დ. 1500-2200 მ სიმაღლეზე. მათ მთის შავმიწებს უწოდებენ. აქ მოყავთ მარცელეული კულტურები, საკეები კულტურები, კარგოფილი და სხვ.


რუხი-ყავისფერი ნიადაგები აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი ველებისთვისაა (ქვემო ქართლი) დამახასიათებელი – თბილისის მიდამოები, სამგორის, გარიბანის, ნაგბურის ველები და სხვ. ისინი ხასიათდებიან მძლავრი ჰუმუსიანი ფენით და ძირითადად გამოყენებულია მარცელეული კულტურების, ეენახის, ხეხილისა და ბოსტნეულისათვის.

რუხი ნიადაგები აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ნახევრად უდაბნოს ზონაშია გავრცელებული – ელდარის ველზე და ნაწილობრივ ივრის ზეგნის სამხრეთ ნაწილში. ისინი პრაქტიკულად გამოუსადეგარია.

დამლაშებული ნიადაგები წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრადუდაბნოსა და მშრალი ველების ნიადაგებს შორის. დამლაშებული ნიადაგი ორი სახისაა: მლაშობი (ქლორიდული, სულფატური, ქლორიდულ-სულფატური, კარბონატული), და ბიკობი – ნატრიუმის მარილების შემცველი სახეყელილი მლაშობები. მიწათმოქმედებაში მათი გამოყენება მხოლოდ რთული მეღორაციული ღონისძიებების შედეგადაა შესაძლებელი.

ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკული გყე-სტეპის ზონაში, მუხნარ-რცხილნარის ქვეშ. იგი გარდამაყალია ეელის ნიადაგებსა და ყომრალებს შორის. მათ დიდი ადგილი უკაყიათ სამხრეთ საქართველოშიც – ახალციხის ქვაბულში, ასევე თბილისის შემოგარენში. ყავისფერი ნიადაგების ნაყოფიერება თითქმის შავმიწებისას უახლოვდება. საუკეთესო ხარისხის პროდუქციასა და მაღალ მოსაყალს იძლევა მათზე გაშენებული ეენახი. კახეთში, ქართლში, ახალციხის

სამხრეთველოს ნიარაგები



- წითელმუწეები
- ყვითელმუწეები
- სუბტროპიკული ენკი
- ყვავისფერი
- რუხი კაქისფერი
- რუხი
- შავი
- ყვითელი
- ნემოქსალ-კარბონატი
- მთა-გედვალის
- შირს შავი
- დაბალი
- ჭიბჭი
- მკინი

ქვაბულში, გარდა ვენახისა, მათზე გაშენებულია ხეხილის ბაღები და მარცელოვანი კულტურები.

ყომრალი ნიადაგები წამოღვენილია მთის გყის (ფიჟენარის, სოჟნარის, ნაძენარის, წიფლნარის, რცხილნარის, წაბლნარის, მუხნარის) ფორმაციის ქვეშ მთა-მდელოს ნიადაგების საზღვრამდე. გყის ყომრალეები ხასიათდებიან მეგ-ნაკლებად მაღალი ჰუმუსიანობით, ამიგომ ხელსაყრელ რელიეფურ პირობებში მათზე გაშენებულია ვენახი, ხილი და სხე.

ნემომჰალა-კარბონატული ნიადაგები საქართველოში მთის გყის იმ მონაკვეთებში გვხვდება, სადაც ფრავმენგულად კარბონატული (კირქვა-მერგელები) ქანებია წარმოდგენილი. კერძოდ: დასაელეთ საქართველოში – აფხაზეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმსა და ჰემო იმერეთში; ნაკლებად აღმოსაელეთ საქართველოში – კახეთში, ქართლში, მთიულეთში. ისინი მაღალნაყოფიერებით გამოირჩევიან. ქეედა მთებში ამ ნიადაგებზე გაშენებულია ციგრუსები, დაფნა, თამბაქო, ხეხილი, ვენახი და სხე.

მთა-მდელოს ნიადაგები ერეელ გერიგორიაზეა წარმოდგენილი კაკეასიონის მაღალმთიანეთში ზ.დ. საშუალოდ 2000-დან 3000-3200 მ სიმაღლედე. შედარებით მყირე ფართობებზე – მესხეთის, შაეშეთისა და არსიანის ქედებზე ზ.დ. 2700-2800 მ სიმაღლედე. ცნობილია კორდიანი და გორფიანი სახესხეაობები, რომლებშიც მაღალია ორგანული ნიეთიერების შემეეელობა. ზოგან, ხელსაყრელ პირობებში, მათზე მოჰყაეთ კარგოფილი.

მცენარეული საშარი

ბუნებრივი პირობების მრათაღფეროენებამ, წარსულ გეოლოგიურ ეპოქებში კლიმატის ჰერიოდულმა ეელამ და განსხეეებული ფლორისგული არეალების მიჯნაზე მღებარეობამ განაპირობა საქართველოს მცენარეული საფარის სიმღიდრე და ნაირგვარობა. საქართველოში მცენარეთა სახეობების საერიო რაოდენობა 4500-ს აღემატება, მათ შორის 300-ზე მეტი ხეები და ბუჩქნარებია.

საქართველოს მცენარეული საფარი მღიდარია უძველესი გეოლოგიური ეპოქების გადმონაშთი ანუ რელიქტური სახეობებით. კაკეასიის გერიგორიაზე შემორჩენილი მესამეული ფლორის ორი ადგილსამყოფელიდან ერთი საქართველოს გერიგორიაზეა. წარსულში ეს ფლორა საემაოდ დიდ ფართობზე იყო გაერეელებული და ერთიან არეალს ქმნიდა. ამჰამად იგი მხოლოე კოლხეთში და საქართველოს ფარგლებს გარეთ – პირკანის ოლქში (აზერბაიჯანი) შემორჩა. კოლხეთში უძველესი მცენარეული სახეობებიდან შემორჩენილია შქერი (Rhododendron ponticum), წაბლი (Castanea Sativa), ბიჟინთის ფიჟეი (Pinus pithyusa), წყაეი (Laurocerasus officinalis), პონგოური მუხა (Quercus pontica), წყაემაზა (Phillyrea medwedewii), მეგრული არეი (Betula Megrelica), ბზა (Buxus colchica), ჰელქვა (Zelcova carnifolia),

ურთხელი (*Taxus baccata*), ძმერხლი (*Ruscus hypophyllum*), ჩინური კარგოფილი (*Dioscorea batatas*), ქართული თხილი (*Corylus iberica*) და სხვ. ისინი სითბოსმოყვარული მცენარეებია და შემორჩენენ უმთავრესად იქ, სადაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საკმარისად თბილი კლიმატი იყო გაბატონებული. ასეთია უმთავრესად კოლხეთის გორაკ-ბორცვიანი ზოლის ღრმა ხეობები. კოლხეთის გარდა მესამეული ფლორის ელემენტები ფრანგმენტების სახით საქართველოს სხვა რეგიონებში – კახეთსა და ქართლშიც გვხვდება. ამავე დროს კახეთის კავკასიონი არის ერთადერთი რეგიონი მთელ კავკასიაში, სადაც ერთდროულად გვხვდება კოლხური და პირკანული ფლორის ელემენტები.

საქართველოს გერიგორიაზე შემორჩენილია რელიქტების არა მარტო ცალკეული სახეობები, არამედ ეკოსისტემებიც. ისინი დაუკლია ბაწარის, ლავოდებისა და თუშეთის ნაკრძალებში, მდინარეების: კოდორისა და კინგრიშის ხეობებში. ბაწარის ნაკრძალში შემორჩენილი უძველესი რელიქტის – უთხურის გყე ერთადერთი კორომია მსოფლიოში. არადა, გასულ გეოლოგიურ ეპოქებში მას სექციოისტან ერთად უზარმაზარი სივრცე ეკავა.

საქართველოში მრავლად გვხვდება ენდემური – მხოლოდ გარკვეული არეალისათვის დამახასიათებელი მცენარეულობის 300-მდე სახეობა. ესენია: მუხის შეიდი სახეობა, წყლის კაკალი (*Trapa colchica*), მარმუჭი (*Alchimilla*), აფხაზური იორდასალამი (*Paeonia abchasica*), ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus pithyusa*), ელდარის ფიჭვი (*Pinus eldarica*), კოლხური კუნელი (*Crataegus colchica*), სოსნოესკის ნეკერჩხალი (*Acer sosnowsky*), ქონდარა ღვია (*Juniperus pygmaea*), ბერყენა (*Pyrus sachokiana*), გირიფი (*Salix Kazbekensis*), მეგრული არყი (*Betula megrelica*), ქართული ნუში (*Amygdalus georgica*), ქართული თელა (*Ulmus georgica*), მზიურა (*Inula magnifica*), გეგის წყალბერყენა (*Aquilegia gegica*), კოლხური წყალბერყენა (*A. colchica*), ქედუნა (*Draba migrellica*, *D. Ossetica*, *D. imeretika*, *D. meckhetika*) და სხვ. ზემოთ ჩამოთვლილ მცენარეთა სახეობები არის არა მარტო საქართველოს ან კავკასიის, არამედ ძლიერ ლოკალური არეალების ენდემებიც. საქართველოს მცენარეულობის დაახლოებით 8% ენდემურია, რაც ბევრად აღემატება ევროპისა და ამიის არაერთი დიდი ფართობის მქონე ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. ენდემიზმის მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში 56-ე ადგილზეა.

ბოლო პერიოდში საქართველოს მცენარეულ საფარში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა უცხო ქვეყნებიდან შემოტანილმა (*ადვენტურმა*, *ინტროდუცირებულმა*) სახეობებმა. ამ მცენარეთა სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა შავი მღვის სანაპირო ზოლი, მთისწინეთი, დაბალი მიწები, ხოლო მაღალ მთაში – ალპური საძოვრები. ყველაზე ნაკლებად ისინი გავრცელებულია საშუალო მთის გყის არეალში, რაც განაპირობა რთულმა ოროგრაფიულმა პირობებმა. შემოტანილი მცენარეების ნაწილი, მაგალითად, მეთისხილი, ლელეი, ჭიაფურა, ეკლის ხე და სხვა უკვე გავრცელებულია.



კოლხური ტყე

შემოგანილი მცენარეები მუდამ დადებით გავლენას როდი ახდენდა ბუნებაზე. ხშირად ღირებულ კულტურებთან ერთად შემოდიოდა „თანმხლები“ სარეველებიც. ასე გავრცელდა ლაკარგია, ცხენისკუდა, ლემა, ამბროზია, ცეცხლეკალა და სხვ.

ზოგიერთი შემოგანილი მცენარე გაცილებით უკეთ შეეგუა ახალ გარემოს და ადგილობრივ ელითიკატორებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ასეთია მაგალითად, ლეგააკაცია, რომელიც თავდაპირველად შემოიგანეს სოხუმის რაიონში და რამდენიმე წელიწადში ფართოდ გავრცელდა სხვა გერიტორიებზე.

წარმოშობის (გენეზისის) მიხედვით საქართველოს გერიტორიაზე გვხვდება მცენარეულობის კოლხური, ხმელთაშუაზღვიურ-თურდაული, ბორეალური და სხვა ტიპები.

კოლხეთის ტიპის ტყის გაცხსნას ახასიათებს პოლიდომინანტურობა. აქ გვხვდება რამდენიმე ძირითადი დომინანტი: მუხა, წიფელი, რცხილა, წაბლი და მურყანი. ხშირია სხვა ჯიშებიც: თულა, იფანი, ნეკერჩხალი, ცაცხვი და სხვ. ტყის შედგენილობა განსაკუთრებით მრავალფეროვანია იქ, სადაც შეიმჩნევა ადამიანის ზეგავლენა. კოლხური ტყის სხვა დამახასიათებელი თავისებურებებია მარადმწვანე ქვეტყისა (შქერი, ბაძგი, ჭყორი) და ლიანების (ღვედეცი, სურო, კატაბარდა) არსებობა.

ხმელთაშუაზღვიურ-თურდაული ფლორის წარმომადგენლები საქართველოს გერიტორიაზე მესამეულ პერიოდში შემოიჭრა ჩრდილო კავკასიიდან. ესენია ცალკეული სახეობის მუხა, ნეკერჩხალი, ძელქვა, კაკალი, ხურმა და სხვ.


მეოთხეული გამყინვარების შედეგად საქართველოს მცენარეული საფარი გამდიდრდა ბორეალური (სიცივისმოყვარული) ფოთოლმცვივანებით, რომლებიც ყველაზე ფართოდ გავრცელდნენ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, კავკასიონის მაღალმთიანეთში, ტბებისა და ჭაობების მიდამოებში.

მცენართა სახეობების რაოდენობით გამოირჩევა აფხაზეთი და აჭარა (1900-2000), მცირე რაოდენობით – ქვემო ქართლის არიდული უბნები (200 ერთეული).

მცენარეული საფარის ძირითადი ტიპები. **ტყე** საქართველოში ბარშიც და მთაშიც, ზღვის დონიდან 1900-2000 მ სიმაღლემდე გვხვდება. მას ქვეყნის საერთო ფართობის 37% უკავია. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ფართოფოთლოვანი ტყე, წიწვნარი კი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, გვხვდება მხოლოდ მთაში.

საქართველოს ბარის ტყეები. კოლხეთის დაბლობზე წარმოდგენილია კოლხური ტყე. მისთვის დამახასიათებელია ლიანები: ეკალიჭი, სურო, კატაბარდა, სეია, ღვედეცი, ძაღლის სატყური. მარადმწვანე ბუჩქნარებიდან გვხვდება შქმერი, ბაძგი, წყაუი, ხოლო ფოთოლმცვივანებიდან – იელი, მოცი, კუნელი, ხეჭრელი, შინდანწლა, ჯონჯოლი, ზღმარგლი, უცეთელა და

მემანერეული სავანი



- 1 [Symbol] მუქი წყის და წიწკნის რეზერვუარი
- 2 [Symbol] სპეციალური რეზერვუარი
- 3 [Symbol] შიდა რეზერვუარი
- 4 [Symbol] დამატებითი რეზერვუარი
- 5 [Symbol] კოლხეთის პარკის რეზერვუარი
- 6 [Symbol] წიწკნის რეზერვუარი

- 7 [Symbol] წიწკნის რეზერვუარი
- 8 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 9 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 10 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 11 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი

- 12 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 13 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 14 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 15 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 16 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი

- 17 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 18 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 19 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 20 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 21 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი

- 17 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 18 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 19 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 20 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი
- 21 [Symbol] მუქი წყის რეზერვუარი

სხვ აღნიშნული ტყეები ძირითადად განადგურებულია და მათი ადგილი ე.წ. მეორეულ (მურყანის, რცხილის) ტყეებს უკავიათ.


კოლხეთის დაბლობზე წარმოდგენილია ჭაობის ტყეც, რომელშიც მურყანი და ლაფანი დომინირებს.

ტუგაის ანუ ჭალის ტყეში, რომელიც ეიწრო ზოლის სახით ვრცელდება აღმოსაღლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი მდინარეების ხეობათა გასწვრივ, გვხვდება მურყანი, გირიფი, ძეწნა, თეთრი ვერხვი, მუხა, თელა, თუთა და სხვ. ჭალის ტყე უმეტესწილად განადგურებულია და მათი ადგილი მეორეულ ბალახეულ-ბუჩქნარ მცენარეულობას ან სასოფლო-სამეურნეო საეარგულებს უკავია.

ბიჭვინთის კონცხის მიდამოებში ვხვდებით მესამეული რელიქტის – ბიჭვინთის ფიჭვის ტყის კორომი. წინანსტორიულ ეპოქაში იგი უფროდ იყო გაერცელებული, ამჟამად კი მხოლოდ კორომის სახითა შემორჩენილი. სამწუხაროა, რომ ფიჭვის გაერცელების არეალი თანდათან მცირდება, რასაც ხელი შეუწყო სანაპირო ზოლის წარცხვამ და ხანძრებმა.

საქართველოში ცნობილია ფიჭვის სხვა სახეობაც – ელდარის ფიჭვი, რომლის კორომი მდებარეობს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, იერის ზეგანზე (კორომის უდიდესი ნაწილი რესპუბლიკის ფარგლების გარეთაა).

ქვედა მთები შემოსილია ფოთლოვანი (პოლიდომინანტური) ტყით, სადაც ძირითადი ტყემუმქმნელი ჯიშები მუხა და რცხილაა, ზოგან – ჯაგრცხილა, წაბლი, ცაცხვი, მურყანი და სხვ. ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებულია და მისი ადგილი დასახლებულ პუნქტებსა და სასოფლო-სამეურნეო საეარგულებს უკავია. საშუალო მთებში გაბატონებულია წიფლნარები, თუმცა აქ რცხილა, წაბლი, თელა და ნეკერჩხალიც გვხვდება, ზოგან კი (დასაღლეთ საქართველოში) – მუქწიწვიანებიც. საშუალო მთებში ცალკეულ უბნებზე ფოთოლმცეივანი მცენარეული სახეობები კორომებს




ბიჭვინთის რელიქტური ტყის კორომი

ქმნის. ასეთია მაგალითად, უახოვრის ტყე – მდ. ალაზნის ზემო წელის აუზში, ბაწარის ნაკრძალის მიდამოებში; ძელქვის ტყე – სოფ. ბაბანურთან (ახმეტის რაიონი), ბზის ტყე (ყვარელთან), წყაყის ტყე – მდ. დიღმის ხეობაში (ალაზნის აუზი) და სხვ.

აბსოლუტური სიმაღლის მაგებასიან ერთად დასაყვლეთ საქართველოს წიფლნარებს თანდათან მუქწიწიანი ტყე ენაცელება, სადაც გაბატონებულია ნაძვი და სოჭი. ამგვარი ტყეები ურავმენტების სახით აღმოსაყვლეთ საქართველოში მდ. არაგვის და მდ. დიღმისწყლის (მტკერის მარჯვენა შენაკადი) ზემო წელის აუზებამდე აღწევს.

მარადმწვანე ბუჩქნარები – შქერი, ბაძვი, წყაყი – კოლხური ტყის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს და გავრცელებულია კოლხეთის გორაკ-ბორცვიანი ზოლის ღრმა ხეობებში. აქ ქვეტყის ფუნქციას ზოგჯერ ბზა და უახოვარი ასრულებს. მარადმწვანე ბუჩქნარები დამახასიათებელია სუბალპებისაივისაყ (მ.დ. 1800-2000 მ სიმაღლის ზემოთ). აქ გვხვდება ღეკა, კეწერი, ღვია.



ქეღა მთის ტყის მორადი მკენარეულობა



შერეული ტყის ფრაგმენტი

ფოთოლმცეივანი ბუჩქნარები გიპურია აღმოსაყლეთ საქართელოს ბარის არიდული არეალეხისათეის. ზოგან იგი მთის ქეელა სარტყელში, განეხილი ტყის ადგილზეუ გეხედება. ფოთოლმცეივანი ბუჩქნარები წარმოდგენილია შიბლიაკის ან მექენარეხის სახით.

საქართელოში, კერძოდ აფხაზეთის შაეიზღვისპირეთში, კოვალუკის მალლობზე გავრცელებულია ხმელთაშუამღვიური მექენარეულობა – მაკეისის ტიპის ბუჩქნარები. ეს სიმშრალის ამტანი ტანდაბალი ხეები და ბუჩქები, რომლებსაც ხეშეში ან რელუკირებული ფოთლები (ზოგჯერ ეკლები) აქვს. მათგან აღსანიშნავია: მარწყეის ხე, მანანა, რომშპარინი, თუთუბო, საკმლის ხე და სხე.

საქართელოში სულ ცნობილია მერქნიან მექენარეთა 400-მღე სახეობა, მათ შორის ნახეუარზე მეტი ბუჩქებია. ერთი მესამელი კი ხეები.

ბალახოვანი მექენარეულობა მრავალგეარია: სტეპის (ველის), ჭაობის, ნახეერად უღაბნოს, მღელოს და მთის.

საქართელოს გერიგორიაზე უღაბნო არ გეხედება, თუმეცა აღმოსაყლეთ საქართელოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსაყლეთ ნაწილში წარმოდგენილია ნახეერად უღაბნოს მექენარეულობა. აქ გეხედება ხურხუმო, ჩარანი, აბზინდა და სხე.

სტეპის მცენარეულობაში ჭარბობს გვალვა და ყინვაგამძლე მრავალწლიანი ბალახები. გაბატონებულია ურო, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ სახეობას ნახევრად უდაბნოსა და სტეპის მცენარეულობას შორის. უროს გარდა სტეპისათვის დამახასიათებელია ეაციწვერა, წივანა და ეფემერები.

მდელოს მცენარეულობა გვხვდება მაღალ მთაში, ზღ. 1800-3500 მ სიმაღლეზე, თუმცა ხშირად გყის განაკაფებზე იგი უფრო დაბლაც ჩამოდის და ქმნის მეორეულ მდელოს. მაღალ მთაში მდელო ორგეარია: სუბალპური და ალპური. სუბალპებში იგი მაღალბალახოვანია და ქმნის ე.წ. შამბნარს, სადაც ბალახი ხშირია და ზოგან მისი სიმაღლე 3-5-მ-საც კი აღწევს. სიმაღლის გამო მას „მამონტის ფლორასაც“ უწოდებენ. აქ გვხვდება დიყი, ლამქარა, ბაიასნაირნი და სხვ. სუბალპური მდელოს მნიშვნელოვანი ნაწილი სახეშეცვლილია. მან თითქმის დაკარგა პირენაიდელი ბუნებრივი იერსახე. ამიგომაა, რომ სუბალპებში იმეითად გვხვდება მაღალბალახეულობა.

საქართველოში ალპურ მდელოს გაცილებით მეტი ფართობი უკავია და წარმოდგენილია დაბალბალახეულობით (20-30 სმ-მდე). ალპური მდელო ორგეარია – ნამდეილი მდელო და ე.წ. ხალიჩა. ნამდეილ მდელოს ქმნის მარცვლოვნები და ისლიანები, ხოლო ხალიჩას – ნაირბალახოვნები (მარცვლოვნების, ისლიანებისა და პარკოსნების გარდა). ალპური ხალიჩისათვის დამახასიათებელია მკვეთრი ფერების ყვავილოვანი ბალახეულობა: წითელი გვირილა, მაჩიტა, ნალეულა და სხვ., ხოლო ნამდეილი მდელოსათვის – ეაციწვერა, წივანა და სხვ.

ჭაობის მცენარეულობა ფართოდაა გაერცელებული კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში. აქ გვხვდება ლერწამი, ლელქამი, ლაქამი, თენასკეა, ისლები და ხაესები. ამგვარი მცენარეულობა წარმოდგენილია აგრეთვე სამხრეთ საქართველოს ტბების მიდამოებში, წყალსაცავების სანაპიროებზე და ვაჩეხილი გყის ადგილას.

სამხრეთ საქართველოს მთიანეთში გაბატონებულია მთის ქსეროფიტები. ისინი წარმოდგენილია მრავალწლოვანი ბალახეულითა და ბუჩქნარით, (ე.წ. ფრიგანით). ბუჩქებიდან ტიპურია გლერძა, სალბი, რძიანა, კურდღლის-ყოცხა და მღარბა.

მცენარეთა თავისებურ ტიპს ქმნის სუბნიალური მცენარეულობა – კლდეებისა და ქეაყრილების ბალახოვნები, რომლებიც ყველაზე მეტად დამახასიათებელია მაღალი მთის კლდოვანი უბნებისათვის. საქართველოში ისინი ერთიან არეალს არ ქმნიან და გაერცელებული არიან ცალკეული ფრაგმენტების სახით.

საქართველოს მეორეული მცენარეული საფარი. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგები ბუნების კომპონენტებს შორის ყველაზე მკაფიოდ მცენარეულ საფარს დაეცყო. კერძოდ, ბევრად გაუარესდა ტყეების შედგენილობა, ხარისხი და პროდუქტიულობა. ეს კი იწვევს გყის ფუნქციის (წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, რეკრეაციული) შემცირებას ან

საერთოდ დაკარგვას. უარესდება მიმდებარე ტერიტორიების სანიტარულ-ჰიგიენური პირობებიც.

სამეურნეო საქმიანობა არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც შეეცალა საქართველოს მცენარეული საფარი. მრავალ ადგილას გაიჩეხა ტყე და მისი ადგილი დაიკავა მეორეულმა ბუჩქნარებმა, ბალახოვნებმა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა (ხეხილის ბაღებმა, ვენახებმა, ბაღჩეულ-ბოსტნეულმა კულტურებმა, სუბტროპიკულმა პლანტაციებმა). ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია შავი ზღვის სანაპირო ზოლისათვის, ეაკე-დაბლობებისა და მთისწინეთისათვის. ექსპლუატაციის შედეგად განადგურდა მუხის, ბზის, წაბლის, ფიჭვის არაერთი კორომი. ხე-მცენარეების მოციერთი სახეობა შემორჩა მხოლოდ ძნელად მისადგომ ადგილებში, მთის ფერდობებზე, სანაკრძალო უბნებზე და სხვ. განაკაფ ტერიტორიებზე კი გაერყელდა ამ რეგიონისათვის ნაკლებად დამახასიათებელი მცენარეები. ტყის ადგილს უმეტესწილად ქსეროფიტული ბუჩქნარი ან მდელო იკაუებს (ისეთები, როგორცაა ძებეი, კოწახური, ჩიგაყამლა, ჯაგრცხილა, რცხილა და სხვ.) ასეთი მცენარეების გაერყელება „უჩვეულო იერს“ აძლევს ლანდშაფტს.

განაკაფ ადგილებში ბუნებრივად აღდგენილი მცენარეულობა სახეობრივად განსხვავებულია პირენდელისაგან. კერძოდ, წიფლნარის განაკაფზე ჩვეულებრივ ვითარდება შედარებით ნაკლებად ღირებული რცხილისა და




მაღალი მთის სუბალპური და ალპური მდელოები

სხვა ფოთლოვნების შერეული ფორმაციები, უარეს შემთხვევაში კი მის ადგილს ბუნქოვან-ბალახოვანი მცენარეები იკავენ. ამგვარი პროცესები ეითარდება ჭარბტენიან უბნებზე ან ინტენსიური ძოვების პირობებშიც. ასლად „დასახლებული“ მცენარე ნაკლებმოითხოვია ნიადაგური პირობების მიმართ, ამიგომ ფართოდ ვრცელდება. მაგალითად, ბალახოვანი სარეველები, რომლებიც ავიწროებს სხვა ბალახოვნებს, ქმნის მძლავრ კორდსა და მონოლომინანტურ საფარს. ეს სარეველები თავდაპირველად ვრცელდება ნასვენ მიწებზე, დანაგვიანებულ ადგილებში, შემდეგ კი – სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზეც.

მცენარეულ საფარზე ადამიანის უარყოფითი გემოქმედება მხოლოდ ფლორის შედგენილობის ცვლილებით არ გამოიხატება. ზოგან ნიადაგ-მცენარეული საფარი მთლიანად განადგურებულია და მათ ნაცელად ე.წ. ბელენდებია („ცული მიშები“) ფორმირებული. ასეთ უბნებს საქართველოში მრავლად ვხვდებით.

ანთროპოგენური გემოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ყოველთვის როდი მიმდინარეობს მცენარეულობის აღდგენა. ეს სხვადასხვა გარემოებით არის განპირობებული. ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია რა მასშტაბისაა ანთროპოგენური გემოქმედება და მეორე – რამდენად მდგრადია მოცემული ცენოზი. ნოტიო ჰაეის პირობებში უმეტესწილად იცვლება მცენარეული საფარის სახეობრივი შედგენილობა, ხოლო მშრალი ჰაეის შემთხვევაში მთლიანად იცვლება მცენარეულობის ტიპი.



საქართველოს სამხედრო გზა. სუბნიკალური მცენარეულობა

საქართველოს ცხოველთა სამყარო

საქართველოს ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია. აქ ბინადრობს ძეძუმწოვრების 100-მდე, ფრინველთა 322, ქვეწარმავალთა 51, ამფიბიების 11 და თევზების 90-მდე სახეობა. ხერხემლიანთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 650-მდეა, უხერხემლოთა ფაუნა კი ათასობით სახეობას ითვლის.

საქართველოში გვხვდება, როგორც ნოტიო სუბტროპიკებისა და ნახევრად უდაბნოებისათვის, ისე მაღალი მთისათვის დამახასიათებელი ცხოველები. აქ მრავლადაა ენდემური სახეობები. მაგალითად, დასავლეთკავკასიური და დაღესტნური (აღმოსავლეთკავკასიური) ჯიხვი, კავკასიური და კასპიური შურთხი (მთის ინდური), კავკასიური როჭო, პრომეთეს მემინდურია, პონგოური მღარბი, კავკასიური თხუნელა, კოლხური თხუნელა, კოლხური ხოხობი, კავკასიური სალამანდრა, სხეადასხეა მწერი და მოლუსკი. ზოგიერთი მათგანი ენდემია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ კავკასიისათვისაც.

კოლხეთში შემორჩენილია ფაუნის უძველესი ელემენტები – რელიქტები. ესენია: შავი ვირთაგვა, უფრთო (ანუ მაენე) კუგკალია, ზოგიერთი სახეობის მორიელი, მოლუსკი. ისინი ძირითადად ან მტაცებლები არიან ან შეუძლიათ მოიხმარონ ნებისმიერი მცენარეული საკვები. ამ თვისებების გამო მათ შეძლეს კლიმატის ცვლილებებთან შეგუება.



მაღალი მთის ტყის და სუბალპური მდელოს სახეცელილი ლანდშაფტი

მრავლადაა სხვა მოოგეოგრაფიული ოლქებიდან შემოსული ცხოველები. კერძოდ, აციეებისას ჩრდილოეთიდან შემოვიდა ცივი ჰაეის ოლქებისათვის დამახასიათებელი, ხოლო დათბობისას – თურანის, ცენტრალური აზიის, სამხრეთ რუსეთის სტეპებისა და უდაბნოებისათვის დამახასიათებელი ცხოველები (მაგალითად, მიწის კურდელი, შურთხი, კაკაბი, სხედასხეა ქვეწარმავალი, ქურციკი და სხე). ქურციკი უახლოეს წარსულში საკმაოდ იყო გავრცელებული ქვემო ქართლის ეაკესა და იერის ბეგანბე. ამჟამად კი იგი განადგურებულია. საქართველოს მაღალმთიან ტერიტორიას თავი შეაფარა ეეროპისა და აზიის მთის ფაუნის არაერთმა წარმომადგენელმა.

დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ კაეკასიონის სამხრეთ ფერდობზე გეხელება ფაუნის ხმელთაშუაზღვიური წარმომადგენლები (მაგალითად, ეეროპული შეელი), ხოლო მცირე კაეკასიონზე ბინადრობენ მცირე აზიისა და ირან-ავღანეთისათვის დამახასიათებელი სახეობები (აფთარი, მცირე აზიის ზამუნა და სხე).

XX საუკუნის 30-იან წლებში არგენტინიდან კოლხეთში შემოიყვანეს ძეირფასბეწვიანი მღრღნელი – ნუგრია (წყლის დიდი ეირთხა). დღეს იგი კოლხეთის დაბლობის მრავალ წყალსატევეშია და დიდი სარეწაო მნიშვნელობა აქვს. ძეირფასბეწვიანი მღრღნელებიდან ყვარლის რაიონში შემოიყვანეს ამერიკული წაულა, თუმცა იგი მაღევე მოისპო. 50-იან წლებში ბორჯომის რაიონში აკლიმატიზებულ იქნა ციმბირული ციყვი, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სატყეო მეურნეობას. ჩრდილოეთი კაეკასიიდან შემოიყვანეს და ფართოდ გავრცელდა ალგაის ციყვი, მორეული აღმოსავლეთიდან ხალებიანი ირემი, უსურიის გაიგიდან კი – ენოგისებრი ძაღლი. ამჟამად ეს, უკანასკნელი ბინადრობს თელაეის, ახმეგისა და თიანეთის რაიონებში. აკლიმატიზაციის შემდეგ იგი მტაკებელი გახდა.

დასავლეთ საქართველოში შემოიყვანეს ორი სახის ჰიამაია (აფელი-ნუსი, კრიპტოლემუსი) და როდოღია, რომლებიც ციტრუსოვანი კულტურის მანებლებს ანადგურებდნენ. XX საუკუნის 30-იან წლებში მაღარიის გამა-ერცელებელი კოლოს გასანადგურებლად იგალიიდან კოლხეთში შემოიყვანეს თეგბი გამბეზია, რომელიც ფართოდ გავრცელდა რესპუბლიკის თითქმის ყველა წყალსატევეში. დასავლეთ საქართველოს მოგიერთ წყალსატევეში მოამენეს ცისარტყელა კალმახი, სქელმუხლა, თეთრი ამური, ბამალეთისა და ჯანდარის გბებში – სარკისებრი კობრი, ხოლო გაბაწყურის გბაში – სიგი.

ფაუნის ეერტიკალური ზონალობა. საქართველოს ტერიტორიაზე მკაფიოდაა გამოკვეთილი ფაუნის გავრცელების ეერტიკალური ზონალობა, თუმცა ცხოველების მოკეერთი სახეობა შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ზონაში ბინადრობდეს.

მაღალი მთის სუბალპურ და ალპურ ზონაში გეხელება ცხოველთა ისეთი სახეობები, რომლებიც შეგუებულია უხეთოელიანობასა და ცივ კლიმატურ პირობებს. ესენია: არჩვი (ფსიტი), კაეკასიური ბიგა, ვრძელკუდა კბილთუთრა. აქ მრავლადაა მღრღნელები (კერძოდ, პრომეიუს მემინდერია, რო-

მელიც ალპური ბალახის ფესვებით იკვებება). კავკასიონის მაღალმთიანეთში გვხვდება აგრეთვე ჯიხვი, ნიაშორი, გუდაურული მემინდვრია და სხვ. ნიაშორი დღეს გადაშენების გზაზეა და შემორჩენილია მხოლოდ თუმეთ-ხეუსურეთის კავკასიონზე. ჟრინველებიდან აღსანიშნავია მურთხი, კაკაბი, მთის არწივი, ორბი, ბატკანძერი, ჭკა, მთის გოროლა და სხვ. ლეკიანებში ბინადრობს როჭო. ცივისსხლიანები აქ ნაკლებად გვხვდება. ქვეწარმავლებიდან ხშირია კავკასიური კლდის ხელიკი, ანკარა, კავკასიური გველგესლა, ამფიბიებიდან – ამიერკავკასიური ბაყაყი, კავკასიური ჯერიანა და სხვ.

მთის გყეებს საქართველოში საკმაოდ დიდი ფართობი უკავია და მაღალმთიანეთთან შედარებით უფრო ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო ხასიათდება ფაუნის ნაირგვარობით. საქართველოში გყის ბინადართა შორის არ არსებობს მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავება. ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია გარეული ღორი, კავკასიური ირემი, შველი, მგელი, ტურა, ამიერკავკასიური მთის მელა, კავკასიური მურა დათვი, გყის კატა, ფოცხვერი, ამიერკავკასიური მამვი, კავკასიური თეთრყელა კეერნა, დედოფალა, კურდღელი, კავკასიური ციყვი, ყვითელყელა გყის თაგვი, ღნავი და სხვ. გყეში მრავალი სახეობის ფრინველი ბინადრობს. ფარსოდაა გაერსელებული კავკასიური როჭო, გერიგი, ქედანი, კავკასიური ქორი, შევარდენი, კავკასიური მიმინო, ევროპული ძერა, სეავი, გყის ბუ, გუგული, სხვადასხვა სახეობის კოდალა, რუხი ყვაევი, ჭილყვაევი, ჩხიკვი, კაჭკაჭი, შოშია, მოლალური, ჩიგბატონა, ნიბლია, გოროლა, მთის მწყერჩიგა, სხვადასხვა სახეობის შაშვი, ბულბული, ჭინჭრაქა და სხვ.

მთის გყეებში საკმაოდ რაოდენობითაა ქვეწარმავლებიც. მათ შორის აღსანიშნავია კავკასიური ჯოჯო, გველბოკერა, გველბრუსა, ანკარა, სხვადასხვა სახეობის ხელიკი. ამფიბიებიდან ცნობილია კავკასიური სალამანდრა. მცირეაზიური ტრიტონი, კავკასიური ჯერიანა, სხვადასხვა სახეობის ბაყაყი და გომბემო. მრავალრიცხოვანია უხერხემლოთა ფაუნაც (მწერები, თობობასნაირები, მოლუსკები და სხვ.).

საქართველოს ბარის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში ფაუნა საკმაოდ განსხვავებულია. თუმცა გვხვდება ერთი და იგივე სახეობის ცხოველებიც. ესენია: ევროპული მღარბი, კურდღელი, დედოფალა, თხუნელა, ციყვი, მემინდვრია, ამიერკავკასიური მამვი, წაევი, გარეული ღორი, შველი; ფრინველებიდან – მწყერი, გერიგი, ქედანი, ქორი, მიმინო, მოლალური, შოშია, რუხი ყვაევი, მწყერჩიგა, გოროლა, შაშვი, ბულბული, კოდალა, გუგული და ა.შ.

ფაუნის შემადგენლობის მიხედვით, ძირითადი რეგიონული განსხვავება საქართველოს ბარზე მოდის. კერძოდ, კოლხეთში უფრო მეტად გვხვდება გყისათვის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში – სტეპისა და ნახევრად უდაბნოსათვის დამახასიათებელი ცხოველები. მოგიერთი სახეობის რაოდენობა ძლიერ შემცირდა, მოგიერთი სახეობა კი საერთოდ მოისპო. ეს განსაკუთრებით ითქმის კოლხეთზე, სადაც აღარ გვხვდება დიდი ძუძუმწოვრები (მგელი, ტურა, ფოცხვერი და სხვ.).

დასაუღეთ საქართველოს ბარში ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია ევროპული თხუნელა, ღამურა, კაეკასიური ციყვი, ძიღვუდა, ღნაფი, გყის თაგვი, პონგოური წითელი მემინდერია, თეთრყელა კვერნა, გყის კაგა, ხოლო ფრინველებიდან – კოლხური ხოხობი, ევროპული ქედანი, მელოგა, წყლის ქათამი, ქათამურა, გყის ქათამი, სხედასხვა სახეობის თოლია, შევარდენი, ოფოფი, სხედასხვა სახეობის ბუ, ჩხიკეი, ჰინჰრაქა, სოფლის მერცხალი და სხვ. ჭაობებსა და წყალსატევებთან ბევრია ყანჩა, ყარყაგი, გარეული ბაგი, გარეული იხვი, წყლის ქათამი და სხვ. ქვეწარმავლებიდან აღსანიშნავია ბოხმეჭა, გველბრუსა, სხედასხვა სახეობის ხელიკი, მცურავი, კაეკასიური გველგესლა, ანკარა და სხვ. წყალსატევებთან ცხოვრობს სხედასხვა სახეობის კუ. ამფიბიებიდან: გრიგონი, გყის ბაყაყი, ეასაკა, სხედასხვა სახეობის გომბემუ და სხვ. ბევრია უხერხემლოები.

აღმოსაუღეთ საქართველოს ბარის ფაუნა საკმაოდ მდიდარია. ძუძუმწოვრებიდან ფართოდაა გავრცელებული ევროპული მღარბი, კაეკასიური თხუნელა, ვრძელკუდა, კაეკასიური ბიგა, კბილთეთირა. თბილისის მიდამოებში გვხვდება ყველაზე პაგარა ძუძუმწოვარი ფულუ. თითქმის ყველგანაა გავრცელებული სხედასხვა სახეობის მემინდერია, ეელის თაგვი, ამიერკაეკასიური ომანა, რუხი ზაზუნა, მგელი, გურა, ამიერკაეკასიური ეელის მელა. გადამენების გზაზეა ზოლებიანი აფთარი და ამიერკაეკასიური ჯიქი. ფრინველთა სამყარო შედარებით ერთფეროვანია. აქ გვხვდება კაკაბი, ჩეულებრივი ზოხობი, გარეული მგრედი, ქედანი, გერიგი, ძერა, ყორანი, კაჭკაჭი, ჩიგბაგონა, ნიბლია, ბოლოქანქარა, მინდერის ბელურა, ჩხართვი, იშვიათად ვნოლი და სხედასხვა სახეობის არწივი. წყალსატევების მიდამოებში ბინადრობს ქათამურა, წითელი იხვი, გარეული იხვი, თეთრი ყარყაგი, თეთრი ყანჩა, ღამის ყანჩა, იშვიათად ხონთქრის ქათამი და სხვ.

ქვეწარმავლები განსაკუთრებით ბევრია სტეპებსა და ნახევრად უდაბნოებში. ესენია: კაეკასიური ჯოჯო, თითგიგველა გეკონი, სპარსული მრგვალთაფა, გველხოკერა, ბოხმეჭა, სხედასხვა სახეობის ხელიკი. გველეზიდან გვხვდება კატისთვალა გველი, სხედასხვა სახეობის ანკარა, შედარებით იშვიათად – ესკულაპის გველი და ეელის მახრჩობელა. შხამიანი გველეზიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გიურმა, გველბრუსა, ეელის გველგესლა, ცხვირჩქოსანი გველგესლა. წყალსატევებთან ახლოს ბინადრობენ ჭაობისა და წყლის კუ, ზოგან – ხმელთაშუა ზღვის კუ. აქ ამფიბიების შედარებით მცირე რაოდენობაა, გვხვდება სხედასხვა სახეობის ბაყაყი, გომბემუ, ეასაკა, თბილისის მიდამოებში – მცირეაზიური გრიგონი და სხვ. მრავლადაა უხერხემლოები: მწერები, ობობასნაირნი, ჭიები, მოლუსკები და სხვ.

მესხეთ-ჯავახეთის მეგანზე გვხვდება, როგორც მთის, ისე ნახევრად უდაბნოს ფაუნის ელემენტები. ძუძუმწოვრებიდან ამ გერიგორიისათვის დამახასიათებელია ევროპული მღარბი, ევროპული თხუნელა, კაეკასიური მცირე ბიგა, სხედასხვა სახეობის ღამურა, კაეკასიური ციყვი, ძიღვუდა, გყის თაგვი, ამიერკაეკასიური მარეი, კაეკასიური თეთრყელა კვერნა, სხედასხვა სახეობის მემინდერია, დელოფალა, ჰრელტყაფა, მგელი, გყის კაგა და

სხვ. ოდესღაც აქ ბინადრობდნენ არჩვი და ნიაშორი. ფრინველებიდან ბუღო-ბენ: კაკასიური როჭო, კაკაბი, მწყერი, გყის ქათამი, სხეადასხვა სახეობის თოლია, შევარდენი, ქორი, მიმინო, ძერა, გუგული, ოფოფი, ყორანი, რუხი ყუაეი, ჩხიკეი, შოშია, მოლაღური, ჭიეჭაეი, რქოსანი გოროლა, ღაეო, სხეადასხვა სახეობის შაშიე, მერცხალი. ზოგან გვხვდება სეაეი, კასიური შურთხი, ჭაობის ბუ. მხოლოდ აქ, ჯაეახეთის მეგამე გვხვდება ვადაშენების გმამე მღგარი ფრინველებიე – წითელთაეა ნარჩიგა და წითელფრთიანი კოჭობურა. ტბების სიმრავლის გამო ბეერია წყლის ფრინველები, რომელთაგან უმთაერესად წარმოდგენილია ბორეალური (სიციეისმოყვარული) სახეობები. ქეეწარმავლებიდან გვხვდება კაკასიური ჯოჯო, ოთხშოლიანი ანკარა, სხეადასხვა სახეობის ანკარა და ხელიკი. ამუბიებიდან ბინადრობს: კაკეასიური სალამანდრა, კაკეასიური ჯერიანა, გყის ბაყაყი, ვომბემო, ეასაკა.

საქართველოს ბარის ჭალის გყეებში ბინადრობს: გარეული ღორი, შველი, ირემი, ხობობი და სხე. •

ანგროპოგენული გემოქმელება საქართველოს ფუნის შემყირების ძირითადი მიშემა. თანამედროეე ეითარება მეფასებულია როგორე ეკოლოგიური კატასტროფის კრიტიკული მღვარი. მარგო 1985-1997 წლებში საქართველოში ჯიხვის რაოდენობა შემყირდა 2-ჯერ, ირმის – 3-ჯერ, ხოლო შელის – 4-ჯერ.

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ბიომრავალფეროვნებაში იგულისხმება ღედამიწის ცოცხალი ორგანიზმებისა და ფორმების ერთობლიობა. სწორედ ამით განსხეელება ჩეენი პლანეტა მშის სისტემის სხეა პლანეტებისაგან.

ამა თუ იმ ტერიტორიის ბიომრავალფეროვნება განისამღერება როგორე ბიოლოგიურ კომონენტთა სახესხეაობებით, ასეეე მათი განსახლებების, თანასამოგადოებების, ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების მრავალფეროვნებითაც. ბიომრავალფეროვნება იყოფა სამ იერარქიულ კატეგორიად: მიდასახელმწიფოებრიეი (გენეტიკური) მრავალფეროვნება, სახეობრიეი მრავალფეროვნება და სისტემური (ეკოსისტემა, ლანდშაფტი) მრავალფეროვნება.

გენეტიკური მრავალფეროვნება ამოუწურაეია, ამიგომ იგი პრაქტიკულად შეუსწაელებლია. სახეობათა რაოდენობა, სხეადასხეა მეფასებით, 2-დან 10 მილიონამღეა. აშეამად მათი მხოლოდ ერთი მეშეიღეღია აღწერილი. სახეობათა რაოდენობით გამოირჩეეიან მწერები (8 მილიონი), სოკოები და ბაქტერიები. მელარებით კარგადაა შესწაელებლი და აღწერილი (90%) უმაღლესი მცენარეებისა და ხერხემლიანი ცხოეელების სახეობრიეი შემადგენლობა, რომელთა საერთო რაოდენობა 300 ათასს აღემატება. ლანდშაფტური მრავალფეროვნებით გამოირჩეეა ნოტიო ეევატორული გყეები, მარჯნის კუნძულები, ცეალებადგენიანი ტროპიკული გყეები, ტროპიკული და

სუბეკვატორული სარტყლის ოკეანური კუნძულები და ხმელთაშუამდგიური ჰაეის მქონე ლანდშაფტები (დასავლეთ საქართველოს დაბლობი და გორაკ-ბორცვიანი ზოლი).

მსოფლიო ბანკის მონაცემებით ღელამიწაზე 270 ათასი უმაღლესი (ძირითადად ყვავილოვანი) მცენარეა, 4500-ზე მეტი ტუქუმწოვარი, 9700-მდე ფრინველი, 7 ათასამდე ქვეწარმავალი, 4500 ამფიბია და 25 ათასზე მეტი მტკნარი წყლის თევზი.

ბიომრავალფეროვნებას განსაზღვრევენ სახეობათა რაოდენობით ყოველ 10 ათას კვ.მ-ზე. თუ ეკვატორულ და გროპიკულ ტყეებში მათი რაოდენობა 3-დან 5 ათასამდეა, იგივე მაჩვენებელი მომიერი სარტყლის ტყეებში 500-დან 1000-მდეა, უდაბნოებში – 200-მდე და ა.შ. არსებობს რეგიონები, სადაც სახეობათა რაოდენობა 5000 ერთეულსაც აღემატება, ასეთია: კოსტარიკა, აღმოსავლეთ ანდების გროპიკული ნაწილი, აღმოსავლეთ ბრაზილიის სანაპირო, აღმოსავლეთ ჰიმალაები, კ. ბორნეოს ჩდილოეთი ნაწილი და კ. ახალი გვინეა. გარდა აღნიშნულისა, ღელამიწაზე გამოიყოფა ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული 16 რეგიონი, სადაც სახეობათა რაოდენობა 3000 ერთეულს აღემატება. ამ რეგიონთა შორისაა მთელი კაეკასია, და შესაბამისად საქართველოც.

უკანასკნელი 500 მილიონი წლის განმავლობაში ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის ხუთი პერიოდია ცნობილი, რომელთა შემდგომ მის აღდგენას 10 მილიონი წელიწადი სჭირდებოდა. ამჟამად, სულ უფრო მშარდი ანთროპოგენური გემოქმედება დეგრადაციის ახალ ფაქტორად გვევლინება, თანაც მისი გემოქმედებით გამოწვეული დეგრადაცია გაცილებით დიდი სიჩქარით ხასიათდება, ვიდრე ბუნებრივი პროცესი. ამის გამოა, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი გლობალური ეკოლოგიური პრობლემაა.

უმაღლეს მცენარეთა სახეობების რაოდენობით მსოფლიოში წამყვან ადგილზეა ბრაზილია, სადაც 55 ათასი სახეობაა აღრიცხული, შემდეგ მოდიან: კოლუმბია (50 ათასი), ჩინეთი (30 ათასი), ინდონეზია (27.5 ათასი), მექსიკა (25 ათასი), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (23 ათასი), ვენესუელა (20 ათასი), ეკვატორი (18250), პერუ (17121) და ბოლივია – 16.5 ათასი სახეობა. საერთოდ, 10 ათასზე მეტი მცენარეა 19 ქვეყანაში, 5000-დან 10000-მდე – 28 ქვეყანაში, ხოლო 1000-დან 5000-მდე – 95 ქვეყანაში. მცენარეების სახეობათა უმნიშვნელო რაოდენობა აღირიცხება ქუვეითში (234), ისლანდიაში (340), ირლანდიაში (892), გამბიაში (965) და სხვ საქართველოში მცენარეთა 4225 სახეობაა და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მე-60 ადგილზე ვიმყოფებით. ევროპაში მე-5 ადგილზე ვართ იტალიის (5663), ესპანეთის (4916), საბერძნეთისა (4900) და საფრანგეთის (4500) შემდეგ.

მსოფლიოში 4629 ტუქუმწოვრის სახეობაა ცნობილი. ტუქუმწოვრების რაოდენობით პირველ ადგილზეა მექსიკა (450 სახეობა). შემდეგ მოდის: ინდონეზია (436), აშშ (428), კონგო (414), ბრაზილია (394). აფრიკის ქვეყნები – კენია და უგანდა (სათანადლოთ) მე-8 და მე-10 ადგილზეა. საქართველო

მსოფლიოში მხოლოდ 89-ე ადგილზე იმყოფება (97 სახეობა), თუმცა 1 ადგილზეა ევროპაში. ტუქუმწოვრების მაღალი ენდემიზმით გამოირჩევა ინდონეზია (206) და აესტრალია (201 ენდემი).

მსოფლიოში ფრინველების სახეობების საერთო რაოდენობა აღწევს 9672-ს. მათი რაოდენობით გამოირჩევა კოლუმბია – 1685 სახეობა, პერუ – 1538, ინდონეზია – 1510, ბრაზილია – 1428 და ეკუადორი – 1388 სახეობა. ყველაზე მეტი ენდემური სახეობა გვხვდება ინდონეზიაში – 393, აესტრალიაში – 353 და ფილიპინებზე – 184 სახეობა. საქართველოში ფრინველების 322 სახეობაა ცნობილი, რის გამოც იგი მსოფლიოში 73-ე ადგილზე, ხოლო ევროპაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იმყოფება.

ქვეწარმავლების ყველაზე დიდი რაოდენობა აღწერილია აესტრალიაში – 788 სახეობა. აქ გვხვდება მსოფლიოს ქვეწარმავლების 12%. ისინი დიდი რაოდენობითაა მექსიკაში (687), კოლუმბიაში (584), ინდონეზიაში (510) და ბრაზილიაში (468 სახეობა). საქართველო ამ მაჩვენებლით (51 სახეობა) 65-ე ადგილზეა მსოფლიოში. ხოლო მე-3 ადგილზე ევროპაში (ესპანეთისა და ამერბაიჯანის შემდეგ).

მსოფლიოში ამფიბიების 4522 სახეობაა. ამფიბიების რაოდენობის მიხედვით გამოირჩევა ლათინური ამერიკის ქვეყნები: კოლუმბია – 585 სახეობა, ბრაზილია – 502 და ეკუადორი – 402. საქართველო მსოფლიოში ამ მაჩვენებლით 74-ე ადგილზეა.

მტკნარი წყლის თევზების რაოდენობის მიხედვით გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც 828 თევზის სახეობაა, ეკუადორი (706), ჩინეთი (686 სახეობა). რუსეთი მე-12 ადგილზეა მსოფლიოში. საქართველოში 84 თევზის სახეობაა და ამ მაჩვენებლით იგი 39-ე ადგილზეა მსოფლიოში.

ენდემიზმის (ენდემური სახეობების წილი მცენარეებისა და ცხოველების საერთო რაოდენობაში) მიხედვით მსოფლიოში გამოირჩევა აესტრალია (90%), ახალი ზელანდია (86%), ჰადაგასკარი (72%), ინდონეზია, ფიჯი კუნძულები და კუბა (50-60%). ენდემიზმის მაჩვენებლით (8%) საქართველო მსოფლიოში 56-ე ადგილზეა.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა დაცული ტერიტორიების შექმნა-განვითარება. დაცული ტერიტორიების დიდი ფართობით გამოირჩევა ეკუადორი, ვენესუელა და დანია (ტერიტორიის 1/3-ზე მეტი). მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვ.) ეს მაჩვენებელი 10-30%-ის ფარგლებში მერყეობს.

საქართველოში დაცული ტერიტორიების ფართობი უმნიშვნელოა – 2,4%. ბიოლოგიური და ლაღმუფტური მრავალფეროვნება კი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი რესურსია, რომელიც რაციონალური გამოყენების შემთხვევაში მოსახლეობის კეთილდღეობის მძლავრი წყარო შეიძლება გახდეს.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები

საქართველოში ეხედებით მრავალფეროვან და ძვირფას სასარგებლო წიაღისეულს. მნიშვნელოვანია და უნიკალური მიწის, წყლის, ტყის, ბიოლოგიური, რეკრეაციული და ენერჯის არატრადიციული რესურსებიც. რესურსთა უმეტესი ნაწილის მარაგი მცირეა, თუმცა გამოირჩევა მაღალი ხარისხით.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები შეიძლება გააერთიანოთ ტრადიციულ და არატრადიციულ რესურსებად. ტრადიციულია ისინი, რომლებიც აღრეუ იყო ცნობილი, მოიპოვებოდა ან მოიპოვება ამჟამადაც. მათ შორისაა: მანგანუმი, რკინა, სპილენძი, ტყეია, თუთია, დარიშხანი, გოგირდი, ფერადი ლითონები, ქვანახშირი, ნავთობი, ბარიტი, ბენტონიტური თიხები, დიაგნოზიტი, აქატი, სამშენებლო მასალები (მარმარილო, მერგელები და ა.შ.). ზოგიერთი მათგანი (რკინა, მოლიბდენი, ვოლფრამი, ოქრო) ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ან მეორე მსოფლიო ომისწინა პერიოდიდან აღარ მოიპოვება (დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა, თუმცა ამჟამად კვლავ აღიძრა მათ მიმართ ინტერესი). არსებული საბადოები (ბენტონიტური თიხების, ბარიტის, დიაგნოზიტის, აქატის) კი გაფართოებას საჭიროებს. საქართველოში ასევე გადაფასდა სათბობ-ენერგეტიკული (განსაკუთრებით ნავთობის) რესურსებისადმი დამოკიდებულება. მოსალოდნელია ქვანახშირის ახალი საბადოების წარმოჩენა და მათი ექსპლუატაციის დაწყება.

არატრადიციულია ის ბუნებრივი რესურსები (ცალკეული იშვიათი ლითონები, კალციტი, ცეოლითები, ფაიფურის ქვა), რომლებიც ჩვენში არასოდეს მოიპოვებოდა ან არ იყო ცნობილი.


მიწერაღური რესურსები

სათბობ-ენერგეტიკული რესურსები

ნავთობის საბადოების შესახებ საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი, მაგრამ მათი შესწავლა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. ნავთობის საბადოები ორ ძირითად ნავთობმემყველ რეგიონს: შავიზღვის-პირასა (დასაველეთი საქართველო, კოლხეთის დაბლობი) და სამხრეთ-კასპის-პირას (აღმოსაველეთი საქართველო) მიეკუთვნება.

საქართველოში ნავთობწარმოქმნის ზონებია: გურიის, კოლხეთის, ქართლის, ნაცვალწყლის (მტკვარსა და იორს შორის) და სამხრეთ კახეთის. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთ კახეთის. ნავთობწარმოქმნისათვის კარგი პირობებია ახალციხის ქვაბულშიც.

სასარგებლო წიაღისეული



- ▲ ნაუმი
- ქვანახშირი
- ▨ მურა ნახშირი
- ტორფი
- ▲ რეზინი
- ▣ მარგანეცი
- ▤ სპილენძი
- ▽ ტყეა-თუთია
- ◁ ბარიტი-ტყეა-თუთია
- ◊ დაბრეწილი
- ◇ ბენტონიტური თიხა
- ◊ ტუფი
- ◇ მარმარილო
- ◇ კირქვა
- მარილიანი წყარო
- ირანული წყარო
- თერაპიული წყარო
- სპეციალური ტალახი
- =

საქართველოში ნავთობდავროების მონებია: ეოლხეთი, გურია, ქართლი, თბილისისპირეთი, სამხრეთი კახეთი, მტკვარსა და იორს შორის. ეს ორი უკანასკნელი უმეტესწილად ამერბაიჯანული ნავთობდავროების ზონის გავრძელებაა. ნავთობდავროების მონა ნავთობწარმოქმნის მონასთან შედარებით შემალეული გერიგორიაა, სადაც ბულობრიალ დროელება ნავთობი.

საქართველოში ძირითადია: აღმოსაველთ ჭალადიღის (სამეგრელო), სუვის, შრომისუბანი – წყალწმინღის (გურია), ნორიოს, საცხენისის, თელეთის, სამგორის, რუსთაღის, გარიბანის, მირზაანის, პატარა შირაქის, რუსთაღის გამოკონღენსაგის ნავთობის საბადოები.

ნავთობის ღამეერილი მარაღის (ღაახლოებით ერთი მილიარღი გონა) და მოპოვების 90% მოღის თბილისის მიღამოების, სამგორ-პატარაქელისა და კახეთის რაიონებზე. მოპოვებული ნავთობის გაწყლიანების ხარისხი 50%-მღეა. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ნავთობის მოპოვებამ საქართველოში 3 მღნ გონას მიღღია. 80-იანი წლებიღან კი გემში შემცირღა. საუკუნის ბოლოს ახალი საბადოების მშენებლობამ გარიბანის ევღზე საქართველო ნავთობმოპოვებელ ქეყანათა რიღში უნღა ჩააყენოს.

ქართული ნავთობის უმეტესი ნაწილი მცირე რაოღენობით შეიყავს გოვიროს, რაც მის მღღალ ხარისხზე მეტყეელებს.

ქვანახშირის საბადოთა გეოგრაფია მოიყავს ბოლს, რომელიყ ერყეღება აფხაზეთიღან ოკრიბამღე (იბერიეთი). აქაა განღაგებული: ბზი-ფის, გყვარჩელის, მაგანის (სამეგრელო – ენგურის მარცხენა სანაპირო), გელათის. გყიბულ-შაორის საბადოები. შათგან სამრეწველო მნიშენეღობა მხოლოდ ორს – გყვარჩელსა და გყიბულ-შაორს აქეს. პერსაქეტიული საბადოებია: ფარცხანაყანენეის, სინათლე-შქმერისა და ყვიბია-გორღის (ქ. სენაკიან). **მურა ნახშირის** საბადოებია: ახალყისის (ეღლეს) და საძხრეთ კახეთის (მღ. იერის მარცხენა სანაპირო) მიღამოებში.

პირველი ინფორმაცია გყიბუღის მიღამოებში არსებული ქვანახშირის შესახებ XIX საუკუნის 20-იან წლებს მიეკუთენება. თუმყა მისი კომღლექსური შესწავღა ასი წღის შემღღვ ღაიწყო. 1951 წელს გაიხსნღ შაორის ნაკეეთი, რის შემღღეგაც საბადოს ეწოღა გყიბულ-შაორის. საბადოს კონგურები საბოლოოდ ღღღენიღი არ არის. აქ ქვანახშირის ფენის სიღრმე საშუალოდ 50-60 მ-ია, ხოლო მინარეეები 50%-ის ფარგლებში ყეაღებაღობს. გზის შემეეეღობაა – 10-15 მ/გ, კუთრი წონა 1.4 გონა/მ³. საბადოს კარგი ჰიღროლოგიური თაღისებურებანი ახასიათებს. მარაგი 700 მღნ გონაა.

გყვარჩელის საბადო მღღებარეობს მღ. ღალიძგის ზემო წელში. მის შესახებ 1881 წლიღანაა ცნობიღი. ქვანახშირის ფენის სიმღღაერეა 300 მ. იგი რამღღენიზე, მორიგეობით განღაგებული, მღღალ- და ღბაღლხარისხიანი ფენისაგან შეღღება. მინარეეები – 30-40%-ია. კუთრი წონა იგიეეა, რაც გყიბულ-შაორისა (თუმყა ეს უკანასკნელი შეღარებით ნაკლები სითბოგეეაღობით ხასიათღება). მარაგი 30 მღნ გონაა.

ახალციხის მურა ნახშირის საბადო, რომელიც ყველაზე მაღლა მდებარეობს (ზ.დ. 1000-1600 მ) ცნობილია XIX საუკუნის II ნახევრიდან. 1965 წელს, მურა ნახშირზე მოთხოვნილების შემცირების გამო დაშვებითი სამუშაოები შეწყდა. ქვანახშირის ფენები მცირე სიმძლავრისაა (1-1,5 მ) და მონაცელეობენ თიხის ფენებთან. ნარევი – 35%-ია, სითბოგევალობა მცირეა – 3000-3500 კკა/კგ, მარაგი – 75 მლნ ტონა.

გელათის საბადოს ქვანახშირი (ფენების სიმძლავრე 7-8 მ) დიდი სითბოგევალობით გამოირჩევა. მარაგია 5 მლნ ტ. ექსპლუატაცია მიმდინარეობდა XX საუკუნის 40-50-იან წლებში, რაც შეწყდა მისი არარენგაბელურობის გამო. მაგანის საბადოს (წალენჯიხის რაიონი) სიმძლავრე 50-70 მეტრია. გამოირჩევა მაღალი სითბოგევალობით – 6000-7000 კკა/კგ, მარაგი 0,2 მლნ ტონა.

ფარცხანაყანეის (წყალტუბოს რაიონი) პროგნოზული მარაგი 150 მლნ ტონაა. ყეიბია-გორდის საბადოში ქვანახშირის ფენა ზედაპირიდან 200 მეტრ სიღრმეზეა, პროგნოზული მარაგია 70 მლნ ტ., მდებარეობს მდ. ცხენისწყალსა და ტეხურს შორის.

საქართველოში მოქმედი საბადოების საერთო მარაგი 800 მლნ ტონას აღემატება, პერსპექტიული საბადოების მარაგი კი 360 მლნ ტონაა.

ქვანახშირის მაქსიმალური მოპოვება (3 მლნ ტ.) აღირიცხა 1958 წელს. ქვანახშირის წილი ვანუბრულად მცირდება სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში, თუმცა გამოყენების მნიშვნელოვანი პერსპექტივები გააჩნია.

გორფის საბადოთა შესწავლა-გამოკვლევები დაიწყო XX საუკუნის 30-იან წლებში. გორფიან ფენებს კოლხეთის დაბლობზე დაკავებული აქვს 20 ათასი ჰა, ხოლო მისი მარაგი 8 მლრდ მ³-ია. ძირითადი საბადოებია შაჰიბღეისპირა ბოლში, მცირე ნაწილი – ჯაეახეთის ეულკანურ პლატოზე. საქართველოში გორფის 49 საბადოა. ყველაზე მძლავრი საბადოებია: იმნათის (ლანჩხუთის რაიონი, სამუალო სიღრმე – 8 მ. გამოიყენება როგორც ორგანული სასუქი. მარაგი 35 მლნ ტ, ფენის სიღრმე – 14 მ); ნაბადის (ხობის რაიონი, ფენის



“ქვანახშირის გზა“ ტყვარჩელის საბადოდან

სიმძლავრე – 5 მ, მარაგი – 36 მლნ ტ.); ჭურის (ხობის რაიონი, სიმძლავრე 7 მ, მარაგი – 7 მლნ. ტ).

გორფის საბადოთა მარაგი არასაკმარისადაა შესწავლილი. ამეამად ამუშავენ საბადოთა მხოლოდ 1/7-ს. გორფი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული მეცხოველეობაში (საკეებად) და ქიმიურ მრეწველობაში. „ქართული გორფის“ სათბობად გამოყენება არარენტაბელურია.

ლითონური წიაღისეული


საქართველოში შავი ლითონები წარმოდგენილია რკინისა და მანგანუმის საბადოებით ეკონომიკურად მნიშვნელოვან რკინის საბადოთა რიცხვი ძალზე შვირია. აღსანიშნავია მხოლოდ ფოლადურისა და ძამის საბადოები. საქართველოში ცნობილია აგრეთვე შავი მღვისპირა რკინის შემცველი ქვიშის საბადოები.

საქართველოში რკინის მადნის გამოვლინების 60 ადგია ცნობილი. ყველაზე მძლავრია ფოლადურის საბადო (ბოლნისის რაიონი). აქ რკინის ფენა 1-3 მეტრისაა, სიღრმე – 150 მ-მდე, რკინის შემცველობა – 40%. აქვეა ფერადი ლითონებიც – სპილენძი (5%), თუთია (7%), ტყვია (2%). საბადო ჯერჯერობით არაა ათვისებული და ღებალურად შესწავლილი.

შავი მღვისპირა მაგნეტიტური ქვიშები თითქმის უწყვეტ ზოლად გასდევს შავი მღვის სანაპიროს 250 კმ მანძილზე. აქ რკინის შემცველობა 1-16%-ის ფარგლებში მერყეობს. მარაგი დაახლოებით 150-200 მლნ ტონაა.

რკინის საკმაო მარაგით ხასიათდება ძამის საბადო (ქარელის რაიონი), სადაც რკინის შემცველობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებია (40-50%). მარაგი 20 მლნ ტონამდეა. ხასიათდება მაღალი ლითონშემცველობითაც. დამუშავებას ართულებს რკინის შემცველი ფენის ღიდ სიღრმეზე განლაგება.

მანგანუმის (მძიმე მოვერცხლისფრო-მოთეთრო ლითონი) არსებობა საქართველოში დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. იგი რკინაქვის სახესხვაობად მიაჩნდათ და წარმატებით იყენებდნენ რკინის შენადნობად. მანგანუმი ძვირფასი ლითონია, რომელსაც შეუძლია მრავალ ლითონთან წარმოქმნას შენადნობი. მანგანუმს იყენებენ შავ მეტალურგიაში, ვალვანური ელემენტების დასამზადებლად, ქიმიურ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და სხვ. მანგანუმის საბადოები გვხვდება ძირულის კრისტალურ მასივზე, კაკეასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ცალკეულ მონაკვეთზე და აჭარა-თრიალეთის ქედზე. ძირულის მასივზე მანგანუმის გამოვლინება არის როგორც ზედაძირული (ჭიათურა, ჩხარო-აჯამეთის), ისე სიღრმითი (როდინაული, შესტაფონის რაიონი). მანგანუმი აჭარა-იმერეთის ქედზე ვანიბაღდადის მიდამოებშიცაა აღმოჩენილი, თუმცა მას არა აქვს სამრეწველო მნიშვნელობა. ვარკვეული მარაგია სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის ტერიტორიებზე.



ქ. ჭიათურა

მანგანუმის უმნიშვნელოვანესი საბადო ჭიათურაშია. პირველი მონაცემი მის შესახებ 1848 წლიდანაა ცნობილი, თუმცა მოპოვება 1879 წელს დაიწყო. სააგრომობილო და სარკინიგზო გრანსპორტით საბადო მესტაფონს უკავშირდება. მდ. ყვირილა საბადოს ორ ნაწილად ჰყოფს. ფენის სიმძლავრეა 20 მ. მანგანუმი განლაგებულია 0-200 მ სიღრმეზე. მარაგი 200 მლნ ტონაა, 1987 წელს მოიპოვეს მაქსიმალური რაოდენობა – 5 მლნ ტონა.

ჩხარი-აჯამეთის საბადო ქუთაისისა და თერჯოლის მილამოებშია, ფენის სიმძლავრეა 2,5 მეტრი, მარაგი – 5 მლნ ტონა. იგი პერსპექტიული საბადოა.

შქმერის საბადო (ონის რაიონი), ზ.დ. 2000 მეტრამდე მდებარეობს. ფენის სიმძლავრე 1-2 მეტრია. იგი საკმაოდ ღრმადაა განლაგებული (0-400 მ). მარაგი – 6 მლნ ტონაა. აგარის საბადოს საეარაულო მარაგი 30 მლნ ტონაა, ხოლო ჯაეის – 20 მლნ ტ. სულ საქართველოში მანგანუმის გამოვლენილი და საეარაულო მარაგი – 0,5 მლრდ ტონაა.

საქართველოში ფერადი ლითონები და მათი საბადოები ისტორიულადაა ცნობილი. ხშირად ისინი იშვიათ და კეთილმოხილ ლითონებთან ერთად მოიპოვება. საქართველოში ფერადი ლითონების საბადოთა პოტენციური მარაგი არასრულადაა შესწავლილი.

საქართველოში ცნობილი ფერადი ლითონების პოლიმეტალური საბადოებია: სპილენძ-გყვია-თუთიის (მადნეული), გყვია-თუთიის (კეანსა), დარიშხანის (ცანისა და ლუხუნის).

მადნეულის საბადო გაიხსნა 1940 წელს, 1952 წლიდან იგი კომპლექსური პოლიმეტალური საბადოა. 1977 წელს აქ აღმოჩნდა (მედა ფენაში) ოქროს-შემეველი კვარციტები. მადანში ბარიტის შემეველობა 24%-ია, ხოლო ლითონთა რაოდენობა ერთ ათეულზე მეტი.

კვანის საბადოს (ჯაყის რაიონი) ექსპლუატაცია მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიწყო.

დამბლუდის (ბოლნისის რაიონი, ლოქის მასივი) საბადოში აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ფერადი ლითონების შემეველი კვარციტ-სულფიდური ფენები. საბადო 1872 წლიდან კუსტარულად მუშაუდებოდა. შესწავლილია არასრულად, თუმცა ითვლება ძალზედ პერსპექტიულად.

ძვირფასი ლითონების ასევე პერსპექტიული უბნებია გამოვლენილი ბოლნისისა და ჯაყის რაიონებში, დაეთგარეჯის მიდამოებში. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა ოქროს შეიყავს. ამ ლითონით განსაკუთრებით მდიდარია ხრამისა და ლოქის ვულკანური მასივები.

იშეიათი ან ძვირფასი ლითონები ძირითადად გეხედეება ფერადი ლითონების მადანთან. მათი ცალკეული გამოვლინებებია რაჭაში, სენანეთსა და აფხაზეთში. განსაკუთრებით მნიშენელოვანია დარიშხანის საბადოები. ზოგიერთი იშეიათი ლითონი (ვერცხლისწყალი, ეოლფრამი) აღმოჩენილია კაეკასიონის სამხრეთ კალთებზე, მაგრამ მათი სამრეწველო მნიშენელობა არასრულადაა შესწავლილი. მათგან აღსანიშნავია ჩვეშურის საბადო (ონის რაიონი), რომელშიც გარდა იშეიათი ლითონებისა, ძვირფასი ლითონების მნიშენელოვანი რაოდენობაა.

სამთო-ქიმიური ნედლეული

საქართველოში ცნობილია ათობით სამრეწველო და ასეულობით არასამრეწველო დანიშნულების, თუმცა პერსპექტიული, სამთო-ქიმიური ნედლეულის საბადო.

ბარიტი, ანუ მძიმე შპატი, წარმაგებით გამოიყენება მედიცინასა და ქიმიურ მრეწველობაში. საქართველოში ცნობილია ბარიტის 60 მნიშენელოვანი საბადო, სადაც თაემოყრილი იყო ყოფილი საბჭოთა კაეშირის საერთო მარაგის 85%. ამჟამად ექსპლუატაციაშია ჩორდისა (ონის რაიონი) და მადნეულის საბადოები. ბარიტის მარაგი 45 მლნ ტონას უდრის. უმეტეს შემთხვევაში ბარიტი სპილენძთან ან სხვა ფერად ლითონთან ერთადაა წარმოდგენილი.

ბენტონიტური თიხები ნათობ-ქიმიური მრეწველობის ტრადიციული და უმნიშენელოვანესი ნედლეულია. საქართველოში ცნობილია რამდენიმე ათეული საბადო, რომელთაგან მნიშენელოვანია ასკანისა და გუმბრინის საბადოები. პერსპექტიულია ახალციხის საბადოც. პროგნოზული მარაგი 180 მლნ ტონამდეა.

ღიატომიტი ძალზე მაღალი ხარისხის, თუმცა მცირე რაოდენობით მოიპოვება ახალციხის რაიონში (მარაგი 10 მლნ ტ). მნიშვნელოვანია ქიმიური და კვების მრეწველობისათვის, განსაკუთრებით მინერალური სასუქების წარმოებაში და კვების პროდუქტების (შაქრის სიროფის, ღვინის, წვენების) ფილტრების დასამზადებლად. ღიატომიტი მძლავრი საეალეუტო შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს.

ტალკი და **სერპენტინიტი** ხაშურის რაიონში, ძირულის მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოიპოვება. გამოიყენება რუბეროიდის წარმოებაში და სოფლის მეურნეობაში (სასუქად). მისი გამოყენება მევენახეობაში ყურძნის მოსავლიანობას 15-40%-ით ზრდის.

ცეოლითი მოიპოვება თუშისა და ძეგვის საბადოებში. იგი გამოიყენება გაზის მრეწველობაში (გამწმენდად) და სოფლის მეურნეობაში (სასუქად).

ანდეზიტი მოიპოვება ყაზბეგისა და ბორჯომის რაიონებში. მისგან მზადდება მყაეაგამძლე ცემენტი და ბეტონი. ანდეზიტის მარაგია 13 მლნ მ'.

საქართველოში ცნობილია **მინერალური საღებავების** 250-მდე საბადო. მნიშვნელოვანი მარაგია სოხუმის, ხონისა და ოზურგეთის რაიონებში.

საქართველო მდიდარია **არამადნეული** (დოლომიტი, ქალცედონი, კირქვა, ფლუსი) წიაღისეულით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მეტალურგიაში.

საქართველო მდიდარია ასევე **მოსაპირკეთებელი ქვებით**, როგორცაა ნახევრად ძვირფასი და ფერადი ქვები (ღუმეთისა და ყაზბეგის რაიონები), აქაგი (ახალციხის რაიონი), საიუველირო აქაგი (მარნეულის რაიონი), ობსიდიანი (ნინოწმინდის რაიონი) და სხვ.

ბუნებრივი საშენი მასალები

საქართველო საშენი მასალებით ძალზე მდიდარია. საბადოთა გეოგრაფია მთელ საქართველოს მოიცავს. აქ დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის 300-ზე მეტი საბადო, რომლის ნახევარიც ექსპლუატაციაშია.

ბუნებრივი საშენი მასალებია: დეკორატიულ-მოსაპირკეთებელი ქვები (მარმარილო, ტემენიტი, ბაზალტი, კირქვა, დოლომიტი, გაბრო); საკედლე ქვები (კირქვა, ტუფი), კირი, სილა, ხრეში, სააგურე თიხა, ცემენტის მასალა, სამშენებლო ქვები (კონგლომერატები) და სხვ. საქართველოში ბუნებრივი საშენი მასალების საერთო მარაგი 2.640 მლნ მ'-ია.

მარმარილოს მნიშვნელოვანი საბადოებიდან (სულ 13) აღსანიშნავია: სალიეთის (შესტაფონის რ-ნი - მარაგი 23 მლნ მ'), ჰოგნარის (თერჯოლის რ-ნი - 11 მლნ მ'), სადახლოს (მარნეულის რ-ნი - 8 მლნ მ'), მენდელეევის სახელობის (გაგრის რ-ნი - 4 მლნ მ'), გუმისთის (სოხუმის რ-ნი - 5 მლნ მ'), ლოპოგის (თელავის რ-ნი - 3 მლნ მ'), ჰობარეთის (ახალქალაქის რ-ნი - 26 მლნ მ') და სხვ. **ბაზალტის** მარაგი დაახლოებით 70 მლნ მ'-ის ტოლია.

მინერალური წყლები

საქართველოში მინერალური წყლის არაერთი სახეობა და მრავალი (2000) წყაროა. ზოგიერთი მათგანი (ბორჯომი, წყალტუბო) მსოფლიო მნიშვნელობისაა. ჩვენში მინერალური წყლების გავრეულების ორი ძირითადი ზონაა: კავკასიონის სამხრეთი კალთებისა და მცირე კავკასიონის.

მინერალური წყლების გამოვლინება დაკავშირებულია ახალგაზრდა ვულკანურ ქანებთან და ვულკანიზმთან. სწორედ ამგვარ ფენებში ერევა ნახშირმჟავა გაზი მიწისქვეშა წყლებს. წყლის მინერალური შემადგენლობა პირდაპირ კავშირშია ინფილტრაციის ზონის გეოლოგიურ აგებულებასთან.

საქართველოს მინერალურ წყლებთან დაკავშირებულია მრავალი ცნობილი კურორტი, რომლებშიც ყოველდღიურად 25 ათასი მ³ წყალი მოედინება. წყლის 40% კი იკარგებოდა და იკარგება. წყლის დანაკარგებით ცნობილია კურორტი წყალტუბოში (6,5 ათასი მ³/დღე-ღამეში). იყო წლები, როდესაც საქართველოში ჩამოსხმებოდა ორ ათეულამდე სახეობის ისეთი მინერალური წყალი, რომელთა დებიტი შეადგენდა 1300 მ³/დღეში.

მთლიანად საქართველოში ყოველდღიურად ამოედინება 130 მლნ ლიტრი მინერალური წყალი, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოიყენება. წყაროთა უმეტესობა რთული რელიეფის პირობებშია წარმოდგენილი და არასაკმარისადაა შესწავლილი.

მინერალური წყლები შეიძლება სამრეწველო დანიშნულებითაც გადამუშავდეს. მაგალითად, კავკასიონის მინერალურ წყლებში ბევრია ღარიშხანი (6 მგ/ლ), ბორი (1000 მგ/ლ), ცეზიუმი (4 მგ/ლ). ამ მანუენებლებით ჩვენი წყლები არ ჩამოუვარდება ამერიკისა და ახალი ზელანდიის წყლებს. მინერალური წყლებიდან აღნიშნული ლითონების გამოთავისუფლება დიდი საეკონომიკური მნიშვნელობის წყარო შეიძლება გახდეს.

მინერალულების შედარებით ნაკლები შემცველობით, თუმცა მნიშვნელოვანი მარაგებით ხასიათდება აჭარა-იმერეთისა და სამხრეთ ვულკანური მთიანეთის მინერალური წყლები. ბრომის (160 მგ/ლ), ბორის (200 მგ/ლ), იოდის (70 მგ/ლ), სტრონციუმის (120 მგ/ლ) შემცველობითაა ცნობილი ნაეთობის თანხლები მიწისქვეშა წყლებიც.



მინერალური წყლის გამოსავალი ღარილის ხეობაში

მიწის რესურსები

მსოფლიოში საქართველო მრავალფეროვანი და უნიკალური მიწის რესურსებით და ნიადაგურ-ეკოლოგიური პირობებითაა ცნობილი. აქ ორ ათეულამდე ტიპის ნიადაგია. განსაკუთრებით ძვირფასია სუბტროპიკული წითელმიწები და ყვითელმიწები, მთისა და ბარის შავმიწები.

საქართველო ტიპური მთიანი ქვეყანაა. აქ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგის ტერიტორიებს, კერძოდ ვაკებსა და მთისწინებს, რომლებიც ზღვის დონიდან 1000 მეტრამდეა წარმოდგენილი, ქვეყნის ფართობის თითქმის 46% უკაია. აგროცენოზების, ანუ კულტურულ მცენარეთა ევგეცაციისათვის საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი კარგად გამოხატული სიმაღლებრივი ზონალიზაციით ხასიათდება. დასაყვამით საქართველოში დანესტიანების კოეფიციენტი 1-2,5-ის ფარგლებშია, აღმოსაყვამით და სამხრეთ საქართველოში კი 0,6-დან 1-მდე მერყეობს. დასაყვამით საქართველოში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3500-4500°-ს მორისაა (დამახასიათებელი სუბტროპიკული სარტყლის ჩრდილოეთი საზღვრისათვის).

თერმული პირობებისა და დანესტიანების მიხედვით საქართველოში ხუთი ნიადაგურ-კლიმატური (აგროკლიმატური) ზონა გამოიყოფა: თბილი და ნოტიო სუბტროპიკული; თბილი და მშრალი სუბტროპიკული; ზომიერად თბილი მთის სტეპის; ზომიერად თბილი მთის ტყის; ზომიერად ცივი მთის მდელოს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მოთხოვნა მისი მონალური სპეციალიზაციის სწორად განსაზღვრას გულისხმობს. ბუნებრივი პირობების შესახებ მუსკი ინფორმაციის არსებობა აუცილებელია სოფლის მეურნეობის ოპტიმალური დაგეგმარებისა და რენტაბელური წარმოებისათვის. ამგვარი ინფორმაცია კი მიიღება ამა თუ იმ ტერიტორიის კომპლექსური შესწავლის შემთხვევაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის ნიადაგურ-ეკოლოგიურ შესწავლას.


სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები დასაყვამით საქართველოში 1625 ათას ჰექტარზეა (საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 23%), აღმოსაყვამით საქართველოში – 1580 ათას ჰექტარზე (22%). დანარჩენ ტერიტორიაზე, რომელიც ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლაა, მოდის საქართველოს 54%.

შემოთ აღნიშნულ ზონაში (ზ.დ. 1000 მეტრამდე) ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 94%, თავმოყრილია სამრეწველო პოტენციალის 98% და იქმნება მრეწველობის პროდუქციის 99%.

1985 წელს საქართველოს მიწის ფონდი იყო 6949 ათასი ჰექტარი; ვარდა ამისა, გამოიყენებოდა 323 ათასი ჰა საძოვარი კასპიისპირა დაბლობზე, ხოლო სხვა რესპუბლიკების მიერ მოიხმარებოდა (სომხეთის საზღვართან) 400 ჰა. ამრიგად, რესპუბლიკის მიწათსარგებლობაში იყო 7272 ათასი ჰა.

1997 წლის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები საქართველოს ტერიტორიის 43%-ს შეადგენდა. ტყით დაფარული იყო 37%.

ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწებს (ჭაობი, ბუჩქნარი, სამრეწველო ობიექტები, ქალაქები და სხვ.) გერიგორიის 20% ეკავათ. რაოდენობრივად სასოფლო-სამეურნეო საეარგულები ყველაზე მეტია კასეთში (620 ათასი ჰა), ყველაზე ნაკლები – აჭარაში (74 ათასი ჰა).




მიწის რესურსები საქართველოს ერთერთი უმნიშვნელოეანესი ბუნებრივი სიბიღირეა. მათგან ყველაზე მნიშვნელოეანია სახნაეი მიწები, რომლის ფართობი მუღმიეად მყირღება ერობიის, დამლაშებისა და მეორეული დაჭობების შეღეგად. მარგო 1950 წლიდან 1980 წლამღე, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, სახნაეი მიწები 0,30 ჰა-დან 0,14 ჰა-მღე შემყირღა.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების 26% სახნაეია (რითაც ბიღირია კახეთი, ქეეგო ქართლი, სამცხე-ჯაეახეთი; ღარიბია – აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ღეჩხუმი), მრეეალწლიან კულტურებს – 9% უკაეია, საძოერებს – 60%, სათიბებს კი – 5%. ამეამად პრეეეაგეგბულია: სახნაეი მიწების ნახეეარბე მეტი, მრეეალწლიანი ნარგაეეების – 62%, სათიბების – ერთი მესამეღი, საძოერების – თითქმის 10%.

სამუეალო გადასახადი სახნაე მიწამე, მასში ჰუმუსიანობისა და სხეა ნიადგურ-გეოგრაფიული მარეენებლების გათეალისწინებით, 10-დან 25 ამერიკული დოღარის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე მაღალი საგადასახადო მარეენებლით გამოირჩეეა ბღეისპირა აჭარისა (ხეღეაჩაურის, ქობულეთის) და ქეეგო ქართლის (მარნეუღის) რაიონები, ყველაზე მყირეთი – სეანეთის, ღეჩხუმის, რაჭის, ხეეის, ზემო იბერეთისა და გურიის (ჩოხბაგაურის) რაიონები.

საქართველოს მიწის კადასტრი დამუშაეების პროცესშია. იგი მბლაერი სტიმული იქნება სოფლის მეურნეობის განეითარებისათეის. კადასტრში შეეა უამრავი ნიადგურ-ეკოლოგიური მახასიათებელი, რაც წინაპირობა იქნება მიწის რესურსების დროული და მიბანმიბართული მეღიორაციისა.



აღსანიშნავია, რომ უმოწყალოდ ნადგურდება ქარსაკაეი და წყალდამკუთრებით თვალსაჩინოა დიდი ქალაქების გარშემო. არადა, ქარსაკაეი მოლი განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაელეიანობის მნიშვნელოვან ზრდას (ჩაის - 23%-ით, ლიმონის - 29%-ით, ყურძნის - 21%-ით, ხილის - 28%-ით, სამეომოდგომო ხორბლის - 15%-ით და სიმინდის - 22%-ით).

საქართველოს ნიადაგების გამოყენების გემოთ აღნიშნულ პრობლემათა გარდა საყურადღებოა ნიადაგების შინერალური გამოფიგის (სასუქების უკმარისობის გამო) პრობლემა. არადა მოსაელეიანობის მაგებაში სასუქებს მნიშვნელოვანი (60%) როლი ენიჭება. ამკამად კმაყოფილება სასუქებზე მოთხოვნის მხოლოდ 10%.

წყლის რესურსები

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, წყლის რესურსებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება. წყალი გამოიყენება საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის.

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, რომლის საერთო რაოდენობა 106,1 კმ³-ია. წყლის რესურსების უდიდესი ნაწილი (80%) დასაელეთ საქართველოზე მოდის. მდინარეთა ქსელის სიხშირის საშუალო რესპუბლიკური კოეფიციენტია 0,85 კმ³/კმ²-ზე. იგივე მაჩვენებელი დასაელეთ საქართველოში 1,07-ია. აღმოსაელეთში - 0,68. მაქსიმუმი აღირიციება ჩაქვის მიდამოებში 2,5 კმ³/კმ²-ზე, მისიპალურია მტკეარსა და იორს შორის - იყრის ზეგანზე (0,3). თუ გავითეალისწინებთ სარწყავი არხების სიხშირეს, ზოვან (შიდა ქართლი) მიეილებთ 3-ჯერ დიდ მაჩვენებელს (ბუნებრივთან შედარებით).

საქართველოს მდინარეთა წყლის რესურსები 61 კმ³-ს აღემაგება. ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი წყალშემკრები აუზი აქვს მტკეარს. მისი ფართობი 200 ათასი კმ²-ია (თითქმის სამჯერ მეტი საქართველოს გერიგორიაზე). საქართველოში მდინარეთა უმრავლესობის (98%) წყალშემკრები აუზი 25 კმ²-ზე ნაკლებია. ყველაზე წყალუხობით გამოირჩევა რიონის (12,6 კმ³ წელიწადში), ჭოროხისა (9 კმ³) და მტკერის (8 კმ³) აუზები. საქართველოში 97 კმ³ წყალი მოდის აგმოსფერული ნალექის სახით, ორთქლებმა - 40 კმ³, ზედაპირული ჩამოღინებაა - 57 კმ³ (აქედან 1/3 მიწიქეემა).

საქართველოს მდინარეთა წლიური ჩამონადენის 60-70% თოელის ნაღობი წყლებით იქმნება. სამხრეთ საქართველოს მდინარეები სანახყეროდ მიწისქეემა წყლებით იკეებება. კოლხეთის დაბლობის მდინარეები უპირატესად წვიმისა და გრუნგის წყლებით, ხოლო მაღალი მთის მდინარეები - მყინვარებით სამრდობენ. გაზაფხულზე, წყალდილობისას, მდინარეთა

ხეობაში ჩამონადენის 50-60% გაედინება. წყალდიდობის დაწყება და სანგრძლიობა მდინარის კეების რეჟიმზეა დამოკიდებული.

წყლის მნიშვნელოვანი მარაგია აკუმულირებული *მყინვარებში*. საქართველოს მყინვარებს ტერიტორიის 0,73% უკავია. აქ აკუმულირებულია 24 კმ³ წყალი.

საქართველოს *ტბებს* ტერიტორიის 0,24% უკავია. მათში წყლის მარაგი 0,72 კმ³-ია. ყველაზე დიდ ხუთ ტბაში (ფარავანი, პალიასგომი, რიწა, სალამო, ტაბაწყური) აკუმულირებულია ტბების წყლის 75%. ტბებით გამოირჩევა სამხრეთი საქართველო, რომელთა წყლების 97% მტკნარია.


კოლხეთის *ჭაობებში* თითქმის იმდენივე წყალია აკუმულირებული, რამდენიც საქართველოს ტბებში.

საქართველოში წყლის რესურსების ფორმირებას კარგად გამოხატული გეოგრაფიული თავისებურებანი ახასიათებს. საქართველოს წყლის რესურსების 78% ყალიბდება კავკასიონის ფარგლებში.

მდინარეთა მორის პიროვნერგეტიკული რესურსებით გამოირჩევა: რიონი, ენგური, კოლორი, ცხენისწყალი, ალაშანი, ბზიფი, ჭოროხი და მტკვარი. თითოეულის ენერგეტიკული პოტენციალი 5-30 მლრდ კვტ.სთ-ს შეადგენს.

საქართველო ასევე მდიდარია *მიწისქვეშა წყლებით*. მისი მოცულობაა 18 კმ³, რომლის 67% დასაეღეთ საქართველოზე მოდის. მიწისქვეშა წყლები საერთო ჩამონადენის ერთ მესამედს შეადგენს, რომელიც ძირითადად საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოიყენება. მიწისქვეშა წყლების 55% მტკნარია. მისი არეალი აღმოსავლეთ საქართველოში 200-300 მ სიღრმეზეა (მხოლოდ არაგვის ხეობაშია (5-20 მ), დასაეღეთ საქართველოში კი – 10-50 მეტრზე.

საქართველოში ბევრი *კარსტული მდინარეა*. მათგან რეპრუა (გაგრასთან) ყველაზე მოკლეა მსოფლიოში (20 მ სიგრძის). ყველაზე წყალუხვი კი მჭიმთაა, მისი ხარჯია 9 მ³/წმ. მიწისქვეშა წყლის მძლავრი გამოსასვლელები (წყაროები) ცნობილია სამხრეთ საქართველოშიც. აქ რამდენიმე ათეული ისეთი წყაროა, რომელთა დებიტია 2-3 მ³/წმ.



წყლის რესურსების განაწილება


საქართველოში მიწისქვეშა წყლების გამოყენების მიზნით ექსპლუატაციაშია 170 ჰაბურღილი. მათი უმრავლესობა (96) კახეთშია.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების ფართობი (33 და 37 ათასი კმ²) და მოსახლეობის რაოდენობა (2.3 და 3.1 მლნ კაცი შესაბამისად) უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით წელიწადში 5750 მ³ წყლის რესურსი მოდის, ხოლო დასავლეთში – 21600 მ³ (4-ჯერ მეტი).

საქართველოს ადმინისტრაციული რაიონებიდან წყლის ყველაზე დიდი მომხმარებელია გარდაბნის რაიონი (თბილისსა და რუსთაეთან ერთად). აღმოსავლეთ საქართველოში მორწყვა სჭირდება 1400 ათას ჰა-ს, ირწყვება მხოლოდ 74%.

საქართველოს კომუნალურ მეურნეობაში ჩართულია 90 წყალსადენი, რომელთა საერთო სიგრძე 6 ათასი კმ-ია. მათი ჟენქციონირებისათვის მოწყობილია 175 სათაო ნაგებობა, რომელთა საერთო გამტარუნარიანობა და აკუმულაცია 2 მლნ მ³-ია დღე-ღამეში. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წყლის საშუალო მოხმარება 350-400 ლიტრია დღე-ღამეში, რაც ძალზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. საყოფაცხოვრებო სექტორზე მოდის მთელი გამოყენებული წყლის 20%. მიუხედავად ამისა, მაფხულობით მთელ რიგ დასახლებულ პუნქტში შეინიშნება წყლის დეფიციტი.

ამჟამად გამოყენებული წყლის 30-35% მრეწველობაში მოიხმარება, რომლის 60% ენერგეტიკას სჭირდება (თბოელექტროსადგურებში). თბოელექტროსადგურებიდან წყლის ყველაზე მძლავრი მომხმარებელი თბილსრესია. მრეწველობაში წყლის მნიშვნელოვანი მომხმარებლებია: მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა და მანქანათმშენებლობა. წყლის მომჭირნედ გამოყენების მიზნით საჭიროა შეიქმნას წყლის გექნიკური ვადამუშაეების „ფაბრიკები“ (მეორეული გამოყენების მიზნით). ამჟამად მეორეულია გამოყენებული წყლის მხოლოდ ნახევარი, რომლის უმეტესი ნაწილი ექლაე მეტალურგიას ხმარდება. ამ მეთოდის გამოყენებით მიღწეულია 4 მლნ მ³ სასმელი წყლის ეკონომია.



მეურნეობაში გამოყენებული წყლები

სოფლის მეურნეობაზე მოდის გამოყენებული წყლის 40-45%. თუმცა სოფელთა უმეტესობას (70%) არ გააჩნია ცენტრალიზებული წყალმომარაგება.

მეცხოველეობისათვის ზამთრის საძოვრების მორწყვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ საქონელს თითქმის 7 თვეს აძოვებენ. ამკამად ირწყვება დაახლოებით 200 ათასი ჰა ზამთრის საძოვარი გარდაბნისა და დედოფლისწყაროს რაიონებში.

წყლის სისუფთავის შენარჩუნება მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემაა და მას სახელმწიფოებრივი ყურადღება ესაჭიროება. ამკამად ეითარება საგანგაშოა, ვინაიდან გამწმენდი ნაგებობები საქართველოს რამდენიმე ქალაქში ფუნქციონირებს და აქაც მოხმარებული წყლის მხოლოდ ნახევარი იწმინდება.

პირსამქტიული მენარგმტიკული რესურსები


ნორმალურ სიტუაციამი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების (ელექტროენერჯის) ძირითადი მოხმარებელი მრეწველობა უნდა იყოს (1987 წელს მრეწველობას მოხმარდა წარმოებული ელექტროენერჯის ნახევარზე მეტი), თუმცა ამკამად მას ძირითადად (60%-ს) მოსახლეობა მოიხმარს.

საქართველოს პოტენციური ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიმძლავრე 160 მლრდ კვტ/სთ-ს აღემატება. მისი უდიდესი ნაწილი (60%) მოდის საქართველოს ხუთ მდინარეზე (რიონი, მტკვარი, ენგური, კოდორი, ბზიფი). ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული რესურსები პოტენციურის ნახევარია, რომლის უმეტესი ნაწილი (73%) ასევე დასაელეთ საქართველოშია წარმოდეინილი. ტექნიკურის 1/3-ზე მეტი (30 მლრდ კვტ/სთ) ეკონომიკურად ეფექტური ჰიდროენერგეტიკული რესურსია.

ეკონომიკურად ეფექტური რესურსები მდინარეების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად: ენგური (10 მლრდ კვტ/სთ), რიონი ცხენისწყლით (7,0 მლრდ კვტ/სთ), კოდორი (5,3 მლრდ კვტ/სთ), თუშეთის ალაზანი (3,2 მლრდ კვტ/სთ), მტკვარი არაგვით (2,7 მლრდ კვტ/სთ).

საქართველოში 1999 წელს გამოიმუშავეს 8,1 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერჯია, მაშინ როცა უახლოეს წარსულში (1988 წ) ამდენივეს გამოიმუშაებდა 27 მსხილი და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. ამკამად გამოიყენება ეკონომიკურად ეფექტური ჰიდრორესურსების მხოლოდ 1/4. ყველაზე კარვად ათვისებულია მდ. რიონის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, რომელზეც 8 ჰესია აშენებული და რომელთა წლიურმა გამოიმუშავებამ 2 მლრდ კვტ/სთ-ს შეუძლია მიადწიოს. აქ პერსპექტივამია ამდენივე (8) სადგურის აშენება, რის შედეგადაც ელექტროენერჯის გამოიმუშავება 6 მლრდ კვტ/სთ-ს მიადწევს. ძალზე პერსპექტიულია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მდ. კოდორზე, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნე-

სამხარეთეთოს იმინარათა ეკონომიკურად ეფექტური და პოტენციური პილრენებეტიკური რესურსები



შინარის რესურსების რაოდენობა
ცალიბრად

- 20-30
- 10-20
- 5-10
- 3-5
- 1-3

შინარის რესურსების ტიპი
კონკრეტული ტიპის რესურსები

- ⊙ I 5-10
- ⊙ II 3-5
- ⊙ III 1-3

ბა გამომუშაედეს 5 მლრდ კეც/სთ ეკონომიკურად ეფექტური ელექტროენერგია.

საქართველოს ელექტროენერგეტიკაზე უარყოფითი გავლენა იქონია ხულონის ჰესის მშენებლობის კონსერვაციამ. მისი მშენებლობა დაიწყო 1980 წელს. 1988 წლისათვის შესრულებული იყო სამუშაოთა 1/3. სამუშაოები შეჩერდა ეკოლოგიური მოძრაობის შედეგად. ძირითადი მიზეზი იყო 530 კა სავარგულის შესაძლო დაგბორვა, რომლის შედეგადაც გადასახლებოდა 230 ოჯახი სოფ. ხაიშიდან. არადა ხულონპესზე ელექტროენერგიის სავარაუდო გამომუშაება 1,7 მლრდ კეც/სთ-ს უდრიდა.

საქართველოში ჰიდრორესურსების გამოყენების თვალსაზრისით საინტერესოა 300-მდე მდინარე. დანარჩენის გამოყენება ენერგეტიკული მიზნებისათვის არაეფექტურია. ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსვლის მიზნით საჭიროა დიდი და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

საქართველოში ამჟამად მოქმედებს 30-მდე მცირე ჰესი, სადაც გამომუშაედება 70-80 მლნ კეც/სთ ელექტროენერგია. აღსადგენია 10 მცირე ჰესი, რომელთა ექსპლუატაციის შემთხვევაში საქართველოს ენერგოსისგემას კიდევ ერთი ამდენი მიემატება.

პერსპექტიული ენერგორესურსებია *თერმული წყლები*, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიის 1/3-ზე. მათი გამოყენება ეფექტურია კომუნალურ მეურნეობასა და ენერგეტიკაში, სოფლის მეურნეობასა და რეკრეაციაში. თერმული წყლების მარაგია 250 მლნ მ³, ტემპერატურა 50-110°C. მიწისქვეშა თერმული წყლები მიეკუთვნება ალდგენად ბუნებრივ რესურსთა ჯგუფს. მისი გამოყენება დამოგავეს 1,5 მლნ ტონა პირობით სათბობს. პროგნოზული ღებიგია 0,5 მლნ მ³/ღღე-ღამეში, მოპოვების სიღრმე კი - 2000-3000 მეტრი. თერმული წყლები ექსპლუატაციამა მათათაშორის ბარის მთელ რიგ რაიონში (სამეგრელო, შიღა ქართლი, კახეთი). პერსპექტიულია სამცხე-ჯაეახეთი, საღაც მისი მრავალი გამოსასეულია აღრიეხული. აქაური წყლების უმრავლესობა შეიეცავს მიკროელემენტებს: იოდს, ბრომს, ბორს. მათ დიდი სამკურნალო თეისებები აქეთ. საქართველოს თერმული წყლების უმრავლესობა თითქმის მტკნარი და სუსტად მინერალიზებულია, რაც მრდის მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას. თერმული წყლის გამოყენების განსაკუთრებით დიდი პერსპექტიეებია სასათბურე (ლიმონარიუმები) მეურნეობაში.

თერმული წყლების მნიშვნელოვანი საბადოების რეგიონული მახასიათებლები:

1. სამეგრელოს - 120 ათასი მ³/ღღე-ღამეში - t-90-100°;
2. კოლხეთის - 100 ათასი მ³/ღღე-ღამეში - t-80-100°;
3. თბილისის - 100 ათასი მ³/ღღე-ღამეში - t-60-90°;

მოქმედი საბადოები:

1. ლაგოღების - 5 ათასი მ³/ღღე-ღამეში - t-52°

2. ყვარლის – 4 ათასი მ³/დღე-ღამეში – 1-46°
3. ბიის (ხობი) – 3 ათასი მ³/დღე-ღამეში – 1-82°
4. ოხურეის (ოჩამჩირე) – 6 ათასი მ³/დღე-ღამეში – 1-100°
5. კინდლის (ოჩამჩირე) – 2,4 ათასი მ³/დღე-ღამეში – 1-100°

პელიორესურსებით მდიდარია მესხეთ-ჭაქვახეთი, აღმოსავლეთი საქართველო და დასავლეთ კავკასიონის მაღალმთიანეთი.

პელიორესურსები ეკოლოგიურად სუფთა, თუმცა ძვირად ღირებული ენერჯის წყაროა. მის მისაღებად დიდი გერიტორიაა საჭირო. მაგალითად, იმისათვის რომ დაკმაყოფილდეს საქართველოს მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე, საჭირო იქნება 140 კმ² პელიოსადგურებით დაფარული ფართობი. მზის ნათების მაქსიმუმი (2633 საათი) აღრიცხულია სოფ. როდიონოეკაში (ნინოწმინდის რ-ნი), აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში; მინიმუმი (1147 სთ/წელიწადში) – საირმეში. პელიორესურსების გამოყენების ეფექტურობას ამცირებს ღრუბლიანობა, ჰაერის მკერძიანობა, სეზონურობა, დღე-ღამის მონაცვლეობა. ამის გამოა, რომ პელიორენერჯის მისაღებად (180-230 კვტ.სთ/მ²-ზე) ყველაზე ხელსაყრელი ადგილებია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს არაერთ რეგიონში, აგრეთვე კავკასიონის მაღალმთიანეთში, ზ.ღ. 3000 მეტრზე მაღლა. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების თანამედროვე მასშტაბები და ზრდის გენდენცია გვარწმუნებს, რომ XXI საუკუნის პირველ მესამედში საქართველოს ყოველწლიურად დასჭირდება 6-7 მლნ ტონა პირობითი მინერალური საწვავი, პელიორესურსების ეფექტური გამოყენება კი მისი ერთი მესამედის ეკონომიის საშუალებას იძლევა (საე-ხოერებელი ბინების გათბობა, რეკრეაციული ობიექტების მომსახურება, სა-სათბურე მეურნეობა და სხვ), რაც გარდა ეკონომიკური ეფექტიანობისა, სა-სათბურე მეურნეობა ქალაქებისა და კურორტების ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღებას.

ქარის ენერჯია ამოუწურავი ბუნებრივი რესურსია. ქარის ელექტრო-სადგურები იდგმება იქ, სადაც მისი საშუალოწლიური სიჩქარე აღემატება 3-4 მ/წმ-ს. ამგვარი ადგილები საქართველოში საკმაოაა და მისი სრულად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია მივიღოთ 4-5 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერჯია.

ქარის ენერჯიის ყველაზე მნიშვნელოვანი პოტენციით გამოირჩევა საქართველოს მთათაშორისი ბარი, მდინარეების: მტკერისა და რიონის ხეობები. კარგი პირობებია მთათაშორის ხეობებსა და ღია პლატოების მონაცვლეობის არეალებში. ქარის რესურსების მცირე მაჩვენებლებით ხასიათდება ღრმა ხეობები და მთათაშორისი ქვაბულები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ქარის ენერჯიის მიღება განსაკუთრებით ხელსაყრელია იმ ადგილებში (რიონის ხეობა ქ. ქუთაისთან, მტკერის ხეობა თბილისის შემოსასვლელში), სადაც ხშირია ისეთი დღეები, როცა ქარის სიჩქარე 15 მ/წმ-ს აღემატება. ამგვარ დღეთა რიცხვი ქუთაისში წელიწადში 88, ხოლო თბილისში – 132-ია. ასევე მაღალია ეს მაჩვენებელი მთებსა და

ულელტეხილებზე. მაგალითად, იგი ყაზბეგის მეტეოსადგურზე – 98-ია, ხოლო მთა საბუეთის მეტეოსადგურზე – 142.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქარის მაქსიმუმი მოდის ზამთარზე, ე.ი. მაშინ, როცა ყველაზე მეტი ენერჯიაა საჭირო. თუ მნიშვნელოვან ავილებზე მაჩვენებელს ($>3 \text{ მ/წ}$), რაც საჭიროა ქარის ელექტროძრავების ასამოქმედებად, აღმოჩნდება, რომ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში (მთათაშორისი ბარი, ჯაბახეთის გეგანი, ცხრაწყაროსა და მამისონის ულელტეხილები, მთა საბუეთის მილამოები) ნახევარი წლის განმავლობაში ქრის მაღალენერგეტიკური მნიშვნელობის ქარი.

ქარის ენერჯიის მიმღები მოწყობილობის უარყოფით თვისებად შეიძლება ჩაითვალოს: ლანდშაფტის გექნოგენური დამახინჯება, ხმაური და მაღალი ელექტრომაგნიტური სიხშირეები; დადებითად კი ის, რომ აქ გამოუმუშავებელი ელექტროენერჯია 2-3-ჯერ იაფია თბოელექტროსადგურში გამოუმუშავებულთან შედარებით.

ამემადა საქართველოში ქარის ენერჯიის მიღება და გამოყენება პრაქტიკულად არ ხდება. საეარაულოა, რომ მისი ეფექტური გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება 1-1,5 მლნ კვტ/სთ ელექტროენერჯიის მიღება, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს ენერჯეტიკას.

ტყის რესურსები

უახლოეს წარსულში საქართველოს ტყის რესურსების უდიდეს ნაწილს ვარემოს დაყვითი, ვარემოს აღმდგენი და სანიტარულ-ესთეტიკური ფუნქციები ჰქონდა მინიჭებული, რის გამოც საქართველოს ტყეები თითქმის პირვანდელი სახით იქნა შენარჩუნებული. მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიან ნიადაგებზე წარმოდგენილი ტყეები მიეკუთვნებოდა საქესპლუგაციო დანიშნულების რესურსს.

XX საუკუნის ბოლოს განვითარებულმა ენერჯეტიკულმა კრიზისმა ვითარება დიამეტრალურად შეცვალა. საქართველოში არ დარჩა რეგიონი, სადაც ტყის ექსპლუატაციას არ ჰქონდეს მტაცებლური ფორმა. ტყის მასივები ძირითადად ჯანსაღი და ესთეტიკურად მაღალეფექტური ხემცენარეების ხარჯზე მყირდებოდა. ხე-ტყის ექსპორტი ძირითადად აშერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში წარმოებდა.

საქართველოს ტერიტორიის 1/3-ზე მეტი ტყეებითაა დაფარული. აქ ერთსულ მოსახლეზე გაანგარიშებით 80 მ² ხე-ტყის ფიტომასა მოდის. ეს ერთერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მსოფლიოში, რის გამოც ტყეები სამართლიანად ითვლება მაღალეფექტურ ბუნებრივ რესურსად. აღსანიშნავია ის ვარემობაყ, რომ ჩვენს მემობლად არიან ქვეყნები, სადაც აღნიშნული რესურსის დიდი ღეფიციტია.

საქართველოს გყეების დაახლოებით ნახევარი სხედასხვა დაყეით (წყლის, ნიადაგის, გარემოს), ხოლო ერთი მეოთხელი გამაჯანსაღებულ, რეკრეაციულ და საგანმანათლებლო-სანაკრძალო ფუნქციებს ასრულებს.

გერიგორიის ნახევარზე მეტი გყითაა დაფარული გულრიფმის, სოხუმის, ბორჯომის, ქედის, შუახევისა და ხელვაჩაურის რაიონებში. გყეებით ყველაზე ღარიბია წალკის, ასპინძისა და სიღნაღის რაიონები (გერიგორიის 5-10%).

საქართველოში ნაკრძალთა უმრავლესობა გყის ფონდისა და ცალკეულ სახეობათა დაყეის მიზნითაცაა შექმნილი. მათგან განსაკუთრებული გყიანობით გამოირჩევა: აჯამეთის, ბორჯომის, კინგრიშის, ბიჭვინთა-მიუსერის, რიწისა და გუმისთის ნაკრძალები.

საქართველოში მერქნის მარაგი 434 მლნ მ³-ია. გყის ფიგომასის 27% მუქწიწვიანი მცენარეების მასაა (118 მლნ მ³), ძირითადი ნაწილი ფართოფოთლოვნებზე მოდის, ხოლო უმნიშვნელო - ბუჩქნარებზე. მერქნის საშუალო წლიური ნამაგი 4,5 მლნ მ³-ს შეადგენს.

საქართველოში გყის რესურსების მოხმარება რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. ესაა: ენერგეტიკა, მშენებლობა და ავეჯის მრეწველობა. თუ ათი წლის წინ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში შემისწილი 3%-ს შეადგენდა, ამჟამად ეს მაჩვენებელი 16%-ის გოლია.

მსოფლიოში სე-გყის ენერგეტიკულ რესურსად მოხმარება კვლავ რჩება მნიშვნელოვან პრობლემად. ცალკეული მონაცემებით, მსოფლიოში დამზადებული სე-გყის 80% გათბობისა და საყეების მოსამზადებლად გამოიყენება. ამის გამო, სულ უფრო და უფრო მაგულობს გყის „ენერგეტიკული პლანგაციების“ ფართობები. პლანგაციებში მოშენებული ერთგვარი ხემცენარეები საუკეთესოა ქაღალდის მრეწველობაშიც. მთელ რიგ ქვეყნებში „ენერგეტიკულ



პლანგაციებში“ მიღებული ფიგომასის გამოყენებამ ენერგეტიკაში 20-25%-ს მიაღწია. საქართველოში „ენერგეტიკული პლანგაციების“ გასაშენებლად არახელსაყრელი პირობებია (ცოგაა თავისუფალი და ნაყოფიერი მიწები).

საქართველოს ტყეები მდიდარია ისეთი ბუჩქნარებითა და სემცენარეებით, რომლის ნაყოფი ხასიათდება სხვადასხვაგვარი კეებითი და სამკურნალო თვისებებით, და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკურ ნედლეულად. მათი გადამამუშავებისა და გამოყენების მასშტაბები უმნიშვნელოა. ცნობილია, რომ ვიგამინებითა და სხვა კეებითი ღირებულებით ევლურად მზარდი ხილი რამდენჯერმე აღემატება მის კულტურულ სახეობას. განსაკუთრებული პერსპექტივებია მეფუტკრეობის განვითარებაში, რადგან საქართველოს ტყეებში საკმაოდაა ისეთი მცენარეულობა, რომელთაგან მაღალხარისხოვანი თაფლი მიიღება.

მწვანე ნარგაობა ფასდაუდებელია დიდი ქალაქების აგმოსფერული ჰაერის გაჯანსაღების საქმეში. იგი „ასუფთავებს“ მას მგერის, გამონაბოლქვისა და ხმაურისაგან. ჩვენი დედაქალაქი მწვანე საფარის სიმწირითაა ცნობილი. ამჟამინდელმა ენერგეტიკულმა კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. სულ რამდენიმე წლის წინ, თბილისში ერთ მცხოვრებზე ისედაც მცირე რაოდენობის – 9 მ² მწვანე ნარგაობა მოდიოდა (მოსკოეში 35 მ²). მწვანე ნარგაობების დიდი მასივებით გამოირჩევა ბოლნისი, დუშეთი, საგარეჯო, თეთრი წყარო, თიანეთი და სხვა ქალაქები. ამგვარ მასივებს, გარდა სანიტარული და დაცვითი ფუნქციისა, მნიშვნელოვანი რეკრეაციულ-საკურორტო დანიშნულებაც აქვს. ამის გამო, აქტუალურია საქართველოს კურორტების გარშემო მწვანე ნარგაობების შენარჩუნების პრობლემა. ტყე-პარკები მრდიან საქართველოს კურორტების რეკრეაციულ დანიშნულებას. საქართველოს კურორტებიდან გამწვანების ღონით გამოირჩევა: ვაგრა, ჯაფა, ბაკურიანი და ბორჯომი.

ტყის რესურსების გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა იქნეს აყვანილი. უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ ლანდშაფტისა და მასში არსებული ტყით დაკავებული ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოექცევა რესურსწარმოებით კატეგორიაში, დაშვებულ უნდა იქნეს ტყის ექსპლუატაცია. დანარჩენზე აუცილებლად უნდა განხორციელდეს აღდგენითი და დაცვითი ღონისძიებები.

საქართველოს ტყეები მდიდარია ხილ-კენკრითა და მცენარეთა თესლით (წიწკოვანი, ფართოფოთლოვანი, ბუჩქნარი), რომელთაც მაღალი საექსპორტო დანიშნულება აქვთ. განსაკუთრებით ფასეულია წიწკოვან მცენარეთა თესლი, რომელთაც დიდი ფარმაცევტული დანიშნულება აქვთ და ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში. საქართველოში ცალკეული ჯიშის მცენარეთა ათეულობით გონა თესლის მოპოვებაა შესაძლებელი.

ამჟამად სანიტარულ-ბიოლოგიური ღონისძიებების გატარება საჭიროა საქართველოს ტყეების ათეულობით ათას ჰექტარზე. ეს განსაკუთრებით ეხება ახალ ნარგაებს, რომელიც ნაკლებად მდგრადია გარემო პირობებისა და მცენარეთა დაავადებების მიმართ.

რეკრეაციული რესურსები

საქართველო გამოირჩევა ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებითა და შესაბამისად, ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების სიმდიდრით.

ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, უპირველეს ყოვლისა, აისახება ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაში. საქართველოში წარმოდგენილია ბარისა და მთის 52 ტიპის ლანდშაფტური ერთეული, ნოტიო სუბტროპიკულიდან დაწყებული – ნივალურით დამთავრებული. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მრავალფეროვნება შედარებით მცირე ფართობზეა, რაც ზრდის ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

საქართველოს ჰავა ზომიერი და კომფორტულია. მისთვის დამახასიათებელია ჰაერის ზომიერად მაღალი ტემპერატურა ზაფხულში და გრილი ზამთარი. აბსოლუტური სიმაღლის მაგებასთან ერთად ზაფხულის ტემპერატურა თანდათან კლებულობს და ამ პერიოდში საქართველოს მთებს მაღალი რეკრეაციული დანიშნულება ენიჭება. ბუნებრივ-რეკრეაციული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ზონა: ზღვის სანაპიროსა და მთის (500-დან 2000 მ-მდე). აქ თავმოყრილია კლიმატურ თუ ბალნეოლოგიურ კურორტთა უმრავლესობა. სწორედ აღნიშნულ ზონაშია წარმოდგენილი ფართოფოთლოვანი, შერეული და წიწვიანი ტყეები.

სამღეაო-კლიმატური კურორტებია: მწვანე კონსხი, მახინჯაური, ქობულეთი, ურეკი, ვაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი და სხვ. აღნიშნული კურორტები მაღალესთეტიკურია – აქ შეხამებულია მთისა და ზღვის ჰაერი, მდიდარი მცენარეულობა. დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის ბალნეოლოგიურ თვისებებსაც. მისი წყალი ნაკლები მარილიანობითა და დაბალი ტემპერატურით გამოირჩევა. ამის გამო იგი უფრო „კომფორტულია“ სუბტროპიკული თუ ტროპიკული სარტყლის სხვა ზღეებთან შედარებით. კურორტებისათვის უარყოფითად უნდა ჩაითვალოს საკურორტო სემონის გარკვეულ პერიოდში დასაუღლეთ საქართველოში ხშირი, გენიანი ტროპიკული ღვებები, რაც დიდი აორთქლებითა და მაღალი ტემპერატურითაა განპირობებული.

მეორე ზონაში, მ. დ. 500-2000 მეტრამდე თავმოყრილია საქართველოს ბალნეოლოგიური თუ კლიმატური კურორტების უდიდესი ნაწილი. ხშირ შემთხვევაში ეს კურორტები ორივე ფუნქციას ასრულებს, რაც ზრდის მათ რეკრეაციულ დანიშნულებას. ზოგიერთი მათგანი საყოველთაოდაა ცნობილი (ბორჯომი, წყალტუბო, აბასთუმანი, ბაკურიანი), მავრამ ამ ზონის კურორტთა უმრავლესობა ნაკლებადაა რეკლამირებული. თითქმის არაფერი იციან საზღვარგარეთ ისეთი მაღალსამკურნალო თვისებების მქონე წყლებისა და კურორტების შესახებ, როგორცაა: შოვი, უწერა, ციხისჯვარი, ნუნისი, მენჯი, ლებარდე, ლუგლა და სხვ. ამ თვალსაზრისით საქართველოს ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები პრაქტიკულად აუთვისებლად შეიძლება ჩაითვალოს. მომსახურების დაბალი დონისა და ცუდი ყოფითი პირობების გამო საქართველოს საკურორტო-რეკრეაციული ობიექტები თანდათან კარ-


გავენ საერთაშორისო მნიშვნელობას და ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურებით კმაყოფილდებიან.

საქართველოში წარმოდგენილია მსოფლიოში ცნობილი მინერალური წყლის თითქმის ყველა სახეობა და მათ უმრავლესობას მაღალ ესთეტიკურ ბუნებრივ გარემოში აქვს გამოსასვლელი.

რეკრეაციული ფუნქცია შეიძლება შეიძინოს საქართველოს ნაკრძალებ¹⁴ მაც. რომელთა უმრავლესობაში კარგადაა მენახული როგორც ესთეტიკური გარემო, ისე ბუნებრივი მრავალფეროვნება. ნაკრძალის გარდაქმნა ბუნებრივ პარკად (ნაციონალური პარკი) მას მოსახლეობის რეკრეაციული უზრუნველყოფისა და სავალუტო შემოსავლების წყაროდ აქცევს.

დიდი რეკრეაციული დანიშნულება აქვს ბუნებრივ წარმონაქმნებს. მათგან მნიშვნელოვანია მდინარეთა ხეობები და შედარებით იოლად დასაძლევ მწვერვალები. ისინი სამთო გურიზმის განვითარების საუკეთესო საშუალებაა, რომელიც ასე პოპულარულია ევროპაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მღვიმეების რეკრეაციული მიზნით გამოყენებას. საქართველო ცნობილია მათი მრავალსახეობითა და რაოდენობით. სპელეოგურიზმის ჯეროვან დონეზე განვითარებისათვის საქართველოში თითქმის არაფერია გაკეთებული, თუ არ ჩაეთვლით ახალი ათონის მღვიმის კეთილმოწყობას, რომელსაც ძირითადად საბჭოთა კავშირისათვის მოპქონდა შემოსავალი.



გელაური. სამთო-კლიმატური კურორტი

საელეოგურიზმისათვის განსაკუთრებულად ხელსაყრელი მდებარეობა აქვს წყალტუბოს მიდამოებში აღმოჩენილ მღვიმეს, რომლის მასშტაბები და ცნობილ კურორტთან სიახლოვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

ძალზე ეფექტური ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსია ბუნებრივი და უკლონური წყალსატევები. მათი უმრავლესობა გყიან და სუბალპურ ლანდშაფტებშია წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ მარგო რიწის ტბას ყოველწლიურად 1,5 მილიონი ტურისტი ათვალიერებდა. ამჟამად მნიშვნელოვან ტურისტულ-რეკრეაციულ ცენტრად ყალიბდება სიონისა და ქინვალის წყალსაცავების შემოგარენი. მნიშვნელოვანია „თბილისის ზღვის“ რეკრეაციული გამოყენების პერსპექტივებიც.

საქართველოში დიდი რებრეებია სპორტულ-სამონადირეო ტურიზმის განვითარების მხრივაც. მემობელი ქვეყნების შეძლებული მოსახლეობა დაინტერესებულია ამგვარი ფორმის რეკრეაციის განვითარებით. საქართველოში გამოჩნდნენ ფირმები, რომლებიც მონადირეთა დაინტერესების მიზნით გარეული ცხოველების მოშენებას მისდევენ.

ხელსაყრელი ვითარებაა საგბორე და საკალმახე მეურნეობებისა და შესაბამისად, თევზჭერის, როგორც რეკრეაციის ერთერთი ფორმის განვითარების მიმართულებით. საქართველოს არაერთი ტბა თუ წყალსაცავი მდიდარია პეირფასი სარეწაო მნიშვნელობის თევზით. იგივე შეიძლება ითქვას შავე ზღვის შელფურ ზოლზეც, სადაც უხეადაა სხეადასხეა ჯიშის და მაღალი საკეები დანიშნულების თევზი.

რეკრეაციულ რესურსებს ისტორიულ-კულტურული დანიშნულების ობიექტებიც მიეკუთვნება. საქართველო მდიდარია ამგვარი ძეგლებით, განსაკუთრებით შიდა ქართლი და მესხეთ-ჯაეახეთი.

უცხოელისათვის ძალზე მიმზიდველია საქართველოს ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება, თვითმყოფადი კულტურა და ხელოვნება, ადგილობრივი რეწეა და არქიტექტურა. ამ მხრივ საქართველოს ყველა რაიონი თავისუბურია, განსაკუთრებით გამოირჩევა კეკეასიონის მაღალმთიანეთი (სეანეთი, რაჭა, ხეესურეთი, თუშეთი და სხე).

ერთერთი მნიშვნელოვან რეკრეაციულ რესურსად შეიძლება ჩაითვალოს გრადიციული სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით კი მევენახეობა. შემოდგომის რთეელი, ღვინის ქარხნები და მათი სარდაფები, ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესები, ქართული მეღვინეობის გრადიციები და მრავალი სხეა, ყოველთვის იყო უცხოელ ტურისტთა დაინტერესების საგანი.

რეკრეაციული რესურსების ჯეროვანი გამოყენება საქართველოს მეურნეობის არაერთი დარგისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება ვახდეს.

საქართველოს მოსახლეობის გეობრაფია

საქართველო რთული ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანაა, სადაც დემოგრაფიული პროცესების თავისებურებანი, დროის კონკრეტულ პერიოდში, მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. მუდმივი შემოსევების, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად იცვლებოდა ქვეყნის გერიგორია, რაც თავის მხრივ მოსახლეობის რაოდენობასა და მის გერიგორიულ განსახლებაზე ახდენდა გავლენას.

ქვეყნის გადასარჩენად წარმოებულ მრავალსაუკუნოვან ომებში, ქართველი ერის მიერ შექმნილი სულიერი და მაგერიალური კულტურის მრავალ ძეგლთან ერთად, განადგურდა ძველი სიგელ-გუჯრები და მოსახლეობის აღწერის დაეთრები. აღნიშნული მიზეზის გამო, XIX საუკუნემდე, სტატისტიკურ-დემოგრაფიული სახის დოკუმენტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მუსგად დაგვედგინა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა და სხვა დემოგრაფიული პარამეტრი, მეგად ურავმენტული და არასანდოა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის აღწერის გარკვეული გრადიფია არსებობდა. „სუმბაგ დავითის ძის ქრონიკაში“ აღნიშნულია, რომ საქართველოში VII საუკუნის პირველ ნახევარში, სგეფანობის მეფობის ხანაში ჩატარებულა ქართლის მოსახლეობის აღწერა.

XIII საუკუნის საქართველოს მოსახლეობის შესახებ შედარებით სარწმუნო ცნობები მოგვეპოვება. კერძოდ, 1254 წელს მონღოლთა ვეზირმა არღუნმა აღწერა საქართველოს მცხოვრებნი. აღნიშნულ ღონისძიებას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა – სამხედრო და ფისკალური. აღწერის დაეთარში შექქონდათ ცნობები მოსახლეობისა და მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. აღწერის მიხედვით მონღოლთა სელისუფლებამ დაადგინა, რომ საქართველოს ბრძოლის ველზე, ცხრა სრულფუძიანი კომლიდან ერთი მოლაშქრე უნდა გამოეყვანა. იმ პერიოდში საქართველო ვალდებული იყო მონღოლთათვის ყოველწლიურად 90 ათასი მოლაშქრე მიეცა.

აღწერის მასალებზე დაყრდნობით ივ.ჯავახიშვილმა გაინგარიშა იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა. „90 ათასი მოლაშქრე, მამინდელ საქართველოს სამეფოში 810 ათას სრულფუძიან მოსახლეს კომლს გვაგულსხმეიენებს. კომლზე 5 სულის ვარაუდით, იმდროინდელ საქართველოს სახელმწიფოში, სულ ეოგა 4050000 ორივე სქესის მცხოვრები უნდა ვიანგარიშოთ, ხოლო რაკი 90 ათასი მოლაშქრის ვარაუდი იმ პრინციპზე იყო დამყარებული, რომ ხალხის აღწერის დაეთარში შეგანილი უნდა ყოფილიყო მამრობითი სქესის მოსახლეობა 15 წლიდან მოყოლებული 60 წლამდე, მათზე უმცროსი და მათზე უფროსებიც კი დაეთარში არ შექქონდათ. ამ მიზეზის გამო შესაძლებელია ითქვას, რომ მამინდელ საქართველოს სამეფოში სულ 5 მილიონამდე მცხოვრები მაინც უნდა ყოფილიყო. ამ რიცხვში, რასაკვირველია მარგო ქართველები არ შედიოდნენ, არამედ სხვა ერო-

ნების წარმომადგენლებიც, რომელნიც საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ“.

მოსახლეობის აღწერის დათრების არსებობა დასტურდება ერეკლე I-ის მიერ 1689 წელს გაცემული სიგელიდანაც, რომლის მიხედვითაც ქართლის სამეფოს ოთხი სადროშოს თითოეულ სარდალს ყოველ 7 წელიწადში ერთხელ ევალებოდა სადროშოს მოსახლეობის აღწერა. ეახტანგ VI-ის მეუობის ხანაში, აღწერის შედეგებით სტაგისტიკურ-დემოგრაფიული ცნობების მოპოვების გარკვეული გრაფიკა უკვე არსებობდა. 1721 წელს ეახტანგ VI-ის ბრძანებით ქართლის ოთხ სადროშოში ჩატარებულა მოსახლეობის აღწერა, მაგრამ ყაშთა სიახის გამო ჩვენამდე მხოლოდ ვახუშტის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა შეწინავე სადროშოს აღწერის დაეთარმა მოაღწია.

აღნიშნული ღონისძიება, იმკამად დაშვიდრებული გრაფიკის მიხედვით, ლაშქარში გასაყვანი და ბეგარის გადამხლელი მოსახლეობის რაოდენობის დადგენას ისახავდა მიზნად. აღწერის მასალებში აღწერისთვის იყო ის კომლი, რომელიც ქერიეი ქალისა და მცირეწლოვანი ბავშვებისაგან შედგებოდა. მსგავსი ოჯახები კი იმდროინდელ საქართველოში და განსაკუთრებით კი ქვემო ქართლში იშვიათობას არ წარმოადგენდა. აღწერის მიზნებიდან გამომდინარე მხოლოდ მოლაშქრე მამაკაცები აღირიცხებოდნენ. ხოლო მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილი (თეადაბნაურობა, სამღვდელთობა და სხვ.), რომელიც არ იბეგრებოდა ვადასახადით, საერთოდ არ შეიყავდათ დაეთარში.

ფეოდალური პერიოდის საქართველოში, მღვდელ-მთავრები და ფეოდალები თაყიანთი ინტერესებიდან გამომდინარე (რათა შეემსუბუქებინათ სახელმწიფოს წინაშე თაყიანთი ვალდებულებანი) ცდილობდნენ მათი კუთვნილი ყმების რაოდენობის დამალვას, მიუხედავად იმისა, რომ კანონით ეს მკაცრად იყო აკრძალული. აღნიშნული პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა, რამედაც 1715 წელს რუსის ეპარქიის ეპისკოპოსის ნიკოლოზ მროველის მიერ აღწერის მასალების ბოლოს დართული გვესტყვებოდა: „ამ სამწყსოს დაეთარს მეფის მოსაქმეს ნურავის აჩვენებთ. კოდის პურსა და საურმე ქვეყანას გარჯიან და მე არ მიჯობს“.

განხილული ფაქტებიდან გამომდინარე, აღწერებით მიღებული მასალები ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას იმკამინდელი საქართველოს მოსახლეობის მუსტ რაოდენობაზე. XVIII საუკუნის შემორჩენილ ისტორიულ დოკუმენტებს შორის, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს მოსახლეობის შესახებ, აღსანიშნავია ამ საუკუნის პირველ ათწლეულებში ჩატარებული ვორის და 1774 წლის ქსნის ხეობის მცხოვრებთა აღწერა, 1781 წლის არაგვის ხეობის მოსახლეობის აღწერა, კახეთის ხალხის აღწერის დაეთარი (რომელიც აღნიშნული საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება) და 1781 – 1782 წლის თბილისის მცხოვრებთა აღწერა.

საქართველოს მოსახლეობის შესახებ არსებულ ისტორიულ მასალებს შორის, შედარებით მუსტ ინფორმაციულ წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ქართლ-კახეთის სამეფოს 1770 წლის 5 აპრილით დათარიღებული დემოგრაფიული

ნუსხა. აღნიშნულ ისტორიულ ცნობაზე დაყრდნობით ქართლ-კახეთის სამეფოს მცხოვრებთა რაოდენობა (დღევანდელი საქართველოს ფარგლებში) 227 ათასით განისაზღვრა.

XVIII საუკუნის საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების მოსახლეობის შესახებ ცნობები დაგვიტოვეს ე. გურნფორმა (საქართველოში იმოგზაურა 1702 წ), ი. გიულდენშტედტმა (1771-1772 წ), ი. რაინესმა (1781 წ), პ. ბუტკოვმა (XVIII საუკუნის დასასრული) და სხვებმა. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ ავტორთა ნაშრომებში მოგანილი მოსახლეობის რაოდენობრივი მანიშნებლები მხოლოდ მიახლოებით წარმოდგენას იძლევა იმჟამინდელ დემოგრაფიულ სიტუაციაზე.

მოსახლეობის რაოდენობა და ღინამიკა

მოსახლეობის რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორები. მოსახლეობა ზოგადი ვაგებით, განსაზღვრულ გერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობაა, რომელსაც აღწარმოება და განვითარება ახასიათებს.

მოსახლეობის რაოდენობრივ ცვლილებებს უმეტესწილად ბუნებრივი მოძრაობა განსაზღვრავს, რაც შობადობის, სიკვდილიანობისა და სხვა დემოგრაფიული პროცესების ერთობლიობას გულისხმობს.

მოსახლეობის რაოდენობა კაცობრიობის დასაბამიდან თანდათან იზრდებოდა, თუმცა ეს ზრდა სწრაფად არ ხდებოდა. იგი განსაკუთრებით დაჩქარდა XX საუკუნის II ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც მთელ მსოფლიოში მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობა. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზეც, სადაც მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა სწორედ II მსოფლიო ომის შემდეგ აღინიშნა. ომები და მიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური ვითარება ხშირად საგრძნობლად ცვლიდა მოსახლეობის რაოდენობას. მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა I მსოფლიო ომის პერიოდში (1914-1920 წლებში) დაახლოებით 200 ათასი კაცით, II მსოფლიო ომის წლებში (1939-1945) კი - 300 ათასამდე კაცით.

ამა თუ იმ რევიონში მოსახლეობის რაოდენობაზე გავლენას ახდენს ბუნებრივი სტიქიური მოვლენებიც: მიწისძვრა, წყალდიდობა, მეაფი, მეწყერი და სხვ მაგალითად, 1988-1991 წლებში შემო სეანეთსა და შიდა აჭარაში მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადასახლდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

მოსახლეობის რაოდენობის ღინამიკა. საუკუნეების მანძილზე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ხან იზრდებოდა, ხან კი მცირდებოდა. ცხადია, ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში ქვეყანა აღმავლობას განიცდიდა, იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობაც. XII საუკუნე საქართველოსათვის აღმავლობის ხანა იყო. ამ დროს მცხოვრებთა რაოდენობამ 5 მლნ-ს მიაღწია. XIII საუკუნის II ნახევრიდან კი, უცხო გომთა

გამუშავებული იარემის გამო, მოსახლეობის რაოდენობა თანდათან კლებულობს, რაც კატასტროფულ სახეს იღებს გვიან შუა საუკუნეებში, მაშინ როცა საქართველო ირანისა და ოსმალეთის ომების ასპარეზად იქცა. 1801 წლისათვის, საქართველოს რუსეთთან შეერთების წინ, ქართულ სამეფო-სამთავროებში მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ 785 ათასი კაცით განისაზღვრებოდა, ე.ი. XII საუკუნესთან შედარებით ნ-ჯერ ნაკლები იყო. ჩვენი ქვეყნის ისტორიის მანძილზე სწორედ ამ პერიოდში აღინიშნა საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მცირე რაოდენობა.


მოსახლეობის კელაქწარმოების თვალსაზრისით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და მე-19 საუკუნის დასაწყისში გლობალური ცვლილებები მოხდა, კერძოდ, მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური დონის საგრძნობმა გაუმჯობესებამ და XVIII საუკუნის ბოლოს საიმედო სამედიცინო პრეპარატების შექმნამ შეაძვირა სიკვდილიანობის გამომწვევი მასობრივი ინფექციური დაავადებების – ყეაილის, მალარიის, ქოლერისა და სხვათა გავრცელება. აღნიშნული პერიოდი, რომელიც პირველად ევროპის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში შეინიშნეს, დემოგრაფიული გადასვლითაა ცნობილი, რაც მოსახლეობის კელაქწარმოების თანამედროვე ტიპზე გადასვლის ტოლფასია.

მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების გლობალურმა ხასიათმა, ცხადია, საქართველოც მოიცვა. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს მოსახლეობის გამრავლებისათვის სხვა თვალსაზრისითაც შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. უმთავრესად ივლისსმება გარემომცველ მუსულმანურ სამყაროსთან პერმანენტული ომების დასასრული. თანდათანობით უშუაბესდებოდა სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც. აღნიშნული ფაქტორები დადებით გავლენას ახდენდა მოსახლეობის მაგებაზე.

1832-1865 წლებში საქართველოს მოსახლეობა 397,1 ათასი მცხოვრებით გაიზარდა და 1289,2 ათასს მიაღწია. აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის საშუალო წლიური მაგება 1,12%-ს შეადგენდა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო განვილილ ათწლეულებთან შედარებით. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნის მიწურულს (1897 წ.) 2109,5 ათასი კაცი იყო (იზღროინდელ ადმინისტრაციულ ფარგლებში).

XX საუკუნის პირველი მეოთხედის პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა შეანელა მოსახლეობის მაგების ტემპი. 1926 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობამ 2677,2 ათასი შეადგინა.

მოსახლეობის მაგების განსაკუთრებული ტემპებით ხასიათდებოდა 1926-1939 წლები, რასაც შობადობის მაღალ მაჩვენებელთან ერთად, გარე მიგრაციული დადებითი სალდოც უწყობდა ხელს. აღნიშნულ ათწლეულში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 862,8 ათასით გაიზარდა, საშუალო წლიურმა მაგებამ კი 2,36% შეადგინა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობის წილი, მან 7,9 პუნქტით მოიმაგა და მისმა წილმა 30,1% შეადგინა.



საქართველოს მოსახლეობის დინამიკა 1897-1997 წლებში

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რომელმაც უდიდესი დემოგრაფიული დანაკარგები მოუტანა საქართველოს (დაახლოებით 300 ათასი ადამიანი ვერ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან), მოსახლეობის მაგება საკმაოდ მაღალი ტემპით ხასიათდებოდა. აღსანიშნავია, რომ 50-იან წლებში მოსახლეობის მაგება უმთავრესად შობადობის ხარჯზე მიმდინარეობდა.

XX საუკუნის 60-იან წლებამდე საქართველოს მოსახლეობაში შენარჩუნებული იყო შობადობის მაღალი მაჩვენებელი – ყოველ 1000 მცხოვრებზე იბადებოდა 24 ბავშვი. 60-იანი წლებიდან ეს მაჩვენებელი 17-მდე შემცირდა. კლების ტენდენცია შემდგომშიც გავრცელდა. ვარდა ამისა, ემიგრანტთა რაოდენობა აღემატებოდა იმიგრანტთა რაოდენობას (მანამდე კი, შემოსულთა რაოდენობა სჭარბობდა ვასულთ). ამ პროცესების გამო საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპი შენედა, თუმცა ბუნებრივი მაგება მაინც საგრძნობლად სჭარბობდა მექანიკურ კლებას.

XX საუკუნის 60-იანი წლების საქართველო შობადობის თანდათანობითი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. თუ 50-იან წლებში მოსახლეობის საშუალო წლიური მაგება 1,63%-ს შეადგენდა, მომდევნო ათწლეულში იგი 1,35%-მდე შემცირდა. კლების პროცესი შემდგომ ათწლეულშიაც გრძელდებოდა. ამგვარი ვითარება განპირობებული იყო იმიითაც, რომ საქორწინო ასაკში შევიდა II მსოფლიო ომის პერიოდში დაბადებულთა თაობა, რომლის რაოდენობაც მცირე იყო (ომის პერიოდში შობადობის კლების გამო).

XX საუკუნის 80-იან წლებში, ერთგვარად გაუქოხტესდა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. აღნიშნულ მოვლენას კი შობადობის მაგება უნდა გამოეწვია. მიუხედავად ამისა, დაქორწინებულთა ყოველ წყვილზე საშუალოდ სულ უფრო და უფრო ნაკლები ბავშვი მოდიოდა, რაც როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური პროცესებით აიხსნება. მათ შორისაა ისეთი მსოფლიურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორცია ურბანიზაცია, ქალთა მასობრივი ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში, განათლების დონის ზრდა და ა.შ. ყოველივე მემო აღნიშნული კი უარყოფითად მოქმედებს შობადობის მაგებაზე.

1989 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 5443 ათასს მიაღწია. 90-იან წლებში საქართველოში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკო-

ნომიკურმა მდგომარეობამ კავალიზაგორის როლი შეასრულა დემოგრაფიული სიგუაისის შექვეთრად გაუარესებაში. საგრძნობლად დაიკლო შობადობამ, ფართო მასშტაბებს მიაღწია გარე მიგრაციულმა პროცესებმა (ემიგრაციამ), რასაც ბუნებრივია, მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის კლება. 1998 წლისათვის იგი, იალკეულ უქსაერგთა შეფასებით, 5,438 ათას კაცამდე შემცირდა, ე.ი. 9 წლის მანძილზე - 5 ათასი კაცით.

სამწუხაროდ, საქართველოში 1999 წელს ვერ ჩაგარდა მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგების ანალიზიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნიდა XX საუკუნის ბოლო წლების საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასა და დემოგრაფიულ პროცესებზე.

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა განსხეაეებულია რეგიონების მიხედვით. გარდა XX საუკუნის ბოლო ათწლეულისა, მაქსიმალური მაგება აღინიშნებოდა დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით ქ. თბილისში, რაც განპირობებულ იყო მოსახლეობის მექანიკური მაგებით. მაგება ასევე აღინიშნება აჭარასა და ქვემო ქართლში, რაც გამოწვეულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი მაღალი ბუნებრივი მაგებით. ქვემო ქართლში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქ. რუსთავის ფაქტორმაყ.

რესპუბლიკის სხვა რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელოდ შეიცვალა, ზოგან კი, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთში შემცირდა კიდევ. ამ რეგიონებს მასობრივად გოეებს ახალგაზრდობა, რაც იწვევს მოსახლეობის რაოდენობის თვალნათლივ კლებას.



ქ. სოხუმი

მოსახლეობის განსახლება და სიმჭიდროვე

მოსახლეობის განსახლების ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. საზოგადოების არსებობის ადრეულ პერიოდში მოსახლეობის განსახლებას განაპირობებდა გეოგრაფიული გარემო. განვითარების შემდგომ ეტაპებზე კი სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს.

საქართველოს გერიტორია უძველესი დროიდანაა დასახლებული, ენაიდან მისი ნიადაგურ-კლიმატური თავისებურებანი ადამიანის განსახლების კარგი წინაპირობა იყო. ანტიკურ და ფეოდალურ ხანაში ადამიანთა განსახლების ძირითადი კერები თავმოყრილი იყო მდინარეების გასწვრივ და ზღვის სანაპიროზე – იქ, სადაც წარმოდგენილი იყო ნაყოფიერი ნიადაგები, წყლის რესურსები და სადაც გადიოდა საქარავენო – სავაჭრო გზები.

ევროპის ქვეყნებთან შედარებით საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობები მოგვიანებით ჩაისახა. ეს ნაწილობრივ განაპირობა როგორც ბუნებრივმა, ისე სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა. კერძოდ, არახელსაყრელმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ, ცალკეული სახეობის ბუნებრივი რესურსების (უმთავერესად საწვავის, რკინის მადნის) სიღარიბემ და ცუდმა კომუნიკაციურმა საშუალებებმა. მართალია, მოსახლეობა სოფლიდან ქალაქისაკენ გადაადგილდებოდა, მაგრამ არა ისეთი მასშტაბით, როგორც იმდროინდელი ევროპის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, შიდამიგრაციული პროცესი: „სოფელი – ქალაქი“ მაინც მკაფიოდ იყო გამოსატყულები. მოსახლეობა მიისწრაფოდა ახლად შექმნილი კაპიტალისტური საწარმოებისაკენ, ქალაქებისაკენ. შეიქცა მოსახლეობის განსახლების არეალი, გაიზარდა ბარის მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე.

ამჟამად მინჩეულია, რომ მოსახლეობის განსახლებაზე გადამწყვეტად მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უგულებელყოფილია ბუნებრივი პირობების როლი. სწორედ ბუნებრივმა ფაქტორებმა განსაზღვრა დასაქველეთ და აღმოსაქველეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის განსახლების არეალების ნაირგვარობა. აღმოსაქველეთ საქართველოში, მიუხედავად მიწის მაღალი მოსაქველიანობისა, წყლის დეფიციტის გამო, მოსახლეობა უფრო კომპაქტურად წყლით უზრუნველყოფილ გერიტორიებზე სახლობდა. განსხვავებული სურათია დასაქველეთ საქართველოში. აქ ნაყოფიერი ნიადაგები ფრამენგულადაა წარმოდგენილი, ამიტომ მოსახლეობაც უფრო გაფანტულად სახლობს.

მთიან რეგიონებში მოსახლეობა კიდევ უფრო დიფერენცირებულად სახლობს, ენაიდან აქ კიდევ უფრო მცირე ფართობებზეა წარმოდგენილი დამუშავებისათვის ვარგისი მიწები. მიუხედავად იმისა, რომ მთის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს მეცხოველეობას, სასოფლო განსახლებები მაინც დამუშავებისათვის ვარგისი მიწებზეა წარმოდგენილი.

მოსახლეობის განსახლება. საქართველოს გერიტორიის უდიდესი ნაწილი მთავორიანია, ბუნებრივი პირობები იცელება აბსოლუტური სიმაღლის

მაგებასთან ერთად, რაც გაეყენას ახდენს მოსახლეობის გერიგორიულ განაწილებაზე.

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (88%) განსახლებულია შიათაშორის ბარში. აქ მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა 150-200 კაცი 1 კვ კილომეტრზე. თუმცა გვხვდება ერცელი დასახლებული გერიგორიებიც – კოლხეთის ჭარბგენიანი უბნები, ლიხისა და ვომბორის ქედების კალთები, იერის გენის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, მამთრის საძოვრები ქვემო ქართლსა და კახეთში.

ადგილის სიმალის მაგებასთან ერთად კავკასიონის ფარგლებში მოსახლეობის სიმჭიდროვე მცირდება (საშუალოდ 5-7 კაცი 1 კვ.მ-ზე). მ.დ. 2200 მ-ის შემოთ საქართველოს გერიგორიაზე მუდმივი დასახლებანი აღარ გვხვდება. სრულიად განსხვავებული სურათია საქართველოს სამხრეთ მთიანეთში, სადაც ადგილის სიმალის ზრდასთან ერთად მოსახლეობის სიმჭიდროვე (გარკვეულ სიმალღემღე) ჭერ მაგულობს, ხოლო შემღეღ ისეე მცირდება. ამკეარი ვითარება განპირობებულია იმით, რომ საქართველოს სამხრეთი მთიანეთზე, მ.დ. 1400-2000 მ სიმალღეზე განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ძალღე ხელსაყრელი გეგნები და ქვაბულები (ჯაეახეთის პღაგო, წალკის პღაგო, ახალციხის ქვაბული). ვაკე რელიეფის პირობებში მოსახლეობა უფრო მჭიდროღაა დასახლებული, ვიდრე შეღარებით დაბალი სიმალღის მქონე მთის კალთებზე (თრიაღეთისა და მესხეთის ქედები).

კავკასიონის მთიანეთი მქნხერაღაა დასახლებული. აქ საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოღენობის მხოლოდ 4% ცხოვრობს. მოსახლეობა გაფანტულად ცხოვრობს მღინარეთა ხეობების ვასწერიე ან მის მოსამღერე უფრღობებზე. მ.დ. 1500-1600 მ-ის შემოთ ხეობები ვიწროვდება და მთის კალთები უფრო ციცაბო ხდება (მკაცრია კღიმაგური პირობებიც). ამის ვამო კიღეე უფრო მცირდება მოსახლეობის სიმჭიდროვე. მ. დ. 2000 მ-ის შემოთ კი მხოლოდ რამღენიმეკომღიანი დასახლებებიღა წარმოღგენიღი. თუმცა სასოფლო-სამეურნეო საეარგულების ფართობი (საძოვრების ხარჯზე) აქ უფრო მეგია, ვიდრე საშუალო მთებში.

მაღალმთიანი რელიეფი განაპირობებს მოსახლეობის სიმჭიდროვის მცირე მაჩვენებლებს. მაგალითად, სეანეთში კეაღრაგულ კილომეტრზე 16-ჯერ ნაკლები კაცი ცხოვრობს, ვიდრე იმერეთში და 11-ჯერ ნაკლები, ვიდრე

მოსახლეობის განაწილება ადგილის სიმალის მიხედვით

სიმალღე მ.დ. მეტრი	გერიგორიის ფართობი %	მოსახლეობის რაოღენობა, %
0-800	38,2	86,3
800-1200	15,6	7,4
1200-1800	20,7	5,1
1800-2000	15,9	1,2
>2000	9,6	-

შიდა ქართლში. არის გამონაკლისიც. მაგალითად აქარისათვის, სადაც მაღალია შობადობა, დამახასიათებელია მაღალი სიმჭიდროვეც. აქ 1 კვ. მეტრზე საშუალოდ 140 კაცი ცხოვრობს, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი სეანეთში 6 კაცია.


მოსახლეობის სიმჭიდროვე. საქართველოს მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა 77,8 კაცი 1 კვ.მ-ზე. ამ მონაცემით დსთ-ს სახელმწიფოებს შორის იგი ჩამორჩება უკრაინას, მოლდოვასა და სომხეთს. უკანასკნელ წლებში მას თითქმის გაუტოლდა აზერბაიჯანი. ევროპის სახელმწიფოებიდან ამ მაჩვენებლით საქართველოს ჩამორჩება ირლანდია, შვედეთი, ნორვეგია და ფინეთი. ხოლო საბერძნეთსა და ესპანეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე თითქმის ისეთივეა, როგორც საქართველოში. საქართველო უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ვიდრე მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები – თურქეთი, ირანი, სირია, ერაყი და სხვ.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე არ იძლევა განსახლებაზე სრულყოფილ, რეალურ წარმოდგენას, ამიტომ სშირად მიმართავენ სხვა მაჩვენებლებსაც. კერძოდ, სიმჭიდროვეს განიხილავენ დასახლებული ტერიტორიების, განსახლების მთავარი ზოლისა და დამუშავებისათვის ეარგისი მიწების მიხედვით. თუმცა საკამათოა საკითხი თუ რა იგულისხმება დასახლებულ ტერიტორიაში, შიაკუთვნონ თუ არა მას სათიბები და საძოვრები და სხვ.

საყოველთაოდ მიღებული აზრით, დასახლებულ ტერიტორიად უნდა მივიჩნიოთ ის მიწები, რომლებიც აქტიურ სამეურნეო ბრუნვაშია მოქცეული (დასახლებული პუნქტები, დამუშავებაში მყოფი ფარსობები და სოფლისპირა სათიბ-საძოვრები), აგრეთვე წიაღისეულის მოპოვებისა და ხე-ტყის დამზადების ადგილები. ამრიგად, დასახლებულ ტერიტორიას არ მიეკუთვნება სკონური სათიბ-საძოვრები. თუკი ამ კუთხით განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის განსახლებას, დაინახავთ, რომ საშუალო სიმჭიდროვესთან შედარებით ეს მაჩვენებელი 3-ჯერ უფრო მეტია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამგვარი მიდგომის შემთხვევაში მოსახლეობის სიმჭიდროვე დასახლებული ფართობების მიხედვით არ არის განსხვავებული მთისა და ბარისათვის. ეს განპირობებულია იმით, რომ ბარში დიდია დასახლებული ტერიტორიის ფართობი.

საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე დასამუშავებლად ეარგის მიწებზე მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით ხასიათდება. აქ ტერიტორიის ერთეულზე 5-ჯერ მეტი მცხოვრებია, ვიდრე პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. სწორედ მცირემიწიანობა განსაზღვრავს რთულ დემოგრაფიულ ვითარებას საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში. მჭიდროდ დასახლებული სოფელი, როგორც წესი, თანდათან „კარგავს“ მოსახლეობას, ე. ი. მიმდინარეობს დეპოპულაცია. იმის გამო, რომ მთაში მცირეა დასამუშავებლად ეარგისი მიწები, მოსახლეობის სიმჭიდროვე დასახლებული ტერიტორიების მიხედვით აქ უფრო მეტია, ვიდრე ბარში. თუმცა მთაში ეარგისი მიწების ერთგვარი „კომპენსაცია“ ხდება სათიბ-საძოვრებით.

საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვე





მესტია

საქართველოში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე დასამუშაებლად ვარგისი მიწების მიხედვით 400-500 კაცს შეადგენს I კეკმ-ზე. მაღალშემოსავლიანი კულტურების (ჩაის, ციგრუსის, ვაშის, ხეხილის) გაყვრელების არეალებში ეს მონაკეში კიდევ უფრო მეტია და ზოგან 700 კაცსაც კი აღწევს.

მოსახლეობის სიმჭიდროვის დინამიკა. მოსახლეობის სიმჭიდროვე მნიშვნელოვნად იცვლებოდა. განვითარებულ ფეოდალურ ხანაში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები საკმაოდ კომპაქტურად იყო დასახლებული. ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რეგიონი იყო ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი, რომლის უდიდესი ნაწილი დღეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ – თურქეთშია. მოქცეული.

XIII-XVIII საუკუნეებში შემცირდა საქართველოს მოსახლეობის როგორც რაოდენობა, ისე მისი სიმჭიდროვე. 1800 წლისათვის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე მხოლოდ 11,2 კაცი იყო. XIX საუკუნიდან კი ეს მაჩვენებელი თანდათან მაგულობს. 1982 წლისათვის მან 73,1 კაცს მიაღწია.

ისტორიულად მოსახლეობის სიმჭიდროვე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განსხვავებული იყო. დღევანდელთან შედარებით უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული დასავლეთი საქართველო. 1897 წლისათვის I კეკმ-ზე აქ 31,1 კაცი მოდიოდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 24,7 კაცი. შემდგომ წლებში აღინიშნა მოსახლეობის მიგრაცია დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში (რაც განაპირობა ქალაქების თბილისისა და რუსთაის აღმოსავლეთში მდებარეობამ და იმ ფაქტორმა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდაა დასამუშაებლად ვარგისი მიწები). უკვე 1979 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე დასავლეთთან შედარებით უფრო მეტი იყო (73,8 და 70,1 კაცი შესაბამისად).

ამრიგად, მოსახლეობის გადაადგილება საქართველოს ტერიტორიაზე ხელს კი არ უწყობდა მის თანაბარ განაწილებას, არამედ პირიქით, აღრმავებდა სხვაობას როგორც რეგიონებს, ასევე მთასა და ბარს შორის.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა

პირველი ცნობა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ, მხოლოდ თბილისის მოსახლეობას შეეხება და XIX საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება. მოცემულ ცნობაზე დაყრდნობით თბილისში შობადობა ყოველ ათას კაცზე 40-ს შეადგენდა, სიკვდილიანობა 25-ს, ბუნებრივი მაგება კი შესაბამისად – 15-ს.

XIX საუკუნის საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის პირობებში აღინიშნებოდა როგორც შობადობის, ისე სიკვდილიანობის მაღალი დონე. აღნიშნული საუკუნის პირველ ნახევარში გარდაყვანილ ბავშვთა ნახევარი 5-წლამდე ასაკისა იყო. პირველ მსოფლიო ომამდე საქართველოში იშვიათობას არ წარმოადგენდა ისეთი მასობრივი ეპიდემიური დაავადებები, როგორცაა: შავი ჭირი, ქოლერა, მალარია და სხვა, რაც განსაკუთრებით ბრძიდა სიკვდილიანობას. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება სტაგისტიკური მონაცემები თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების შესახებ. 1855 წელს ქუთაისის გუბერნიის ხუთ მაზრაში შობადობა საშუალოდ 27‰-ს, სიკვდილიანობა 13,7‰-ს, ხოლო ბუნებრივი მაგება 13,3‰-ს შეადგენდა. თბილისის გუბერნიაში კი ანალოგიური მაჩვენებლები 1857-1863 წლებში 37,3; 25,4 და 11,9-ის გოლი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ბუნებრივი მოძრაობის აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით იგი ახლოს იყო დასავლეთ ევროპის რიგ განვითარებულ ქვეყნებთან. 1897 წლის აღწერით შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა საქართველოში 30,5‰ შეადგინა, სიკვდილიანობის კოეფიციენტი – 18,6‰, ხოლო ბუნებრივი მაგება 11,9‰ იყო.

1926 წლის აღწერის მიხედვით შობადობისა და სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი შესაბამისად 33,2‰ და 14,2‰ იყო. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული ქალაქის მოსახლეობის მაგების, განათლების დონის ამაღლებისა და წარმოებაში ქალთა ფართოდ ჩაბმის გამო საქართველოში შობადობის მაჩვენებელი მუდმივ კლებას განიცდიდა. 1960 წელს საქართველოში დაფიქსირდა სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (6,5‰), თუმცა შემდგომ იწყება მისი ზრდა. 1980 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მაგების კოეფიციენტი 9,1‰-მდე შემცირდა (ორჯერ ნაკლები, ვიდრე 1960 წელს), ხოლო 1989 წელს 8,1‰-მდე.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოების შემდგომ, ქვეყანაში განვითარდა მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, შეიქმნა კრიზისული დემოგრაფიული ვითარება: უეღურესად შემცირდა შობადობის და გაიზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებლები. 1997 წელს, 1990 წელთან შედარებით 40 ათასით ნაკლები ახალშობილი მოეღიწა ქვეყანას. ახალდაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობამ თითქმის ერთი მაჩვენებელი – 10,7‰ შეადგინა. ამგვარი ვითარება კი ვეღარ უზრუნველყოფდა საქართველოს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი.

მოსახლეობის მემანიკური მოძრაობა.

საქართველოს ისტორიის მანძილზე არაერთხელ აღინიშნა ხალხთა მემანიკური მოძრაობა, ანუ მიგრაციული პროცესი, რაც განსაზღვრედა ეროვნული შემადგენლობის ხასიათს.

ებრაელების იმიგრაცია საქართველოში რამდენიმეჯერ აღინიშნა. მათი პირველი ჩამოსახლება უნდა მომხდარიყო ძვ.წ. IV საუკუნეში, განსახლების ადგილი კი მცხეთა იყო (მანავი ანუ ხარკი). მეორე მძლავრი იმიგრაციული ნაკადის შედეგად ებრაელები დასახლდნენ შავიზღვისპირეთში, მესხეთში, ჯავახეთში, ქართლში, იმერეთში, გურიასა და ქიზიყში, კერძოდ ბოლბისხევიში, ე.ი. ბარისა და სამხრეთ საქართველოს მთიანეთის მნიშვნელოვან გერიგორიაზე. შემდგომი იმიგრაციისას – ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში – ისინი უმთავრესად დასავლეთ საქართველოში დასახლდნენ. ამ ჩასახლების ზუსტი ადგილი ცნობილი არ არის. არსებობს მოსაზრება, რომ ამავე პერიოდში დაახლოებით 10000 ებრაელი დასახლდა ფანასკერტში (ისტ. გაომში, ამჟამად თურქეთშია). მოგვიანებით კი აქედან ისინი ქართლში გადასახლებულან მტკერისა და არაგვის ხეობებში (სოფლებში: კარსნაში, ძეგეში, მანავში, არაგეში). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართლში თითქმის არ იყო სოფელი, სადაც თუნდაც ერთ კომლ ებრაელს არ ეცხოვრა. ებრაელები დასახლებულან თბილისსა და ქუთაისშიც. თბილისში მათი დასახლების ძირითადი არეალი მდ. მტკერის მარჯვენა სანაპირო იყო (მეი-დნის ზემოთ, სიონის მახლობლად). ებრაელი ხალხის მიგრაციებს იძულებითი პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში საკმაოდ მძლავრი იყო ებრაელების ემიგრაცია ისრაელში. ამ მიგრაციულ ნაკადებს ნებაყოფლობითი სახე ჰქონდა. ორი ათეული წლის განმავლობაში დაახლოებით 40 ათასმა ებრაელმა დატოვა საქართველო.

XII საუკუნეში ჩრდილოეთი კავკასიიდან საქართველოს გერიგორიაზე გადმოსახლდა 45000 ყივჩაყი და დასახლდა აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო მონღოლში – შიდა ქართლსა და პერეთში, იმ გერიგორიებზე, რომ-

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა (1926-1989)

წლები	დაბადებულთა რაოდენობა, %	გარდაცვლილთა რაოდენობა, %	ბუნებრივი მატება, %
1926	33,2	14,2	19,0
1939	26,6	7,8	18,8
1940	27,4	8,8	18,6
1950	23,5	7,6	15,9
1960	24,7	6,5	18,2
1970	19,2	7,3	11,9
1980	17,6	8,5	9,1
1989	16,7	8,6	8,1

ლებიც გარეშე მტრების შემოსევების შედეგად თითქმის მთლიანად იყო დაყარილებული. როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, მოგვიანებით ყივჩაყებმა მიიღეს ქრისტიანობა და საკმაოდ მოკლე დროში ქართველებთან ასიმილირდნენ.

XVII საუკუნეში 130 ათასზე მეტი ქართველი გადასახლეს სპარსეთში – ფერეიდანსა და მაზანდარანში, სადაც მათ ქართული სოფლები (შედა მარტყოფი, ქეელა მარტყოფი, ნინოწმინდა, ავჭალა, ჩუღურეთი, ბოლნისი, ეამლოვანი, რუისპირი და სხვ.) დააარსეს. ამ ძალდატანებითმა ემიგრაციამ უდიდესი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ-რელიგიურ შემადგენლობაზე. კერძოდ, კახეთმა გადასახლებისა და ომების შედეგად დაკარგა მოსახლეობის თითქმის 2/3. ქართველებისაგან თავისუფალ მიწებზე ჩამოასახლეს თურქული მოღვმის მოსახლეობა – „ბორჩალუს“ ტომი. მისი უმეტესი ნაწილი ქვემო ქართლში დასახლდა.

მსგავსად ებრაელებისა, სომეხი მოსახლეობის რამდენიმე მიგრაციული ტალღა აღინიშნა. VII-VIII, XIII და XIV საუკუნეებში არაბების, თათარ-მონღოლებისა და თემურ-ლენგის მიერ შევიწროებული სომეხები სახლდებიან ბიზანტიაში, ყირიმში, უკრაინაში, პოლონეთში, სირიაში, ლიბანში. ძალდატანებითი მიგრაციის შედეგად სომეხი მოსახლეობის არაერთი ნაკადი შემოვიდა საქართველოშიც და უმთავრესად დასახლდა მის სამხრეთ-აღმოსავლეთ სასაზღვრო მონღოლში.

სომეხების ყველაზე მძლავრი მიგრაციული ნაკადი აღინიშნა XVIII-XIX საუკუნეებში, როცა ოსმალეთსა და სპარსეთში მიმდინარეობდა სომეხი მოსახლეობის გენოციდი. მათი შემოსახლება რამდენიმე ნაკადად განხორციელდა და ყოველივეს მასობრივი, ჯგუფური ხასიათი ჰქონდა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის ისინი ჯერ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (სომხითი, ლორი) დასახლდნენ (რომელიც მამინ თითქმის უკაცრიელი იყო), ხოლო მოგვიანებით – ჯაფახეთსა და თრიალეთში.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს სომეხი მოსახლეობის იმიგრაციული პროცესები უფრო ფართო ხასიათს იღებს. 1827-1829 წლებში ოსმალეთიდან 100 ათასი და სპარსეთიდან 30 ათასი სომეხი შემოიხიზნა ქვემო ქართლსა და ჯაფახეთში. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება პირველი კომპაქტური სომხური დასახლებები. ეს განსაკუთრებით შეეხო დმანისის მიდამოებს, მდინარეების: ხრამის, მამაურისა და ფოლადაურის ხეობებს. აქ ათობით ახალი სომხური სოფელი წარმოიქმნა. სომეხი მოსახლეობის მიგრაციების შედეგად სამხრეთ საქართველოსა და ქვემო ქართლის ეთნიკური სურათი კარდინალურად შეიცვალა. მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ადგილი არაქართველებმა დაიკავეს.

XIX საუკუნის 60-80-იანი წლებში თურქეთიდან გამოქცეული სომეხები და ბერძნები სახლდებიან აუხაბეთის იმ ტერიტორიებზე, საიდანაც რუსეთის მეფის მთავრობამ გააძაბა აუხაბი მოსახლეობა. ბერძნები განსაკუთრებით მკვიდროდ დასახლდნენ სოხუმის მახლობლად. აუხაბეთში იქმნება სომხური და ბერძნული სოფლები. სომეხი მოსახლეობა დიდი რაოდენობით დასახლ-

და აჭარამიყ – ბათუმსა და მის შემოგარენში. XIX საუკუნის ბოლოს (1897-1902 წწ) საქართველოში კელაე ჩამოსახლეს 55 ათასი სომეხი, რომელთა უმეტესობაც დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი) დასახლდა.

1915 წელს თურქეთში სომხების ეთნორელიგიური წმენდის შედეგად აღინიშნა მათი ფართომასშტაბიანი შემოსახლება. ამ დროს აღმოსავლეთ ანაგოლიიდან მათთან ერთად საქართველოში ჩამოსახლდა რამდენიმე ათასი იეზიდო-ქურთი. ეს უკანასკნელნი უმთავრესად თბილისში დასახლდნენ, შედარებით მცირე რაოდენობით – რუსთავეში, ბათუმსა და თელავში. ოსმალეთიდან გამოქუეული სომხები კი ძირითადად თბილისში და შავი ზღვის სანაპიროზე ჩასახლდნენ.

საქართველოში ბერძნების მიგრაციაც რამდენჯერმე მოხდა, მაგრამ ებრაელებისა და სომხებისაგან განსხეეებით, იგი არც მასშტაბით და არც სიხშირით არ გამოირჩეოდა. ჯერ კიდეე ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებობდა ბერძნული კოლონიები, რომელთა მოსახლეობაც მოგვიანებით შეერია ქართველურ გომებს. XVIII საუკუნის II ნახეეარში საქართველოში ჩამოსახლდა ბერძნების მცირე ჯგუფი, მაშინ როცა აქ ეერცხლისა და გყეეის მოპოეება დაიწყეს და ამისათეის ანაგოლიიდან ოსგაგების მოწეეევა გახდა საჭირო. XIX საუკუნის დასაწყისში ახგალაში 800-მდე ოჯახი, მარნეულის რაიონში (სოფ. ოფრეთი, ყოფ. წინწერო) 120-მდე ოჯახი, ხოლო თრიალეთში 7 ათასი ბერძენი დასახლდა. მარგო ორიალეთში, ქართულ ნასოფლარებზე 18 ბერძნული დასახლება დაარსდა. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ბერძნები სახლდებიან ზღვისპირა აჭარაში, ციხისჯეარში (ბორჯომის რაიონი), ირაგაში (თეთრი წყაროს რაიონი) და სხე.

აფხაზები საქართველოს ძირძეელი მოსახლეობაა. XIX საუკუნის 60-იან წლებში თურქეთში იძულებით გადაასახლეს 15 ათასი აფხაზი, ხოლო 70-იან წლებში დაახლოებით 50 ათასი დასახლდა თურქეთში, სირიაში, იორდანიამი, ჩრდილოეთ საბერძნეთში. ამეამად მათი რაოდენობა თურქეთში დაახლოებით 100 ათასი, ხოლო არაბულ ქეეეებში – 15 ათასია.

რუსეთ-თურქეთის ომის დროს, XIX საუკუნის მეორე ნახეეარში, საქართველოდან გადაასახლეს ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობაც აჭარიდან, მესხეთიდან და გურიიდან. მათი საერთო რაოდენობა 150 ათასი კაცი იყო. ისინი უმთავრესად დასახლდნენ თურქეთში, შავი ზღვის სამხრეთ (ჭანეთის გერიგორიაზე) და მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. აღნიშნულ ჰერიონდში თითქმის მთლიანად დაეარეილდა მურლულის ხეობა (აჭარა). სოფ. გონიო (ხელეაჩაურის რაიონი) და სხე.

XIII-XIV საუკუნეებში ოათარ-მონღოლებისა და თემურ-ლენგის შემოსეეებისაგან შეეიწროებულე ოსები საქართველოში, ცენგრალური კეეკასიონის სამხრეთ ფერლობე იწყებენ თანდათანობით ჩამოსახლებას. მათ მიგრაციას ხელი შეუწყო იმ ვარემობამ, რომ ამ მხარეში ქართველი მოსახლეობა მცირე იყო. პირეელი ოსური ახალშენები საქართველოს გერიგორიაზე XVI საუკუნეში განდა. ისინი მდ. დიდი ლიახეის სათაეეებში იყო წარმოღვენილი. მოგვიანებით ოსებმა უფრო სამხრეთით – პაგარა ლიახეის,

ქსნის, არაგვის, ყვირილისა და ჯეჯორის ხეობებისაკენ გადმონაცვლეს. განსაკუთრებით გაიზარდა ოსების მიგრაცია XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში და უკვე XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ოსების არაერთი კომპაქტური დასახლება არსებობდა, მათ შორის: ყორნისი, ტბეთი, უსირეთი, გუბისი, ეამურა და სხვ.

თუკი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ოსები ძირითადად სახლობდნენ შიდა ქართლის მთიან ნაწილში და მესაქონლეობით ირჩენდნენ თავს. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ისინი ჩამოსახლებას იწყებენ საქართველოს ბარის სხვადასხვა რეგიონებში. მაგალითად, არაერთი ოსური სოფელი ჩნდება თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე (ბორჯომის, ქარელის, ხაშურისა და გორის რაიონებში), კახეთსა და ქვემო ქართლში. ქ. ცხინვალში პირველი ოსური ოჯახის დაფუძნება 1926 წლით თარიღდება.

გვიანყოფილადღურ ხანაში ოსმალო-ყიზილბაშებისა და ლეკთა გამუდმებული თარეშისაგან შევიწროებული ქართული მოსახლეობა ხშირად იყრებოდა საკუთარი მიწა-წყლიდან და სხვა სახელმწიფოებში სახლდებოდა. ეს უარყოფით გაელენას ახდენდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ქვეყნის მმართველობა ცდილობდა ყარაბაღსა და ნახჭევანში დასახლებული ქართველი გლეხობა შეღავათიანი პირობებით უკანვე დაებრუნებინა, რაც ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. ამ გარემოებამ დიდი როლი ითამაშა XVIII საუკუნეში ოსების იმიგრაციაზე შიდა ქართლის ბარში. ამჟებდროულად დასახლდნენ ყარაბაღელი სომხები ბოლნისის, თეიური წყაროს, მარნეულის რაიონების გერიგორიებზე (სოფლები: დაღეთი, სამშვილდე, ბოლნის-ხაჩინო და სხვ.), ხოლო მულანის ველიდან აქ თურქმენების 250 ოჯახი ჩამოსახლდა. მათ 3 სოფელი – მულანლო, ყაფანახჩი და ყიზილ-ხანჯალი დააარსეს.

რუსი მოსახლეობის მასობრივი იმიგრაცია საქართველოს გერიგორიაზე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ამ პერიოდში საქართველოში უკვე აღირიცხებოდა 21 რუსული სოფელი (1133 კომლით). საქართველოში რუსების მიგრაცია იყო როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი.

რუსეთის სხვადასხვა გუბერნიიდან იძულებით ჩამოსახლეს სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები: რასკოლნიკები და ღებობორები (ისინი გადმოსახლეს ტაერის გუბერნიის მელიგოპოლის ოლქიდან და ჩაასახლეს ჯაჯახეთის მუგანზე – იქ, სადაც ადრე გამაჰმადიანებული მუსხები ცხოვრობდნენ), მალაკნები (ჩაასახლდნენ თბილისში და სოფ. მალხაზოეკაში, მდ. ივრის ნაპირას), სუბოტნიკები და სკოპეები (აბაშის რაიონის სოფ. მარანში) და სხვ.

მათ გარდა საქართველოში ნებაყოფლობით სახლდებოდნენ დემობილიზებული რუსი ჯარისკაცები, რომლებმაც ახალმენები შექმნეს კოჯორში, მანგლისში, წალკაში, ახალციხეში, თბილისში, თეთრი წყაროში, დედოფლის-წყაროში, გომბორში და სხვაგან. მოგვიანებით ეს დასახლებები სოფლებად იქცა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მათ ასახლდნენ არა მარტო თავისუფალ მიწებზე, არამედ ხშირად მამაპაპისკული მალაღნაყოფიერი მიწებიდან ძალით აყრილი მოსახლეობის ნაჟუძარზე.

საქართველოში სამხედრო პირების გარდა მეუფის რუსეთის მთავრობისაგან პოლიტიკური მოტივით დევნილი ან მეუფის სამსახურში მყოფი მოხელეებიც სახლდებოდნენ. ძირითადად აღმინისტრაციული ფუნქციის მქონე ქალაქებში.

ამრიგად, რუსი მოსახლეობა უმთავრესად ჩასახლდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და აუხაშეთის სანაპირო ზოლში. ქუთაისის გუბერნიამი, რომელიც მაშინ საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული და არასელსაყრელი ეკოლოგიური პირობებით გამოირჩეოდა (დაბლობზე მაღარიის გავრცელების გამო), რუსების მასობრივი ჩასახლება არ მომხდარა. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დასავლეთ საქართველოს ბარსა და ქ. ქუთაისში რუსი მოსახლეობის სიმცირისა.

რუსების გარდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლდნენ რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი ევროპელი ჩინოვნიკებიც. ეს პროცესი ინგენსიური იყო XIX საუკუნის დასაწყისიდანვე. მაგალითად, ეიურტემბერგელმა გერმანელებმა რაზდენიშე კოლონია შექმნეს აღმოსავლეთ საქართველოში.

მოგვიანებით, XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად ქალაქებში, დასახლდნენ: **ესტონელები, ლატვიელები, უკრაინელები, ბელარუსები, პოლონელები და სხვ.**

XIX საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიის რკინიგზის (ბაქო-თბილისი-ბათუმი და ბაქო-თბილისი-ფოთი) მშენებლობას და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონებთან ეკონომიკურ-კულტურული კავშირების გაფართოებას მოჰყვა ქართველების ემიგრაცია იმპერიის სხვადასხვა მხარეში, კერძოდ, ბაქოში, შაჰი მღვის გუბერნიაში (სოფ. პლასტუნკაში, სოჭის რაიონი), ჩრდილოეთ კავკასიაში და სხვ.

ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისიდან მიგრაციულ პროცესებს საქართველოს ტერიტორიაზე წარმართავდა რუსეთის იმპერია. მისი მიზანი იყო ახლადშემოერთებული ტერიტორიების შემომტკიცება. გეოპოლიტიკური ზრახვების განხორციელების რეალურ დასაყრდენს იგი ქვეყნის მოსახლეობის ეთნო-რელიგიური სტრუქტურის აღრევაში ხედავდა, ე.ი. ამ მიგრაციებს პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული სარჩული ელო.

გასაბჭოებამდე საქართველოდან ემიგრაციაში წაჰყვინდა არაქართული მოსახლეობის საკმაოდ შეძლებული და ელიტარული ფენის წარმომადგენლები (უმთავრესად ევროპაში), სამხედრო პირები (რუსეთის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები). აღინიშნა თბილისელი სომეხი ინტელიგენციის ნაწილის ემიგრაცია დამოუკიდებელი სომხეთის რესპუბლიკაში.

აღნიშნული პერიოდის ემიგრაციული პროცესები არ შეეხო ქართულ მოსახლეობას. შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად საპირისპირო პროცესიცი მისი მიმდინარეობდა. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1918 წლამდე საქართველოში დაბრუნდა ქართული ინტელექტუალური ელიტა, რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტების პროფესორა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მიგრაციული პროცესები საქართველოში კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს. განსაკუთრებით

აღსანიშნავია საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველი სამი ათეული წელი. ამ ხნის მანძილზე კიდევ უფრო შეიცვალა ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა. ქართველების ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 61%-მდე შემცირდა.

ინგენსიური იყო საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან მოსახლეობის იმიგრაცია საქართველოში. კერძოდ, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წლებში (1925-1933) საქართველოს გერიტორიაზე სამხრეთ რუსეთიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან ასეულ ათასობით აღამიანი ჩამოსახლდა (მხოლოდ 1939 წელს – 354 ათასი კაცი). მიგრაციის მიზმები სოციალური და ეკონომიკური ვითარება იყო. 1927-1938 წლებში საქართველოში ჩამოსულთა რიცხვი წასულთა რიცხვს 19,5 ათასით აღემატებოდა. იმავე პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა შიგა მიგრაციულს თეაღსაზრისით, კერძოდ, მაღალი ინგენსიობით ხასიათდებოდა მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად გადასვლის პროცესი. პარალელურად მიმდინარეობდა შთის რეგიონებიდან ბარში ჩამოსახლების პროცესი.

II მსოფლიო ომის წლებში (1939-1945) რაიმდენიმე მიგრაციულ ნაკადს ქჟონდა ადგილი: საქართველოდან ომში გაიწვიეს 700 ათასი კაცი, რომელთაგან დაასლოებით ნახევარი შინ არ დაბრუნებულა; გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის ეეროპული ნაწილის ოკუპაციის შემდეგ ევაკუირებული, არაქართული მოსახლეობის ნაწილი საქართველოში დარჩა საცხოვრებლად; 1941-1949 წლებში საქართველოდან გაასახლეს გერმანელები, თურქები, პონგოელი ბერძნები და გათურქებული ქართველები (მუსლიმანი შესხები). მათი განსახლების ადგილებში კი (ქვემო ქართლში, თრიალეთში, მესხეთში, აფხაზეთში) ჩაასახლეს დასაველთ საქართველოს მცირემიწიანი რეგიონების მოსახლეობა (60 ათასზე მეტი კაცი).

XX საუკუნის შუა ხანებიდან მიგრაციული პროცესების ხასიათი დიამეტრალურად იცვლება. თუკი აქამდე უშეტესწილად ადგილი ქჟონდა სხვადასხვა ეროვნებების ჩამოსახლებას საქართველოს გერიტორიაზე, ამიერიდან დაიწყო უკუპროცესი. 60-იანი წლების ბოლოს: საქართველო ემიგრაციის ქვეყნად გადაიქცა: დაიწყო არაქართული მოსახლეობის ინგენსიური ემი-

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაცია 1990 -1996 წლებში (ათასი)

წლები	ჩამოვიდა	წაიდა	საღღო
1990	20,0	59,0	-39,0
1991	16,6	60,6	-44,0
1992	8,0	49,6	-41,6
1993	12,6	42,9	-30,3
1994	12,7	44,2	-31,5
1995	5,7	25,9	-20,2
1996	1,2	12,9	-11,7
სულ	76,8	295,1	-218,3

გრაცია. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური გახდა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში.

1970-1978 წლებში საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 137,4 ათასი კაცი შეადგინა; ხოლო 1979-1988 წლებში - 59 ათასი. ოფიციალური მონაცემებით, იგივე მანქანებელი 1990-1996 წლებში 218,3 ათასი კაცით განისამდღერებოდა.

სავარაუდოა, რომ სამღეარგარეთ ემიგრირებულთა რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა იყოს. ცალკეული შეფასებით, საქართველოდან მუდმივად, დროებით ან გაურკვეველი ეადით წასულ ემიგრანტთა რიცხვი 1 მლნ ადამიანს აღწევს.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და მისი დინამიკა მკიდროდ იყო დაკაშირებული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან.

საქართველოს დღევანდელი გერიგორია და მის სამხრეთ-დასაელებით მდებარე რეგიონები უძველესი დროიდან იყო დასახლებული ქართველური გომებით. შეუძლებელია პირვანდელი ქართული სახელმწიფოების ეროვნული სტრუქტურის სრული სურათის დადგენა. ცნობილია, რომ ქართველები იმოლირებულად არ ცხოვრობდნენ და ისინი ასიმილაციას განიცდიდნენ სხვა ეროვნების მოსახლეობასთან. მაგალითად, ძე.წ. VI-IV საუკუნეებში შავი ზღვის აღმოსაელებთ სანაპიროზე არსებული ბერძნული კოლონიების მოსახლეობა მოგვიანებით შეერია ქართველებს; XII საუკუნეში გაქართველდა ყივჩაღთა 45 ათასი ოჯახი; მნიშვნელოვანი იყო ჩრდილო კავკასიელი ხალხების, სომხების, კავკასიის ალბანელთა ნაწილის ქართველებთან ასიმილაცია და ა. შ.

ქართველების ხეედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში სხეადასხეა დროს სხეადასხეა იყო. ადრეულ და შუა საუკუნეებამდე იგი 90%-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. გვიან შუა საუკუნეებში მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შეიცეალა, შემცირდა ქართველთა ხეედრითი წილიც. თუმცა ამ პერიოლში ქვეყნის მასშგაბებით ქართულმა ეთნოსმა შეინარჩუნა უპირატესობა. კერძოლ, საქართველოს რუსეთთან შეერთების წინ საქართველოს სამეფო-სამთაეროებში მოსახლეობის 4/5 ქართველი იყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას (1801 წ) ქვეყნის ეროვნულ შემადგენლობაში გარკეეული ცელიღებები მოჰყეა. ერთი მხრივ შეწყდა მუსლიმანური გომების თარეში და შემოსახლება, მეორე მხრივ კი დაიწყო სხეადასხეა ეროვნების მოსახლეობის მასობრივი ჩამოსახლება. ამ პროცესების შედეგად გაიზარდა არაქართველი მოსახლეობის ხეედრითი წილი. განსაკუთრებით შეიცეალა სამხრეთ საქართველოს ეთნიკური სურათი. ამის

შედეგად, დმანისის პლაგო, მდინარეების ხრამის, მამაერისა და მისი მენაკალების სეოზები, ქვემო ქართლის ერეკლი ნაყოფიერი მიწები დასახლებული იყო როგორც XVII საუკუნეში შემოსახლებული თურქული მოდგმის გომეზით, ასევე სომხებით, ოსებით, გერმანელებითა და ბერძნებით. ადგილობრივი მოსახლეობა აქ ან მთლიანად ამოწყდა, ან გადაიხეწა. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ქართული სოფლები შემორჩენილი იყო თბილისის სამხრეთით, მხოლოდ ალგეთის ხეობაში.

მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა არამარტო აღმოსავლეთ საქართველოში. ანალოგიური ცვლილებები მოხდა დასავლეთ საქართველოს მღვისპირა ზოლშიც. დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რეგიონებში სხვა ეროვნებათა მასობრივი ჩამოსახლება არ მომხდარა, შესაბამისად ნაკლებად შეიცვალა აქაური ეთნიკური სურათი.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გაიზარდა არაქართველი მიგრანტების რაოდენობაც, რის შედეგადაც კიდევ უფრო შემცირდა მოსახლეობაში ქართველების ხვედრი იგი წილი. ეს შეიმჩნეოდა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ პერიოდში ქართველების ხვედრითი წილი 70%-ს არ აღემატებოდა.


XIX საუკუნის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მოსახლეობის რაოდენობა მაგულობდა, მისი ხვედრითი წილი მოსახლეობის მთელ შემადგენლობაში იკლებდა, ვინაიდან ამ პერიოდში, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ჩამოსახლეს გაცილებით მნიშვნელოვანი რაოდენობის არაქართული მოსახლეობა.

კლების ტენდენციით ხასიათდებოდა აფხაზთა რაოდენობაც. მათი რაოდენობრივი კლება უმთავრესად 1866 და 1877-1878 წლებში ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებების დამარცხებით იყო გამოწვეული, რის გამოც მრავალი აფხაზი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობდა სომეხთა სტიქიური და მიზანმიმართული ჩამოსახლება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. XIX საუკუნის დამლევს (1897 წ) სომეხთა რაოდენობა 197 ათას კაცს შეადგენდა. აღნიშნული ეროვნების მოსახლეობა ქართველების შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო საქართველოში.

ინტენსიურად მაგულობდა ამერბიჯანელი და ბერძენი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობაც. XIX საუკუნეში საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა შორის ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით რუსი მოსახლეობა ხასიათდებოდა. მათი აბსოლუტური რაოდენობა 1865-1897 წლებში თითქმის 4-ჯერ გაიზარდა. რუსი ეროვნების მოსახლეობას უმთავრესად სამოქალაქო მოხელეები და სამხედრო პირები შეადგენდნენ. რომლებიც თაიიანთი სამსახურის დასრულების შემდგომ საცხოვრებლად რჩებოდნენ საქართველოში. ისინი ძირითადად ქალაქად მკვიდრდებოდნენ. რუს მოსახლეობას ემატებოდა მეფის მთავრობის მიერ იძულებით ჩამოსახლებული რუსი სექტანტებიც.

ქართვებების ხეივანით ფილი ადინისტრაციული რაიონების მიხედვით



1926-1939 წლების აღწერის მონაცემებით, კელაე მცირდებოდა ქართველების პროცენტული წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში. 1939 წელს ქართველების წილმა 61,4% შეადგინა, რაც ყველაზე დაბალია დაფიქსირებულ მაჩვენებელთა შორის. დროის აღნიშნულ მონაკვეთში განსაკუთრებით გაიზარდა რუსებისა (32-ჯერ) და უკრაინელების (32-ჯერ) აბსოლუტური რაოდენობა, რაც პროცენტული მაჩვენებლებითაც აისახა. აღნიშნულ ეროვნებათა ასეთი ტემპით მრდა გამოწვეული იყო 30-იან წლებში მათი დიდი რაოდენობით ჩამოსახლებით. ჩამოსახლებულთა ძირითადი მასა უმთავრესად ქალაქებსა და ზღვისპირა დასახლებულ პუნქტებში დამკვიდრდა.

აღნიშნულ პერიოდში ასევე ინტენსიური ხასიათი ჰქონდა სომხებისა და ოსების ჩამოსახლებას, ხოლო ბერძნების, ამერბაიჯანელებისა და ებრაელების რაოდენობის მაგება, უმთავრესად, მათი შედარებით მაღალი ბუნებრივი მაგებით აიხსნება. რაც შეეხება აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებს. 30-იან წლებში მათ შორის მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესებს ადგილი არ ჰქონია, მათი კელაეწარმოების პარამეტრები კი დაახლოებით საშუალო რესპუბლიკურის ტოლი იყო. აფხაზთა რაოდენობის შემცირება საეარადოდ აიხსნება იმით, რომ მათმა ნაწილმა 1939 წელს თავი სხვა ეროვნებას მიაკუთვნა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში განუხრელად მაგულობდა ქართველების, როგორც აბსოლუტური რაოდენობა, ისე პროცენტული წილი მთელ მოსახლეობაში. საწინააღმდეგო პროცესები მიმდინარეობდა რუსი ეროვნების მოსახლეობაში. მათი აბსოლუტური რაოდენობა 1959-1989 წლებში '66,7 ათასი კაცი შემცირდა და 341,2 ათასი შეადგინა. 1970-1979 წლებში აღინიშნა სომეხი და ებრაელი ეროვნების მცხოვრებთა კლების ტენდენცია. სომეხთა რაოდენობრივი შემცირება შემდგომში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკა

წლები	1865		1897		1926		1939	
	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%
ქართველი	950,6	73,8	1331,3	69,4	1778	66,8	2173,6	61,4
აფხაზი	60,0	4,6	42,6	2,2	56,8	2,1	56,6	1,6
ოსი	45,5	3,6	81,5	4,2	113,3	4,2	148,7	4,2
სომეხი	122,6	9,5	197,0	10,3	307,0	11,5	414,2	11,7
რუსი	25,9	2,0	101,0	5,3	96,0	3,6	308,0	8,7
ამერბაიჯანელი	51,5	4,0	81,1	4,2	144,0	5,4	187,6	5,3
ბერძენი	12,0	0,9	38,5	2,0	54,1	2,0	85,0	2,4
ებრაელი	7,8	0,6	17,2	0,9	30,2	1,1	42,5	1,2
გერმანელი	4,2	0,3	7,4	0,4	-	-	-	-
დანარჩენი	9,1	0,7	21,8	1,1	87,6	3,3	123,8	3,5
სულ	1289,2	100	1919,4	100	2677,0	100	3540,0	100

საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფია


წლები	1959		1979		1989		1997	
	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%
ქართველი	2600,6	64,3	3433,0	68,8	3787,4	70,1	3500,0	83,1
სომეხი	442,9	11,0	448,0	9,0	437,2	8,1	240,0	5,7
რუსი	407,9	10,1	371,6	7,4	341,2	6,3	130,0	3,1
ამერბაიჯანელი	153,6	3,8	255,7	5,1	307,6	5,7	200,0	4,7
ოსი	141,2	3,5	160,5	3,2	164,1	3,0	30,0	0,7
ბერძენი	72,9	1,8	95,1	1,9	100,3	1,8	30,0	0,7
აფხაზი	62,9	1,5	85,3	1,7	95,9	1,8	0,7	0,02
უკრაინელი	52,2	1,3	45,0	0,9	52,4	1,0	22,0	0,5
ებრაელი	51,6	1,3	28,3	0,6	24,6	0,5	10,0	0,2
ქურთი	16,2	0,4	25,7	0,5	33,3	0,6	25,0	0,6
ბელარუსი	—	—	—	—	8,6	0,2	2,0	0,05
დანარჩენი	42,0	1,0	45,0	0,9	48,2	0,9	22,0	0,63
სულ	4044,0	100	4993,2	100	5400,8	100	4211,7	100

გემოთ აღნიშნულ წლებში ყველაზე მეტად იზრდებოდა ამერბაიჯანელი მოსახლეობა, უმთავრესად ბუნებრივი მაგების ხარჯზე. ამერბაიჯანელების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია თბილისსა და რუსთავეში, შეადგენს ქვემო ქართლის სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას (ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის, დმანისის რაიონებში).

XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას (70,1%) ქართველები შეადგენდნენ, რომელთა ბუნებრივი მაგების გემში აღემატებოდა საშუალორესპუბლიკურ მაჩვენებელს. ბუნებრივი მაგების მაღალი გემპებით ხასიათდებოდნენ აფხაზები, ამერბაიჯანელები, ბერძნები და ქურთებიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქურთები და ამერბაიჯანელები, რომელთა რაოდენობა უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ორჯერ და მეტად გაიზარდა (მაღალი ბუნებრივი მაგების გამო). საქართველოს მოსახლეობაში რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზე იყვნენ სომეხები (8,1%).

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა თავისი კორექციები შეიგანა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. ცალკეული შეფასებით ქართველების სვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 1998 წლისათვის 83%-მდე უნდა გაზრდილიყო (აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გათვალისწინების გარეშე). მნიშვნელოვნად იკლო რუსების, ოსების, უკრაინელების, ბელარუსებისა და ებრაელების რაოდენობამ. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მიგრაციულმა პროცესებმა. ზოგიერთი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობაზე (განსაკუთრებით რუსებსა და უკრაინელებზე), მიგრაციის გარდა, განსაკუთრებული როლი ითამაშა ბუნებრივი მაგების შემცირებამაც.

მოსახლეობის პროგნოზული უმაღლესი მნიშვნელობა (1989)



მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს მართლმადიდებელი (ორთოდოქსული) ქრისტიანული რელიგიის მიმდევარს. მხოლოდ მესხეთში მცხოვრები ქართველების ნაწილი არიან კათოლიკები.

საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებებიდან ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებენ: რუსები (აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელია. ნაწილი კი – სხვადასხვა სექტის წარმომადგენელი), ბერძნები (მართლმადიდებლები, მცირე ნაწილი კი – სუნიტი მუსლიმანები), აისორები (ნესტორიანელები და კათოლიკები), პოლონელები (კათოლიკები), გერმანელები (პროტესტანტი ლუთერანები), სომხები (უმრავლესობა მონოფიზიტგვრიგორიანელია. ნაწილი – კათოლიკები, ნაწილი – მუსლიმანი-ჰემშინები). აფხაზებისა და ოსების გარკვეული ნაწილი მართლმადიდებელია, ნაწილი კი წარმართულ კულტებს ან მუსლიმანურ რელიგიას აღიარებს.


საკეები ბაზის სიწმირემ, ვადამამეშავებელე მრეწველობის მოშლამ, განსახელმწიფოებრიობა-პრიაგბიზაციის პროცესში თავისი კვალი დამაშნია მეცხოველეობას. XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე 3-ჯერ შექმირდა ცხერის, 2-ჯერ – ღორისა და ფრინველის, 1.5-ჯერ – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა. თუ 80-იანი წლების ბოლოს პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობის 50-60% ოჯახურ მეურნეობებზე მოდიოდა, ამეამად მეცხოველეობის თითქმის მიეული (95-99%) პროდუქცია კერძო სექტორში იწარმოება. არადა, ქართველ ფერმერთა შესაძლებლობა არ იძლევა ღიდი რაოდენობის საქონლის მიეულა-პაგრონობისა და შემდგომ პროდუქციის დამშალების საშუალებას. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს მიიანქოს, რომელსე მეცხოველეობის პროდუქციის ძირითადი მწარმოებელია და სადაც პირუტყვის სულადობაზე ეველაზე მეტად ზამთრის საძოვრების ნაწილობრიე-მა ლიეეიდაციამ უარყოფითად იმოქმედა.

ამეამად მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა ოდნეე ჭარბობს მილიონ სულს. აქედან ნახეეარზე მეტი ძროხა და ფურკამეშია. აღსანიშნაეია, რომ ნახეეარი საუკუნის მანძილზე მეწველი საქონლის რაოდენობა უმნიშენელოდ შეიცეალა. მეიმწნეეე გარკეეული მრდის გენდენეციაც. 1999 წელს (1990 წელთან შედარებით) საქართველოში 25 ათასით მეტი ძროხა და ფურკამეშია აღრიცხული.

მიუხედაეად იმისა, რომ ქართული ცხეარი დებალმწარმოებელურად ითელება და წელიწადში საშუალოდ მხოლოდ 1.5 კგ მაგყლის მოცემა შეუძლია, საქართველოში მიანეც ხერსდება 1.5-1.7 ათასი გონა მაგყლის დამშადება, რაც მნიშენელოვანი მაქენეებელია. აღსანიშნაეია, რომ მიუხედაეად ასეთი რაოდენობით მაგყლის დამშალებისა, პრაქტიკულად ეერ ხერსდება მისი ვადამამეშავეება. მაგყლის ვადამამეშავეებელ საწარმოთა ამოქმედება სტიმულს მისეემს მეცხოველეობის, როგორეც დარგის აღმეელობას. ამეამად საქართველოში ნახეეარ მილიონზე მეტ ცხეარს და თხახ ითელიან, რაც ორჯერ ნაკლებია შესაძლო რაოდენობაზე. მეცხეარეობას გრადიციულად, ზამთრის საძოვრების არსებობის ეამო, ძირითადად აღმოსაეღეთ საქართველოში მისდეენ. ცხერის სულადობით ეამორიჩეეეე ახმეგის, სავარეეოს, მარნეულის, ბოლნისის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონები.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში კარგად ეამოხაგული გეოგრაფიული თავისებურებანი შეიმწნეეა. 1999 წელს 15-20 ათასი გონა

ხორცი (დაკლულის წონით) აწარმოეს იმერეთის, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარეში; რძე (100-130 ათასი გონა) - იმერეთის, სამეგრელო - ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის მხარეში; კვერცხი (50-75 მლნ ცალი) - სამეგრელო - ზემო სვანეთის, იმერეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის მხარეში. სწორედ აღნიშნულ ოთხ მხარეზე მოდის საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტი.

საქართველოში აღორძინებას იწყებს მეფუტკრეობა. ქართული ფუტკარი მაღალპროდუქტიულია კატეგორიას მიეკუთვნება, მან პოპულარობა მოიპოვა "თეინიერებისა" და ხორთუმის სიგრძით. მუშა ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაყოფიერების პერიოდში 1-2 თვით განისაზღვრება. მაღალხარისხოვანი, პოლიფლორული თაფლი სუბალპური და ალპური ზონის მეფუტკრეობისთვისაა დამახასიათებელი. გარდა თაფლისა, ფუტკრისაგან რძესაც იღებენ, რომელსაც ფართოდ იყენებენ მედიცინაში. მასზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთ.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია. საქართველოს სოფლის მეურნეობას ახასიათებს მონალური (რეგიონული) სპეციალიზაცია, რაც განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური პირობებითა და მეურნეობის ისტორიული წარმართვითაა განპირობებული. მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის ძირითადი არეალია საქართველოს მთათაშორისი ბარი. რომლის ფარგლებში სოფლის მეურნეობის რამდენიმე ტიპი გამოიყოფა. კოლხეთის დაბლობისა და შიმღინარე გორაკ-ბორცვებისათვის (მღვისპირა აპარისა და გურიის ფარგლებში) დამახასიათებელია მეციტრუსეობა, მეჩაიეობა და მესიმინდეობა. იგივე რელიეფის პირობებში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და მეთამბაქოეობაა განვითარებული, ხოლო იმერეთში - მეხილეობა, მევენახეობა, მემარცვლეობა და საგარეუბნო სოფლის მეურნეობა. შიდა ქართლის ბარი მეხილეობითა და მემარცვლეობით გამოირჩევა; ქვემო ქართლი და თბილისის მიდამოები საგარეუბნო სოფლის მეურნეობით, მეხილეობითა და მემარცვლეობით; კახეთი - მევენახეობით, მემარცვლეობითა და გექნიკური კულტურებით; სამცხე-ჯავახეთი - მეხილეობით, მეკარგოფილეობითა და მემარცვლეობით; შიდა აპარა - მესიმინდეობით, მეკარგოფილეობითა და მეთამბაქოეობით; მცხეთა-მთიანეთის მხარე - მთის მეცხოველეობით, მეხილეობითა და მემარცვლეობით და ა.შ.

საქართველოს ბარის მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებით არის დაკავებული. კაკეასიონის მთიანეთში უმეტესად მესაქონლეობას მისდევენ, სამხრეთ მთიანეთში კი სოფლის მეურნეობის ორივე დარგია განვითარებული.

ტრანსპორტი

გრანსპორტი საქართველოს მეურნეობის მნიშვნელოვანი ღარგია. მის გამართულ მუშაობაზე დამოკიდებულია ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობა, მეურნეობის დარგების განვითარება, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფა, კაუშირი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის და ა.შ.

საქართველო თანდათან იძენს მაღალგანვითარებული საგრანსპორტო ქვეყნის ფუნქციას, რაც ძირითადად ეეროპა-აზიის საგრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობასა და ამოქმედებასთან არის დაკავშირებული. საქართველოში, სამლინაროს გარდა, თითქმის ყველა სახის გრანსპორტია განვითარებული.

საქართველოს გრანსპორტის გამართულ მუშაობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა სავარყო კავშირთიერთობის რღვევამ, ეკონომიკურმა და ჩერტევიკულმა კრიზისმა და სხვ ამის გამო შემცირდა ვადატანილი გეირთისა და ვადაყვანილი მგზავრთა რაოდენობა, შეიცვალა ნაგარებულ საქემოთა სგრუქტურა. თუ 1985 წელს საქართველოს გრანსპორტის მიერ ვადატანილი იქნა 276 მლნ გონა გეირთი, იგივე მანვენებელი 1999 წელს 25 მლნ-ის გოლი იყო, ე.ი. ვადატანილი გეირთის რაოდენობა თითქმის 12-ჯერ შემცირდა. თუ საერთო სარგებლობის ყველა სახის გრანსპორტის გეირთბრუნევაში ძირითადი ადგილი (72%) საზღვაო გრანსპორტს ეკავა, მისი ხვედრითი წილი ბოლო ათწლეულის მანძილზე 12%-ით შემცირდა. თუ 1985 წელს საქართველოში ვადაყვანილი იქნა 1 მლრდ 138 მლნ მგზავრი, იგივე მანვენებელი 1999 წლისათვის სამჯერ ნაკლებია. ამავე პერიოდში უსახსრობის გამო 2000 კმ-ით შემცირდა საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და გრამეიის ლიანდაგების სიგრძე.

აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული შემინეუა გრანსპორტის გამოცოცხლება, ვარკეულწილად იზრდება მგზავრთბრუნევისა და გეირთბრუნევის მანვენებლები. მსახალმებელია ისიც, რომ შრდის გემები ახასიათებს ყველა ძირითადი სახეობის (სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, სააეიაციო) გრანსპორტს. მავალითად, მარგო საპაერო გრანსპორტი გეირთების ვადატანა 1994-1999 წლებში თითქმის სამჯერ ვაიზარდა.

საგრანსპორტო სამუალებათა თავმოყრის ძირითადი ადგილები საქართველოში მსხვილი ადმინისტრაციული ცენტრებია. საგრანსპორტო კვანძის ფუნქციას ასრულებენ თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი, სამგრელია. ხამური და ა.შ. საგრანსპორტო კომუნიკაციები ძირითადად მათათორის ბარშია წარმოდგენილი. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ძირითადად საავტომობილო გრანსპორტს იყენებს.

გრანსპორტის წილი საქართველოს ერთობლივ შიდა პროდუქტში მნიშვნელოვანია და 1999 წლის მონაცემებით 9%-ს აღემატება.


სახმელეთო გრანსპორტში სამი ქვეკატეგორია: სარკინიგზო, საავტომობილო და საქალაქო ელექტროგრანსპორტი გამოიყოფა. პირველი უპირატესად გვირთების გადატანას ემსახურება, მეორე და მესამე კი – მგზავრთა გადაყვანას. სახმელეთო გრანსპორტში ბავირვებებსაც აერთიანებენ, რომელთა ფუნქციონირება საქართველოში პრაქტიკულად შეწყვეტილია.

სარკინიგზო გრანსპორტის წილი გვირთების გადატანაში, ბოლო ათწლეულის მანძილზე, 30-35%-ის ფარგლებში მერყეობს. იგი ყველაზე იაფ გრანსპორტად ითვლება და შეუქველვია დიდი მოცულობისა და წონის მქონე გვირთების გადაზიდვას. ახეთია: სათბობი წიაღისეული, საშენი მასალები, ჯართი და სხვ.

საქართველოში სარკინიგზო ქსელის ფორმირებას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. იგი იწყება 1872 წლიდან, როდესაც ექსპლუატაციაში შევიდა ფოთისა და მესტიის დამაკავშირებელი რკინიგზი. 1883 წელს საქართველო რკინიგზით დაუკავშირდა აზერბაიჯანს. 1899 წელს – სომხეთს, ხოლო 1945 წელს – რუსეთს. ამჟამად განგრასულია ახალქალაქსა და ყარსს (თურქეთი) შორის სარკინიგზო კავშირის დამყარება. რაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა იქნება. ვასაყვანია რკინიგზის 32-კილომეტრიანი ახალი ხაზი თურქეთის საზღვრამდე, აღსაღვრია ახალქალაქ-მარაბდის 160-კილომეტრიანი რკინიგზის რამდენიმე შონაკვეთი. თეიო მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შევიდა ექსპლუატაციაში, რის შედეგადაც საქართველოში რკინიგზის საერთო სიგრძემ 1586 კმ-ს მიაღწია, ხოლო სისშირემ – 22,7 კმ-ს ყოველ 1000 კვ. კმ-ზე. საქართველოს რკინიგზა მთლიანად ელექტროფიცირებულია.

უკანასკნელ წლებში განუსრულად იზრდება რკინიგზის გვირთობრუნვის მაჩვენებლები. თუ იგი 1985 წელს გვირთობრუნვის 24%-ს შეადგენდა, ამჟამად მის წილად მთელი გვირთობრუნვის 1/3-ზე მეტი მიღის. რკინიგზის გრანსპორტში განვითარების დიდი პერსპექტივებია.

საავტომობილო გრანსპორტი შეუქველვია გვირთისა და მგზავრთა შეღარებით მოკლე მანძილზე გადასაყვანად, საგარეო ეკონომიკური კავ-



ყველა სახის ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა და გვირთის გადატანა 1980-1999 წლებში

შირურთიერთობის დასამყარებლად, მალფუქებადი პროდუქტების დროული გრანსპორტირებისათვის და ა.შ.

საქართველოზე გადის ჩრდილოეთისა და სამხრეთის, აღმოსაქეთისა და დასაქეთის დამაკავშირებელი სააეგომობილო გრასები, რომელთა ნორმალურ ფუნქციონირებას უდიდესი როლი ენიჭება ქვეყნის ეკონომიკურ აღმაქელობაში, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ა.შ.


1999 წელს სააეგომობილო გრანსპორტით გადატანილია 15 ათასი ტონა ტვირთი (რესპუბლიკურის 62%), გადაყვანილია 226 მლნ მგზავრი (64%), რაც თვალსაჩინოდ ასახავს კიდევ სააეგომობილო გრანსპორტის უპირეულეს დანიშნულებას საქართველოში. აღნიშნული მონაცემების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ XX საუკუნის ბოლოს სააეგომობილო გრანსპორტით ტვირთის გადატანა და მგზავრთა გადაყვანა, 80-იანი წლების შუა ხანებთან შედარებით, რამდენჯერმე შემცირდა. თუმცა უკანასქნელ წლებში განუხრელად იზრდება სააეგომობილო გრანსპორტის ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლები. ამჟამად სააეგომობილო გზების საერთო სიგრძე 20200 კილომეტრს აღემატება, რაც თითქმის 2 ათასი კილომეტრით ნაკლებია 90-იანი წლების დასაწყისის მაჩვენებელზე. საერთო სარგებლობის სააეგომობილო გზების სიგრძის შემცირება სწორედ აღნიშნული პერიოდიდან დაიწყო. გზების უმეტესობა (99%) საქართველოში მყარსაქურიანია, ხოლო სისშირე დაახლოებით 3 კმ/კმ²-ის ტოლია. სააეგომობილო გზების მდგომარეობასა და მათ გამტარუნარიანობაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული როგორც ქვეყნის, ისე ევრაზიის საგრანსპორტო დერეფნის ნორმალური ფუნქციონირება.

კრიზისული მდგომარეობაა შექმნილი საქართველოს საზღვაო გრანსპორტში. საქართველოს საზღვაო სანაოსნო 1967 წელს დაარსდა. მასში გაერთიანებული იყო ათობით საგრანსპორტო ხომალდი; ბათუმის, ფოთისა და სოხუმის გაუყინავი პორტები, რამდენიმე საწარმო და ორგანიზაცია. 90-იან წლებში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა და განუკითხაობამ საქართველოს სანაოსნო განაგებამდე მიიყვანა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საზღვაო გრანსპორტით ტვირთის გადატანის მოცულობა 20-ჯერ, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 80-ჯერ შემცირდა. საეკონომიკური მდგომარეობაშია თევზსაჭერი ფლოტი.

თანდათან მატულობს ტვირთბრუნვის მაჩვენებლები ბათუმისა და ფოთის საბორნე გადასასვლელებზე ეარნა-ილიჩევსკის მიმართულებით. მათი სრულფასოვანი ამუშავება რკინიგზის გრანსპორტის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. 1999 წელს საბორნე გრანსპორტით გადატანილია (მხოლოდ ერთი მიმართულებით) 2 ათასზე მეტი ეავონი ტვირთი.

საქართველოს პორტებში გადანაწილება ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, სომხეთისა და ამერბაიჯანისათვის განკუთვნილი ტვირთები (საშუალოდ 6-7 მლნ ტ ყოველწლიურად). მარტო 1999 წელს ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში სულ გადამუშავდა 82 მლნ ტ ტვირთი, გაიგზავნა 32 მლნ ტ ნავთობი.

საქართველოს სახელმწიფო
 (სარკინიგზო და საავტომობილო)
 გზები



საქართველო
 გზები


საქართველოს სახელმწიფო
 საავტომობილო და სარკინიგზო
 გზების რუკა

საზღვაო ფლოტს უდიდესი როლი ენიჭება ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ კავშირუროთიერთობაში, რადგან მასზე მოდიოდა და მოდის გეირთბრუნვის მაქსიმალური მანქანებლები. ამიტომ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დროული აღდგენა ერთერთი უპირველესი სამეურნეო ამოცანაა.

ანალოგიური ვითარებაა *სააეიაციო* გრანსპორტშიც. შემეირდა საერთაშორისო სააეიაციო რეისები, სავალალო მდგომარეობაა ადგილობრივ მარშრუტებზე. პრაქტიკულად არ სორციელდება სოფლის მეურნეობის საპაერო ქიმიზაცია და ა.შ. ყოველწლიურად მცირდება სააეიაციო გრანსპორტით გადაყვანილ მგზაერთა რაოდენობა და გეირთბრუნვა. ნაწილობრივაა დაგეირთული ქუთაისის, ბათუმისა და სენაკის საერთაშორისო მნიშვნელობის აეროპორტები. ფუნქციას კარგავს რესპუბლიკური მნიშვნელობის თელავის, ახალქალაქის, ლავოდეხის, მესტიის, ამბროლაურის, ცაჯერისა და სხვა აეროპორტები.

ვერაზიის საგრანსპორტო დერეუზის ამუშაებაამ და „აბრეშუმის გზის“ აღდგენამ ახალი იმპულსი შესძინა საქართველოში *მილსადენი* გრანსპორტის განვითარებას.

კასპიისპირა ნავთობისა და შავი ზღვის ნავსადგურების მილსადენი გრანსპორტით დაკავშირების იდეა XIX საუკუნის დასასრულიდან მოდის. აღნიშნულ პერიოდში არაერთხელ აღინიშნა ამგვარი პროექტის დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ. საუკუნის შემდეგ, 1996 წლის 8 მარტს ხელი მოეწერა ხელშეკრულებათა პაკეტს საქართველოს




ბათუმის პორტი

გერიგორიაზე კასპიისპირა დაბლობისა და შეღფური ნაწილის ნაეთობის ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მარშრუტით მილსადენით გრანს-პორტირების შესახებ. კასპიის შღეაში, ყაზახეთში, თურქმენეთსა და აზერბაიჯანში კი მილიარდობით გონა ნაეთობის მარაგია. აზია-კეკეასია-ვეროპის ნაეთობსადენის საერთო სიგრძე 2000 კმ-ს აღემატება.

ნაეთობსადენის ისტორია 1897-1907 წლებში იწყება, როცა გაყვანილი იქნა ბაქო-ბათუმის მარშრუტი. მისი სიგრძე 865 კმ-ია. 1925-30 წლებში გაყვანილი იქნა მეორე – პარალელური ხაზი, ხოლო 1974 წელს დაუმატეს 232 კილომეტრიანი საშურ-ბათუმის მონაკეეთი. მოგვიანებით, 80-იანი წლების დასაწყისში, სამგორ-პაგარძეულის ნაეთობის საბალოთა ექსპლუატაციაში შესელასთან დაკეშირებით, ამოქმედა 426-კილომეტრიანი სამგორ-ბათუმის ნაეთობსადენი. ამრიგად, საქართველოს გერიგორიაზე ნაეთობსადენების სიგრძემ 1217 კმ-ს მიაღწია.

ნაეთობსადენთან ერთად ყალიბდება ეეროპა-აზიის საგრანსპორტო, ენერგეტიკული და სატელეკომუნიკაციო ღერეფნები. ამ საკომუნიკაციო სისგემაში საქართველოს ადგილი და როლი ვანზომლაღ დიდა.

საქართველოზე გაიღის „გრანსკასპიური“ გამსადენის 250-კილომეტრიანი მონაკეეთი, რომლის საშუალებითაც ვანზრახულია 16-20 მლრდ მ' თურქმენული გამის გაგარება ყოველწლიურად. ამჟამად ჩვენს გერიგორიაზე სამი გამსადენი ფუნქციონირებს: ყარადაღ-ალსგაფა-თბილისის, ელა-დიკეკამ-თბილისისა და სოკი-სოხუმის.



ფოთის სარკინიგზო-საბორნე გადასასეული



სუფსის სახმელეთო ტერმინალი

ქალაქის მოსახლეობის გრანსპორტით უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანია საქალაქო გრანსპორტის, კერძოდ ელექტროგრანსპორტის (მეტროპოლიტენი, ტრამვაი, ტროლეიბუსი) და მიკროავტობუსების როლი. თბილისის მეტროპოლიტენი, რომელიც 1966 წლიდან ფუნქციონირებს და რომელსაც 2000 წელს ახალი, მე-17 სადგური („უაქა-ფშაველა“) შეემატა, კელაე რჩება საქალაქო გრანსპორტის უმთავრეს სახეობად.

კაეშირგაბმულობა (რადიო, ტელევიზია, ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი) მეურნეობისა და გრანსპორტის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. ყოველწლიურად იზრდება კაეშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების (ელექტრონული ფოსტა, ფაქსი, ფიჭური კაემირი) და პრესის გაერცულების მასშტაბები. ვანუხრელად ვითარდება საერთაშორისო სატელეფონო კაემირი. ამჟამად საქართველოში წარმოდგენილია კაეშირგაბმულობის ყველა ფორმა, რომლებიც ცნობილია მსოფლიოში.

90-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა თავისი დადი დაასეა კაეშირგაბმულობის ობიექტების რაოდენობრივ-სარისხობრივ მაჩვენებლებს. საქართველოში სატელეფონო სადგურების რაოდენობა შემცირდა 2-ჯერ, საქალაქო გაქსოფონების – 2,2-ჯერ, ხოლო რადიოსაგრანსლაციო წერტილების – 6-ჯერ. საქართველოს ბერი რეგიონი (განსაკუთრებით მთის), რადიოკაემირის გარეშე დარჩა.

გარკეული წარმატებებია მიღწეული ტელევიზიაში, რომელიც მოიცავს 7 დიდ, 30 საშუალო და 400-მდე მცირე სიმძლავრის სადგურს. 1999 წელს საქართველოს ტელევიზიის I-მა არხმა და სატელევიზიო კომპანია „რუსთავე-2“-მა მთელი ქვეყნის ტერიტორია მოიცეა.

ინფორმაციის გადაცემისა და მიღების ერთერთი საუკეთესო საშუალებაა ინტერნეტი, რომლის ქსელში (ისევე, როგორც ელექტრონული ფოსტის) ჩართეა ნებისმიერ აბონენტს შეუძლია.

საკურორტო-რეკრეაციული და ტურისტული მეურნეობა

საკურორტო-რეკრეაციული და ტურისტული მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებაა. რომლის განვითარების საწინდარია ქვეყნის მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, თვითმყოფადი კულტურულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული თავისებურებანი და სხვ.

საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, ტურიზმის ინდუსტრია კი მაღალშემოსავლიანი დარგი იყო ქვეყნის ეკონომიკაში. XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა 400-მდე სანაგორიო და დასასვენებელი სასლი, 75 სანაგორი, 90 დასასვენებელი ბაზა და თითქმის ამდენივე ტურისტული სასტუმრო. აქ ყოველწლიურად 2.5-3 მილიონი ადამიანი ისვენებდა და იკაებდა ჯანმრთელობას. საქართველოს ერთროულად 100 ათასი სტუმრის მიღება შეეძლო, რაც ერთ-ერთი პირველი მაჩვენებელი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის.

ბუნებრივი პირობების გამოყენება ადამიანის მიერ დასარჯული ძალების აღსაღესად ცნობილი იყო ჯერ კიდევ რამდენიმე ათასწლეულის წინ. სახერმსეთში, ანტიკურ ეპოქაში, ტაძრები შენდებოდა უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც სამკურნალო წყაროები, ჯანმრთელი კლიმატი და მდიდარი მცენარეულობა იყო. ისინი ასრულებდნენ თავისებური კურორტების როლს. კიდევ უფრო ფართო გავრცელება პოვა საავარაკო ადგილებმა რომის იმპერიაში. უკვე მამინდელ „მოღურ“ კურორტებზე დროს აგარებდნენ რომის პაგრიციები.

შუა საუკუნეებში საკურორტო მეურნეობამ სრული დაქვეითება განიცადა. მხოლოდ XVIII საუკუნიდან შეინიშნება მისი ერთგვარი გამოცოცხლება. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი ინტენსიურად იწყება კურორტების მშენებლობა, რომლის ხელშემწყობი ფაქტორი საგრანსპორტო საშუალებების განვითარებაა. ამავე პერიოდს ემთხვევა საქართველოში საკურორტო მეურნეობის ჩასახვა. ამიგომ ზოგიერთ თანამედროვე კურორტს კარგა ხნის ისტორია აქვს. ბორჯომსა და აბასთუმანში საავარაკო სახლბო XIX საუკუნის ბოლოს აშენდა რუსეთის საიმპერატორო გვარის წარმომადგენელთათვის. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანა ცნობილი ვავრის კლიმატური კურორტი. დაახლოებით იმავე პერიოდში შეიქმნა საკურორტო ობიექტები სოსუმისა და ბათუმის მიდამოებში. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში გულრიჟში აშენდა დიდი სანაგორიო ტუბერკულოზით დაავადებულთათვის.

XX საუკუნის 20-იან წლებში დასასვენებელი სახლები და სანაგორი-უმები აშენდა იმ ავარაკებზე, რომლებიც ადრე მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ. ერთდროულად დაიწყო ახალი კურორტების მშენებლობა. რეკრეაციული მეურნეობის შექმნამ საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო 30-იან წლებში. სანაგორიუმები, დასასვენებელი სახლები და

პანსიონატები ამენდა ვაგრაში, ბორჯომში, ქობულეთში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, აბასთუმანსა და წყალტუბოში. აღნიშნულ პერიოდში საკურორტო მშენებლობა იმდენად გაფართოვდა, რომ იგი ერთერთი ქალაქწარმოქმნულ ფაქტორად იქცა. მან დიდი როლი შეასრულა ბორჯომის, ვაგრის, წყალტუბოს, ქობულეთის, გუდაუთის, ოჩამჩირის ქალაქებად ჩამოყალიბებაში. რეკრეაციულ ფუნქციას ასრულებენ დაბები: აბასთუმანი, ახალი ათონი, ბიჭვინთა, ბაკურიანი, ლესელიძე, მახინჯაური, სურამი, კოჯორი, მანგლისი, ფასანაური, წაღვერი. წყნეთი. ზოგი მათგანი მთიან ზონაში მდებარეობს და თავისი საკურორტო-გურისტული ფუნქციით ხელს უწყობს ამ ზონაში მოსახლეობის ადგილზე დამატარებას.

1939 წლისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 71 სანატორიუმი და 60 დასასვენებელი სახლი 14,2 ათასი ადგილით. მეორე მსოფლიო ომის წლებში რიგი საკურორტო დაწესებულებები ჰოსპიტლებად გარდაიქმნა. დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში ხლებოდა საკურორტო-გურისტული მეურნეობის მაგერიალურ-გექნიკური ბაზის გაფართოება. 1970 წელს საქართველოს კურორტებზე ფუნქციონირებდა 150-ზე მეტი სანატორიუმი. დასასვენებელი სახლი და პანსიონატი, რომლებშიც 31,8 ათასი ადგილი იყო. 1988 წელს კი - 129 სამკურნალო სანატორიუმი და პანსიონატი 27,6 ათასი საწოლით. მათ შორის 28 სანატორიუმი და პანსიონატი განკუთვნილი იყო ბავშვებისათვის. საკურორტო-გურისტული დაწესებულებების მნიშვნელოვანი გამგარუნარიანობის მიუხედავად, მათი სიმძლავრეები მაინც ვერ აკმაყოფილებდა დასვენების მსურველთა მოთხოვნილებას. ამიგომ ყოველწლიურად იზრდებოდა დამსვენებელთა ის კონტიგენტი, რომელიც იძულებუ-



კაკეასიონი - სამთო ტურიზმის განვითარების საუკეთესო არეალი

ლი იყო საქართველოს კურორტებზე კერძო ბინები დაექირავებინა. მაფხულში მათი რაოდენობა ბუერად სჭარბობდა ორგანიზებულ დამსვენებელთა რაოდენობას. მარტო 1988 წელს მათი რიცხვი 627,5 ათასი კაცით განისაზღვრებოდა.

ომამღელ პერიოდთან შედარებით პოპულარული გახდა ტურისტული მოგზაურობა. დაწესდა ახალი ტურისტული მარშრუტები, შეიქმნა მძლავრი მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1988 წელს საქართველოში იყო 36 ტურისტული სასტუმრო და ბაზა, ხოლო მასში ადგილების რაოდენობა 39,5 ათასს აღწევდა. ახალი ტურისტული ბაზები აშენდა თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში.

საკურორტო-რეკრეაციული და ტურისტული მეურნეობა გადაიქცა საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სერიოზულ ფაქტორად. სულ ამ დარგში XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, უშუალოდ ჩაბმული იყო დაახლოებით 25 ათასი კაცი, ანუ საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 1,5%.

ტურიზმი რეკრეაციული მეურნეობის განუყრელი ნაწილია და იგი ინტენსიურად ვითარდება ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით მდიდარ ადგილებში, მსხვილ საქალაქო ცენტრებში. კლიმატურად ხელსაყრელ რაიონებში. საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი იმდენად მჭიდროდ არის გადახლართული ერთმანეთში, რომ ხშირად ძნელია გაეგაროთ ზღვარი ტურისტებსა და დამსვენებლებს შორის.

საქართველოს ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი, ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსული, თვითმყოფადი კულტურა, მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები უამრავ მნახელს იზიდავს. რესპუბლიკის ტერიტორია დასერილია მოგზაურისათვის საინტერესო მრავალი ტურისტული მარშრუტით, რომელთა ქსელში ჩართულია ბუნებისა და მაგერიალური კულტურის მრავალი უნიკალური ძეგლი. ბუნების ღირსშესანიშნაობებიდან ყურადღებას იქცევს ბორჯომის, ლავოდეხის, ბიჭვინთის, რიწის, კინტრიშისა და სხვა ნაქრძალები, ანაკოფიის, წყალტუბოს, სათაფლიის კარსტული მღვიმეები, იშვიათი სილამაზის გბები, ძნელად გასაიღელი კანიონები, ბუნებრივი საყინულეები, მოქანავე ლოდები და სხვ. საქვეყნოდ ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლებს წარმოადგენენ მცხეთა, ვანი, საირმე, დმანისი და სხვ. უნიკალური არქიტექტურული ძეგლებია ვარძია, უფლისციხე, უამრავი გაძარი და ციხე-ქალაქი, ხალხური ხუროთმოძღვრების მთის სოფლები (უშგული, შავილი) და სხვ.

საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებაში დადებით როლს ასრულებს საქართველოს მოსახერხებელი საგრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა; იგი ტრანსპორტის თითქმის ყველა სახეობითა და კავშირებული დასაქმებული ევროპის მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებთან, შავ ზღვაზე გასასვლელი კი მას სამუშალებას აძლევს დაამყაროს კავშირი ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებთან, რომლებიც მსოფლიოში გამოირჩევიან როგორც უმნიშვნელოვანესი საკურორტო-ტურისტული ცენტრები.




„შერატონ მეტეხი-პალასი“, თბილისი

საქართველოში დიდი პერსპექტივებია ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის განვითარებაში. ეს უკანასკნელი ძალზე პოპულარულია ევროპაში, რომელიც ძირითადად საშუალო მთის ლანდშაფტებში ვითარდება. ამგვარი ლანდშაფტები კი, სადაც შერწყმულია უნიკალური ბუნებრივი მკენარეულობა და ისტორიული ძეგლები, უხედაა საქართველოში. სამთო ტურიზმის ორი უმნიშვნელოვანესი კერა – გულაური და ბაკურიანი – წარმოდგენილია თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურითა და გადაადგილების (ბაგირგზები) საშუალებებით. აღსანიშნავია, რომ ბაკურიანში 1954 წელს აშენებული ბაგირგზა პირველი იყო საბჭოთა კავშირში. მაგრამ მიუხედავად ბაკურიანისა და გულაურის მაღალი საკურორტო რეკრეაციული დანიშნულებისა, აქ ერთდროულად მხოლოდ 3 ათასი დამსვენებლის მოთავსებაა შესაძლებელი. მწყობრიდანაა გამოსული ათეულობით სამთო-ტურისტული მარშრუტი, რომლებიც რამდენიმე ადგილზე სერაჟეა კავკასიონს.

ტურიზმის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება შეუძლია სპელეოტურიზმს – ტურიზმის შედარებით ახალ სახეობას. აღსანიშნავია, რომ ახალი ათონის (აფხაზეთი) კეთილმოწყობის დამთავრებისთანავე (1975 წ) მას დამთავალიერებელთა მძლავრი ნაკადი მოაწვდა, რომლის რაოდენობის მიხედვითაც მან მსოფლიოს არაერთი ცნობადი მღვიმე ჩამოიგოვა. დიდი პერსპექტივებია წყალტუბო-ქუთაისის მიდამოების მღვიმეთა რეკრეაციული დანიშნულებით გამოყენებაში. მათი ექსპლუატაციაში შეყვანა მყიდრე დანახარჯებითაც შეიძლება. საქართველოში სპელეოლოგიური

ობიექტების არეალი 5000 კმ²-ს მოიცავს. აქ რამდენიმე ათეული მღვიმეა აღრიცხული. მათი სათანადო გამოყენება საქართველოს მსოფლიო მნიშვნელობის სპელეოტურიზმის ცენტრად აქცევს.


საქართველო საინტერესოა სამეცნიერო-მეცენებითი და სამონადირეო ტურიზმის განვითარების მხრივაც. უნიკალური ლანდშაფტების სიმაღლებრივი ზონალობა ბიომრავალფეროვნების აღქმისა და შესწავლის კარგი საშუალებაა. სამეცნიერო-მეცენებითი ტურიზმით ევროპის მრავალი მცხოვრებია დაინტერესებული, რომელთაც ვარდა აღქმისა და კაეკასიონის შეღარებითი ანალიზისა, აქაური ბიოსამყაროს სახეობრივი შემადგენლობა და მათი გამოყენების თავისებურებანიც აინტერესებთ. ღიდი პერპსექტივებია შექმენებითი ტურიზმის განვითარებაში, რისთვისაც საჭიროა „ანორაჰული წერტილების“ შერჩევა, კეთილმოწყობა და შესაბამისი სამხარეო-საექსკურსიო საქმის ორგანიზება. მსოფლიოში მაღალშემოსავლიანია სამონადირეო ტურიზმი, განსაკუთრებით მთის პირობებში. სანაკრძალო მეურნეობისა და დასული ტერიტორიების ახალ სისტემაში, რომელიც უყვს იკიდებს საქართ-



გელათის სამონასტრო კომპლექსი - მეცენებითი ტურიზმის მნიშვნელოვანი ობიექტი

ველოში. გათვალისწინებულია ამგვარი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი.

ზღვისპირა-კლიმატური კურორტები ძირითადად აჭარისა და აფხაზეთის ფარგლებშია მოქცეული. ორივე მონაკვეთი პირველ ადგილს ინარჩუნებს საქართველოში, როგორც დასვენებისა და მეკურნალობისათვის განკუთვნილი დაწესებულებების საერთო სიმძლავრით, ისე არაორგანიზებული დამსვენებლების საერთო რაოდენობით. მის ფარგლებში კონცენტრირებულია ქვეყანაში არსებული სანაგორიუმების, დასასვენებელი სასლების, პანსიონატების თითქმის 30% და საკურორტო ადგილების 45%. ამ ზონის მთავარი რეკრეაციული ფაქტორებია რბილი სუბტროპიკული ჰავა, ზღვაზე სანგრძლივი საბანაო სეზონი, სანაპირო ზოლის იშვიათი სილამაზის ლანდშაუტები და სამკურნალო თვისებების მინერალური წყაროები. ასეთმა უპირატესობამ კარგი წანამძღვრები შექმნა ორივე რეგიონში ფართო მასშტაბის საკურორტო-ტურისტული ობიექტების მშენებლობისათვის. პირველ რიგში ეს ეხება აფხაზეთის სანაპირო ზოლს, რომლის ძირითადი ნაწილი (მდინარეებს ფსოუსა და კოდორს შორის) ინგენსიურად გამოიყენებოდა რეკრეაციული



აჭარის სანაპირო, ციხისძირი

მიზნებისათვის. სანაპირო ზოლის ამ მონაკეიფი, რომლის სიგრძე 140 კმ-ია, განლაგებულია სხედასხვა მოცულობის სანაგორიუმები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები, გურისტული ბაზები, სხედასხვა სახის ობიექტები და კერძო პირთა აგარაკები. რეკრეაციული ობიექტების უდიდესი ნაწილი განლაგებულია გავრაში, ბიჭვინთაში, სოხუმში, გუდაუთაში, ახალ ათონში. აღსანიშნავია ასევე განთიადი, ლესელიძე, აგუქერა, გულრიფში, ოჩამჩირე, ეშერა, მიუსერა და კინლი.

აფხაზეთის სანაპირო ზოლის კურორტებზე 1988 წელს მოქმედებდა 23 სანაგორიუმი, 21 პანსიონატი და 46 დასასვენებელი სახლი, რომელთაუ შექმლოთ ერთდროულად 34 ათასამდე ღამსვენებლის მიღება.

ზღვისპირა-კლიმატური კურორტების უმრავლესობა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს, მაგრამ დასვენებელთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა მაფხულში ან ადრე შემოდგომაზე ჩამოდის. აღნიშნულ პერიოდში რეკრეაციული ობიექტები მაქსიმალურადაა დატვირთული. ისინი ვერ აუღიან ზღვაზე დასვენების მსურველის მიღებას. ამიგომ მაფხულში მრავალი ღამსვენებელი ქირაობს კერძო ბინას.

დიდი საკურორტო-გურისტული მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის მთიან ზონასაც. საუკეთესო კლიმატური პირობებთან ერთად მის ფარგლებში აღმოჩენილია სხედასხვა ტიპის მინერალური წყარო (ბზიფის, ლამიფსის, კოდორის, ბესლეთისა და ღალიძგის ხეობებში).

აჭარის ზღვისპირა საკურორტო-გურისტული 35 კმ-იანი სანაპირო ზოლი მოიცავს ქობულეთის, მწვანე კონცხის, ციხისძირის, მახინჯაურისა და ჩაქვის საკურორტო კომპლექსებს. პანსიონატები და გურისტული ბაზები ბათუმშიც მოქმედებს.

ქობულეთი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ზღვისპირა კურორტია. მისი კლიმატი, ბათუმთან შედარებით, უფრო მშრალია, ხოლო მზიან ღლეთა რაოდენობა 200-მდეა წელიწადში. ქობულეთის ღირსებას წარმოადგენს ზღვის წყლის მაღალი ტემპერატურა, საუცხოო ფიჭუნარი და შედარებით კომფორტული ჰაერი. პირველი სანაგორიუმი აქ 1924 წელს ამოქმედდა. ამჟამად აქ 9 სანაგორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი და მრავალი კერძო სასტუმროა.

მახინჯაურ-მწვანე კონცხის ზღვისპირა ზოლი აჭარის სანაპიროს უღამაშესი კუთხეა. მწვანე კონცხს ამშვენებს 1912 წელს დაარსებული ბოგანიკური ბაღი, რომელშიც გამეზებულია სხედასხვა სახეობის სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარე.

საქართველოს ცენტრალურ შავიზღვისპირეთში საკურორტო-გურისტული მშენებლობის მთავარი რეზერვია კოლხეთის სანაპირო. ამჟამად კოლხეთის სანაპიროს გაყოლებით რამდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი მოქმედებს. მათ შორის აღსანიშნავია: ანაკლია, ყულევი, მალთაყვა, გრიგოლეთი, ურეკი და შეკეეთილი, რომელთა მაგერიალური ბაზა გამუღმებით ვითარდება. აქაური საკურორტო-გურისტული მეურნეობის

განვითარების მთავარი წინაპირობაა ხელსაყრელი კლიმატური პირობები, საუკეთესო პლაჟები და ვაკე რელიეფი.

ბალნეოლოგიური კურორტების უმრავლესობა განლაგებულია დასავლეთ საქართველოს ბარში. აღსანიშნავია სამკურნალო თვისებებით განთქმული, სუსტად მინერალიზებული და სუსტი რადიაციის მქონე წყალტუბოს თბილი წყლები, რომლის დებიტი დღე-ღამეში 12 მლნ ლიტრს შეადგენს. აქ ფუნქციონირებდა 16 სანატორიუმი და პანსიონატი 4 ათას კაცზე, რითაც საქართველოს საკურორტო ფონდის 13%-ს მოიცავდა. წყალტუბოს წყლები ეფექტურია გულის, სისხლძარღვების, სახსრების, ნერვული სისტემისა და სხვათა დაავადებისას. კურორტის აღორძინება მძლავრი შემოსაყლების წყარო შეიძლება გახლეს.

ადგილობრივი გოგირდწყალბადიანი და ქლორ-ნატრიუმიანი წყაროების ბაზაზე სენაკთან შეიქმნა კურორტი მენჯი. მენჯის სანატორიუმი და პროფილაქტორიუმი რეკომენდებულია გულ-სისხლძარღვთა, კანისა და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. შუკდიდის მახლობლად გოგირდწყალბადიანი თერმული წყლების ბაზაზე შეიქმნა კურორტი ცაიში, სადაც მოქმედებდა 240-საწოლიანი სანატორიუმი. აქ მკურნალობდნენ პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის და სხვა დაავადებებს. სამეგრელოშია კურორტი სქური, სადაც არსებული მინერალური წყლის ბაზაზე მოქმედებს სანატორიუმი და პანსიონატი 670 ადგილით. აქ ძირითადად ეუქ-ნაწლავით დაავადებულებს მკურნალობენ. თბილისი საკმაოდ პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტია. რომელიც განვითარდა ადგილობრივი თერმული გოგირდწყალბადიანი წყაროების ბაზაზე. ამ კეთილმოწყობილ კურორტზე ათასობით ავადმყოფს მკურნალობენ. აქვე ფუნქციონირებს კურორტოლოგისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში (გურჯაანი) ფუნქციონირებს სამკურნალო ტალახებით ცნობილი კურორტი ახგალა (ჩ.დ. 412 მ). სადაც მოქმედებს მომრდილთა და ბავშვთა სანატორიუმები. ასგალის აბაზანებით კურნავენ მოძრაობის ორგანოების ქრონიკულ დაავადებებს. ასევე პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიურ დაავადებებს.

გარდა დასახელებული ბალნეოლოგიური კურორტებისა, საქართველოში მრავლადაა სამკურნალო მინერალური წყაროები, რომელიც ბაზაზეც შექმნილია სამკურნალო დაწესებულებები. მათ შორის აღსანიშნავია: ნაბულაჯი, სულორი, ავადჰარა, გუეარჩელი და სხვ. ეს კურორტები სემონურია და წლის თბილ პერიოდში ფუნქციონირებენ.

ბალნეო-კლიმატური კურორტები დაბალმთიან ზონაში მდებარეობს. საქვეყნოდაა ცნობილი კურორტი ბორჯომი, რომელსაც მსოფლიოში აღიარებულ მინერალურ წყალთან ერთად სახელი გაუთქვა ჯანსაღმა ჰაერმა, გვიანმა გარემომ და პარკებმა. ბორჯომში მკურნალობენ კუჭისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. მთისა და ბარის საზღვარზე მდებარე ბორჯომის ხეობა თრიალეთის მთიან სისტემას გამოჰყოფს მესხეთისა და ლიხის ქედებისაგან. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ


პარკს უჭირავს; ხეობა ერთ-ერთი გამორჩეული დასასვენებელი ადგილია მიუღს კავკასიაში. ბორჯომში მოქმედებს 6 სანატორიუმი, 4 პანსიონატი 3800 ადგილით და 366-ადგილიანი გურისგული ბაზა. კურორტი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს.

ლეიძლისა და თირქმლის დააეადებათა ეფექტური სამკურნალო თვისებებით ცნობილია კურორტი საირმე, რომელიც ზ.დ. 950 მ სიმაღლეზე მესხეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, წაბლარასწყლის ეიწრო ხეობაშია განლაგებული. კურორტი მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს. საირმის სანატორიუმი, პანსიონატი და სასტუმრო ერთდროულად 800-მდე ადამიანს ემსახურება.


შილა ქართლის რეკრეაციული რაიონის ძირითადი ბირთვია ჯაეის საკურორტო კომპლექსი, რომელიც დიდი ლიახვის ხეობაში, ზ.დ. 1120 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ჯაეაში მოქმედებდა 2 სანატორიუმი 270 ადგილით. აქ არსებული მინერალური წყლები გამოიყენება საკმლის მომწელებელი ორგანოებისა და უროლოგიურ დააეადებათა სამკურნალოდ.

აღნიშნული კურორტების გარდა საქართველოში სეზონურად მოქმედებს ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეო-კლიმატური კურორტებიც. მათ შორისაა: ყაბზეგი. კვერეთი, ნუნისი, ეაეას წყარო, უწერა, თორღეას აბანო, ლებარღე და სხვ.

საქართველო მდიდარია სამთო-კლიმატური კურორტებით. ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ცნობილია აბასთუმანი, რომელიც მესხეთში, მდ. ოცხეს



გულაურის სასტუმრო კომპლექსი



სამთო ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა

(ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი) წიწვიანი მცენარეებით შემოსილი ხეობის საშუალომთიან ზონაში, ზღ. 1260 მ სიმაღლეზე მდებარეობს. კურორტზე არსებულ 6 სანატორიუმში (საწოლების საერთო რაოდენობაა 1125) მკურნალობენ ტუბერკულოზით დაავადებულ ავადმყოფებს. იგი მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს. აბასთუმანი ცნობილია მინერალური წყაროებით. მთის კლიმატურ კურორტია ჯგუფს მიეკუთნება ბაკურიანი და გუდაური, რომელიც უმთავრესად ემსახურება გურისგებსა და სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთ დაბა ბაკურიანში მოქმედებს მსხვილი გურისგული ბაზა. სასტუმროები და სპორტული ბაზები. მაფხულობით ბაკურიანი საუკეთესო მაღალმთიანი კლიმატური კურორტია ბამეებისათვის და მოზრდილთათვის. მზიანი დღეების სიუხვით, ზომიერი ყინვებით, თოვლის საფარის ხანგრძლივობით ბაკურიანი წინ უსწრებს ევროპის ცნობილ მაღალმთიან კურორტებს, რაც პერსპექტივაში მამთორის სპორტის სახეობების საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრად გადაქცევის შესაძლებლობას იძლევა.

ბორჯომ-ბაკურიანის სააეგომობილო გზაზე განლაგებულია სეზონურად (მაფხულში) მოქმედი კურორტები: წაღვერი, ცეში, გბა, პატარა ცეში. ისინი დიდი რაოდენობით იზიდავენ დამსვენებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. სამთო-კლიმატური კურორტების ჯგუფში ასევე შედის: ბახმარო,

მოვი, ბეშუმი, გომის მთა, ეისკარა, ცივი კოდა და სხვ. თითოეული მათგანი ცნობილია მთის ვრდილი ჰაერითა და უხვი მცენარეულობით.

საქართველოში მრავალი საგარეუბნო ტიპის კურორტია. მათი უმეტესობა თბილისის მიდამოებშია წარმოდგენილი. თრიალეთის ქედის აღმოსაფლეთ განშტოებებზე მდებარე საგარეუბნო კურორტებია: კოჯორი, წყნეთი, კიკეთი, მანგლისი, ტაბახმელა, ოქროყანა, აქ წარმოდგენილია სახელმწიფო და კერძო აგარაკები. ქართლის ქედის კალთებზე მდებარეობს ცხეარიჭამია. დედაქალაქის დასაფლეთი საზღვრის მახლობლად, წყლულეთში, ნაფეგერებსა და მუხათწყაროში აშენებულია ასეულობით კერძო აგარაკი.

ამრიგად საქართველოში რამდენიმე კარგად გამოხატული საკურორტო ზონაა: მღვისპირა კლიმატური, ბალნეოლოგიური (ზ.დ. 700 მ სიმაღლემდე), ბალნეო-კლიმატური და საგარეუბნო-ტურისტული (ზ.დ. 700-1000 მ ფარგლებში), სამთო-კლიმატური (ზ.დ. 1000-1500 მეტრის ფარგლებში), სამთო-ტურისტული და სამთო-კლიმატური (ზ.დ. 1500-2000 მ), ალპინიზმის, სამთო-ტურისტული და სამთო-სათხილამურო სპორტის (ზ.დ. 2000-ზე მაღლა).




რინის ტბა, აფხაზეთი

ტურიზმი მხოლოდ შემოსავლის წყარო როდია. მის განვითარებას უარყოფითი მხარეც აქვს – წარმოშობს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს. არაორგანიზებული ტურიზმის შედეგად მიანდება კულტურის ძეგლები და ისტორიული ღირსესანიშნაობები, ჩნდება ადგილობრივი მოსახლეობის განსახლებისა და სემონური დასაქმების პრობლემები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოითხოვს ტურიზმის განვითარების ახლებურ გააზრებას, რაც მსოფლიოში „ეკოტურიზმის“ სახელწოდებითაა ცნობილი. საქართველოში ტურიზმის განვითარება, „აბრეშუმის გზის“ მასშტაბური ამოქმედება მოითხოვს „ეკოტურიზმის“ აქტიურ დანერგვას.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ბერეკტი შეიძლება გახდეს. ვარდა იმისა, რომ თვით ეს დარგია მაღალშემოსავლიანი, იგი ხელს უწყობს პრეწეელობის, გრანსპორტის, კაეპირგაბმულობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და თვით განათლების განვითარებასაც კი.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოში ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 3-ჯერ, ხოლო ტურისტთა რაოდენობა 300-ჯერ შემცირდა. შიდა ტურიზმმა, რომელსაც 200-მდე ტურისტული ფორმა ემსახურება, მახინჯი ფორმა მიიღო და მხოლოდ კომერციული ანუ „ფსევდოტურიზმით“ შემოიფარგლება.

1998 წელს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავდა ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინდა 2005 წლისათვის: 1 მლნ ტურისტის მიღება; ევროპული სტანდარტის 8000 ნომრიანი სასტუმროს აშენება, რის შედეგადაც დარგში დასაქმებულთა რაოდენობა 100000-ს მიაღწევს. პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოში მხოლოდ ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა უნდა მიაღწიოს 1 მლრდ აშშ-ის დოლარს, რომლის 25% შევა ქვეყნის ბიუჯეტში.



საქართველოში შემოსულ და გასულ ტურისტთა დინამიკა (1995-1999 წწ)

საქართველოში დაინტერესება ყოველწლიურად იზრდება. ეს გენდენცია განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან აღინიშნება. საინტერესოა ისიც, რომ უკვე 1999 წელს ჩამოსულთა რაოდენობამ წინა წელიწადთან შედარებით შესამჩნევად გადააჭარბა გასულ ტურისტთა რაოდენობას.

მსოფლიოში ტურიზმის განვითარების საუკეთესო მაგალითები არსებობს, მით უფრო საქართველოს ანალოგ ქვეყნებში. რეკრეაციული რესურსებით ჩვენთან შედარებით „ღარიბმა“ სახელმწიფოებმა მეურნეობის ეს დარგი კეთილდღეობის წყაროდ აქციეს. საქართველოში კი არსებობს იმის წინაპირობა, რომ სათანადო ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ტურიზმი საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგად იქცეს.

1990 წელს საქართველოში დაარსდა პირველი ტუროპერატორი კომპანია „Caucasus Travel“, რომლის მომსახურების არეალი მთელ ამიერკავკასიას მოიცავს. მარტო 1999 წელს კომპანიამ უმასპინძლა 1500-მდე უცხოელ ტურისტს, რითაც მას ლიდერის პოზიცია უკავია საქართველოს ტურისტულ კომპანიებს შორის. კომპანია ემსახურება: ინკლუზიურ ტურებს (კულტურულ-შემეცნებით, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, სათავეგადასაელო და სხვ.); ტურისტის ინდივიდუალურ მომსახურებას (სასტუმროების დაჯაემსა, გიდებითა და ავტომობილებით მომსახურება, ტექნიკური აღჭურვილობის დაქირავება); კონფერენციების მოწყობა-ჩატარებას და სხვ.



„Caucasus Travel“ – ოფისი ანჩისხატის უბანში (თბილისი)

ვაჭრობისა და მომსახურების გეოგრაფია

XX საუკუნის 90-იან წლებში ვაჭრობა საქართველოს მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი გახდა, რაც ძირითადად მრეწველობასა და მშენებლობაში შექმნილი კრიზისული ვითარებითაა განპირობებული. თუ 1990 წელს ვაჭრობაში ერთობლივი შიდა პროდუქტის მხოლოდ 6% იქმნებოდა. იგივე მაჩვენებელმა 1998 წელს 22%-ს მიაღწია. თუმცა, 1999 წელს მატერიალური წარმოების ცალკეული დარგების წილის მნიშვნელოვანმა ბრდამ ვაჭრობის წილის განახეურება განაპირობა, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

არსებობს ორი სახის ვაჭრობა: სამინაო და საგარეო.

სამინაო ვაჭრობაში, რომელსაც ხშირად სამოვადოებრივ კეებასთან ერთად განიხილავენ, 1990-99 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. პრივატიზაციის შედეგად საცალო ვაჭრობასა და სამოვადოებრივ კეებაში ძირითადი ადგილი კერძო სექტორმა დაიკავა. თუ 1990 წელს დარგის მოცულობის 30% არასასულმწიფო სექტორზე მოდიოდა, იგივე მაჩვენებელმა XX საუკუნის ბოლოს 90%-ს მიაღწია.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში შეიქცა საცალო ვაჭრობისა და სამოვადოებრივი კეების სტრუქტურა და სისტემაში დასაქმებულთა რაოდენობაც. თუ 1990 წელს ამ სფეროში დასაქმებულთა 2/3 საცალო ვაჭრობაზე მოდიოდა, ამჟამად ეს მაჩვენებელი 93%-ს აღწევს. თუ 1990 წელს საცალო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურაში სასურსათო საქონელზე 28% მოდიოდა, ამჟამად ეს მაჩვენებელი 40%-ის გოლია. სასურსათო საქონლის ვაჭრობაში შემყირდა ხორცისა და ხორცის პროდუქტების, ხილისა და ბოსტნეულის წილი. გაიზარდა კვერცხის, თევზისა და თევზის პროდუქტების, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის, პურისა და პურ-ფუნთუშეულის მოხმარება. არასასურსათო საქონლის საცალო ვაჭრობაში მნიშვნელოვანია განსაცმლისა და თეირეულის, სამკურნალო საშუალებების, თამბაქოს ნაწარმის, სამედიცინო დანიშნულებისა და სამეურნეო საქონლის წილი. ერთიორად შემყირდა ავტომანქანების, ავეჯის, ჭურჭლისა და საგალანტერიო საქონლის შესყიდვის მაჩვენებლები.

ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრარული ბაზრები და ბაზრობები, რომლებმაც მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. საქონლებრუნვა აქ თითქმის არ კონტროლდება. 1999 წლის სტატისტიკური მონაცემებით აღნიშნული საეაქრო ობიექტების საქონლებრუნვის მოცულობამ მთლიანი საცალო ვაჭრობის 70% შეადგინა. მარტო თბილისში რამდენიმე ათეული საცალო არასასურსათო და სასურსათო საქონლის ბაზრობაა, სადაც ძირითადად დაბალხარისხოვანი ან საეკო წარმომობის პროდუქციით ვაჭრობენ. არადა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის, დაბალი ფასების გამო, მხოლოდ ისინია მისაწვდომი.

საქართველოს აგრარულ ბაზრებში რეალიზებული პროდუქციის 2/3 მემცენარეობის, სოლო 1/3 მეცხოველეობის პროდუქციაზე მოდის. სარეალი-



ზაციო პროდუქტის ფასები საქართველოში კარგად გამოხატული რეციონული თავისებურებებით გამოირჩევა. თბილისის ბაზრები კელაე რჩება იაფი ბაზრების კატეგორიაში. კვების პროდუქტების ცალკეულ სახეობათა მიხედვით მდგომარეობა შემდეგნაირია: ხორბალი ყველაზე იაფია შიდა და ქვემო ქართლის ქალაქებში, ფქვილი – ვორში, კარგოფილი – ბათუმსა და ახალციხეში, ეაშლი – მცხეთაში, ლიმონი – ფოთსა და ოზურგეთში, ყურძენი – ქუთაისსა და თელავში, ხორცი – ამბროლაურში, რძე – მარნეულში, თაფლი – ამბროლაურში და ა.შ.

საყლო ვაჭრობის მოცულობაში უდიდესია თბილისის წილი (62%). მნიშვნელოვანი საქონელბრუნვით ხასიათდება აჭარა, აგრეთვე იმერეთის, სამეგრელო – ზემო სვანეთისა (ძირითადად ფოთი) და ქვემო ქართლის მხარეები.

სამოვადობრივ კვებაში დასაქმებულთა რაოდენობა უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში განუხრელად იზრდება, რაც განპირობებულია დარგის ობიექტების რიცხვის არნახული ზრდით. ეს განსაკურებით ჩვენს დედაქალაქს უხება, რომელზედაც რესტორნების საეაჭრო მოცულობის თითქმის ნახევარი მოდის. მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება აჭარაში (დაახლოებით 12%), რაც მისი მაღალი რეკრეაციული პოტენციალითაა განპირობებული. გამოირჩევა აგრეთვე იმერეთის, სამეგრელო – ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის მხარეები. სამოვადობრივი კვების ობიექტთა 96% კერძო სექტორზე მოდის.

ვაჭრობის ობიექტთა განთავსებისას ითვალისწინებენ როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებას, ისე მოცემული ადგილის გეოგრაფიულ, სამეურნეო და დემოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ თავისებურებას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, უკანასკნელ წლებში, დადებითი ძვრები აღინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ 1999 წელს, წინა წელთან შედარებით, საგარეო საეაჭრო ბრუნვის მოცულობა 1/5-ით შემცირდა, ასევე შემცირდა უარყოფითი საეაჭრო ბალანსის მაჩვენებლებიც, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. გაიზარდა ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებლები. თუ 1998 წელს საქართველოს დადებითი საეაჭრო ბალანსი 14 ქვეყანასთან ჰქონდა, მომდევნო წელს მათი რიცხვი 8 ერთეულით გაიზარდა, რაც ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა. 1 მლნ აშშ-ის დოლარზე მეტი დად-



საყლო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა 1990 და 1998 წლებში

ბითი საეაპრო ბალანსი საქართველოს აქვეს კონგოსთან, სირიასთან, სომხეთთან და გაჯიკეთთან.

1999 წელს საქართველოს 10 ძირითად საეაპრო პარტნიორ-ქვეყანაზე მოდიოდა საეაპრო ბრუნვის 3/4. ეს ქვეყნებია: რუსეთი (20%), თურქეთი (13%), აშშ (9,7%), გერმანია (8%), აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქმენეთი, სომხეთი, დიდი ბრიტანეთი და იგალია. მსხვილი საეაპრო პარტნიორებიდან ხუთი პოსტსაბჭოური ქვეყანაა, რომლებზედაც მოდის საეაპრო ბრუნვის 38,9%. აღსანიშნავია საგარეო ვაჭრობის მოცულობის მრღა ევროკავშირის ქვეყნებთან, რაც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 5-ჯერ გაიზარდა.

1995-99 წლებში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა 1,6-ჯერ გაიზარდა, მათ შორის დსთ-ს ქვეყნებში 1,2-ჯერ, ხოლო დანარჩენ მსოფლიოში – 2,3-ჯერ. საეაპრო ურთიერთობათა განუზრეული მრღა ე.წ. „სუუამ“-ის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ხელშეკრულებს ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია უკრაინის მასივები (მაგება – 2-ჯერ). აღნიშნულ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოდან ექსპორტის მოცულობა აესტრიაში, გერმანიაში, ესპანეთში, იაპონიაში, საბერძნეთში, ირანში, ისრაელში, ნიდერლანდებში, იგალიასა და სხვ, ხოლო შემცირდა – ბულარუსში, სომხეთში, ბულგარეთში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში. ექსპორტის სახეობებიდან მნიშვნელოვანია კვების მზა პროდუქტები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები (20%), მცენარეული წარმოშობის პროდუქტები (16%), ქიმიური მრეწველობის პროდუქტია (12%), ფეროშენადნობები (11,7%), მერქანი, მაკულატურა (3%) და სხვ.

იმპორტის მოცულობა. 1997 წელთან შედარებით (როცა იგი მაქსიმალური იყო), 1999 წელს 1,5-ჯერ შემცირდა. უფრო თვალმისაცემია იმ ქვეყნებიდან იმპორტის შემცირება, რომლებიც არ შედის დსთ-ში. XX საუკუნის ბოლოს საქართველოში იმპორტირებული იყო 623 მლნ აშშ დოლარის საქონელი, რომლის უდიდესი ნაწილი მინერალურ პროდუქტებზე (25%), მანქანებსა და ელექტროტექნიკურ მოწყობილობებზე (20%), მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებსა და საფრენ აპარატებზე (11%), სამკურნალო საშუალებებზე, სხვადასხვა სამრეწველო საქონელსა და ელექტროენერჯიაზე მოდის. ამჟამინდელი იმპორტის ნახევარი ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ 1995-99 წლებში მარტო ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტული საქონლის მოცულობა 4-ჯერ და მეტადაც გაიზარდა. საქართველოში იმპორტული საქონლის მოცულობით გამოირჩევა რუსეთი, აშშ, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იგალია, უკრაინა და სხვ. შემცირდა საქონლის შემოტანა ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა ისრაელი, ბულგარეთი, აესტრია, თურქმენეთი და სხვ.

საქართველოს საეაპრო-ეკონომიკური ურთიერთობა აქვეს მსოფლიოს 120 ქვეყანასთან, რომელთა გეოგრაფია ხუთივე კონტინენტს მოიცავს.

მოსახლეობის მომსახურების სტრუქტურაში, 1990-99 წლებში ძირეული ცვლილებები აღინიშნა. რაც პრივატიზაციის პროცესმა განაპირობა. თუ მოსახლეობის ფასიანი მომსახურება 1990 წელს მთლიანად სახელმწიფო სექტორზე მოდიოდა, ამჟამად უდიდესი ნაწილი კერძო სტრუქტურებზე მოდის; თუ მომსახურების 1/3 საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოდიოდა, ამჟამად მან პირველობა კომუნალურ მეურნეობასა და სამგზავრო გრანსპორტს (44%) დაუთმო. მნიშვნელოვნად შემცირდა მომსახურების ისეთი სახეობების ხედრითი წილი, როგორიცაა სანატორიულ-საკურორტო, კულტურული, კაპიტრგაბმულობის, სამართლებრივი სასიათის, სამედიცინო და ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების მოცულობა.

მოსახლეობას სხვადასხვაგვარი მომსახურება სხვადასხვა სიხშირით ესაჭიროება. მომსახურების სახეებში სამი ჯგუფი გამოიყოფა: ყოველდღიური. პერიოდული (საპარიკმახეროები, კინოთეატრები და სხვ.) და ეპიზოდური. ეპიზოდურ მომსახურებაში უდიდესია ბინების მშენებლობისა და შეკეთების. მოქალაქეთა კუთვნილი საგრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების ხედრითი წილი; პერიოდულში კი – საგრანსპორტო და საპარიკმახეროების მომსახურება, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა შეკეთება.

მომსახურების ობიექტები საქართველოს თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში გვხვდება, თუმცა მათი ნაირსახეობა და დიდი კონცენტრაცია მსხვილი ქალაქებისთვისაა დამახასიათებელი. შესაბამისად, საქართველოში მომსახურების უდიდესი ცენტრია თბილისი.

უკანასკნელ წლებში საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობა სწრაფი აღმავლობით ხასიათდება, რამაც სასტუმროების მასობრივი მშენებლობა განაპირობა. ამჟამად ჩეყანაში ორასზე მეტ სასტუმროს ითვლიან. 1998-99 წლებში საქართველოს სასტუმროებს 120 ათასი ადამიანი ეწვია, რომელთა ნახევარზე მეტი საზღვარგარეთის მოქალაქე იყო. სტუმართა ნახევარზე მეტი ევროპიდან, 24% – ამერიკიდან (მათ შორის 89% – აშშ-დან), 16% – აოსგაბჰოური ქვეყნებიდან, 9% – აზიის ქვეყნებიდან იყო.

საქართველოს სოციალური გეოგრაფია

განათლების გეოგრაფია

განათლების გეოგრაფიასა და მის სტრუქტურაში XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ძირეული ცვლილებები მოხდა. განათლების რეფორმის შედეგად წარმოიქმნა სასწავლებელთა ახალი კატეგორიები, ხოლო საშუალო განათლება დაიწყო ეგაჰებად. უმაღლეს სკოლაში სწავლება ორსაფეხურიანი გახდა, მასწავლებლებს მიენიჭათ კატეგორიები და ა.შ. მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საგანმანათლებლო დაწესებულებათა როგორც რაოდენობრივი მახასიათებლები, ისე განლაგების გეოგრაფიული თავისებურებანი.

დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყოფა: დაწყებით, არასრულ საშუალო (V-IX კლასები) და ზოგად საშუალო (X-XII კლასები) სკოლად. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას მიეკუთვნება აგრეთვე გიმნაზიები, ლიეუმები, კოლეჯები და სხვ. განათლების ეს ფორმა არ ითვლება საეკონომიკურად, თუმცა აუცილებელია საშუალო განათლების ბაზაზე პროფესიული სახელობო მომზადებისა და საშუალო სპეციალური განათლების მისაღებად.

საქართველო მსოფლიოში ცნობილია განათლების დონითა და უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობით. იუ 1959 წელს 10 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდა 448 არასრული ან სრული უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ადამიანი, იგივე მარცენბელი საუკუნის ბოლოს თითქმის გაორმაგდა და 822-ს მიაწია. იგი ბოლო 40 წლის მანძილზე 3,5-ჯერ გაიზარდა და 188-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ეს ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

დიდი ცვლილებები აღინიშნა სკოლამდელ დაწესებულებათა რაოდენობასა და გეოგრაფიაში. მათი უმეტესობა აღარ ფუნქციონირებს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს რეგიონებში. XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ბაგა-ბაღებისა და ბავების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 2,5-6-ჯერ შემცირდა, ხოლო საბავშვო ბაღებისა - 1,5-ჯერ. თუ 1990 წელს სკოლამდელ დაწესებულებებში 200 ათასი ბავშვი იზრდებოდა, იგივე მანქენებელი 1999 წლისათვის სამჯერ ნაკლებია. განათლების სისტემას პრაქტიკულად აღარ შეუძლია შეინახოს სკოლამდელი დაწესებულებები, რის გამოც იმაგა კერძო პროფილის საბავშვო ბაღებმა.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში 400 ერთეულით შემცირდა სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვიც, რაც ორი ფაქტორითაა განპირობებული. მათგან უმნიშვნელოვანესია - მთის ასეულობით ქართული სოფლის დაცარიელება, რასაც ადგილობრივი საშუალო სკოლების

დახურეა მოჰყვა, და მეორე – ათეულობით მოგადსაგანმანათლებლო სკოლა გიმნაზიად, ლიეკუმად ან სხვა პროფილის სასწავლებლად გადაკეთდა. ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით იმატა გიმნაზიების (3-ჯერ) და ლიეკუმების (2-ჯერ) რიცხვმა. 1999/2000 სასწავლო წლისათვის საქართველოში 48 გიმნაზია, 45 ლიეკუმი და 7 კოლეჯი ფუნქციონირებდა.

შეიქმალა დღის მოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ენების მიხედვით სწავლების სტრუქტურა. ამჟამად საქართველოში საშუალო განათლება 6 ენაზე მიმდინარეობს, რომელთაგან მეორე მნიშვნელოვან ენად რუსული (6%) და ამერბაიჯანული (5,7%) უნდა ჩაითვალოს. 90-იან წლებში სკოლების რიცხვის შემცირებასა და პროფილის შეცვლას მასწავლებელთა რაოდენობის კლება მოჰყვა. 1999 წლისათვის საქართველოში 72 ათასამდე პედაგოგი ემსახურებოდა ახალი თაობის სწავლა-განათლების საქმეს. მათგან 87%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა (74%-დან 81%-მდე) პედაგოგ-ქალთა რიცხვი, რაც განპირობებულია პედაგოგ-მამაკაცთა ხვედრითი წილის შემცირებით.

შემცირდა სკოლისგარეშე დაწესებულებათა რიცხვი, რაც ასე პოპულარული იყო მოსწავლე-ახალგაზრდობაში. ეს განსაკუთრებით ეხება ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურებს. აღარ ფუნქციონირებს მოსწავლეთა ასეულობით დასასვენებელი ბაზა, ბიბლიოთეკა, შხატურული, მუსიკალური თუ ქორეოგრაფიული აღზრდის სკოლა. ამგვარი ვითარება უარყოფითად იმოქმედებს მოსწავლეთა პროფესიულ დაოსტატებასა და ეროვნულ სულისკეთებაზე. საპირისპირო სურათია ბაქმეთა სახლებში აღსაზრდელთა რაოდენობის მხრივ. ეთნო- და პოლიტიკური კონფლიქტების შედეგად მათი რიცხვი ერთიორად გაიზარდა.

XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე რამდენჯერმე შემცირდა დაწყებითი პროფესიული და სახელობო სასწავლებლების რიცხვი (1999 წ – 89 ერთეული) და მათში მოსწავლეთა რაოდენობა (1990 წ – 42 ათასი; 1999 წ – 19 ათასი). იგივე არ ითქმის სახელმწიფო საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესახებ, რომელთა რაოდენობა და მოსწავლეთა რიცხვნობა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე უმნიშვნელოდ შეიცვალა. საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა შორის (83 ერთეული) მნიშვნელოვანი ადგილი მრავალპროფილიან და ეკონომიკა-სამართლის სპეციალობის მქონეთ ეკუთვნის (40%). საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში 1999 წელს 30 ათასზე მეტი ახალგაზრდა სწავლობდა.

განუხრელად იზრდება არასახელმწიფო საერო (ფასიანი) საშუალო სპეციალური სასწავლებლების რიცხვი (1999 წ – 58). მიუხედავად რაოდენობრივი ზრდისა (მათი რიცხვი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე 45 ერთეულით გაიზარდა), ბოლო ორ წელიწადში აქ 1500 ერთეულით შემცირდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობა.


უმაღლესი განათლების ისტორია საქართველოში საუკუნეებს ითვლის. ფასისის, გელათისა და იყალთოს აკადემიები განთქმული იყო ანტიკური თუ

შუა საუკუნეების მსოფლიოში, ხოლო აქ მოღვაწე განმანათლებლებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ არაერთ სამეცნიერო თუ სასულიერო ცენტრთან.

შემდგომ წლებში, ვიდრე 1918 წლამდე, საქართველოში პრაქტიკულად მოშლილი იყო უმაღლესი განათლება ან უკეთეს შემთხვევაში, უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე ვითარდებოდა.

1918 წელს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით დაფუძნებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უპირველესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ კულტურის კერა იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. ამჟამად ქართული განათლების უპირველესი გაძარბი 21 ფაკულტეტი, 160-მდე კათედრა, ხუთი ათასამდე თანამშრომელი და 30 ათასამდე სტუდენტია.

მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლების განმავლობაში საქართველოში 19-დან 24-მდე გაიზარდა უმაღლესი სასწავლებელთა რაოდენობა, სტუდენტთა საერთო რიცხვი შემცირდა (10 ათასით). ეს ძირითადად ეხება საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმას, რომელმედაც სასწავლებელთა უმრავ-



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი

ლესობამ უარი განაცხადა. ამავე პერიოდში სამჯერ გაიზარდა არასახელმწიფო საერო (ფასიანი) უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი და სტუდენტთა კონკრეტული რაოდენობა. 1999/2000 სასწავლო წელს საქართველოში 131 ათასი სტუდენტი სწავლობდა. რაც 17 ათასით მეტია 1991-92 სასწავლო წლის მიანუ-ნებელზე. ამგვარი ზრდა გაუმართლებელია და უმეტესწილად არ გულისხმობს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა რიცხვის ზრდას.

1999/2000 სასწავლო წელს ორივე ფორმის უმაღლეს სასწავლებლებში სულ 22 ათას 900 პროფესორ-მასწავლებელი მოღვაწეობდა, რომელთაგან თითქმის ნახევარს სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა. აღსანიშნავია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა განსაკუთრებული დაინტერესება არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობით. მაგალითად, თუ 1995-96 სასწავლო წელს ასეთ უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებელთა მხოლოდ 12%-ს გააჩნდა სამეცნიერო ხარისხი, იგივე მარევენებელმა XX საუკუნის მიწურულს 1/3-ს გადააჭარბა.

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა თბილისშია წარმოდგენილი. ერთი (საქართველოს ბოთლმწვანე ინსტიტუტი) გარდაბნის რაიონშია, ორ-ორი ქუთაისსა და ბათუმში, თითო-თითო სოხუმში, გორში. ცხინვალსა და თელავში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალებია სიღნაღში, ახალციხეში, ოზურგეთში, გუგუდისა და სოხუმში. სოხუმის ფილიალი ამჟამად თბილისში ფუნქციონირებს. კერძო უმაღლესი სასწავლებლების გეოგრაფია მთელ საქართველოს მოიცავს, თუმცა მათი უმეტესობა თბილისშია განთავსებული. უმაღლესი სასწავლებლები არ არის მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში.

სამეცნიერო დაწესებულებათა გეოგრაფია

საქართველო სამეცნიერო დაწესებულებათა და მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობით, ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, კვლავ ინარჩუნებს მაღალ ადგილს მსოფლიოში. სამეცნიერო დაწესებულებათა უმეტესობა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებია, მათი რიცხვი XX საუკუნის დასასრულს 100-ს აღემატებოდა. მათ შორისაა მეცნიერებათა აკადემიის 40 ინსტიტუტი, რომლებიც ფუნდამენტური სამეცნიერო მიმართულების კვლევა-ძიებითაა დაკავებული.

საყურადღებოა, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა როგორც სამეცნიერო დაწესებულებათა, ისე მეცნიერ-მუშაკთა რიცხვი. ეს განსაკუთრებით ეხება გექნიკური, სოციოლოგიური, გეოლოგია-მინერალოგიისა და სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამეცნიერო მიმართულებებს, ხოლო ინგოზიურ, ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა სამეცნიერო მიმართულებებში, პირიქით, ამ მონაცემების ზრდა აღინიშნა.

1995-1999 წლებში 6-ჯერ და მეტად გაიზარდა სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოთა მოცულობა. სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოებში უმნიშვნელო ადგილი უკაეია მშენებლობისათვის ჩატარებულ საპროექტო სამუშაოებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ მომსახურებას.

1990-1999 წლებში საგრძნობლად გაიზარდა ასპირანტურადამთავრებულ მაძიებელთა რიცხვი, რაც მისასაღებელი ფაქტია. ამჟამად საქართველოში 1900 ასპირანტია, რომელთა 3/4 უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობს. მათგან მხოლოდ ყოველმა 28-ემ დაამთავრა ასპირანტურა ლისერტაციის დაცევით (1990 წელს – ყოველმა მე-20-ემ).

საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი თითქმის მთლიანად თბილისშია თავმოყრილი. არის რეგიონები (სამეგრელო – ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა – ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი), სადაც არ არის არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება, რაც უარყოფითად მოქმედებს მხარის ნორმალურ განვითარებაზე.


კულტურის დაწესებულებათა გეოგრაფია

კულტურის დაწესებულებათა გეოგრაფია საქართველოში რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც მათი ნაირსახეობითაა განპირობებული. კულტურის კერები – თეატრები, მუზეუმები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები მთელ საქართველოშია წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კერების რაოდენობითა და მასში დასაქმებულ პირთა რიცხვით, მოსახლეობაზე გადააჩნდებიან. ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო პოსტსაბჭოურ სიერცემი. უფრო მეტიც, საქართველოს დედაქალაქი თეატრების რიცხვით (მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით), თვალსაწიანოდ გამოირჩევა მსოფლიოს ქვეყნების დედაქალაქია შორის.

ამჟამად საქართველოში 32 პროფესიული თეატრია, რომელთა შორის უმეტესობა ღრამატული, მუსიკალური კომედიისა და მინიატურების თეატრებია (22 ერთიეული), 6 თოჯინების თეატრია, ორი მოზარდმაყურებელთა და ორი ოპერისა და ბალეტის.

უკანასკნელ ათწლეულში თეატრალურ სამყაროში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. რამდენჯერმე შემცირდა ახალ სპექტაკლთა ყოველწლიური რაოდენობა, სპექტაკლებზე დამსწრეთა რიცხვი და გამართულ სპექტაკლთა რაოდენობა. ვარდა თბილისისა, რამდენიმე (ხუთი) თეატრია იმერეთში, ორ-ორი აჭარაში, აფხაზეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში, თითო-თითო ფილიში, სამეგრელო – ზემო სვანეთსა და გურიაში. მცხეთა-მთიანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში თეატრი არ არის.

1990-1999 წლებში საქართველოში მუზეუმების რიცხვი 121-დან 97-მდე ანუ 24 ერთეულით შემცირდა. ეს განსაკუთრებით ეხება მემორიალური დანიშნულების მუზეუმებს, თუმცა მათი ამჟამინდელი რაოდენობა (33)



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი

მხოლოდ მხარეთმცოდნეობითი პროფილის მუზეუმების რიცხვს თუ ჩამოუვარდება. საქართველოში ცნობილია აგრეთვე 12-12 ისტორიულ-არქეოლოგიური და ხელოვნების, ორ-ორი ლიგერაგურული და დარგობრივი მუზეუმი; სამწუხაროა, რომ უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა (15-ჯერ) დამთავალიერებელთა რიცხვი, რაც უარყოფითად მოქმედებს მუზეუმთა განვითარებაზე. მუზეუმთა რაოდენობით გამოირჩევა კახეთი (22), იმერეთი (21) და თბილისი (16).

სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებით ბიბლიოთეკებს დაეგყო. ერთიორად შემცირდა მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკები (1999 წ - 2294), წიგნის ფონდი (24.5 მლნ ევგემალარი), თანამშრომელთა რიცხვი. თუმცა საინტერესოა აღინიშნოს, რომ მკითხველთა რიცხვი, 1990 წელთან შედარებით, არ შეცვლილა. ბიბლიოთეკების რიცხვის შემცირება,

რაც ძირითადად ქართულ სოფელს შეეხო, უარყოფითად იმოქმედებს კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობაზე, მის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

თუ 1990 წელს საქართველოში 171 დასახელების გამეთი გამოდიოდა, ამჟამად მათი რიცხვი 243-ია, თუმცა ბრდა მხოლოდ დასახელებათა რიცხვში აისახა. თუ შეეადარებთ 1990 წლისა და ამჟამინდელ გამოცემათა გირაქებს, აღმოჩნდება, რომ წიგნებისა და ბროშურების გირაქი უკანასკნელ ათწლეულში შემცირდა 30-ჯერ, ჟურნალების – 130-ჯერ, ხოლო გამეთების – 45-ჯერ.

სამედიცინო დაწესებულებათა გეოგრაფია

სამედიცინო დაწესებულებები საქართველოში მეგ-ნაკლებად ყველგან არის. ადამიანის ჯანმრთელობა და დაავადების სახეობა განპირობებულია როგორც ბუნებრივი, ისე სოციალურ-ეკონომიკური გარემოთი. ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჯანსაღ ბუნებრივ გარემოზე, ცხოვერების წესზე, მაგერიალურ მდგომარეობაზე, კვების პროდუქტების ხარისხზე, შრომისა და დასვენების პირობებზე და ა.შ. სიცოცხლის ხანგრძლივობა აგრეთვე დამოკიდებულია სამედიცინო მომსახურებაზე, რაც, თავის მხრივ, ნათლად შეტყვევებს ქვეყნის განვითარების დონეზე.


საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებით, სამედიცინო-გეოგრაფიული თვალსაზრისით, უაღრესად კომფორტული და ხელსაყრელია საცხოვრებლად. აქ, მიუხედავად მცირე მასშტაბისა, შეზავებულია მთისა და ზღვის ჰაეა, წარმოდგენილია მრავალფეროვანი ლანდშაფტები და სამკურნალო წყლები, მრავალი კურორტი თუ საკურორტო ადგილი და ა.შ. მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი, რომ საქართველოში ცხოვრობდა მრავალი უხუცესი – ასი და მეტი წლის ადამიანი.

უკანასკნელ წლებში ეითარება მკეეიორად შეიცვალა. მიიმე სოციალურ-ეკონომიკური ეითარებასა და მაგერიალურ სიდუხჭირეს მოჰყვა საცხოვრებელი პირობებისა და ეკოლოგიური ეითარების გაუარესება, უხარისხო იაფფასიანი საკვების გამოყენება, ნერული დაძაბულობა, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლისადმი სწრაფეა. მოსახლეობა მოკლებულია სრულფასოვან სამედიცინო მომსახურებას, ნორმალურ დასვენებას, აღარ მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს, რის შედეგადაც გახშირდა სხეადასხეა აეადმყოფობა, გაიზარდა სიკედილიანობა და შემცირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

ეკონომიკურმა კრიზისმა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და ექიმთა რაოდენობაზეც იმოქმედა. 1990-1999 წლებში სააეადმოყოფოებისა და ექიმთა რაოდენობა 1,5-ჯერ შემცირდა, ხოლო სააეადმოყოფოს საწოლების რიცხვი – 2,5-ჯერ. ცხოვერების დონე, საარსებო მინიმუმი და ხელუასი სრულ

სიციქოსელის ხანგრძლივობა

(100 ვლისა და მეტი ასაკის შირსახლეებში რაოდენობა - 1989 წ.)



შეუსაბამობაშია, რის გამოც მოსახლეობა ძირითადად თვითმკურნალობაზეა გადახული. მკეუთრად შემცირდა დასახელებული სახლების, სანაგორიუმებისა და სამკურნალო პანსიონატების რაოდენობა. პროფესიული კავშირები ექვარ უზრუნველყოფენ მოსახლეობის მასობრივ დასვენებას.

ექიმთა რაოდენობის ცელა კარვად გამოხატული დარგობრივი სპეციალიზაციით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ ექიმთა რაოდენობა, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, თითქმის ყველა სპეციალობის მიხედვით 3-4-ჯერ შემცირდა (გარდა მეან-გინეკოლოგიებისა – აქ პრაქტიკულად შენარჩუნებულია 1990 წლის დონე). განსაკუთრებით იკლო თერაპიკების, ქირურგებისა და სტომატოლოგების რაოდენობამ. ანალოგიური ვითარებაა სამუქალო სამედიცინო პერსონალის მხრივაც, რომელიც აღნიშნულ პერიოდში 2,5-ჯერ შემცირდა.

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შეიქალა მოსახლეობის აქალობის სტრუქტურა და მანქნებლები. რამდენჯერმე გაიზარდა ენდოკრიული, სისხლისა და სისხლმბალი ორგანოების, ფსიქიკურ, ნერეულ და სისხლის მიმოქცევის სისგემის დაავადებათა სისშირე. გაიზარდა თანდაყოლილ ანომალიათა რიცხვი. სამწუხაროა, რომ აღნიშნულ დაავადებათა სისშირის შაგება აღინიშნება მთელ მოსახლეობაში (როგორც მოზრდილებში, ისე 0-14 წლის ასაკის ბავშვებში), რაც შემაშუოთებელი ფაქტია. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფექციურ დაავადებათა სისშირე მთელ მოსახლეობაში (2-ჯერ), განსაკუთრებით ბავშვებში (3-ჯერ). ამგვარი ვითარება განპირობებულია იმით, რომ ბავშვები ეერ დებულობენ საქმაო რაოდენობის კალორიებს, უმეტესობა კი ეერ ისვენებს ავარაკზე და მათი მკურნალობაც ეერ ხერხდება ეფექტური პრეპარატებით. განსაკუთრებით საშიში ფორმა მიილო ტუბერკულიოზით დაავადებამ, რომელიც უკანასკნელ წლებში აღმავალი დინამიკით ხასიათდება. ქვემო ქართლში აღინიშნა მალარიის შემთხვევებიც.

გარდა იმისა, რომ შემცირდა საავადმყოფოების რიცხვი, 1999 წელს, 1990 წელიდან შედარებით, 10-ჯერ ნაკლებ პაციენტს გაეწია პირველადი სამედიცინო დასმარება, ხოლო უბედური შემთხვევების დროს – 7-ჯერ ნაკლებს.

დაავადებათა გეოგრაფიას ორგვარი თავისებურება ახასიათებს. დიდი განსხვავებაა მთისა და ბარის, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დაავადებათა სტატისტიკაში. ძირითადად ვულ-სისხლძარღვთა, ნერეული თუ ფსიქიკური დაავადებები ქალაქის მოსახლეობას უფრო ხშირად აწუხებს, ეიდრე სოფლისას. წიყვი მთიან რეგიონებშია უფრო გავრცელებული, ეიდრე ბარში. ქალაქში უფრო ხშირია ავტოკატასტროფისა თუ თვითმკელელობის შემთხვევა.

XX საუკუნის ბოლოს საქართველოს ყოველ 10000 მცხოვრებზე მოდიოდა 38 ექიმი (1990 წელს – 57) და 28 სამუქალო სამედიცინო პერსონალი (1999 წელს – 62). ექიმთა რაოდენობა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით იყვლება. ქალაქებიდან ამ მანქნებლით გამოირჩევა თბილისი, ქუთაისი, ბაიუში, ხოლო რაიონებიდან – ბორჯომის, ბაღდადისა და ხონის რაიონები.

დანამაულის გეოგრაფია

დანამაულის გეოგრაფია სოციალური გეოგრაფიის შედარებით ახალი სამეცნიერო მიმართულებაა. დამნაშავეობა უნდა განვიხილოთ როგორც სოციალური მოვლენა, სამოვადოების მდგომარეობის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანი. მისი გამოიწვევი მიზეზების შესასწავლად აუცილებელია კომპლექსური მიდგომა. მნიშვნელოვანია დანამაულის სიერეობრივ-დროითი შედარებითი ანალიზის ჩატარება.

დანამაულის რეგიონული ანალიზისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ კონკრეტული რეგიონის როგორც გეოგრაფიული, ისე სოციალურ-დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორები.

დამნაშავეობის ზრდის გეოგრაფიული ფაქტორები. დამნაშავეობის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ურბანიზაცია. მზარდი ქალაქი წარმოადგენს მოსახლეობის ინტენსიური მიზიდვის ცენტრს, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურის სპეციფიკას. ეს პროცესი ხშირად უარყოფითად აისახება სოციალურ სტაბილურობასა და ადამიანის მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობაზე.


ურბანიზაციას საქართველოში ხელს უწყობდა შიდა მიგრაციული პროცესები, კერძოდ, მოსახლეობის გადაადგილება აგრარული რეგიონებიდან სანარეწველო რეგიონებისაკენ, რაც იწვევდა ქალაქის მოსახლეობის ზრდას. ურბანიზაციით განპირობებული მიგრაციული პროცესები (სოფელი → ქალაქი) წარმოადგენს დანამაულის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვან ასპექტს. მიგრაციის შემოქმედება დამნაშავეობის ზრდაზე ძირითადად ელინდება მიგრანტების ადაპტაციისას ქალაქური ცხოვრების წესთან. აქ იგულისხმება: უცხო, მეუჩეველ გარემოში მოხუცდრა; საცხოვრებლის ან საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობა; მაგერიალური პრობლემები; ოჯახისაგან სიმორე; ქალაქში თვითდამკვიდრების სინდრომი და მრავალი სხვა ფაქტორი, რაც გაეღენას ახდენს მიგრანტის (ჩამოსული ადამიანის) კრიმინალურ ქმედებაზე და შესაბამისად, ზრდის დანამაულის მაჩვენებელს დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში.

სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები (სქესი, ასაკი, დასაქმება და სხვა.) განსაზღვრავენ ინდივიდის მდგომარეობას სამოვადოებრივ თუ ბუნებრივ გარემოში. დანამაულთა შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ განსხვავებაა მსჯაერდადებულთა სქესობრივ სტრუქტურაში. საქართველოში მსჯაერდადებულ ქალთა ხვედრითი წილი, დასაუღეთის ქვეყნებთან შედარებით, დაბალია და „მნიშვნელოვნად, ჩამორჩება მამაკაც მსჯაერდადებულთა რაოდენობას, რაც გარკვეულწილად, ქართველი ქალის გრადიციულად მოკრძალებული ბუნებითაა განპირობებული. თუმცა მსჯაერდადებული ქალები მაინც საკმაოდ არიან საქართველოში. უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, მათი რაოდენობა მაგულობს. ქალაქად მცხოვრებ მსჯაერდადებულ ქალთა წილი

2-ჯერ მეტია სოფლად მცხოვრებთან შედარებით. ამგვარი ვითარება გამოწვეულია იმით, რომ სოფლად ქალი უფრო მეტადაა გრადიციების მიმდევარი და უფრო მეტადაა დასაქმებული ოჯახურ მეურნეობაში. აქ იგი (იმყოფება რა გარემოში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს) მეტად უწევს ანგარიშს გარემომყოფთა ამრს. სოფლად ქალი მოკლებულია ქალაქური ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელ „თავისუფლებას“ და სხვ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდადებულ ქალებს შორის ჭარბობს სოფლიდან ჩასულები, რადგან სწორედ ქალაქში, მისთვის უცხო გარემოში „თავისუფლება“ იგი მემოთ აღნიშნული „მებლუდებისაგან“ (ნაკლებად აწუხებს საკითხი „რას იცყვის ხალხი?“).

დანამაულის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ რაოდენობრივად შესამჩნევად ჭარბობს ახალგაზრდობა. არასრულწლოვანთა დანამაულის მიხედვით, საქართველოში მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა დიდი ქალაქები, განსაკუთრებით – თბილისი. მნიშვნელოვანია უმუშევრობის პრობლემაც. უმუშევართა რიცხვი არ კლებულობს და 1999 წლისათვის, ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციით, დასაქმების სამსახურში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების რიცხოვნება წინა წელთან შედარებით 4,3%-ით გაიზარდა და 106,3 ათასს მიაღწია. უმუშევართა ერთი მესამედი 30 წლამდე ასაკისაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. „მრომის ბირეაზე“ აღრიცხულთა რაოდენობა არ ასახავს რეალურ მაჩვენებელს, რადგან უმუშევართა უმრავლესობა დასაქმების სამსახურში არ რეგისტრირდება.

დანამაულობის მაჩვენებელი დამოკიდებულია წელიწადის დროზე, სეზონზე. დანამაულის მრდის გენდენცია მკეეთრად გამოხატულ სეზონურ სასიათს აგარებს. იმ რეგიონებში, რომლებიც მამთრობით ხშირად იკეტება დიდოხელობისა და უვმოობის გამო (სეანეთი, აღმოსაელებიი საქართველოს მაღალმთიანეთი და სხვ.), როგორც წესი, წლის ამ სეზონზე დანამაულთა რაოდენობა კლებულობს. და პირიქით, საკურორტო სეზონი დასასევენებელ-გასარბიობი (და არა სამკურნალო-ბალნეოლოგიური) ტურიზმის აღგილებში.



მსჯავრდადებულთა საერთო რაოდენობა 1990-1998 წლებში

საწინააღმდეგოდ მოქმედებს – შესამჩნევად ზრდის დანაშაულის მაჩვენებელს. ამის კარგი მაგალითია აჭარა, სადაც ფიქსირებულ დანაშაულთა მაქსიმუმი (განსაკუთრებით ქურდობა) სწორედ ჩაყვულში აღირიცხება. ამგვარი ვითარება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა აფხაზეთის დროებითი იზოლაციის შემდეგ, რის გამოც რეკრეაციული დატვირთვა ძირითადად აჭარაზე მოდის.

დანაშაულის რაოდენობა სხვა გეოგრაფიულ ფაქტორებსაც უკავშირდება. მათ შორის მნიშვნელოვანია გერიგორიის გრანზიგული ან პერიფერიული მდებარეობა, რელიეფის ხასიათი, სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო კენანპის არსებობა, დასახლებული პუნქტის ფუნქციური დანიშნულება, ეთნიკურ-ყსიქოლოგიური მახასიათებლები და სხვ.

ყველა შემთხვევაში აღნიშნული ფაქტორი ვაელენას ასდენს დანაშაულის რაოდენობასა და გეოგრაფიულ განაწილებაზე, რასაც ადასტურებს საქართველოში რეგისტრირებულ დანაშაულთა სამხარეო (რეგიონული) თავისებურებანი.

დანაშაულის სახეობიდან გამომდინარე (განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა; სხულის განზრახ მძიმე დაზიანება; გაუპატიურება და მისი მცდელობა; ყაჩაღობა, ძარცვა, ქურდობა; ხულიგნობა; ავტოსაგზაო შემთხვევა, მათ შორის სიკვდილით დასრულებული; ნარკომანიის სფერო; იარაღის გატაცება ან უკანონო გარება, შენახვა და შექმნა; ავტომატქანის გატაცება და სხვ.) კონკრეტული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოვლენილია გარკვეული გეოგრაფიული კანონზომიერებანი. რეგისტრირებულ (მათ შორის გახსნილ) დანაშაულთა ანალიზისასთვის მოხერხებულია დანაშაულის კოეფიციენტის (K) გამოყენება, რომელშიც ასახული იქნება დანაშაულისა და მოსახლეობის რაოდენობის თანაფარდობა.


განზრახ მკვლელობისა და სხულის განზრახ მძიმე დაზიანების მაღალი მაჩვენებლები აღინიშნება მცხეთა-მთიანეთსა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში. პირველი რეგიონი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან პროვინციებს (ხევი, ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი), სადაც ეთნიკური გრადიციები განსაკუთრებითაა შემორჩენილი. სწორედ აქ აღინიშნება განზრახ ჩადენილ დანაშაულთა მაქსიმალური კოეფიციენტი (განზრახ მკვლელობის $K=0,09$, სხულის განზრახ მძიმე დაზიანების – $0,12$). ამგვარი ვითარება განპირობებულია მთის მცხოვრებთა თავისებური ტემპერამენტით. საინტერესოა, რომ აღნიშნულ რეგიონებში არაგანზრახ მკვლელობის (მკვლელობის მცდელობის) მაჩვენებელი ფაქტობრივად ნულის გოლია. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში განზრახ ჩადენილ დანაშაულთა კოეფიციენტი ასევე მაღალია (შესაბამისად $0,07$ და $0,09$).

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირებული ყველა სახის დანაშაულის მაჩვენებელი მინიმალურია, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ რეგიონის გერიგორიაზე გვხვდება კომპაქტურად დასახლებული არაქართველი მოსახლეობა. ეს კი მათ არამშობლიურ მიწაზე „გადარჩენის ინსტიქტიდან“ გამომდინარე ურთიერთგაფრთხილების სინდრომს უკითა-

რებს. გარდა ამისა, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მათთვის უფრო მოსახერხებელია კონგაქტა თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან, რის გამოც ნაკლები შესება აქვთ საქართველოს სხვა რეგიონებთან. თავის მხრივ, ქართველობაც სიფრთხილეს იჩენს კონფლიქტური სიტუაციების შემთხვევაში. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ქვემო ქართლის მოსახლეობაზე, სადაც დანაშაულობათა მაჩვენებელი ასევე უმნიშვნელოა.

ნიშანდობლივია, რომ დანაშულთა შორის ყველაზე დაბალი კოეფიციენტი (საშუალოდ 0,009) საქართველოში გაუპატიურებასა და გაუპატიურების მტელობაზე მოდის, რაც უკავშირდება, ერთის მხრივ, ქალის (დედის) კულტს, მეორეს მხრივ კი – ურბანიზაციის შედარებით მცირე მასშტაბს. თანაც ამგვარი დანაშაული იშვიათად რჩება საქართველოში დაუსჯელი. ამიტომ პოტენციურ მოძალადეს (ცალკეული მანიაკურ-აეადმყოფური გამონაკლისების გარდა) აკაიებს არა მარტო კანონის ძალა, არამედ ხალხის მხრიდან მოსალოდნელი რისხეა (ზოგჯერ „ლინჩის“ წესით გასამართლებაც კი). მსგავსი დანაშაული, უმეგესწილად, ღიდ ქალაქებში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი) აღინიშნება.

ისეთი დანაშული, რომელსაც სხვისი ქონების მისაკუთრებასთანაა დაკავშირებული (ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა), უფრო ხშირია იმ რეგიონებში, სადაც მაღალია მოსახლეობის ცხოვრების დონე. ქურდი, მძარცველი, ყაჩაღი მიდის იქ, სადაც ქონება ვეულება. ყაჩაღობა* განსაკუთრებით ხშირია სამეგრელოში ($K=0,33$), რაც აიხსნება იქ არსებული სოციალურ-პოლიტიკური ერთარებითა და ახლო წარსულში მიმდინარე მოვლენებით. ქურდობის** მაღალი კოეფიციენტებია რევისტრირებული გურიასა და (1,5) და იმერეთში (1,2). მოსახლეობის რაოდენობის ვათვალისწინებით, ქურდობის საკმაოდ მაღალი კოეფიციენტი (1,3) აღინიშნება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. აქ განსაკუთრებით გახშირდა პირუტყვის ვატაცების ფაქტები. ეს იმით აიხსნება,



1990-1998 წლებში ჩადენილ მძიმე დანაშულთა დინამიკა

* ყაჩაღობა – თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც თან ერთვის ადამიანის სიცოცხლის, ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან მუქარა.


** ქურდობა – სხვისი ქონების ფარული ვატაცება.

რომ აღნიშნული რეგიონი მაღალგანვითარებული მესაქონლეობითა და საძოვრებით გამოირჩევა. *ძარცვის** შედარებით მაღალი მაჩვენებლები ($K=0.12$) დედაქალაქშია რეგისტრირებული, მინიმალური (0,008) – მესხეთ-ჯაეახეთში.

აეგოსაგვამო შემთხვევათა მაღალი მაჩვენებლები გამოვლენილია თბილისსა და იმ გრანზიგულ ზონებში, სადაც საერთაშორისო მნიშვნელობის გრასები ვადის (მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი და სხვ). ამგვარი შემთხვევები უფრო ვაკე რელიეფის მქონე გერიტორიებისთვისაა დამახასიათებელი. ბარის ფაქტორი (ჩქაროსნული გრასები) მძლავრს შეგ სითამამესა და გამბედაობას მაგებს.

ნარკომანია საქართველოში საკმაოდ გავრცელებული სენია. ამ მხრივ (ნარკოტიკების უკანონო შენახვა, ღამზადება, გასაღება) გამოვლენილი დანაშაულის გეოგრაფია ყველაზე ხშირად უკაემირდება შემოგანის წყაროებსა და მარშრუტებს. განსაკუთრებით გამოირჩევა აფხაზეთი ($K=0.53$) და სამეგრელო (0.32), ასევე შიდა და ქვემო ქართლი (0.26). ნარკოტიკების შემოგანის ერთ-ერთი მარშრუტი უოთიდანაც იწყება. ნარკომანიის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება მსხვილი სამრეწველო და აღმინისტრაციული ცენტრები, რომელთაგან „გამოირჩევა“ თბილისი, ქუთაისი, რუსთავი.

საერთოდ სისხლის სამართლის ხაზით რეგისტრირებული დანაშაულის შემთხვევები (რეგიონის მოსახლეობაზე გაანგარიშებით) ხშირია გურიაში ($K=2.89$), მცხეთა-მთიანეთში (2,75), თბილისში (2,57), იმერეთში (2,47), სამეგრელო-მემო სეანეთში (2,45), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სეანეთში (2,11). ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აღრიცხულია პერიფერიულ რეგიონებში, განსაკუთრებით სამცხე-ჯაეახეთში (1,25), ასევე ქვემო ქართლსა (1,51) და აჭარაში



I – თბილისი; II – ქვემო ქართლი; III – შიდა ქართლი; IV – მცხეთა-მთიანეთი;
 V – კახეთი; VI – მესხეთ-ჯაეახეთი; VII – იმერეთი; VIII – სამეგრელო-მემო სეანეთი;
 IX – რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სეანეთი; X – გურია; XI – აფხაზეთი (არასრული მონაცემებით);
 XII – აჭარა.

სისხლის სამართლის ხაზით ჩადენილ დანაშაულთა კოეფიციენტი მხარეების მიხედვით (1998 წ)


* ძარცვა – სხვისი ქონების ამკარა გატაცება.

(1,58). თიოქმის თანაბარი მაჩვენებლებია კახეთსა (1,73) და შიდა ქართლში (1,70).

საქართველოში რეგისტრირებულ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთა საერთო რაოდენობამ მაქსიმუმს 1998 წელს მიაღწია. 1990-1998 წლებში ქურდობის შემთხვევები ყოველწლიურად 6-7 ათასის ფარგლებში მერყეობდა. მსჯავრდადებულთა საერთო რაოდენობამ მაქსიმუმს 1996 წელს მიაღწია (8461 კაცი).

საქართველოში ე.წ. შავი სამყაროს „აეგორიგებების“ – საერთაშორისო ღონის „კანონიერი ქურდების“ რაოდენობით გამოირჩევა ის ქალაქები და მიმდებარე რეგიონები, სადაც განლაგებულია სასჯელის მოხდის დაწესებულებები (ქუთაისი, თბილისი, რუსთავი, ხონი). რეგიონული თეალსაზრისით კი – იმერეთი (70 კანონიერი ქურდი, რომელთა ძირითადი ნაწილი ქუთაისელია), თბილისი-რუსთავი (60-ის ფარგლებში), სამეგრელო (23 – ძირითადად ზუგდიდში). ბევრად ნაკლებია მათი რაოდენობა სხვა კუთხეებში: აჭარაში (5). ქარსლში (5), კახეთში (3), გურიაში (2) და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მათი უმრავლესობა საქართველოს ფარგლებს გარეთ „მოღვაწეობს“.

კრიმინალისტიკაში ხშირად საჭირო ხდება ისეთი სახის ექსპერტიზის გამოყენება, რომელიც ემყარება ნიადაგის შემადგენელი კომპონენტების შასწავლასა და კრიმინალურ იდენტიფიცირებას. ექსპერტ-ნიადაგმცოდნე ახდენს ობიექტ-მაგარებელზე არსებული ნიადაგური წარმოშობის დანაშრეების ანალიზს და იდენტიფიცირებისათვის ადარებს გერიტორიის კონკრეტული ნაკეთის ნიადაგის ნიმუშს. ამგვარი დანაშრეები შეიძლება აღმოჩნდეს სუბიექტის განსაცემელზე, უხსაცემელზე, მანქანის საბურავებზე, იარაღზე და სხვ. ნიადაგმცოდნეობისა და კრიმინალისტიკის ურთიერთშერწყმით შექმნილია ახალი დარგი – სასამართლო ნიადაგმცოდნეობა, რომელიც მჭიდრო კავშირშია სხვა გეოგრაფიულ დისციპლინებთანაც.



I – განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა; II – ყაჩაღობა; III – ნარკომანია.

სისხლის სამართლის ხაზით რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობის დინამიკა 1995-1998 წლებში

ძართული მართლმადიდებელი ეკლესია

საქართველო – ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა – მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოა, სადაც ქრისტეს მოძღვრება ჯერ კიდევ I საუკუნიდან იწყებს გავრცელებას. საქართველოში თვით ქრისტეს მოციქულნი სვიმონ კანანელი, ანდრია პირველწოდებული და მატათა ქადაგებდნენ ქრისტეს რჯულს. ანდრია პირველწოდებული ქრისტიანობას ქადაგებდა კაპადოკიაში (რომელიც ძირითადად ქართველური გომებით იყო დასახლებული). ჭანეთში, კლარჯეთში, სამცხეში, სეანეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. სვიმონ კანანელი ძირითადად აფხაზეთში ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას, სადაც აღესრულა და განისვენებს. იგი ჯერ ქალაქ ნიკოფსიაში დაკრძალეს, 14 საუკუნის შემდეგ კი ახალ ათონში გადაასვენეს. მატათა მოციქული ძირითადად აჭარაში მოღვაწეობდა და აქვე განისვენებს (გონიოს მიდამოებში). მოციქულთა მოღვაწეობით იბერიაში ბევრმა ირწმუნა ქრისტეს რჯული, მაგრამ როგორც სახელმწიფო რელიგია მოგვიანებით დამკვიდრდა. მხოლოდ წმიდა ნინოს (კაპადოკიელის) მოღვაწეობის შედეგად, მირიანის მეუბის დროს, 337 წელს ქრისტიანობა ოფიციალურად სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

წმ. ნინო ჯერ ჯაეახეთში შემოვიდა (სოფ. ფოკა), მიაღვა დიდ გბას (ფარაენის), გადავიდა ქურბნისში (ამჟამად სოფელი ქარელის რაიონში) საიდანაც მცხეთისაკენ გაემართა. ქართლში, სადაც კერპებს (არმაზი, გაი, ვაი), სცემდნენ თაყვანს, წმიდა ნინო საკუთარი თმებით შეკრული ვაზის ჯვრით* ახალ სარწმუნოებას ქადაგებდა. წმ. ნინო სასწაულებს ახდენდა – კურნავდა სნეულებსა და უძღურებს. მან განკურნა სასიკედილო ლოგინს მიჯაჭვული დელოფალი ნანა, რომელმაც ქრისტე ირწმუნა. ამგვარად ახალმა სარწმუნოებამ სასახლეშიც შეაღწია. წმ. ნინომ საქართველოს სხვა მხარეებშიც იქადაგა ჭეშმარიტი სარწმუნოება და მრავალი ქართველი შოაქცია. ბოლოს იგი ქიზიყში (ბოლბეში) დაბინავდა. იქვე აღესრულა და განისვენებს.



ყოვლადწმიდა მარიამ ღმრთისმშობელი (მხატვარი დეკანოზი ალ. ჩახვაშვილი)

* ჯვარი ვაზისა ჯერ ბოლბეში ესვენა, შემდეგ სევეციხოველში (მცხეთა). მოგვიანებით სედასხვა ქვეყანაში იყო, მათ შორის რუსეთშიც. ამჟამად ნინოს ჯვარი ასვენია თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში.

საქართველოს გაქრისტიანებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე. ქართულმა ეკლესიამ წმიდა ნინოს ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთა სწორი უწოდა.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ (III ს) პერიოდზე მოწმობს მაგერიალური კულგურის ძეგლები (ვერცხლის მედალიონები ქრისტიანული შინაარსის წარწერებით, საგარა ოქროს ჯერები, ქრისტიანული სამაროვნები და სხვ.) და წერილობითი წყაროები. გარდა ამისა, ცნობილია, რომ უკვე 325 წელს, პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ნიკეაში ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრაგოვილაც ესწრებოდა, ე.ი. ამ დროისათვის შაჟი შღვის სანაპიროზე არსებობდა ქრისტიანული ეპარქია.



წმ. ნინო კაპადოკიელი
(მხატვარი ლეკანოზი ალ. ჩახუაშვილი)

ქართველები მართლმადიდებელი ღიოფიმიკები არიან. ე.ი. ქრისტეს ორბუნებოვნებას აღიარებენ – ღვთაებრივსა და ადამიანურს. სამი თითის ერთიანობა, რომლითაც მართლმადიდებლები პირჯვარს იწყებენ, ნიშნავს იმას, რომ აღიარებენ წმიდა სამებას – მამა ღმერთს. ძე ღმერთისა და სულიწმიდა ღმერთს; მოკეცილი ორი თითი კი ქრისტეს ორბუნებოვნებას გვამცნობს.

საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში თურქები ბაგონობდნენ, ძალდატანებით ვრცელდებოდა ისლამი. აქ ქართული მოსახლეობის ნაწილმა (ძირითადად სამხრეთ საქართველოში), ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნების მიზნით, კათოლიკური და გრიგორიანული აღმსარებლობა მიიღო, რადგან ქრისტიანობის ამ მიმდინარეობებს თურქები არ ებრძოდნენ. კათოლიკობა ნაწილობრივ გავრცელდა იმერეთშიც (ხონის მიმდებარე რამდენიმე სოფელში). რასაც ფრანგი* მისიონერის მოღვაწეობამ შეუწყო ხელი, რამეღაც მეტყველებს მოგიერთი ადგილობრივი წარმომავლობის გვარი (მაგ. ფრანგიშვილი). საქართველოში ისლამს აღიარებს აჭარლებისა და აფხაზების ნაწილი, ღვებანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ფერეიდნელები (მუსლიმან-შიიკები) და ინკილთების ნაწილი (მუსლიმან-სუნიტები). აჭარელი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა 80-90-იან წლებში ქრისტიანული სარწმუნოება დაიბრუნა და მართლმადიდებლად მოინათლა.

საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებებიდან ქრისტიანობას აღიარებენ: რუსები (მათი დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელია, მცირე ნაწილი კი სექტანტი – დუხობორი, მალაკანი, სტაროვერი), ბერძნები (მართლმადიდებლები), სომხები (მონოფიზიტი გრიგორიანელები), პოლონე-

* საქართველოში კათოლიკებს ზოგადად ფრანგებს უწოდებდნენ.

ლები (კათოლიკები), აისორები (ნესგორიანელები და კათოლიკები), გერმანელები (პროტესტანტ-ლუთერანები) და სხვ. საქართველოს მთაში მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად, ზოგან, გრადიციების სახით, შემორჩენილია წარმართული რიტუალების ნიშნებიც.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები*. V საუკუნეში აეგოკეფალიის მოპოვებისთანავე საქართველოში სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ეპარქიებად დაიყო. თავდაპირველად აქ 12 ეპარქია დაარსდა. ეკლესიის მეთაურმა კი კათოლიკოსის ტიტული მიიღო. ეპარქიების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. VI საუკუნეში უკვე 24-ზე მეტი ეპარქია არსებობდა, VII საუკუნის დასაწყისში – 35.


XI საუკუნის 20-იან წლებში დაარსდა საქართველოს საპატრიარქო (რევით VI საპატრიარქო მსოფლიოში), ეპარქიების რიცხვი კი ამ დროისათვის 50-მდე გაიზარდა. XII საუკუნეში საქართველოში ახალი საეპისკოპოსო კათედრები დაარსდა. ქართულ ეკლესიას საგადასახადო შეუვალობა ებოძა. XIII-XVIII საუკუნეებში მონღოლების, ოსმალებისა და ყიზილბაშების შემოსევებისა და ხანგრძლივი ბაგონობის შედეგად ქართული ეკლესიის მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა. XVI საუკუნის შუა წლებიდან, ოსმალთა მიერ სამცხის, ჯიქეთისა და აფხაზეთის ნაწილის მიგაყების გამო, ქრისტიანული საქართველოს გერიგორია და მრევლი საგრძნობლად შემცირდა. XIX საუკუნის დასაწყისში რუსულმა მმართველობამ გააუქმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აეგოკეფალია, კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული. აიკრძალა ქართულად წირვა-ლოცვა. საეკლესიო ქონება ხაზინას გადაეცა. ქართული ეკლესია იქცა რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ.

1917 წლის 12(25) მარტს ქართულმა სამღვდელეობამ აღადგინა საქართველოს ეკლესიის აეგოკეფალია და იმავე წლის სექტემბერს აირჩია კათოლიკოს-პატრიარქი, (რეზიდენცია თბილისში).

დღეისათვის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღვაწლით საქართველოს ეკლესიის აეგოკეფალია სავანეებო საეკლესიო-იურიდიული დოკუმენტითაა აღიარებული მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. 1996 წელს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობა 27-ით განისაზღვრა. ესენია: მცხეთათბილისის, წილქნის, ალავერდის, ნეკრესის, ბოდბის, საგარეჯოსა და გურჯაანის, რუსთავის, ბოლნისისა და ღმანისის, მანგლისისა და წალკის, სამთავისისა და გორის, ნიქოშისა და ცხინვალის, ურბნისისა და რუისის, ბორჯომისა და ახალქალაქის, ახალციხის, ვანისა და ბაღდადის, მარგვეთის, ჭიათურის, ქუთაის-გაენათის, ნიკორწმიდის, ცაგერისა და სვანეთის, ხონის, ჭყონდიდის, შუგდიდისა და ცაიშის, ფოთის, შემოქმედის, ბათუმისა და სხალთის, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიები.

* პარაგრაფი მომზადებულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების რუკის (1 : 2 000 000) მიხედვით, 1999. ავტორი – დეკანოზი ალექსანდრე ჩახვაშვილი (მთავალ გვერდის ეკლესიის წინამძღვარი), 1999.

საპროტოკოლოს სამსიქველურ გართიგადიგებელი
ავტოკოვალური ეკლესიის ეპარქიები



შავი ზღვა

- ④ კათედრა
- რეზიდენცია

ქართული ხუროთმოძღვრება

საქართველოში აღრიცხულია 5000-მდე ხუროთმოძღვრების ძეგლი, რაც ქვეყნის მდიდარ ისტორიულ წარსულზე და მის მაღალ კულტურაზე მეტყველებს.

არქიტექტურა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც სათავეს უძველესი დროიდან იღებს. ბემთაშენისა და ოზნის დასახლებების ნარჩენები (ძვ.წ. IV-III ათასწლეულები), არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ყორღანული სამარხები თრიალეთის პროვინციაში (ძვ.წ. III-II ათასწლეულები) მოწმობს, რომ სამშენებლო ხელოვნებას საქართველოში უძველესი ფესვები აქვს.


ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, პირველი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების – იბერიისა და კოლხეთის – დროიდან, შემორჩენილია რამდენიმე არქიტექტურული კომპლექსი, რაც იმ პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრების მაღალ დონეზე მეტყველებს. მათ შორის ყველაზე საინტერესოა სამარხები, რომლებიც აღმოჩენილია იბერიის დედაქალაქის – მცხეთის მახლობლად. აქვეა სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები, არშაშის ციხე, სასახლის ნარჩენები და აბანო არშაშისხეუში, რაც ადასტურებს საქართველოში უკვე ჩამოყალიბებული სამშენებლო ტრადიციების არსებობას. ძველ ბერძენთა და რომაელთა წერილობით წყაროებში (ქსენოფონტე, სტრაბონი, ვიგრუვიუსი) შემონახულია ცნობები ქართული ხუროთმოძღვრებისა და ე.წ. „დარბაზების“ შესახებ, რამაც შემდგომში მნიშვნე-



უფლისციხის გამოქვაბულთა კომპლექსი (ძვ.წ. VI-I სს)

ლოეანი როლი ითამაშა ქართული მონუმენტური საგუმბათო არქიტექტურის განვითარებაში. ამავე პერიოდს უკავშირდება კლდეში კვეთის გრადიციებით, რომლის ბრწყინვალე მაგალითია უფლისციხის გამოქვაბულთა უნიკალური კომპლექსი.

IV საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ქართულმა ხუროთმოძღვრებამ ევოლუცია განიცადა. მჭიდრო კავშირები დამყარდა ქრისტიანული სამყაროს (დასაყლეთის ქვეყნების) ცენტრებთან, განსაკუთრებით ბიზანტიასთან. პალესტინაში დაარსდა ქართული მონასტრები. მიუხედავად ამ ქვეყნების არქიტექტურის გავლენისა, ქართული ხელოვნება ინარჩუნებს და ანეიტარებს მისთვის დამახასიათებელ სტილისტურ თავისებურებებს. ღღემდე შემორჩენილ უამრავ ძეგლთა შორის, ბუნებრივია, ჰარბოზს საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები. ქართული საეკლესიო არქიტექტურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ცენტრალურგუმბათოვანი კომპოზიციები. V საუკუნის ბოლოდან უარყო ვაერცელებას პოულობს ახალი, გარედან შემოსული ბაზილიკური (უგუმბათო) საეკლესიო თემატ. თუმცა ქართული ბაზილიკები განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის და გამოირჩევა ზოგიერთი ადგილობრივი თავისებურებით. აღრექრისტიანული პერიოდის ბაზილიკური ტიპის




მცხეთის ჯვარი (586-604 წწ)

ნაგებობებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ბოლნისის სიონი (478-493) – ყველაზე დიდი სამსაყვიანი ბაზილიკა საქართველოში – უძველესი ქართული წარწერებით. საინგერესოა VI საუკუნის ბაზილიკური ნაგებობები – ანჩისხატის ეკლესია თბილისში (რეკონსტრუირებულია XVII ს-ში) და ურბნისი ქარელის რაიონში (რესტავრირებულია XVII ს-ში).

VI საუკუნიდან მოყოლებული იქმნება ბრწყინვალე ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობები, რომლებიც ხასიათდება მკაცრი კომპოზიციით, არქიტექტურული ფორმების სიმკვეთრიითა და ნაკლები მორთულობით. ამ ეპოქის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს მცხეთასთან, მტკერისა და არაგვის შესართავთან აღმართული ცნობილი გაძარი ჯვარი (586-604). ჯვრის გიჟის გაძრები მხოლოდ საქართველოსა და სომხეთშია ცნობილი. მისმა არქიტექტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებაზე.


შუა საუკუნეების ადრეული პერიოდის არქიტექტურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ე.წ. სამეკლესიოანი ბაზილიკის სპეციფიკური ტიპი, რომელიც ადგილობრივი წარმომობისაა და საქართველოს გარეთ არაა ცნობილი. ეკლესიის საკურთხეველი სამსაწილიანია და ერთ ნაგებობაში სამი ეკლესიაა წარმოდგენილი, ექსტერიერი კი ისეთივე აქვს, როგორც სამნავიან ბაზილიკას. სამეკლესიოანია ღმანისის, ნეკრესის (VI-VII სს) და სხვა ბაზილიკები.



ყველაწმილის ორგუმბათიანი ეკლესია, კახთუბანი (VIII-IX სს)

VII საუკუნის მეორე ნახევრიდან (არაბების შემოსევების ხანაში) ქართულ არქიტექტურაში ახალ სტილზე გადასვლის რთული პროცესი მიმდინარეობს. ცალკეულ პროვინციაში (გაო-კლარჯეთი, კახეთი, აფხაზეთი) ინტენსიური მშენებლობები იწყება და ყოველი პროვინციის არქიტექტურა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. VIII-X საუკუნეების ძეგლებიდან აღსანიშნავია გუმბათიანი დიდი ეკლესია *ეანხაძიანი* სოფ. შრომასთან; გურჯაანის უნიკალური ორგუმბათიანი ეკლესია *ყველაწმიდა* (VIII-IX სს); სამხრეთ საქართველოში – *ოპიშის* მონასტერი, ეკლესიები *ეჭეჭი*, *ლოლის-ყანა* (X ს); აფხაზეთში – *ბიჭვინთის* გაძარი (XI ს). ჩნდება დეკორატიული ელემენტები. ფასადები ირთვება მაღალმხატვრული ორნამენტებით. ამის საუცხოო მაგალითია X-XI საუკუნეების *კაცხის* ეკლესია.


X-XIII საუკუნეები (მონღოლთა შემოსევამდე) გამოირჩევა ქართული კულტურის, ხუროთმოძღვრების ახალი აღმავლობით. ესაა დიდი პოეზების – რუსთაველისა და ჩახრუხაძის, ხუროთმოძღვრების – არსუკისძისა და სამთავენელის პერიოდი. შენდება უზარმაზარი ჯვარგუმბათიანი გაძრები. უარიყოლება დეკორატიული მოტივები, იქმნება მონუმენტური ფერწერა. გაძრები იხატება მაღალმხატვრული ფრესკებით. ეს ნიშნები კარვად ელინდება სამ მონუმენტურ საკათედრო გაძარში: *სვეტიცხოვლის* (მცხეთაში), *ილაერდის* (კახეთში) და *ბავრაგის* (ქუთაისში). გრანდიოზული ბავრაგის გაძარი ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ხუროთმოძღვარ არსუკისძის




დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსი (VI-XI სს)

ქმნილება სეგეციხოველი კი რამდენჯერმე გადაკეთდა. ალავერდი, კახეთის ყველა ტაძრის მსგავსად. მოკლებულია შორთულობებს და გამოირჩევა ცაში აღმართული პროპორციული ფორმებითა და უზარმაზარი შიდა სიერციით. უდიდეს მონუმენტურ ძეგლებს მიეკუთვნება აგრეთვე ჯერგუმბათიანი საკათედრო ტაძარი - სამთავეისი (1030 წ. ხუროთმოძღვარი - სამთაველი). XII საუკუნის დასაწყისში ქუთაისთან აიგო დიდი სამონასტრო კომპლექსი გელათი - საქართველოს შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი.

XII-XIII საუკუნეებში იგება უფრო პატარა ზომის მაღალგუმბათიანი ტაძრები. ძირითადია ფასადის დეკორატიული გადაწყვეტა. ცალკეული ნაწილების ინგენსიური შორთვა ორნამენტებით. დე-



სამთავეისის საკათედრო ტაძარი (XI ს)



სეგეციხოვლის საპატრიარქო ტაძარი (XI სს)

კორაიციების მაღალსაგარეობითა და სიმდიდრით გამოიწევა ბეთანია, ქვათახევი, ფიგარეთი, წულრულაშენი. ამავე პერიოდს ეკუთვნის ცნობილი ქალაქი-გამოქეაბული ვარძია – კლდეში სართულებად გამოკეცილი ასობით საცხოვრებელი და სამკურნეო დანიშნულების გამოქეაბული. კლდეში კეეთის გრადიციის განვითარების მანიერებელია გამოქეაბულების კიდევ უფრო მსხვილი სამონასტრო კომპლექსი დაფიოგარეჯა, რომლის მშენებლობა რამდენიმე საუკუნე ვრძელდებოდა.


შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ციხისმიწველების მშენებლობა. მათ შორის უმსხვილესია – ხეროვისი, აწყური, თმოგვი. შემორჩენილია აგრეთვე უგასტიკური დანიშნულების ნაგებობანი: ხიდეები (ბესლეთის – აფხაზეთში; რკონის – კასპის რ-ნი; დანდალო – მდ. აჭარისწყალზე), ქარეხსლები, წყალგაყვანილობები და სხვ.

ქართული არქიტექტურის აღმავლობა XIII საუკუნის ბოლომდე ვრძელდება. XIII-XIV საუკუნეებში, ქართული ერთიანი სახელმწიფოს დამხლის ეპოქაში, როულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ვაელენა მოახდინა არქიტექტურის განვითარებაზე. შეიკვალა პროპორციები, დაიკარგა არქიტექტურული ნაგებობის ძველებური ორგანული ერთიანობა. გარდაგენის პერიოდის ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებია – მეგეხის ციხე თბილისში, შარშმის მონასტერი და საფარის ციხე, რომლებიც სამხრეთ საქართველოშია.

XV საუკუნის ძეგლებიდან მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა შემორჩენილი. ხუროთმოძღვრების აღორძინება იწყება XVI-XVII საუკუნეებიდან. სპარსეთის მხრიდან ძლიერი პოლიტიკური ზეწოლის გამო აღმოსაელეთ საქართველოს ძეგლებში იკეეთება ირანის ხელოვნებასთან დაკავშირებული ახალი დეკორატიული ელემენტები. სამენ მასალად ფართოდ გამოიყენება აგური. თუმცა, არქიტექტურაში კელაინდებურად შენარჩუნებულია ეროვნული ნიშნები. ამ პერიოდს მიეკუთვნება ანანური (XVI-XVII სს) საქართველოს სამხედრო ვზაზე; ნაქალაქარი ვრეში – კახეთის სამეფოს დელაქალაქი (აგურის გუმბათიანი გაძარი, აგებული 1565 წელს); ანისხაგის სამრეკლო თბილისში (1675 წ) და შრავალი სხვა.

XVIII საუკუნის ბოლოდან ქართულ არქიტექტურაში წამყვან ადგილს იკაეებს საქალაქო მშენებლობა. რუსეთის იმპერიაში ყოფნისას თბილისსა და სხვა ქალაქების მშენებლობაში რუსული კლასიციზმი ბაგონობდა, თუმცა საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში პარმონიულადაა შერწყმული ალვილობრივი მრავალსაუკუნოვანი გრადიციების სტილი (რიკულებიანი ფართო აივნები, გერასები და სხვ.). XIX საუკუნის II ნახევირიდან ეკლექტიზმის* გალამ ევროპიდან საქართველომდეც მოაღწია და ქალაქების არქიტექტურაში სხეადასხეა სტილი ვაბაგონდა.


* ეკლექტიზმი – ხელოვნებაში სხეადასხეა მზაგერული ელემენტების შექანიკური შერწყმა. არქიტექტურაში ეკლექტიზმისათვის დამახასიათებელია საპირისპირო არქიტექტურული ელემენტების შერწყმა და ვანსხეაებული მზაგერული სტილის ხელოვნური გამოყენება („ფსეოდორენესანსი“, „ფსეოდოროკოი“ და სხვ.).




ქალაქური არქიტექტურის ნიმუში ძველ თბილისში

ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სოფლის სახლების სტილი. საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში განსხვავებული რელიეფური, კლიმატური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პირობების გამო, საცხოვრებელი სახლების მხაგერული გადაწყვეტა არაერთგვაროვანია. საქართველოს თითოეულ ეთნოგრაფიულ კუთხეს მისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილი აქვს. დღემდე შენარჩუნებულია სხვაობა მთისა და ბარის არქიტექტურას შორის. ძველებურ არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენს ქვით ნაგები მკაცრი სეანური კომპი; თუმეთსა და ფშაე-ხევისურეთში გავრცელებული ფიქლის ციხე-სახლი; დასაუღეთი რეგიონების ბარისათვის დამახასიათებელი ხიმინჯებზე შემდგარი მოხდენილი ხის ოდა, ჯარგვალი, ჩალით გადახურული მოწნული ფაცსა (სამეგრელო, აფხაზეთი); აღმოსაუღეთ რეგიონებში არსებული „დარბაზები“ – ქვითა და აგურით ნაგები ერთსართულიანი სახლი საფეხურებრივი გუმბათისებრი გადახურვით, რომელიც ბოლოუღებოდა კვამლისა და სინათლისათვის დატოვებული ხერელით (ერლოთი) და სხვ.

ხეში ამოტვიფრული ჩუქურთმებითა და რიკუღებით მორთული ქალაქისა და სოფლის საცხოვრებელი სახლები მიუთითებს ქართველი შემოქმედის დახვეწილ გემოვნებაზე, დიდ ოსტატობასა და მდიდარ შემოქმედებით ფანტაზიაზე.



მეგრული ოდა სახლი



სოფ. უშგული (ზემო სვანეთი)

ქართულმა არქიტექტურამ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო და თავისი განუმეორებელი ქმნილებებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიოს ხუროთმოძღვრებაში. ქართულმა არქიტექტურამ ეროვნული თვითმყოფადობა საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა. იუნესკოს (UNESCO – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში) მიერ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან მსოფლიო მემკვიდრეობაში შეტანილია ქალაქი-მუზეუმი მცხეთა; გელათის სამონასტრო კომპლექსი, ბაგრაგის ტაძარი (ქუთაისი) და სოფ. უშგული მემო სვანეთში.

საქართველოს გეოეკოლოგიური პრობლემები

ბუნების დაცვა ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელიც გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კულაქწარმოებისა ექნება მიმართული. რაციონალური ბუნებათსარგებლობა კი საქმიანობის სისტემაა, რომელშიც ბუნებრივი რესურსების ეკონომიური ექსპლუატაცია იგულისხმება. რაციონალური ბუნებათსარგებლობა ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ეკოლოგიური ექსპერტიზა სამეურნეო საქარმოების მიერ გარემოზე შემოქმედების შეფასება. რაციონალური ბუნებათსარგებლობა ასევე მოითხოვს მონიტორინგის ორგანიზებას, რაც გულისხმობს ბუნების მდგომარეობაზე თვალყურის ღეწებას.

ეკოლოგიური თვალსაზრისით გარემო არის ბუნებრივი მოვლენებისა და კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ შემოქმედებს ცოცხალ ორგანიზმზე.

ეკოლოგიური ფაქტორებიდან სამ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: აბიოტურს, ბიოტურსა და ანთროპოგენურს. აბიოტურ ფაქტორებში შედის ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა, ჰაერის გენიანობა, მტკნარი და ოკეანური წყლების მოქმედება და სხვ. ბიოტურ ფაქტორებში იგულისხმება ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულება. ანთროპოგენურ ფაქტორებში შეიძლება გაეაერთიანოთ ადამიანის შემოქმედების ყველა ფორმა, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა საარსებო პირობების გაუარესებას იწვევს.

სამოვადოების სამეურნეო საქმიანობის გარემომცველ ბუნებაზე შემოქმედების შედეგები მეტად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ერთი მხრივ, ადამიანმა შექმნა რთული საინჟინრო-მელიორაციული სისტემები, გამოიყენა უამრავი სახის კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ჯიშები, ააგო ლანდშაფტურ-არქიტექტურული შემოქმედების მესანიშნაი ნიმუშები. მეორე მხრივ, იგი ბუნების გამანადგურებლის როლში გვევლინება. სწორედ ადამიანმა გაანადგურა მცენარეთა და ცხოველთა არაერთი სახეობა, გამოიწვია ერობიული პროცესების გააქტიურება, წყალსაცავების ამოვსება, შეეცალა პლანეტის გარეგნული სახე, საფუძველი ჩაუყარა ეკოლოგიურ კრიზისებსა და კატასტროფებს.

სწორედ ამის გამო, ბუნების დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხები, უპირველეს ყოვლისა, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის პრობლემებია. ბუნებრივი რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება მოითხოვს მეცნიერული ძალების მობილიზაციას. სწორედ მისი საშუალებითაა შესაძლებელი ბუნებისა და სამოვადოების ნეგატიურ და პოზიტიურ ურთიერთობათა შედეგების შეფასება კონკრეტული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფარგლებში.

ბუნებრივი რესურსები და მათი დაცვა. საქართველო ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების მხრივ მსოფლიოს ერთ-ერთ უნიკალურ ქვეყანად

შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ამგვარი მრავალფეროვნება ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და მეურნეობის გერიგორიული ორგანიზაციის საქმეში უამრავ სირთულეს ქმნის.

ჩვენში ბუნების ცალკეულ კომპონენტთა ეკოლოგიური გაჯანსაღების პრობლემები მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელ სიძნელეებს აწყდება.

აღამიანის სამეურნეო საქმიანობა უპირველესად ნიადაგის შედგენილობისა და რელიეფის ცვლილებას იწვევს. საშენი მასალების მოპოვება მთლიანად ღია წესით მიმდინარეობს. სამთამადნო მრეწველობის გავლენა ბუნებრივი ლანდშაფტების გარეგან სახეზე იმდენად ღიღია, რომ მას გეოლოგიურ პროცესებთან და კატასტროფულ ბუნებრივ მოვლენებთან აიგივებენ და სრულიად სამართლიანადაც, რადგან სამთამადნო მრეწველობასთან დაკავშირებული პროცესები ლანდშაფტის უმეტეს კომპონენტს ძირეულად ცვლის. გარდა ამისა, სახეცელილი გერიგორია წარმოადგენს გარემოს დაბინძურების წყაროს. შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეთიშება მნიშვნელოვანი ფართობი, იცვლება ჰიდროლოგიური რეჟიმი და ელემენტთა გეოქიმიური წრებრუნვა, მომიჯნავე გერიგორიებზე მკვეთრად ეცემა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა. ამგვარი ზემოქმედებით მწყობრიდან გამოსული მიწის ფართობი საქართველოში 7,5 ათას ჰექტარს შეადგენს.

აღამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგია ბედლენდები – მიწები, რომლებმაც მთლიანად ან ძირითადად დაკარგეს ნაყოფიერება. ამგვარი პროცესების შედეგად დასამუშაებელი მიწის ერთმა მეხუთედმა უკვე დაკარგა თავისი პროდუქტიულობის არსებითი ნაწილი.

ნიადაგის დაკეა ეროზიისაგან, გერასების მოწყობა, ჭაობების დასრობა, გამწვანება უნდა განხორციელდეს დასაბუთებულ გეოგრაფიულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით. საჭიროა დროულად ჩაგარდეს ათეულობით გეოგრაფიულ-ეკოლოგიური ექსპერტიზა.

მიწის არასწორი მოვლის შედეგია ის, რომ საქართველოში ერთ სულ-მოსახლეზე გაანგარიშებით იქმნება 1,4-ჯერ ნაკლები სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ვიდრე საშუალოდ პოსტსაბჭოურ სიერეცეში.

აღამიანის სამეურნეო საქმიანობა, როგორც უშუალოდ, ისე არაუშუალოდ მოქმედებს აგმოსფეროსა და მასში მიმდინარე პროცესებზე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა იქ, სადაც გაიჩეზა ტყეები, გადაიხნა ერცელი გერიგორიები, შეიცვალა მდინარეთა მიმართულება და ა.შ.

აგმოსფეროს გაჭუჭყინების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების კარგი გამწვანება. მწვანე ნარგავები, გარდა იმისა, რომ მექანიკურად აკაებებს მტერის ნაწილაკებს, შთანთქავს ჰაერის მავნე ქიმიურ მინარევეებს.

საქართველოს ბევრი ქალაქი გამწვანების დონით ჩამორჩება მსოფლიოს არაერთ ქალაქს. მაგალითად, მოსკოეში ერთ სულ მცხოვრებზე საშუალოდ 35 კვმ გამწვანებული ფართობი მოდის, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი თბილისში 9,4 კვ მ-ს არ აღემატება. მწვავედ ღვას წყლის რესურსების გამოყენების

საკითხიც. დიდი სასმელი წყლის დანაკარგი. ეს მაჩვენებელი თბილისში – 14, რუსთავეში – 12, ხოლო ქუთაისში 11,5%-ს უდრის.

გაბინძურებულია შავი ზღვა, განსაკუთრებით აჭარის სანაპიროსთან. მაგალითად, ქ. ბათუმის მიდამოებში აღინიშნება ზღვის წყალში ნაეოზოპროდუქტების დიდი შემცველობა. ზღვის წყალი გაბინძურებულია გავრის, გულაუთის, სოხუმისა და სხვა კურორტების მიდამოებშიც. აქ დიდი ზიანი მოაქვს საყოფაცხოვრებო წყლებს. შავ ზღვას უერთდება 500-მდე ჩასადინარი. მათგან სანიტარულ მოთხოვნებს ძლიერ აკმაყოფილებს 60%.

მწვეაედ ღვას თბილისის მიდამოებში მდ. მტკვრის დაყვის პრობლემა. აქ წყლის ორგანული გაბინძურების მაჩვენებელი 20-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. საერთოდ კი, მდინარე, რომლის ორგანული ნივთიერებებით გაბინძურების მაჩვენებელი 4-ჯერ მეტია ზღერულ რაოდენობაზე, „ძალზედ დაბინძურებულ წყალსაგვეად“ ითვლება. წყლის გაბინძურებას შეიძლება მოჰყვეს იმ ძირითადი ფუნქციის დაქვეითება, რომელსაც იგი ასრულებს ცოცხარაფიულ გარსში. ამგვარი ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას თან სდევს ბიოლოგიური პროდუქტიულობის მკვეთრი დაყვება, ენერჯის, გენისა და ვაშების ცელის შემცირება წყალსა და აგმოსფეროს შორის. არადა, როგორც ცნობილია, წყლის მკენარეული და ცხოველური სამყაროს დაახლოებით 90% ცხოვრობს ზედაპირულ ფენებში და უპირიელეს ყოფილისა სწორედ აქ ვეხვდებთ გაბინძურებული – ქიმიურად თუ ბიოლოგიურად „გამდიდრებული“ ჩამონადენი. ამგვარი წყალი მკვეთრად აუარესებს აკვალური კომპლექსების ეკოლოგიურ გარემოს და უარეს შემთხვევაში სიცოსლის მოსპობასაც კი იწვევს. ამიგომ ვასავებია, რომ წყლის გამაბინძურებელი ყოველი კერა გარემომცველი ბუნების არა მარტო ბიოლოგიურ, არამედ სანიტარულ-ჰიგიენურ და ესთეტიკურ მხარეზეც ახდენს უარყოფითი გავლენას.

მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია მკენარეულობის ზეგავლენა ბუნებაში მიმდინარე რთულ პროცესებზე. მაგალითად, გყე იყავს საეარგულებს უარყოფითი ბუნებრივი ზეგავლენისაგან. სახნაეი ფართობები, რომლებიც გყის მოლითაა ვარემოყული, ხასიათდება კარგი მიკროკლიმატური თავისეურებებით – აქ მყირეა ჰაერის გემჰერატურის ამპლიტუდა, ქარის სიჩქარე, გურბულენატური სითბოყელა. მაღალია ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა, პროდუქტიული ტენის დიდი მარაგია ნიადაგში და შესაბამისად, მოსაეალიყ უხეი და სტაბილური.

ცნობილია ისიც, რომ გყე თავის ფუნქციას შესანიშნავად ასრულებს: იგი ხელს უწყობს წყლით მდინარეებისა და წყაროების თანაბარ და ნორმალურ მომარაგებას, აფერსებს წყალდილობებს, დვარცოფებს, თოელის ზეაეებსა და სხვა სტიყიურ მოულენებს, უმრუნელყოყს წყლის ხარისხის ამაღლებას, დადებითად მოქმედებს მის ბაქტერიოლოგიურ თვისებებზე და სხვ

გადაუდებელ ამოყანად უნდა ჩაითვლოს საქართველოში სუბალპური გყეების აღდგენა-გაჯანსაღების ღონისძიებათა გაატარება. სწორედ მათმა ვაჩესამ გამოიწვია ზეწყრული და ეროზიული პროცესების ვაატყიურება. იგიეე შეიძლება ითქყას გომბორის ქედის საზაფსულო საძოვრების შესახებაც. მისმა სტიყიურმა და გადაშეგებულმა ექსპლუატაციამ გამოიწვია ეროზიული პროცესების

გააქტიურება, საძიოვრების წაყოფიერების დაწყება. ასევეა ღუშეთის, ყაზბეგის, ბორჯომისა და საქართველოს სხვა მთიან რაიონებშიც. მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა. წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შედეგად ქვეყანაში დაზიანებულია 300 ათასზე მეტი ჰექტარი სახნავ-სათესი.

ბუნების დაცვა გულისხმობს ბუნების ცალკეულ კომპონენტთა დაცვას. დაცვის ობიექტებია: 1. ნიადაგი, წიაღისეული, წყლის რესურსები, მცენარეულობა, უნიკალური გეოგრაფიული წარმონაქმნები; 2. ვადაშენების გზაზე მღვარი ველური მცენარეები და ცხოველები; 3. ბუნების ძეგლები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის, მეცნიერებისა და განათლებისათვის; 4. რეკრეაციული და საკურორტო დანიშნულების ცალკეული ტერიტორიები.

რიგორუცი ეციისა, ბუნებრივი რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება. ვარდა სამეურნეო ღონისძიებებისა, მოითხოვს მეცნიერული ძალების მობილიზაციასაც. ამ მეცნიერებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია გეოგრაფიას თავის შემადგენელ ნაწილებთან (ფიზიკური გეოგრაფია, მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია, პიდროლოგია, გეომორფოლოგია, ნიადაგ-მყოფლობა, ოკეანოლოგია, ვლაციოლოგია, კარტოგრაფია) ერთად.

ეკოლოგიური პრობლემების სიმწვავე, ქვეყნის მღვრადი განვითარების პრობლემები თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერებისაგან რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტას მოითხოვს. ეკობოდ, საჭიროა შეფასდეს სამოვადობისა და ბუნების ნეგატიურ და პოზიტიურ ურთიერთობათა შედეგები კონკრეტული რეგიონის ფარგლებში; უნდა განხორციელდეს სამეურნეო ობიექტების მშენებლობის, გაფართოებისა და რეკონსტრუქციის პროექტების მეცნიერულად და პრაქტიკულად ყოველმხრივ დასაბუთებული გეოგრაფიულ-ეკოლოგიური (გეოეკოლოგიური) ექსპერტიზა; დღის წესრიგში ღვას აგრეთვე სამეურნეო ობიექტებისა და ბუნების კომპონენტების პასპორტიზაციის პრობლემა. ბუნების კომპონენტების (რელიეფი, ჰავა, წყლები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, ნიადაგი) პასპორტიზაცია ფაქტობრივად ბუნებრივი რესურსების პასპორტიზაციის გოლფუსია, რაც, თავის მხრივ, რაციონალური ბუნებათსარგებლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

რაციონალური ბუნებათსარგებლობა, გეოგრაფიული თვალსაზრისით, სამ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს მოიცავს. ესენია: ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვა, სამეურნეო მიზნებისათვის მათი რაციონალური გამოყენება და ახალი ე.წ. „კულტურული“ ლანდშაფტების შექმნა.

ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვა გულისხმობს ნაკლებად შეცვლილი ტერიტორიული კომპლექსების პირიდანღელი სახით მენარჩუნებას, ანუ ნაკრძალი ტერიტორიების შექმნას.

კულტურული ლანდშაფტი ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესებულ მოდელს იყავისა უნდა წარმოადგენდეს. სხეანაირად რომ ვთქვათ, ამა თუ იმ სახის საინჟინრო ან აგროტექნიკური ღონისძიება არ უნდა ამიანებდეს არსებული ტერიტორიული კომპლექსის ბუნებრივ მექანიზმს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადამიანის მიერ გარემო ბუნებაზე ინტენსიური გემოქმედების პირობებში უდიდეს მნიშვნელობას იძენს ამ გემოქმედების შესაძლო შედეგების გეოგრაფიული

პროცნოში. სწორედ ამიგომ საქართველოს გერიგორიის, განსაკუთრებით მისი მთიანი ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული კელევა მიზნად ისახავს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებას, რათა წარმატებით იქნეს ათვისებული ბუნებრივი რესურსები, გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები და მათი საქმიანობის ეკოლოგიური გარემო.

ამეამად, საქართველოში დასახულია ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის შემდეგი გზები: 1. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ოპტიმალური ორგანიზაცია და სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების კოორდინაცია; 2. საქართველოს ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის შექმნა; 3. მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება.

საქართველოში ბუნების დაცვის გრადიციებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველ ქართულ ხელნაწერებში საინგერესო ცნობებია შემონახული ბუნების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის შესახებ. თამარ მეფის სიგელებში მოხსენიებულია „გყის მეფეღნი“. შსგაყის „თანამდებობის“ არსებობის შესახებ გეამცნობს ხელმწიფის კარის გარიგებაჲ (XIV საუკუნე). ვახტანგ I-ის დროს არსებობდა ე.წ. ყორულები, ანუ ამა თუ იმ მიზნით დაცული ტერიტორიები – „სანადირო ალაგები“. ასეთ ადგილებში აკრძალული იყო ხის ჳრა, ფრინველების, განსაკუთრებით კი მტაცებელთა ბუდეების მოშლა და სხვ იოანე ბაგრატიონის სჯულდებაში (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი, XVIII საუკუნე) ვეითხულობთ: „ავრეთვე იყოს სანადიროთა გყეათა და მინდროთა უყროსი კაცი. სამეფო სანადიროები ადგილნი აშას ებაროს. უამისოდ ვერეინ ინადირებღის იქ“.

საქართველოში პირველი ნაკრძალი, ამ სიგყეის თანამედროვე გაგებით, 1912 წელს დაარსდა ლავოლებში. 1950 წლისათვის ნაკრძლების რაოდენობა გაიზარდა. შემდეგ კი მათ შეიძლება ითქვას, „ძნელბედობის ვაში დაუდგათ“. 1951 წელს გააუქმეს საქართველოში არსებული ყველა ნაკრძალი. „რეპრესიას“ მხოლოდ ერთი – ლავიდეხის ნაკრძალი გადაურჩა. 1957-1959 წლებში ისინი თანდათან აღადგინეს, მავრამ 1961 წელს მოვიერთი მათგანი კელაე გააუქმეს. საბოლოოდ, თელაე-ყეარღის (19800 ჳა), გყიბუღის (1400 ჳა), იაფარაენის (2400 ჳა), ნალეარეღისა (300 ჳა) და კიდეე რამღენიმე ნაკრძალი გაუქმებული დარჩა.

საქართველოში ამეამად 15 ნაკრძალი, 2 ეროვნული პარკი, 6 ალკეეთილი და 2 მრავალმხრივი გამოყენების გერიტორიაა. თითოეულ მათგანში თავისებური ბუნებრივი ლანდშაუგია დაცული. მათი მილიანობისა და თიეთ-მყოფადობის შენარჩუნებას დიდი მეცნიერული, საგანმანათლებლო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ნაკრძალებს საქართველოს გერიტორიის 2,4% უკავია.

1982 წელს გამოვიდა საქართველოს „წიხული წიგნი“. მასში აღწერილია იმ მცენარეებისა და ცხოველების ეკოლოგიური გარემო, რომლებიც საჭიროებენ დაცვასა და მმრუნველობას. წიგნში შეტანსილა 65 სახეობის ცხოველი და 161 სახეობის მცენარე.

ნაკრძალი ძირითადად არსდება კონკრეტული გერიგორიის ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნების, ნაწილობრივ კი სამეცნიერო-კვლევითი თუ საგანმანათლებლო საქმიანობის ან გარემოს მონიტორინგის მიზნით. ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით მსხვილი ეკოსისტემის დაცვის მიზნით, აგრეთვე მეცნიერული კვლევის, საგანმანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის. ბუნების ძველი შეიძლება დაარსდეს შედარებით მცირე, მაგრამ უნიკალური გერიგორიის – ან ობიექტის (გყის კორომი, ჩანჩქერი, გბა და სხვ) დაცვის მიზნით *ალკეთილის* დანიშნულებაა ევლური სახეობების, სახეობათა ჯგუფებისა და არაყოცხალი ობიექტების შენარჩუნება, რაც მოითხოვს სათანადო მოვლა-პატრონობას. დაცული ლანდშაფტი იქმნება მაღალი ესთეტიკური ღირსების ან ადამიანის მიერ შექმნილი ლანდშაფტის დაცვის მიზნით, რეკრეაციულ-ტურისტული და გრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის. ამ კატეგორიის გერიგორია საქართველოში ჯერჯერობით არაა განსაზღვრული.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს ნაკრძალების ჩამონათვალი, სადაც მითითებულია მათი ფართობი, დაარსების წელი, სიმაღლე მღვის ღონიდან, ადგილმდებარეობა, გაერცელებული (დაცული) სახეობები:

1. *ალგეთის* – 6822 ჰა, 1965 წ. თეთრი წყაროს რაიონი, 1000-1700 მ მ. დ. ირიალეთის ქედის აღმოსავლეთი კალთები, ალგეთის ხეობა. გაერცელებულია აღმოსავლური ნაძვი და კაუკასიური ფიჭვი.

2. *ახმეტის* – 16297 ჰა, 1980 წ. ასმეტის რაიონი, 900-2500 მ მ. დ. კახეთის კაუკასიონის სამხრეთი და ჩრდილოეთი კალთები. დაცულია ურთილის გყე და მაღალი მთის მღვლის მცენარეულობა.

3. *აჯამეთის* – 4845 ჰა, 1946 წ. ბაღდადის რაიონი, 80-200 მ მ. დ. კოლხეთის დაბლობი, რიონის ხეობა. წარმოდგენილია იმერული მუხა და კაუკასიური ძელქვის კორომი.

4. *ბიჭვინთა-მიხსერის* – 3645 ჰა, 1926 წ. ვაერის და კუდაუთის რაიონები, მ. დ. 250 მ. შავი მღვის სანაპირო, გაერცელებულია 723 სახეობის მცენარე. მათგან 28 იმეიათი და გადაშენების პირას მისული სახეობაა. იმეიათი მცენარეებიდან და რელიქტებიდან აღსანიშნავია: მარწყვის ხე, ხისებრი მანანა, ლაუანი და სხვ.

5. *ბორჯომის* – 17948 ჰა, 1935 წ. ბორჯომის რაიონი, 100-2200 მ მ. დ. მესხეთის ქედი. ამ ნაკრძალის დანიშნულებაა სამონადირეო ცხოველთა ჯიშების აღდგენა (კაუკასიური ირემი).

6. *ვაშლიანის* – 8034 ჰა, 1935 წ. დედოფლისწყაროს რაიონი, 100-800 მ მ. დ. იერის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ნაკრძალის დანიშნულებაა არსებული არიდული ნაიული გყის შენარჩუნება და შესწავლა.

7. *კინგრიშის* – 13893 ჰა, 1959 წ. ქობულეთის რაიონი, 250-2500 მ მ. დ. მდ. კინგრიშის ხეობა. ნაკრძალის დანიშნულებაა კოლხური ფლორისა და ფაუნის შენარჩუნება, აღწერილია III ოჯახის 1000-ზე მეტი მცენარე. მათგან 219 მესამეული ფლორის წარმომადგენელია.

8. *ლაგოდეხის* – 17392 ჰა, 1912 წ. ლაგოდეხის რაიონი, 450-2500 მ მ. დ. კახეთის კაუკასიონის სამხეთი კალთები. ნაკრძალში დაცულია რამდენიმე ლანდშაფტი.

9. *ლიახვის* – 6588 ჰა, 1977წ. ცხინვალის რაიონი, 1200-2500 მ მ. დ. პატარა ლიახვის ხეობა. გაერცელებულია წიფელი, რცხილა, მუხა.

10. *მარიამჯერის* – 1040 ჰა, 1939 წ. საგარეჯოს რაიონი, 1200-1800 მ მ. დ. ცივ-გომბორის ქედის ნაწილი. ნაკრძალი შექმნილია აღმოსავლეთი საქართველოს ხელუხლებელი მცენარეულობის შესანარჩუნებლად.

11. რიწის – 16289 ჰა, 1957 წ. ვედაუსის რაიონი, 950-2900 მ ზ. დ., რიწის ტბის მიდამოები. ნაკრძალის დანიშნულებაა საშუალო მთის კოლხური ტყის შენარჩუნება, ვეხელება 120 სახეობის ხემყენარე.

12. საგურამოს – 5359 ჰა, 1946 წ. მცხეთის რაიონი, 500-1400 მ ზ. დ. საგურამოს ქელი. ნაკრძალი შექმნილია აღმოსავლეთი საქართველოს ხელუხლებელი გერიგორიების შესანარჩუნებლად.

13. სათაფლია-კოლხეთის – 854 ჰა, 1935 წ. წყალტუბოს რაიონი, 0-500 მ ზ. დ., კოლხეთის დაბლობი (პალიასგომის ტბა და ფიორის ხეობა). ნაკრძალის დანიშნულებაა ვაკის ნოტიო სუბტროპიკული ჭაობის ტყის ლანდშაფტის შენარჩუნება. ნაკრძალში 5 კარსტული მღვიმეა. ერთიერთი ღირსშესანიშნაო ობიექტია 60 მლნ წლის წინათ გადამტეხელ დინოზავრთა 200-მდე ნაქალაქი.

14. ფსხუ-უეშისაის – 40814 ჰა, 1976 წ. სოხუმის რაიონი, 300-2850 მ ზ. დ., ვემისთის ხეობა და მდ. ბზიფის მუაწელი. შედგება სამი ნაწილისაგან. ნაკრძალის დანიშნულებაა აფხაზეთის უნიკალური ფლორის შენარჩუნება. დატულია რელიქტური მცენარეები: კოლხური ბზა, ლელვი, პართიისის მუხა, სურო, შქერი, დეკა, შემორჩენილია კავკასიური რუხი ფუტკრის ოჯახები.

15. ყაზბეგის – 8707 ჰა, 1976 წ. ყაზბეგის რაიონი, 1500-5000 მ ზ. დ., მდინარეების არაგვისა და იორგის სათავეები. იგი ყველაზე უკეთო ნაკრძალია საქართველოში. შექმნილია სუბალპური და ალპური მცენარეულობის შენარჩუნების მიზნით.

გარდა აღნიშნული ნაკრძალებისა, კოლხეთის დაბლობის უნიკალური ჭარბტენიანი გერიგორიების დაუცისა და აღდგენის მიზნით 1998 წელს დაარსდა კოლხეთის დატული გერიგორიების სისტემა, რომელიც მოიცავს: კოლხეთის ეროვნულ პარკს, ქობულეთის ნაკრძალსა და ალკეეთის. სიმაღლე მ. დ. 0-5 მ.

საქართველო მთიანი ქვეყანაა. მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელ გეოეკოლოგიურ პრობლემებს მიეკუთვნება კატასტროფული და სამიში ბუნებრივი მოვლენები, კერძოდ მიწისძვრა, ზეაფი, მეწყერი, ლვარცოფი და ეროშიული პროცესები.

მიწისძვრა დედამიწის ენდოგენური ძალების გამოვლინებაა. საქართველოში მომხდარი მიწისძვრებიდან არცერთი არ აღემატებოდა 8 ბალს. მიწისძვრის სიძლიერე მისი გამოვლინების ფორმით განისაზღვრება. მასზე გავლენას ახდენს ეპიცენტრის გეოგრაფიულ-ეკოლოგიური თავისებურებანი, ამგებელი ქანების სასიათი, გრუნტის წყლების გავრცელების არეალი და სხვ. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ადამიანის სამეურნეო საქმიანობასაც.

ზეაფი მთიანი გერიგორიისათვის დამახასიათებელი სტიქიონია. იგი კატასტროფული მოვლენაა, რომელიც გამოწვეულია თოვლის მასების ვადა-ადგილებით ზეაფი შეიძლება იყოს მშრალი ან წყლიანი. საქართველოში შეავსაშიშროების ოთხი ზონა არსებობს: 1. კავკასიონის მაღალი მთები (ყველაზე მაღალი); 2. საქართველოს მთიანეთის სუბალპური და ალპური მთები; 3. კავკასიონის საშუალო და დაბალი მთები; 4. მცირე კავკასიონისა და საქართველოს სამხრეთ მთიანეთის საშუალო და დაბალი მთების ცალკეული მონაკვეთები. საქართველოში ზეაფების აქტიურ პერიოდად ითვლება იანვარ-მარტის თვეები.

მეწყერი სიმბიოსის ძალით მათს ფერდობის დახრილობის მიმართულებით მოძრაეი ნაშალი მასალაა. მას ძირითადად იწყევს მთის ქანების ატმოსფერული ნალექებით ან ნაღობი წყლებით გაკლენთვა. საქართველოში ცნობილია

დაახლოებით 10 ათასი მიწყრული უბანი, მათგან განსაკუთრებით საშიშია 3000. მათი წარმოშობა უსიკვესად დაკავშირებულია ინტენსიურ რწყევასთან, ძოვებასთან, მიწისქეცისა და ღია კარიერულ სამუშაოებთან, წყალსაცავების შექმნასთან და ა.შ. განსაკუთრებით მეწყერსაშიშია ზემო იმერეთის, აფხაზეთის მთისწინეთისა და შიდა აჭარის რეგიონები. მეწყერი პრაქტიკულად არ შეინიშნება კოლხეთის დაბლობზე, ალაშნის ველსა და შიდა კახეთში.

ღვარცოფი გალახიანი ან გალახ-ქეიანი ნაკადია, რომელიც უეტრად წარმოიქმნება მთის მდინარეთა ხეობებში. განსაკუთრებით აქტიური ღვარცოფები იცის ღერუჯის (ალაშნის მარცხენა შენაკადი) ხეობაში.

ეროზია ნიშნავს მოძრავი წყლებით ან ქარის მიერ ნადაგის ან მთის ქანების სტრუქტურის დაშლას. განასხვავებენ ფერდობულ, ხაზობრივ, სიღრმით და გვერდით ეროზიებს. ეროზიული პროცესები განსხვავებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. ეროზიის შედეგად ნადაგის ზედა, ნაყოფიერი ფენის დანაკარგები ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოში 50-90 ტ/ჰა-ს შეადგენს, დასავლეთ საქართველოში კი - 120-150 ტ/ჰა-ს.

ნიადაგური საფარის თანამედროვე მდგომარეობას უპირველეს ყოვლისა სამეურნეო საქმიანობა განსაზღვრავს. თანამედროვე ნიადაგი ალაშნის მრავალსაუკუნოვანი შრომის შედეგია. მოსავალიდან ერთად მას ნიადაგიდან ორგანული და მინერალური ნივთიერება გამოაქვს და ამით აღარბიებს ნიადაგს. გყის გაკაფვის შემდეგ კი ნიადაგი მთლიანად დაუცველი რჩება. ამის ნათელი დადასტურებაა თბილისის შემოგარენში განვითარებული მოვლენები. მრავალ უბანზე განვითარდა ეროზია, ეროზიული ფერდობები კი წყალდიდობისა და სხვა სტიქიონის წყაროაა. საქართველოში ნიადაგის დიდი ნაწილი ეროზიის შედეგად ირყესება და იკარგება. ეროზია განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ციყაბო ფერდობებზე. ამიგომ ჩვენში აკრძალულია მიწათმოქმედება იმ ფერდობებზე, რომლის დახრილობა 15°-ს აღემატება. რეკომენდებულია ძლიერ დახრილი ფერდობების ხელოვნური დაგყრასება. ეროზიას ამიცრებს აგრეთვე ქარსაწინააღმდეგო ზოლები. დამიანებული ნიადაგის აღდგენას რეკულტივაცია ეწოდება, რისთვისაც გამოიყენება სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებები.

წიაღის დაყვა სპეციფიკურ ხასიათს აგარებს. წიაღისეულის მოპოვება შეუქცევადი პროცესია: წიაღის გამდიდრება-განახლება შეუძლებელია, ამიგომაც მისი დაყვა ფაქტობრივად ნიშნავს მის რაციონალურ გამოყენებას. წიაღისეულის მოპოვებისას საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ მას შეიძლება მოჰყვეს ჰაერის, წყლის ან სხვა ბუნებრივი კომპონენტების დაბინძურება ან ცელილება.

მცენარეული საფარის დაყვა ხშირად გყის დაყვასთანაა გაიგივებული. პრობლემებია მაღალი მთის სუბალპურ და ალპურ მდელოებთან დაკავშირებით ინტენსიური ძოვებისაგან მათი პროდუქტიულობა მკვეთრად დაყვა. აღმოსავლეთ საქართველოს სტეპის მცენარეულობა ხელოვნურ მორწყევას საჭიროებს, რათა იგი მაღალპროდუქტიულ საძოყრად გადაიქცეს.

საქართველო წარსულში ცნობილი იყო მდიდარი ფაუნით. ამჟამად ბევრი სახეობა გადაშენებულია ან გადაშენების პირასაა მისული. ამიგომაცაა, რომ

არსებული კანონმდებლობით ბევრ ცხოველზე აკრძალულია ნადირობა, მოგიერთე კი – ღიმიგრებულია.

გასაცხია, რომ ბუნების ცალკეული კომპონენტის გარდაქმნა მთელი ბუნებრივი სისტემის სახეცელას, ან უარეს შემთხვევაში, ბუნებრივ-გეოგრაფიული კომპლექსის კომპონენტგზორისი კავშირების სრულ დარღვევას განაპირობებს. ამიგომ, ბუნებრივ-გეოგრაფიული კომპლექსების ანუ ღანღმეფტების დაიკვას გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს, რაც იმაში გამოისაგება, რომ დაცვის ობიექტია ბუნების არა ცალკეული კომპონენტი, არამედ მთელი კომპლექსი. ღანღმეფტების დაცვას ესთეტიკური, საგანმანათლებლო, რეკრეაციული მნიშვნელობა აქვს და იგი სახელმწიფო ინგერესების ღონემე განიხილება.

აგმოსფეროს გაბინაურება

აგმოსფეროს გაბინაურება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გეოეკოლოგიური პრობლემაა. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს ღიდ ქალაქებსა და სამრეწელო ცენტრებს: თბილისს, რუსთავს, ქუთაისს, მესტაფონს. კასპს, ბათუმს და სხე მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა სამრეწელო წარმოება, აგმოსფეროს გაბინაურება კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

1991 წლამდე საქართველოში არსებობდა პაერის მონიტორინგის კარვად ორგანიზებული სისტემა. აგმოსფერული პაერის მდგომარეობას მუდმივად აკეირდებოდნენ თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გყვარჩელში, მესტაფონში, გორში, მარნეულში, კასპში, ახალციხეში და სხე (სულ 34 სამონიტორინგო პუნქტი). ამ სადგურებში დღეღამეში პაერი იზომებოდა 4 პარამეტრი: მტკრის ნაწილაკები, ნახშირეანგი, ამოგისა და გოგირღის დიოქსიდები. მოგან იზომებოდა აგმოსფეროს სხეა გამაბინაურებლები: გოგირდწყალბადი, სულფატები, ფენოლი, ფორმალდეჰიდი, ამიაკი, ბენზაპირინი, მძიმე ლითონები. დაკეირეებები საერთოდ არ გარდებოდა სათბური ეფექტის გამომწევე გამებზე: ნახშირორეანგზე, ქლოროფლუოროკარბონებზე, მეთანზე და სხე უკანასკნელ ხანს პაერის მონიტორინგის აღნიშნული სისტემა მოიშალა და იგი მსოლოდ თბილისში ფუნქციონირებს.

აგმოსფერულ პაერს აბინაურებს როგორც არასტაციონარული (აეგოტრანსპორტი), ისე სტაციონარული (სამრეწელო საწარმოები) წყაროები. საქართველოში პაერის გაბინაურების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო იყო და არის აეგოტრანსპორტი. XX საუკუნის 80-იან წლებში მის წილად მოღიოდა პაერში ყოველწლიურად მოხვედრილი მავნე ნიეთიერებების 66-70%.

თბილისში აგმოსფეროს გაბინაურების 80% მოღის აეგოტრანსპორტზე. აქ 1991 წელს ყველაზე მავნე ნიეთიერებების (მეტრის, ფენოლისა და ფორმალდეჰიდის) საშუალო წლიური კონცენტრაცია 4პერი და მეტად აღემატებოდა ნორმას. 1988-1994 წლების განმავლობაში მეტრის საშუალო და მაქსიმალური

რაოდენობების მაჩვენებელი მაღალი იყო ქალაქის ცენტრში, ღიდუბის რაიონში, ნავთლულ-სოლანულის უბანზე. 1994 წლისათვის ნახშირყანგის საშუალო კონცენტრაცია მაღალი იყო ქალაქის ცენტრში, ორთაჭალა-აელაბარში (თუმცა არ სცილდებოდა მღერულად დასაშვებ ნორმას).

ამრიგად, ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად თბილისში აგმოსფერული ჰაერის გაბინძურება არ შემცირებულა, რაც მოძველებული სააეგომობილო პარკით, აეგოგრანსპორტის სიმრავლითა და უხარისხო საწვავით აიხსნება. ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ღიდ ვაულენას ახლენ მისი ხეობაში მდებარეობაყ. თბილისის განაშენიანებული უბნები უმთავრესად ქვაბულშია მოქცეული, ამიგომ ხშირად (განსაკუთრებით მაფხულსა და მამთარში) აყ ჰაერის მასების ჩაწოლა-ჩაგუბება ხდება. თუმცა მტკერის ხეობაში ჩრდილო-დასავლეიიდან სამსრეთ-აღმოსავლეიისაკენ შეროლი ქარი ხელს უწყობს ქალაქის განიაეებას. სწორედ ამიგომაა, რომ მსოფლიოს მრავალი ღიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი გყქნოგენური სიოგვი თბილისში იშეიათად ფორმირდება და მისი სანგრძლიეობა 2-3 დღეს არ აღემაგება.

ქ.ქუთაისის აგმოსფერული ჰაერის გაბინძურებაზე ვაულენას ახლენს არა მარტო აეგოგრანსპორტი, არამედ ქიმიური პროუილის საწარმოებიც (ლითოფონის, რეზინის და სხე). XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქალაქში აღინიშნებოდა მტკერის ნაწილაკების საკმაოდ მაღალი კონცენტრაცია, რომელიც საშუალო წლიურ ნორმას 4-ჯერ აღემაგებოდა. ნახშირყანგის საშუალო წლიური შემყველობა კი ნორმის ფარგლებში იყო და იშეიათად თუ აღემაგებოდა მას. ეკონომიკური კრიზისის შედეგად 90-იანი წლების ბოლოს ქალაქში შემყირდა მტკერის, ნახშირყანგისა და ფენოლის კონცენტრაცია.

ქ.რუსთაეში აგმოსფერული ჰაერის გაბინძურების მთაეარი კერებია: ქიმიური, მეგალურგიული და ცემენგის ქარხნები. არასათანადო გამწმენდი საშუალებების გამო ჰაერში ხდება საკმაოდ ღიდი რაოდენობის მაენე აირები და მტკერი. მავალითად, 1994 წლისათვის მტკერის საშუალო წლიური კონცენტრაცია 2-ჯერ, ხოლო ამიაკის 3-ჯერ აღემაგებოდა დასაშვებ ნორმას. თუმცა უკანასკნელ წლებში მათი რაოდენობა შემყირდა. ასეეე შემყირდა აგმოსყეროში აზოგის ოქსიდისა და ფენოლის შემყველობაყ. უყეული დარჩა ნახშირყანგისა და აზოგის დიოქსიდის კონცენტრაციის მაჩვენებლები. რუსთაეის ღია და გაშლილი მდებარეობა (ქეეეო ქართილის ეაკეზე) და გაბაგონებული ქარის მიმართულება (ჩრდილო-დასავლეითიდან სამსრეთ-აღმოსავლეითისაკენ) ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჰაერის განიაეებისათვის.

ქ.ბათუმის აგმოსფერულ ჰაერს ძირითადად ნავთობგადამამუშაეებელი და საშენ მასალათა ქარხნები აბინძურებს. თუმცა ბათუმში, თბილისთან და რუსთაეთთან შედარებით, მაენე ნიეითიერებების კონცენტრაცია დაბალია. აგმოსყერულ ჰაერში მტკერის, გოკირლისა და აზოგის დიოქსიდების შემყელობის მაჩყენებლები უმნიშენლოდ აღემაგება ნორმას.

ქ.მესგაფონში აგმოსფერულ ჰაერს ძირითადად აბინძურებს ფერომენაღნობების ქარხანა, რომლის გამონაბოლყვი მაენე ნიეითიერებები ახლო მღებარე სოფლებამღყე აღწეეს. ჰაერის მთაეარი გამაბინძურებელია მანგანუმის ორყანგი. უკანასკნელ წლებში მისი რაოდენობა არ გამოშიდა.

ქ. კასპის ჰაერს აბინძურებს ცემენტის ქარხანა, საიდანაც ჰაერში ხედება ძალიან ღიდი რაოდენობის მტვერი. ცემენტის მტვერი ქალაქის განაშენიანებულ უბნებშიც აღწევს, მისი საშუალო წლიური რაოდენობა 3-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას.

დაახლოებით იგივე სურათია ქ.ახალციხეში. ქალაქისათვის დამახასიათებელია მტერის მაღალი შემუქელობა. მისი საშუალო წლიური კონცენტრაცია 4-5-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას.

ამრიგად, აგმოსფერული ჰაერის გაბინძურების მხრივ, ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაა საქართველოს უდიდეს ქალაქებში – თბილისში, რუსთაყა და ქუთაისში. გაბინძურების ძირითადი წყაროა აეგოტრანსპორტი.

სტაციონარული წყაროებიდან აგმოსფერული ჰაერის ძირითადი გამაბინძურებელია ენერგეტიკული, ნაეთობგადამამუშავებელი, მეტალურგიული, ქიმიური და საშენი მასალების პროფილის საწარმოები. საქართველოში სტაციონარული წყაროებიდან გამოფრქვეული მანე ნიეთირებების საერთო რაოდენობის (185,8 მლნ ტონა – 1992 წ) 80% მოილოდა 9 უმსხვილეს საწარმოზე: გარდაბნის თბოელექტროსადგური (25,5%), რუსთაყის მეტალურგიული ქარხანა (20%), კასპის ცემენტის ქარხანა (18,7%), რუსთაყის ცემენტის ქარხანა (4,8%), ქუთაისის სააეგომობილო ქარხანა (3,3%), ბათუმის ნაეთობგადამამუშავებელი ქარხანა (3,3%), რუსთაყის საწარმოო გაერთიანება „ამოგი“ (2,1%), მესგაფონის ფეროშენადნობების ქარხანა (2,0%) და თბილისის ქარხანა ცენტროლიტი (0,7%). ამრიგად, საქართველოში აგმოსფერული ჰაერის ძირითადი გამაბინძურებელია სამი საწარმო: გარდაბნის თბოელექტროსადგური, რუსთაყის მეტალურგიული და კასპის ცემენტის ქარხნები, რომელთა წილად მოდის აგმოსფეროში მოხედრილი მანე ნიეთირებების აღრიცხული რაოდენობის ორი მესამედი.

კლიმატის თანამედროვე დათბობა

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში გამოჩნდა არაერთი შრომა, სადაც განხილულია საკითხი აგმოსფეროს და, შესაბამისად, ჰაეის თანამედროვე დათბობის შესახებ. დამუშავებულია პროგნოზებიც. მეცნიერთა უმეტესობა თელის, რომ ამჟამად მიმდინარე კლიმატის გლობალური დათბობა აღამიანის აქტიური სამეურნეო საქმიანობითაა განპირობებული. კლიმატის დათბობის პროცესი დაიწყო დაახლოებით ერთი საუკუნის წინ და იგი ღლესაც გრძელდება. მოგიერთი მოსაზრებით, დათბობის პროცესი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენებს მსოფლიოს მოსახლეობას და ორგანულ სამყაროს.

კლიმატის თანამედროვე დათბობა სხეადასხვა მიზეზით აიხსნება. ყველაზე მნიშვნელოვანია აგმოსფეროს შემადგენელი მინარეეების (განსაკუთრებით ნახშირორჟანგის) რაოდენობისა და გაბინძურების მაჩვენებლების ზრდა.

ნახშირორჟანგის (CO₂)* ზრდა განპირობებულია სათბობის (ნახშირის, ნაფთის, ბუნებრივი გაზის) წვის, ნიადაგის დამუშავებისა და გყეების განეხის შედეგად. მაგალითად, XIX საუკუნეში მისი კონცენტრაცია ატმოსფეროში იყო 0.029%. XX საუკუნის 60-იან წლებში – 0,035%. საერთაშორისო XXI საუკუნის 30-60-იან წლებში მისი რაოდენობა ატმოსფეროში მიაღწევს 0,058%-ს, ე.ი. 2-ჯერ უფრო მეტს. ვიდრე XIX საუკუნეში. ამგვარი ვითარება გამოიწვევს პაერის ტემპერატურის 2-3° C-ით მომატებას, რასაც მოჰყვება გარკვეული ცელილებები ბუნებაში. ცალკეული მისაზრებებით ნახშირორჟანგის მატებას შეიძლება მოჰყვეს ფოტოსინთეზის ინტენსივობის ზრდა და, შესაბამისად, მცენარეთა ფიგომასის ინტენსიური მატება.

კლიმატის თანამედროვე დათბობის მიზეზები ატმოსფეროს გაბნეპრებაშიც უნდა ვეძებოი დეამიწის ზედაპირზე იქმნება მტერის (უშიაერცხად ნახშირორჟანგის – CO) სხედასხვა შენაერთის ფენა, რომელიც „აბსოლუტური შაი სხეულს“ ოპტიკურ თვისებებს უახლოედა. შედეგადაც იზრდება დეამიწის ზედაპირის მიერ შიანთქმული სხიური ენერჯის რაოდენობა**. ასეთი დასკვნები ექსპერიმენტულ კელებას ეფუძნება, რაც პირეულად საქართველოში განხორციელდა აკადემიკოს ი. დავითიას ხელმძღვანელობით კავკასიონის ერთ-ერთ მყინვარზე განისაზღვრა ყინულის შიდა შრეებში წლების განმავლობაში (თითქმის XVIII საუკუნიდან) დავროილი მტერის რაოდენობა. დადგინდა, რომ მტერის ნაწილაკების ზრდა ემთხვევა კლიმატის დათბობის პერიოდს.

ცნობილია, რომ მტერის ნაწილაკების დიდი რაოდენობა აღინიშნება მოსახლეობისა და სამრეწველო საწარმოთა კონცენტრაციის არეალებში. ამის გამო დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების თავზე წარმოიქმნება ე.წ. სითბური „გუმბათები“. არადა, საქართველოს ყეეა დიდ სამრეწველო ცენტრში მტერის ნაწილაკების საშუალო კონცენტრაცია მაღალია და აღემატება ზღვრულად დასაშეებ ნორმას.

კლიმატის თანამედროვე დათბობა უპირეელცხად გამოისაგა დეამიწის ზედაპირზე პაერის საშუალო ტემპერატურის ზრდით (ბოლო წლებში მან საშუალოდ 0,5° C-ით მოიმატა). ტემპერატურის ზრდა გამოიწვევს არქტიკის, ანტარქტიდისა და მთის მყინვარების დნობას, რასაც დაბლობი ტერიტორიების დატბორეა, ფლორისა და ფაუნის ცალკეული სახეობის გადაშენება-გადატვარება, თანამედროვე გამყინვარების ფართობის შემცირება, ადამიანის საცხოვერებელი ჯარეზის შეყეა მოჰყვება.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის ლანდშაფტები გაცილებით „მკრძნობიარეა“ ატმოსფერული ნალექების შემცირების მიმართ, ვიდრე სურმული რეეიმის ცელილებების მიმართ ამიგომ XXI საუკუნის პირეულ ნახეარში კლიმატის

* ნახშირორჟანგის უმცირესი რაოდენობაც კი დეამიწის მიერ გამოსხივებული სითბოს 18%-ს აკეებს. სწორედ ეს წარმოქმნის ატმოსფეროში დამატებით სითბოს, რაც ცნობილია „სითბურის ეფექტის“ სახელწოდებით.

** თუმცა მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მტერის გარკვეული რაოდენობის დავროეების შემდეგ განიითარდება უკუპროცესი – აყეება. ვინაიდან მტერის მიერ შექმნილი სქელი ფენა შეამცირებს მზის სხივის შეღწევას დეამიწის ზედაპირამდე.

მოსალოდნელი გლობალური დათბობა, რაც პაერის სამუალო წლიურ გემპერაგურას საეარაულოდ 2°C-ით გამზრდის, არ გამოიწვევს საქართველოს ლანდშაფტების მნიშვნელოვან სახეცელას. მოსალოდნელია შეეცირდეს მეცნარეულობის პროლექტიულობა და მრავალფეროვნება, განსაკუთრებით სემიარიდულ და არიდულ ლანდშაფტებში.

კლიმატის გლობალური დათბობა საგრძნობ გავლენას მოახდენს მთიან გერიტორიებზე. ამიგომ პაერის გემპერაგურის მაგება კაეკასიონსა და მცირე კაეკასიონზე მკაყიო იქნება. საქართველოს ბარის ფარგლებში კლიმატური ცელილებები უფრო მნიშვნელოვანი იქნება მის აღმოსავლეთ ნაწილში, არიდული ლანდშაფტების გავრცელების არეალში. რაც შეეება კოლხეთის ლანდშაფტებს, აქ არ მოსდება ბუნებრივი პირობების რაიმე ძირეული ცელილება. ეს განპირობებულია რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებით იგი შემოფარგულია კაეკასიონისა და მცირე კაეკასიონის ქედებით და ამყითეაგრისებრადაა გახსნილი შაეი მკუიდან მონახერი ნოგიო პაერის მასებისაღმი. იმის დასგურია ის ფაქტი, რომ თვით მეთოხეული გამყინეარების პერიოდშიც კი არ მომხდარა კოლხეთში პაერის გემპერაგურის მნიშვნელოვანი ცელილება.

წყლის გაბინძურება

საქართველოს მდინარეები ბინძურდება ჩამდინარე წყლებით ყველაზე მეტად გაბინძურებულია ის მდინარეები, რომელთა ნაპირებზე დიდი ქალაქებია გაშენებული. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს მოქველებული მენიციპალური ინფრასტრუქტურა და გამწმენდი მოწყობილობების უკმარისობა-უქონლობა. რესპუბლიკის 45 მსხვილ დასახლებულ პუნქტში არსებული კანალიზაციის სისტემებიდან მხოლოდ 32-ია აღკურეილი გამწმენდი ნაგებობებით, რომელთა მეშეეობითაც იწმინდება წყლის მხოლოდ ნახეეარი. ქალაქებში წყლის გაბინძურების 60% მიოდის კანალიზაციაზე. შემაშეოთებულია ის ფაქტი, რომ მთლიანად საქართველოს გერიტორიაზე იწმინდება საყოფაცხოვრებო და სამრეწეელო ჩამდინარე წყლების მხოლოდ 13%. წყლის გაბინძურების მთაეარი „ენგრაქობა“: თბილისი, ქუთაისი, რუსთაეი და ზესგაფონი.

წყალი ასეეე ბინძურდება სასუქებით, პესტიცილებით, პებრიცილებითა და სოოლის მეურნეობაში გამოყენებული სხეა ნიეითერეებით წყალში მათი რაიოლენობა ხშირად 5-10-ჯერ აღემაგება დასაშეებ ნორმას.

მიწისქეემა წყლების გაბინძურების მსაეარი მიმგზია შხამქიმიკატები, რომლებიც მასში ნიადაგიდან ჩაირეეება. XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ეოეელწლიურად იეენებდნენ 250 ათასტ მინერალურ სასუქსა (აქედან ნახეეარი აბოტოვანი იყო) და გოქსიკურ შხამქიმიკატებს.

წყალს ძირითადად აბინძურებს მეტალურგიის, ნაეოთბგადამამუშაეებელი, ქიმიური და ენერგეტიკის ობეეკტები: „საქნასშირი“, „საქენერგო“, გარდაბნის

ობოლექტროსადგური, ბათუმის ნავიობგადამამუშავებელი ქარხანა, რუსთაის მეტალურგიული ქარხანა, რუსთაის საწარმოო გაერთიანება „ამოგი“, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“, მესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანა, ქუთაისის სააგრომობილო ქარხანა, თბილისის სააეიაციო ქარხანა, ურავის სამთო-ქიმიური ქარხანა, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი და სხვ.

საქართველოს მდინარეებიდან ყველაზე მეტად გაბინძურებულია მდ. მტკვარი თბილისის მიდამოებსა და ქვემო ქართლის ვაკეზე. თბილისის მიდამოებში მას აბინძურებს სამეურნეო-კომუნალური კანალიზაცია. აქ ორგანული ნივთიერებების კონცენტრაცია 1,5-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას, ფენოლის – 11-ჯერ, ამონიუმის ამოგის – 4-ჯერ. რუსთაის ფარგლებში მას ძირითადად აბინძურებს მეტალურგიული და ცემენტის ქარხნები, საწარმოო გაერთიანება „ამოგი“. რუსთაის ფარგლებში ორგანული ნივთიერებების კონცენტრაცია 1,5-ჯერ აღემატება ნორმას, ფენოლის – 12-ჯერ, ხლო კაპროლაქტამის – 11-ჯერ.

მდ. მტკერის აუზში ყველაზე გაბინძურებული მდინარეა მამავერა დაბა კაზრეთის ქვემოთ აქ მას აბინძურებს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი.

დასავლეთ საქართველოს მდინარეებს შორის ყველაზე მეტად გაბინძურებულია მდ. ყვირილა. გაბინძურების ძირითადი წყაროა მესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანა და საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“. 1992 წელს მდინარის წყალში ფენოლის კონცენტრაცია 14-ჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას.

საერთოდ, ყველაზე მეტად გაბინძურებულია აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები: მტკვარი (ქ. თბილისის ქვემოთ), დეხედა, ვერე და მამავერა (დაბა კაზრეთის ქვემოთ). ზომიერად გაბინძურებული მდინარეებია: გუჯარეთისწყალი, თეძამი, ალგეთი, არაგვი, იორი, ალაბანი, რიონი, ყვირილა (ქ. ჭიათურის ქვემოთ), ფიზორი, სუფსა, ნატანები, სობი, ენგური, ღალიძგა, მოქეი, კოდორი, გუმისთა, ბზიფი. მკირედ გაბინძურებული მდინარეებია: ხანისწყალი, ცხენისწყალი, ტეხური, აბაშა, ოქუმი, ფარავანი, ქვაბლიანი, ფოცხოვისწყალი, ძამა, დიდი ლიახვი, ძირულა, ჩხერიმელა, კინკრიმი, ჭოროხი, აჭარისწყალი და სხვ.

ნაკრძალების ეკოლოგიური მდგომარეობა

საქართველოში ნაკრძალების უმეტესობა შექმნილია სახელმწიფო გყის ფონდის მიწებზე, რომლის მეცნარეული საფარის 83% გყეებს უკავია. ნაკრძალში დაყულია ფლორისა და ფაუნის არაერთი რელიქტური თუ ენდემური სახეობა. ნაკრძალთა უმრავლესობა სწორედ ამ მიზნითაა შექმნილი. მაგრამ ნაკრძალებსაც აქვს პრობლემები, რომელთაგან მნიშვნელოვანია: ე.წ. ბუფერული სანაკრძალო ზონების შექმნა, რაც ნაკრძალის ძირითადი გერიტორიის

ჯეროვანი დაცვის საშუალება გახდება; ნაკრძალებისადმი მიმდებარე სუბალპური და ალპური მღელღების მიერთება, რითაც განადგურებისაგან დაცული იქნება ტყის ზედა საზღვარი; გადაშენების გზაზე მდგარი ფლორისა და ფაუნის სახეობების განსაკუთრებული დაცვა.

საქართველოს ნაკრძალები განსხვავებულია ფლორისა და ფაუნის სახეობათა რაოდენობით მცენარეთა ყველაზე დიდი მრავალფეროვნება აღინიშნება ახმეტის, ყაზბეგის, ფსხუ-გუმისთის, ლაგოდეხისა და ალგეთის ნაკრძალებში, რომლებშიც 1000-1500 სახეობას ითვლიან. ცხოველთა სახეობრივი რაოდენობის მიხედვით კი საქართველოს ნაკრძალები უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა ფსხუს, მარიამჯერის, ლაგოდეხისა და ახმეტის ნაკრძალები.

ცალკეულ ნაკრძალებში რთული ეკოლოგიური მდგომარეობაა შექმნილი: ალგეთის ნაკრძალის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო საეარგულები და დასახლებული პუნქტები, ამიგომ აქ დიდია სამეურნეო შემოქმედების მასშტაბები, ნაძვნარს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ნაძვის დიდმა ლაყანჭამიამ; აჯამეთის ნაკრძალის მიდამოები მჭიდროდაა დასახლებული. ეს უარყოფითად მოქმედებს სანაკრძალო რეჟიმის დაცვაზე. ამასთან იგი სამონადირეოდ ითვლებოდა, რამაც ძლიერ გააღარბა ცხოველთა სამყარო; ბაწარის ნაკრძალში საყოფაცხოვრებო მიზნებით გაიჩეხა მურყნისა და რყხილის ტყეები, თუმცა უთხოვრის ტყე ხელუხლებელია. იგი მოსახლეობაში გავრცელებულმა რწმენამ გადაარჩინა – უთხოვრის ტყე საღეთო ტყედ ითვლება. მისი წიწვები მესიყეს ალკალოიდ ბუქსინს, რაც მომწამელებელია საქონლისათვის, ამიგომ მის ტერიტორიას საძიურადაც კი არ იყენებენ; ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალისათვის მთაყარ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს დასახელებული ობიექტების სიმრავლე. თავის დროზე აქ ამოამრეს ჭაობები, რის შედეგადაც დაიწია გრუნგის წყლის დონე და გაიზარდა ტბებში წყლის მინერალიზაცია. ნაკრძალის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ითვლება სანაპირო ხაზის უკან დახევა. აქ მარგო 1977-1981 წლებში გადაირეცხა 950 კემ ფართობის ტერიტორია და განადგურდა არაერთი რელიქტური ფიჭვი; ბორჯომის ნაკრძალის ეკოლოგიური მდგომარეობა ძლიერ გააუარესა ნაძვის დიდმა ლაყანჭამიამ. დაავადებული ხეები მოჭრეს, მაგრამ ვარნდა ე.წ. ტყის გასატანი ცმები. ნაკრძალის ახლოსაა დასახლებული პუნქტები და სანადიროდ ნებადართული ტყის მასივები. ეს კი, თავის მხრივ, აყურებს სანაკრძალო რეჟიმის დაცვას; ვამლოენის ნაკრძალს ნაკლებად ეტყობა ანთროპოგენური გრანსფორმაცია, თუმცა ბრაკონიერობასა და საქონლის კადალენას (პანტიშარის გზაზე) საკმაო ზიანი მოაქვს; კინტრიშის ნაკრძალის ტერიტორიაზე არაერთი სემონური დასახლებაა, სადაც მიწას იყენებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ამის გამო დარღვეულია სანაკრძალო რეჟიმი. ამომშრალ ჭაობებში ჩაისა და ციგრუსის პლანტაციებია გაშენებული. უარყოფით გავლენას ახდენს გორფის საბალოს ექსპლუატაცია. მართალია, ნაკრძალში დაცულია კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი მცენარეულობა, მაგრამ მისი ფართობი არ არის საკმარისი ტყის შესანარჩუნებლად. ნაკრძალის ეკოლოგიური

მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მისი ფართობის გადიდება – ფიზიკის სეზონისა და პალიასტომის გზის მიყრდენით; ლაგოების ნაკრძალში ადრე არ შედიოდა სუბალპური და ალპური მდელოები, რამაც ძლიერ შეცვალა ტყის ფლორისტული შედგენილობა (გაიზარდა სარეველების წილი). ნაკრძალისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბრაკონიერობა და, საერთოდ, სამხრეთ საზღვარიან არსებული დასახლებული პუნქტები.

შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუარესდა შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა – გაიზარდა წყლის დაბინძურების ხარისხი და შემცირდა ბუნებრივი რესურსების მარაგი. ეს მრავალი ფაქტორითაა განპირობებული: ჰაერისა და ხმელეთის წყლების დაბინძურებით, განკერების აეარიებით, სანაპირო ზოლში მდებარე სამრეწველო ობიექტების ნარჩენების სრული ან არასაკმარისი გადამუშავებითა და სხვ ყველაზე მეტად დაბინძურებულია ზღვის აკვატორიის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო. მნიშვნელოვანია წყლის დაბინძურების ხარისხი ზღვის სხვა აკვატორიებშიც, მათ შორის საქართველოს სანაპირო ზოლშიც.

საკმაოდ დიდია იმ ქიმიური ნივთიერებებისა თუ ნაერთების ჩამონათვალი, რომლითაც დაბინძურებულია შავი ზღვა. ზღვაში ხდება როგორც არაორგანული, ისე ორგანული ნივთიერებები – ნეთობი და ნეთობპროდუქტები, მრეწველობის ნარჩენები, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული პესტიციდები და პებრიციდები, მცენარეთა მრდის რეგულატორები, ფეკალური წყლები და სხვ.

შავ ზღვას აბინძურებს არა მარტო უშუალოდ სანაპირო ზოლში მდებარე სამრეწველო ობიექტები, არამედ ნაპირიდან რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებული საწარმოებიც. მათ მიერ მოხმარებული წყალი და სამრეწველო ნარჩენები ხდება მდინარეებში, აქედან კი – ზღვაში. საქართველოს ფარგლებში ზღვას სხვაზე მეტად აბინძურებს ბათუმის მანქანათმშენებელი, ნეთობგადამამუშავებელი და ფარმაკოქიმიური ქარხნები, ქუთაისის საავტომობილო და ლითოფონის ქარხნები, მესტაფონის ფეროშენადნობების კონათურის მანგანუმის ქარხანა და სხვ.

შავი ზღვა ყველაზე მეტად ბინძურდება ნეთობითა და ნეთობპროდუქტებით, რომლებიც განკერების აეარიების შედეგად და სანაპიროს მახლობლად განლაგებულ ნეთობგადასაგეირთი გერმინალების გამო ხდება წყალში. ნეთობი ზღვის მუდამირზე წარმოქმნის თხელ აქს, რაც ძლიერ აფერხებს სინათლისა და ენგზალის შეღწევას წყლის სიდრმეში. ეს კი დამდეკეულად მოქმედებს ორგანიზმებზე, ზღვაში დიდი რაოდენობის ნეთობის მოხვედრის შემთხვევაში კი ილუპება წყალმყენარე, მოოპლანქტონი და თუეზი.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ ქიმიკატებს განსაკუთრებული მდგრადობა და დაშლის ნელი ტემპი ახასიათებს, ამიტომ ისინი ქმნიან ე.წ. დაგროვების, კონცენტრაციის უბნებს. ვითარებას კიდევ მეტად ართულებს ის გარემოება, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გამო, სრულიად უკონტროლოდ გამოიყენება მოძველებული ქიმიური ნაერთები (კარბამიდი, ფენოლი, ფტალიმის ჯგუფის ნაერთები), ხოლო მოგიერთი მათგანის (ქლოროფორი) გამოყენება საქართველოში მაშინ დაიწყო, როცა იგი მსოფლიოში ხმარებიდან უკვე ამოღებული იყო.

ზღვის წყალს უკიდურესად აბინძურებს ფეკალური წყლები. მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ართულებს ის გარემოება, რომ დასაყვლეთ საქართველოს არც ერთ დასახლებულ პუნქტში არ არსებობს საკანალიზაციო წყლის გამწმენდი საშუალებები. ამას ემატება ისიც, რომ ზღვის სანაპირო ზოლში არსებობს არაერთი მოუწყობელი ნაგავსაყრელი. სამრეწველო და სამშენებლო ობიექტების ნარჩენები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ნაგავი არასრულყოფილად მუშავდება და წვიმისა და წყალდიდობისას მდინარეებს ჩააქვს ზღვაში. ამგვარად ზღვაში ხდება არა მარტო ქიმიური ნივთიერებები, არამედ ბაქტერიული გამაბინძურებლებიც. ამიტომ ხშირად ვიზუალურად ითიქოს სუფთა ზღვის წყალი გაბინძურებულაა მიკრობებით.

შავ ზღვაში მდინარეებს ჭარბი რაოდენობით ჩააქვს ფოსფორი და ამოგი, რითაც საზრდოობენ ზღვის ბინადარი წყალმცენარეები. ამან გამოიწვია ფიგოპლანქტონის (წყლის მუდაპირზე მოტივტივე მსირე მომის მცენარეების) სიჭარბე და შეამიერა მზის სხივების წყლის სიღრმეში შეღწევალობა. ეს მოუელენა განსაკუთრებით შესამჩნევია ზღვის თაიხებელ ჩრდილო-დასაყლეთ ნაწილში.

შავი ზღვის ეკოლოგიური ვითარება ძლიერ გააუარესა იმ გარემოებათ, რომ 80-იან წლებში ამერიკის სანაპიროებიდან გემების ბალასტურ წყლებს შემოჰყევა მელუმისებრი სახეობა – საეარცხლურა (Nemiopeis Leidy). მისიეის შავი ზღეა კარგა „საცხოვრებელი გარემო“ აღმოჩნდა და სწრაფად გამრავლდა. ზღვის ბინადრის საერთო მასამ მოკლე პერიოდში 900 მლნ ტონას მიადწია, ე.ი. 10-ჯერ გადააჭარბა მსოყლიოში ყოველწლიურად დაჭერილი თეემის მასას. ამიტომ სამართლიანად უწოდეს მას შავი ზღვის „შავი ჭირი“. ბოლო წლებში საეარცხლურას რაოდენობა შემციოდა, მაგრამ მისი არსებობა შავ ზღვაში მაინც შნიშვნელოვანი პრობლემაა.

ეკოლოგიური ვითარების გაუარესების გამო შავ ზღვაში შემციოდა სახეობათა და ინდიეიდთა რაოდენობა. 1960 წლისათეის თეემის 26 სახეობა სარეწაო იყო. ამჟამად კი მათი რიცხვი ოთხამლეა შემციარებული (სკუმბრია, ქაოსა, სტაერიდა, მუისი). თითქმის სრულიად გაქრა თეირმუცელა სელაპი „მონარქი“, რომლის საცხოვრებელს უკაცრიელი და კლდოვანი სანაპირო წარმოადგენდა.

შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მდინარეებზე არსებული ჰიდროგენიკური ნაგებობები. წყალსაკაეები აკაეებს მდინარის მყარ ჩამონატანს, რის შედეგადაც მდინარეების შესართაეებთან, სანაპირო ზოლში

წარმოიქმნება მისი მწყავე დეფიციტი, რასაც ნაპირის (პლაყის) წარეცხვა მოსდევს.

საქართველოს ფარგლებში შავ ზღვაში 150-ზე მეტი მდინარე ჩაედინება, რომელთა წლიური ჩამონადენი თითქმის 50 მლნ კუბ მ-ია. აქედან 13,1 მლნ კუბ. მ მყარი მასალაა. პლაქწარმოქმნაში მონაწილეობას იღებს ამ მასალის 75% (10 მლნ კუბ. მ), დანარჩენი – წყალქვეშა სეობებსა და კანიონებში იკარგება. პესების მშენებლობას კი პლაქწარმოქმნელი მყარი მასალის რაოდენობის საგრძნობი შემცირება მოჰყვება.

გამონაგარიშებულია, რომ საქართველოს სანაპირო ხაზის 65% (200 კმ-ზე მეტი) ინგენსიური, ხოლო 32% – ნაკლებინგენსიური წარეცხვის ზოლშია მოქცეული. სანაპიროს მხოლოდ 3%-ზე მიმდინარეობს აკუმულაციის პროცესი. ეს მეტად შემამოფოთებელი ციფრებია. სანაპიროს ზოგიერთ უბანზე ხელოვნური კოლმაგაციის (მასალის ხელოვნურად დაყრის) მეშვეობით მართალია აღადგინეს პლაჟები, მაგრამ არასრულყოფილად და ღრობებით.

მდ. ენგურზე თაღიანი კაშხლის აგების შედეგად ძლიერ შემცირდა მყარი ჩამონატანის რაოდენობა. ანაკლიასთან (ენგურის შესართავთან), რამაც გამოიწვია სანაპიროს წარეცხვა. თუკი კაშხლის აგებამდე შავ ზღვაში მდ. ენგურს წლიურად ჩაჰქონდა 370 ათასი კუბ. მ მყარი მასალა, ამჟამად ეს რაოდენობა 29 ათას კუბ. მ-მდე შემცირებული. ამიგომ სანაპირო ვიწროვდება – ნაპირი ანაკლიასთან წელიწადში 7-10 მ-ით უკან იხევს. აჭარის თითქმის მთელი სანაპირო მდ. ჭოროხის ჩამონატანითაა აგებული. შესართავიდან 70 კმ-ზე დერინერის (თურქეთი) კაშხლის აგებაა გადაწყვეტილი, რაც მკვეთრად შეამცირებს ამ ჩამონატანს და წყლის ქვეშ აღმოჩნდება დაახლოებით 1400 ჰექტარი ხმელეთი. საშიშროების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მუდმივი ხელოვნური კოლმაგაციის ჩატარება.

შავი ზღვის რთული ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა ბრუნაედეს არა მარტო მის სანაპიროზე მდებარე ექვსი ქვეყანა, არამედ ზღვის აუზში მოქცეული ყველა სახელმწიფო. 1972 წელს ქ. სტოკჰოლმში შეიმდგინა ქვეყნების წარმომადგენლებმა შექმნეს პროექტი – „შავი ზღვის გაბინძურებისაგან დაყვის კონვენცია“, რომელიც რატიფიცირებულია ექვსივე სახელმწიფოს მიერ. 1992 წელს ქ. ბუქარესტში შეიმდგინა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს კონვენციას შავი ზღვის გაბინძურებისაგან დაყვის შესახებ, ხოლო 1993 წელს მიიღეს შავი ზღვის დეკლარაცია. მათ ეალღებულება აიღეს ზღვის გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაზე, თუმცა რეალურად ეს ვერ ხორციელდება. ამავე წელს ქ. სტამბულში შეიქმნა 3-წლიანი „შავი ზღვის გარემოს დაყვის .პროგრამა“ – BSEP, რომლის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა საკმაოდ-მძიმეა, თუმცა სიტუაციის გამოსწორება („შავი ზღვის გადარსენა“) ჯერ კიდევ შესაძლებელია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზღვის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე მონაცემების მოპოვებას ახორციელებდა არა მარტო შავი ზღვის, არამედ დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების თანამშრომლებიც.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

საქართველო მთიანი ქვეყანაა, რის გამოც იგი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით, ისტორიული და კულტურულ-სამეურნეო თავისებურებებით გამოირჩევა. ამგვარი მრავალფეროვნება განაპირობებდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებად და მხარეებად დაყოფას. შორეული წარსულიდან მოყოლებული ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა არაერთხელ შეიცვალა. ცელილებები დაკავშირებული იყო არა მარტო ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ან ეკონომიკურ მდგომარეობასთან, არამედ იმ საერთო გეოპოლიტიკურ სიტუაციასთან, რომელიც ახასიათებდა კავკასიის რეგიონს.

შუა საუკუნეებში ერთიანი საქართველო დაყოფილი იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, რომელთა სათავეშიც იდგა მეფე ან მთავარი. ისინი, თავის მხრივ, იყოფოდნენ კუთხეებად და თემებად (რომელთა მართებლებიც ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას). სამეფო-სამთავროების ტერიტორია და საზღვრები ხშირად იცვლებოდა.

ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის აღნიშნულმა სისტემამ XIX საუკუნემდე იარსება. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შეიქმნა ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომელიც შეესაბამებოდა იმპერიის ტერიტორიულ მოწყობას. კავკასიის და მათ შორის საქართველოს ტერიტორია დაიყო გუბერნიებად (ან ოლქებად). გუბერნიები, თავის მხრივ, დაიყო მაზრებად, ხოლო იქ, სადაც რელიგიური და ეროვნული უმცირესობანი ცხოვრობდნენ – ოკრუგებად (ეს უკანასკნელი გუბერნიის განსაკუთრებული ერთეული იყო). მაზრები და ოკრუგები იყოფოდა საპოლიციო უბნებად. თითოეულ ამ ტერიტორიულ ერთეულს სათავეში ედგა მოხელე, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდა.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ტერიტორიაზე 3 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო: თბილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია და ყარსის ოლქი.

თბილისის გუბერნიაში შედიოდა: თბილისის, ვორის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ღუშეთის, თიანეთის, თელავის, სიღნაღის მაზრები და შაქათალის ოკრუგი. ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა: ქუთაისის, შორაპნის, ოზურგეთის, სენაკის, გუგდიდის, ლეჩხუმის, რაჭის მაზრები, აგრეთვე სოხუმის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგები. ყარსის ოლქი მხოლოდ ოკრუგებად (ოლთისის, არგაანის, ყარსის, აღმეუნის) იყოფოდა.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების უდიდესი ნაწილი თანამედროვე საქართველოს სამღვრებში იყო მოქცეული, თუმცა გარკვეულწილად მოიცავდა ისტორიულ საქართველოსაც. კერძოდ, თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა, შაქათალის ოკრუგი (აზერბაიჯანი, შაქათალა – კასის მიდამოები), ზოგიერთი მაზრის (სიღნაღის, თბილისის, ბორჩალოს)

საზღვარი დღევანდელთან შედარებით უფრო სამხრეთით, ზოგიერთის კი უფრო ჩრდილოეთით (თიანეთის) გადიოდა. იგივე შეიძლება ითქვას ქუთაისის გუბერნიამდე, რომლის ფარგლებშიც მოქცეული იყო ართვინის ოკრუგი (ამჟამად თურქეთშია). შედარებით სამხრეთით იყო გადაწეული ბათუმის ოკრუგის საზღვარიც. საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის გარკვეული ნაწილი კი (ფსოუს ხეობა და ვაგრის ქედის მიმდებარე მთისწინეთი) საკუთრივ რუსეთის იმპერიამ შეიერთა (მაეი მღვის ოკრუგში).

ყარსის ისტორიული ოლქი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების (1918 წ) შემდეგ გაუქმდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ეს სისტემა. საქართველო დაიყო 19 ადმინისტრაციულ ერთეულად (18 ოლქი და 1 ქალაქი – თბილისი). ოლქების საზღვრები ფაქტობრივად ემთხვეოდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ მარშრუტებს, თუმცა იყო გარკვეული ცვლილებებიც. მაგალითად, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები გაერთიანდნენ ახალციხის ოლქში, ბათუმისა (ნაწილი) და არგაანის ოკრუგები – არგაანის ოლქში, ბათუმისა (მეორე ნაწილი) და ართვინის ოკრუგები – ბათუმის ოლქში; დუშეთისა და თიანეთის მაზრები – ანანურის ოლქში.

ტერიტორიული მოწყობის ეს სისტემა არსებობდა მხოლოდ პროექტის სახით (მას იმ პერიოდში, 1918-1921 წლებში, განხორციელება არ ეწერა).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე (1921 წ) საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა 3 ავტონომიური ერთეული: აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. საქართველოს ტერიტორია დაიყო ადმინისტრაციულ რაიონებად, რაიონები – ოლქებად და მაზრებად.

1921 წელს საქართველოში იყო 26 ქალაქი და 16 ქალაქის გიპის დაბა. ქალაქები სუსტად იყო განვითარებული. მცირე იყო მათი მოსახლეობის რაოდენობაც. თითოეულ ქალაქში მცხოვრებთა რიცხვი 20 ათას კაცს არ აღემატებოდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ სამი ქალაქი: თბილისი (მოსახლეობის რაოდენობა 230 ათასამდე), ქუთაისი (დაახლოებით 40 ათასი) და ბათუმი (48 ათასამდე). ე. ი. დიდი ქალაქების რიცხვს მხოლოდ თბილისი განეკუთვნებოდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთმა ქალაქმა დაკარგა კიდევ ქალაქის ფუნქცია და ეკლავ სასოფლო დასახლებად იქცა.

1922 წლიდან საქართველო საბჭოთა კავშირში, კერძოდ, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (გაუქმდა 1936 წელს) შემადგენლობაშია (აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან ერთად). 1936-1991 წლებში საქართველო, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, შედიოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

1931 წლისათვის საქართველოში იყო: 2 ავტონომიური რესპუბლიკა (აჭარისა და აფხაზეთის), 1 ავტონომიური ოლქი (სამხრეთ ოსეთის), 4 ოლქი (თბილისის, გორის, კახეთის, ქუთაისის), 6 მაზრა (ახალქალაქის, ახალციხის, გუგაიდის, ოზურგეთის, სენაკის, ზემო სვანეთის), 2 საქალაქო საბჭო (თბილისის, ფოთის) და 55 რაიონი.

გარდა ამისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში გამოიყოფოდა ქ. სოხუმი და 5 მაზრა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქ. ბათუმი და 4 რაიონი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში – 3 რაიონი. ამრიგად, საქართველო იყოფოდა 11 მაზრად და 62 რაიონად.

მოგვიანებით გაუქმდა ქვეყნის ოლქებად და მაზრებად დაყოფის სისტემა. რაიონი იქცა უმთავრეს ადმინისტრაციულ-გერიგორიულ ერთეულად. თუმცა მეოცე საუკუნის 50-იან წლებში (დაახლოებით 2 წლით) კვლავ აღდგა გერიგორიის ოლქებად დაყოფის სისტემა. ეერძოდ, დაარსდა 2 ოლქი: 1. თბილისის ოლქი, რომელიც მოიცავდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს (გარდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა); 2. ქუთაისის ოლქი, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გარდა).


XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო რაიონების გამსხვილება და 1963 წლისათვის აღირიცხებოდა 38 რაიონი, აქედან 9 – ავტონომიურ ერთეულებში. შემდგომ პერიოდში ადმინისტრაციული რაიონების რიცხვი კვლავ გაიზარდა.

1987 წლისათვის საქართველოს გერიგორიაზე იყო: 2 ავტონომიური რესპუბლიკა, 1 ავტონომიური ოლქი, 65 რაიონი, 4 საქალაქო საბჭო (გაგრის, წყალტუბოს, გვიბულის, ჰიათურის), 61 ქალაქი, 52 დაბა, 942 სასოფლო საბჭო და 4488 სოფელი (აქედან 174 დაუსახლებელი).

1990 წელს გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რის შედეგადაც საოლქო დაქვემდებარების ქალაქი ცხინვალი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გადაკეთდა. ამჟამად ცხინვალის რაიონი შედის გორის, ყორნისისა კი ქარელის რაიონის შემადგენლობაში.

საქართველოს ახალი გერიგორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით, ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით ხასიათდება, მისი დაქვემდებარება რამდენიმე ათეულ ადმინისტრაციულ ერთეულად მიზანშეწონილი არაა. ამით რთულდება ქვეყნის მართვა, მმართველობითი აპარატის შენახვა კი ღიდ გეირთად აწევბა ქვეყნის ბიუჯეტს. საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალურ რაოდენობად მიჩნეულია 12-14 ადმინისტრაციული ერთეული.

ამჟამად საქართველოს გერიგორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის უმაღლეს საფეხურს მხარე წარმოადგენს. სამხარეო ერთეული ერთიანი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონია, რომელიც მეგ-ნაკლებად გამოკვეთილი ბუნებრივი საზღვრებით, შედარებით ერთგვაროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით, სამეურნეო სპეციალიზაციითა და შიდასაწარმოო კავშირებით ხასიათდება. ასევე მნიშვნელოვანია მოსახლობის ეთნოგრაფიული, ეთნოკულტურული და ისტორიული ერთგვაროვნება. თითოეულ მხარეს ადმინისტრაციული ერთეულის თანაბარი ფუნქცია აქვს.



საჩინო – დარეჯან დედოფლის სასახლე, თბილისი

1995 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 12 ადმინისტრაციული ერთეული: შიდა ქარილის, ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა – ლეჩხუმში – ქვემო სვანეთის, სამეგრელო – ზემო სვანეთის, გურიის მხარეები; ქალაქი თბილისი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები.

მხარეების სამღვარი მოგან არ ემთხვევა საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების სამღვრებს. მაგალითად, სვანეთი გაყოფილია ორ ნაწილად – ზემო სვანეთი (მესტიის რაიონი) მიეკუთვნება სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს, ხოლო ქვემო სვანეთი (ლენგეხის რაიონი) – რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეს. ბორჯომის რაიონი მიეკუთვნება სამცხე-ჯავახეთს, ქ. თბილისი სარგებლობს მხარის უფლებებით და სხვ.

მხარეები და ავტონომიური რესპუბლიკები იყოფა ადმინისტრაციულ რაიონებად, ახალი დაყოფის მიხედვით ადმინისტრაციული რაიონების რაოდენობა 63-მდე შემცირდა, ეინაიდან გაუქმდა ყორნისისა და ცხინვალის რაიონები.

ამჟამად ყველაზე დაბალი რანგის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულია საკრებულო, რომელშიც სმირად რამდენიმე სოფელია გაერთიანებული.

ამრიგად, საქართველოს თანამედროვე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის სისტემა სამსაფეხურიანია: მხარე, რაიონი და საკრებულო.

საქართველოს ადმინისტრაციული რაიონებია: აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალგორის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბაღდადის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ღმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თუთრის

წყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენგეხის, მარნეულის, მარტვილის, მესტიის, მცხეთის, ნინოწმინდის, ოზურგეთის, ორის, საგარეჯოს, სამტრედიის, სანჯურის, სენაკის, სიღნაღის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ხარაგაულის, ხამურის, ხობის, ხონის, ჯაეის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოსუმის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის, ხულოს.

გარდა ადმინისტრაციული რაიონებისა, საქართველოში 7 საქალაქო საკრებულოსადმი დაქვემდებარებული გერიტორია (თბილისის, გავრის, რუსთავის, გვიბულის, ფოთის, წყალგებოს, ჭიათურის), 61 ქალაქი და 4500 სოფელია.


ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები

აფხაზეთი – მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მოიცავს გერიტორიას ფსოუს ხეობიდან აფხაზეთ-სვანეთის ქედამდე (მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი პირობითად გადის მდ. ლალიძგამე და კაეკასიონის მთაგარი წყალგამყოფი ქელიდან შაეი ზღვის სანაპირომდე. მოიცავს 5 ადმინისტრაციულ-გერიტორიულ ერთეულს: გავრის საქალაქო საკრებულოს, გუდაუთის, სოსუმის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებს. პროვინციის ფართობია 7,6 ათასი კმ². გერიტორიის უმაღლესი წერტილია მ. დომბაი-ულგენი (კაეკასიონის მთაგარ წყალგამყოფ ქედზე, გულრიფშის რაიონში, მდ. 4046 მ-ზე). იყოფა დიდ აფხაზეთად (გავრიდან მოყოლებული პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრამდე) და მცირე აფხაზეთად (გავრასა და დაბა ხოსგას* შორის).

სვანეთი მოიცავს კაეკასიონის სამხრეთ ფერდობს, მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ზემო წელს აუბებს. ადმინისტრაციულად იგი მოიცავს მესტიისა და ლენგეხის რაიონებს. იყოფა ზემო (ენგურის ზემო წელი) და ქვემო (ცხენისწყლის ზემო წელი) სვანეთად. ზემო სვანეთი, თავის მხრივ, იყოფა ბალსზემო („თავისუფალი“ სვანეთი) და ბალსქვემო (სადაღმუქელიანო) სვანეთად. მათ შორის საზღვარი გადის უშბის ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე – ბალის ქედზე. პროვინციის უმაღლესი წერტილია მ. შხარა (კაეკასიონის მთაგარ წყალგამყოფ ქედზე, მესტიის რაიონში, მდ. 5068 მ სიმაღლეზე).

სამეგრელო წარმოდგენილია ეგრისის ქელსა და შაეი ზღვის სანაპიროს შორის, მდ. ცხენისწყალსა და აფხაზეთს შორის. იგი მოიცავს გალის, აბაშის, მარტვილის, შუგდილის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის, წალენჯიხის რაიონებსა და ქ. ფოთს. ფართობია 5,4 ათასი კმ². პროვინციის უმაღლესი

* დაბა სოსგა შედის კრანსოლარის მხარეში (რუსეთი).



სოფ. იფარი (სვანეთი)

წერტილია მ. ჰიათაგვალა (ევრისის ქედის თხემზე, წალენჯიხის რაიონში, გ.დ. 3226 მ სიმაღლეზე).

რაჭა მდებარეობს კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, მდ. რიონის გემო წელის აუზში. მოქცეულია კავკასიონის მთაეარ წყალგამყოფ, ლეჩხუმისა და რაჭის ქედებს შორის. აღმოსავლეთიდან იგი ლიხის ქედით ისაზღვრება. მოიცავს ონისა და ამბროლაურის რაიონებს. პროვინციის უმაღლესი მწვერვალია მ. ჰანჭახი (კავკასიონის მთაეარ წყალგამყოფ ქედზე, ონის რაიონში, გ.დ. 4462 მ სიმაღლეზე). იყოფა ზემო და ქვემო რაჭად. მათ შორის საზღვარი გაღის ხიდიკრის კლდეკარზე, სოფ. წესთან (ამბროლაურის რაიონი).

ლეჩხუმი მოიცავს კავკასიონის სამხრეთ ფერდობს, მდ. ცხენისწყლის შუა წელისა და მდ. ლაჯანურის (რიონის მარჯვენა შენაკადი) აუზებს. იგი თითქმის მთლიანად ემთხვევა ცაგერის რაიონს, თუმცა მის ფარგლებშია, აგრეთვე წყალგუბოს საქალაქო საკრებულოს ჩრდილოეთი ნაწილი. პროვინციის უმაღლესი წერტილია მთა წიქური (ევრისის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი, გ.დ. 3173 მეტრზე).

იმერეთი მოქცეულია ერთი მხრივ ლიხის ქელსა და მდ. ცხენისწყალს შორის, მეორე მხრივ – რაჭისა და მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედებს შორის. მისი ფართობია 6,59 ათასი კმ². იგი მოიცავს 12 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს: ქ. ქუთაისს, წყალგუბოს, გყბულისა და ჰიათურის საქალაქო საკრებულოებს, ეანის, ზესგაფონის, თერჯოლის, ბაღდადის, ხარაგაულის, სამტრედიის, საჩხერისა და ხონის რაიონებს. იყოფა ზემო (მდ. ყეირილის ზემო წელის აუზი) და ქვემო იმერეთად. უმაღლესი მწვერვალია მ. მეფისწყარო (აჭარა-იმერეთის ქედზე, გ.დ. 2850 მ).

გურია მდებარეობს შაეი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. რიონსა და აჭარა-იმერეთის ქედს შორის. მოიცავს ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონებს. პროვინციის ფართობია 2,03 ათასი კმ². გურიის უმაღლესი წერტილია მ. მეფისწყარო (მესხეთის ქედზე, ეანისა და ჩოხატაურის რაიონების საზღვარზე, გ.დ. 2850 მ სიმაღლეზე).

აჭარა მდებარეობს ერთი მხრივ მესხეთისა და შავშეთის ქედებს შორის, მეორე მხრივ – შავი ზღვის სანაპიროსა და არსიანის ქედს შორის. გერიტორიის უდიდესი ნაწილი მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს (ჭოროხი – აჭარისწყლით, ჩაქვისწყალი, კინგრიში), ხოლო მცირე ნაწილი (მდ. ქეაბლიანის ზემო წელის აუზი) – მტკერას (კასპის ზღვის) აუზს. მის შემადგენლობაშია 5 რაიონი: ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონები. აჭარის უმაღლესი მწვერვალია ყანლის მთა არსიანის ქედზე, საქართველო-თურქეთის საზღვარზე, ზ.დ. 3307 მ სიმაღლეზე.

შიდა ქართლი მოიცავს გერიტორიას ლიხის ქედსა და მდ. მთიულეთის არაგვის აუზს შორის, კაეკასიონის მთაგარ წყალგამყოფ, თრიალეთისა და მესხეთის ქედებს შორის – ფაქტიურად მდ. მტკერის შუა წელის აუზს (როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა სანაპიროებს). პროვინციის შემადგენლობაში წარმოდგენილია მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ახალგორისა და ჯაეის რაიონები. შიდა ქართლის უმაღლესი მწვერვალია მ. ბრუგსაბძეკლი (ჯაეის ქედზე, ჯაეის რაიონში, ზ.დ. 3670 მ სიმაღლეზე).

ხევი მდებარეობს კაეკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე, მოიცავს მდ. თურგის ზემო წელის აუზს, ხოხის, შანისა და მთიულეთის ქედებს შორის მოქცეულ გერიტორიას. ადმინისტრაციულად თითქმის მთლიანად ემთხვევა ყაზბეგის რაიონს. ხევის უმაღლესი წერტილია მ. მყინვარწვერი (ხოხის ქედზე, ზ.დ. 5033 მ სიმაღლეზე).


ხევსურეთი მდებარეობს მდინარეების ასის, არღუნისა და ხევსურეთის არაგვის ზემო წელის აუზებში. ადმინისტრაციულად ეკუთვნის ღუშეთის რაიონს. მდებარეობს კიდევანის, აწუნგისა და გუდამაყრის ქედებს შორის. იყოფა პირიქითა (ასისა და არღუნის აუზები) და პირაქეთა (ხევსურეთის არაგვის აუზი) ხევსურეთად. პროვინციის უმაღლესი მწვერვალია გებულოს მთა (პირიქითის ქედზე, ზ.დ. 4495 მ სიმაღლეზე).

თუშეთი მდებარეობს კაეკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. ანდის ყოისუს ზემო წელის (პირიქითის ალაზნისა და თუშეთის ალაზნის) აუზში. მოქცეულია ახმეტის რაიონის ფარგლებში. თუშეთის უმაღლესი მწვერვალია გებულოს მთა (პირიქითის ქედზე, ახმეტისა და ღუშეთის რაიონების საზღვარზე ზ.დ. 4495 მ სიმაღლეზე).

ფშავე მოქცეულია მდ. ფშაეის არაგვის აუზში, გუდამაყრის, ქართლსა და ხევსურეთის ქედებს შორის. ადმინისტრაციულად მდებარეობს ღუშეთის რაიონში. იყოფა მადაროსკარად (მდინარის ქვემო წელის აუზი) და უკანა-ფშავედ (ზემო წელის აუზი). მათ შორის საზღვარი გადის სოფ. შუაფხოზე.

მთიულეთი მოიცავს მდ. მთიულეთის არაგვის აუზს. მოქცეულია კაეკასიონის მთაგარ წყალგამყოფ, ალგვისა და გუდამაყრის ქედებს შორის. ადმინისტრაციულად ძირითადად ეკუთვნის ღუშეთის, ნაწილობრივ ყაზბეგის რაიონებს.

ერწო-თიანეთი მდებარეობს მდ. იერის ზემო წელის აუზში, ქართლისა და კახეთის ქედებს შორის. პროვინციის საზღვრები თითქმის მთლიანად მოქცეულია თიანეთის რაიონში.




სოფ. შატილი ხეხსურეთში

კახეთი მდებარეობს მდინარეების ალაზნისა და ივრის შუა და ქვემო წელის აუზებში. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან იგი შემოსაზღვრულია კაეკასიონის მთიანეთი წყალგამყოფი ქედით, დასავლეთიდან და სამხრეთიდან კი – კახეთის ქელითა და ივრის ბეგნით. მოიცავს ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოსა და იხელაის რაიონებს. კახეთის უმაღლესი მწვერვალია მ. შაიკლდე (კაეკასიონის მთიანეთი წყალგამყოფი ქედზე, საქართველო-დასავლეთის საზღვარზე, მდ. 3578 მ სიმაღლეზე). იყოფა ვარეკახეთად (მდ. ივრის შუა წელის აუზი), ქიზიყად (მდ. ივრის ქვემო წელის აუზი), შიგნით კახეთად (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროს აუზი) და ვალმახხარედ (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროს აუზი).

ქვემო ქართლი მოიცავს მდ. მტკვრის აუზს ქ. თბილისიდან სამხრეთით. შემოსაზღვრულია თრიალეთის, ჯაეახეთისა და ლოქის ქედებით, აღმოსავლეთიდან კი – ივრის ბეგნით. ალმინისტრაციულად აქ წარმოდგენილია ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონები. პროვინციის უმაღლესი მწვერვალია მ. ლილიდადი (ჯაეახეთის ქედზე, დმანისის რაიონში, მდ. 3156 მ სიმაღლეზე).

მესხეთი (სამცხე) მოიცავს მდ. მტკვრის ზემო წელის აუზს. მოქცეულია არსიანის, ერუშეთის, მესხეთის ქედებსა და ჯაეახეთის ეულანურ ბეგანს შორის. მის შემადგენლობაშია ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის რაიონები.



ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები ფართობის (ა) და მოსახლეობის (ბ) მიხედვით

1-იბილისი; 2-აფხაზეთი; 3-აჭარა; 4-სამეგრელო; 5-გურია; 6-სვანეთი; 7-რაჭა-ლეჩხუმი; 8-იმერეთი; 9-მესხეთი; 10-ჯავახეთი; 11-ქართლი; 12-აღმოსავლეთი საქართველოს მაღალმთიანეთი; 13-კახეთი.

პროვინციის უმაღლესი მწვერვალია მ.გუშბათი (ერუშეთის მთიანეთზე, ასპინძის რაიონში, ზ.დ. 2964 მ სიმაღლეზე), ფართობი – 6,8 ათასი კმ².

ჯავახეთი მოიცავს მდ. ფარანის აუზის ძირითად ნაწილს, ჯავახეთის ეულკანურ ზეგანს, ჯავახეთის, ორიალეის, ნიალისყურის ქედებსა და მტკერის ხეობას შორის არსებულ ტერიტორიას. პროვინციის ფარგლებშია ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები. ჯავახეთის უმაღლესი წერტილია მ.ღაღი აბული (აბულ-სამსრის ქედზე, ახალქალაქის რაიონში, ზ.დ. 3301 მ სიმაღლეზე).


თორი მოიცავს მდ. გუჯარეთისწყლის (მტკერის მარჯვენა შენაკადი) აუზს. აგრეთვე მტკერის ხეობას გაშისკარსა და ლერს შორის. ადმინისტრაციულად წარმოდგენილია ბორჯომის რაიონში.

თრიალეთი მოიცავს მდ. ქციის ზემო წყლისა და მდ. შავეყაროსწყლის (ხრობის მარჯვენა შენაკადი) აუზებს.

სამხარეო დაყოფა

საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა საქართველოს იუსტიციის დახმარებით ხასიათს აგარებს (კონსტიტუციურად გასულია წინეხული არაა), თუმცა მმართველობის სამხარეო ორგანიზაციები ფაქტობრივად მოქმედებენ. ამგვარად, საქართველოში გამოიყოფა 12 სამხარეო ერთეული: ქვემო ქართლი; შიდა ქართლი; მცხეთა-მთიანეთი; კახეთი; იმერეთი; სამცხე-ჯავახეთი; სამეგრელო – ზემო სვანეთი; რაჭა – ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი; გურია; აჭარის არ; აფხაზეთის არ; ქალაქი თბილისი.

სამხრეთველს თანამედროვე კოლტიმურ-აღმინისტრაციული დაყოფა



- ⊙ ადმინისტრაციული ცენტრები
- ⊗ სამხარეო ადმინისტრაციის ცენტრები
- რაიონული ცენტრები

ქვემო ქართლი

მდებარეობა – საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

მოსახლერე რეგიონები – აზერბაიჯანი, სომხეთი; შიდა ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი;

ფართობი – 65 ათასი კმ² (საქართველოს 9,3%).

მოსახლეობა – 600 ათასი კაცი (საქართველოს 11%).

ადმინისტრაციული ცენტრი – რუსთავი (160 ათასი მცხოვრები).

ადმინისტრაციული ერთეულები – 6 რაიონი (გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თუარი წყაროს, დმანისის, წალკის).

ქალაქი – 7 (რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თუარი წყარო, მარნეული, წალკა).

დაბა – 8 (კაზრეთი, თამარისი, დიდი ლილო, კოჯორი, მანგლისი, შაუშიანი, ბედიანი, ირიალეთი).

სოფელი – 342.

რელიეფი – ეკე (ქვემო ქართლის), ქედები (ჯავახეთის, სამხრის, ირიალეთის, ლიქის). მალღობები (თაღლუჯის), პლატოები (წალკის, დმანისის, გომარეთის და სხვ.). უმაღლესი მწვერვალი – სამსარი (3284 მ), უდაბლესი ადგილი – წითულ სიდახან მ.დ. 260 მ.

ქაეა – ზომიერად მშრალი სუბტროპიკული; ივლისის საშუალო ტემპერატურა +25° (რუსთავი), +18° (მანგლისი), +16° (წალკა); ატმოსფერული ნალექები – 400 მმ (ვაკეზე), 700-800 მმ (პლატოებზე).

მდინარეები – მტკვარი, ალგეთი, ხრამი, მამავერა და სხვ.

ტბები – ჯანღარი.

წიაღისეული რესურსები – სილიცენი და პოლიმეტალები (მადნეული), ნაფთობი (თუღეთი, რუსთავი), სამუქნებლო მასალები და სხვ.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 92 კაცი/კვ.კმ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა – აზერბაიჯანლები (40%), ქართველები (35%), ბერძნები (8%), სომხები (7%), რუსები (6%).

ქალაქის მოსახლეობა – 44%.




სამრეწველო პროდუქციის ღირებულება – 190 მლნ ლარი, საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 20% (1999), აქედან რუსთავზე მოდის 40%.

მზივნიელოვანი საწარმოები – გარდაბნის თბილექტროსადგური, მადნეულის სამთავი-გამამლიდრეკელი კომბინატი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საწარმოო ვაერთაიისება „ამოტი“. ხელოვნური ბოჭოს ქარხანა, მსუბუქი და კეების მრეწველობის საწარმოები.

აგრარული მიმართულება – მკარგოილეობა, მეხოსტენიობა, მეხალეუობა, მევესახეობა. მეხილეობა, ტექსიკური კულტურები, მეფრინველეობა, სარძეო მეცხოველეობა.

ტრანსპორტი – საავტომობილო, სარკინიგზო, მილსადენი.

ღირშესანიშნობები – ბოლნისის სიონი, ბუთანისის ტაძარი, სამშვილდე (ცხე-ქალაქის ნანგრეები), დმანისის ნაქალაქარი (დმანისის სიონი), ფიტარეთის მონასტერი, ბირაეთის ცხეციმავრე, ხუნანის ცხე-ქალაქის ნანგრეები, ნადარბაზევის სახასლე, წმალა ანტონის მონასტერი (სორიოსიან) და სხვ.

 ტაძრები, მონასტრები და სხვ.	 ცხე-სამავრეები	 ბუნებრივი ძეგლები
---	--	---

შიდა ქართლი

მდებარეობა – საქართველოს ჩრდილოეთ-ცენტრალური ნაწილი.

მოსამდგრე რეგიონები – რუსეთი (ოსეთი); მსხვილა-მოიანეთი. ქვემო ქარილი, სამსხე-ჯაფახეთი, იმერეთი, რაჭა – ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი.

ფართობი – 5,7 ათასი კვ.კმ (საქართველოს 8,2%).

მოსახლეობა – 460 ათასი კაცი (საქართველოს 8,5%).

აღმინისტრაციული ცენტრი – გორი (68 ათასი მცხოვრები).

აღმინისტრაციული ერთეულები – 5 რაიონი (ქარელის, გორის, კასპის, ხაშურის, ჯაიხის).

ქალაქი – 5 (ცხინყალა, გორი, კასპი, ქარელი, ხაშური).

დაბა – 5 (აგარა, ყორნისი, სურამი, ჯაფა, კეასი).

სოფელი – 250.

რელიეფი – წაკეები (ტირეფონ-მუხრანის, საამილახეროს, მუხრან-საგურამოს), ქედები (კეკელიძის, ხარულის, ალექის, თრიალეთის), უღელტეხილები (როკის – მ.დ. 2995 მ).

ჰავა – მოსიერად თბილი გენიანი (ზოგან მშრალი). იელისის სამუდამო ტემპერატურა +22 +24° C, იანუარისა ნაკლებია 0° C-ზე; ატმოსფერული ნალექები – 500-600 მმ.

მდინარეები – მტკვარი (90 კმ), ლიახვი, ძამა, თეძამი, ტანა და სხვ.

ტბები – ყელის ტბა.

წიაღისეული რესურსები – დოლომიტები, მერგელები, კირქვები, კერამიკული თიხები, მინერალური წყლები.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 75 კაცი/კვ.კმ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა – სამაჩაბლოს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის) გარდა: ქართველები (83%), ოსები (9%), აზერბაიჯანელები (2%), სომხები (2%), რუსები (2%). **სამაჩაბლოში** ოსები (65%), ქართველები (29%).

ქალაქის მოსახლეობა – 34%.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება – 35 მლნ ლარი (1999) – საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 3,7%.

ძირითადი საწარმოები – გორის ბამბეულის კომბინატი, ხაშურის საჯალანგერო ფაბრიკა, საკონსერვო და ხილის გადამამუშავებელი კომბინატები, აგარის შაქრის ქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა, ხაშურისა და შეტეხის აგურის ქარხნები.

აგრარული მიმართულება – მესილეობა, მეზოსტნეობა, მარცვლეული კულტურები.


ტრანსპორტი – საავტომობილო, სარკინიგზო, მილსადენი.

სატრანსპორტო კვანძი – ხაშური.

ღირშესანიშნაობები – უფლისციხე (კლდეში ნაკვეთი ქალაქი), ატენის სიონი, ურბნისის ზაზაძის, სამთაყვის, ყინწყის, ქვათახუის ეკლესიები, გორის ციხე, რკონის სამონასტრო კომპლექსი, იკორიის გაბარი, რუისის გაბარი და სხვ.

შიდა ქართლი

რუსეთი



მცხეთა-მთიანეთი

მდებარეობა – საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი.

მოსაზღვრე რეგიონები – რუსეთი (ოსეთი, ინგუშეთი, ჩაჩნეთი); კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი.

ფართობი – 6,7 ათასი კვ. კმ (საქართველოს 9,6%).

მოსახლეობა – 140 ათასი კაცი (საქართველოს 2,5%).

ადმინისტრაციული ცენტრი – მცხეთა (10,6 ათასი მცხოვრები).

ადმინისტრაციული ერთეულები – 5 რაიონი (მცხეთის, თიანეთის, ღუშეთის, ყაზბეგის, ახალგორის).

ქალაქი – 2 (მცხეთა, ღუშეთი).

დაბა – 7 (შაჰესი, ყაზბეგი, ახალგორი, ფასანაური, ვინეალი, თიანეთი, სიონი).

სოფელი – 483.

რელიეფი – ვაკეები (შიდა ქართლის, მუსხარ-საგურამოს), ქედები (გვერდითი, ალეთის, გუდამაყრის, ქართლის, კახეთის, საგურამო-იალნოს, სხალტბის), უღელტეხილები (ჯურის – მ.დ. 2379 მ), ქვაბულები, პლატოები, ხეობები (მტკერის, დარიალის, არაგვის, ქსნის). უმაღლესი მწვერვალი – მყინვარწვერი (ყაზბეგი) მ.დ. 5033 მ.

ჰავა – მომხერად მშრალი სუბტროპიკული, მომხერად სოფიო თბილი, ნოტიო ცივი.

მდინარეები – მტკვარი, არაგვი, იორი, ქსანი, თერგი, ასა, არღუნი და სხვ.

ტბები – ბაზალეთი.

წიაღისეული რესურსები – საშენი მასალები: ტუფი, კვარცის ქვიშა; მინერალური წყლები.

მოსახლეობის სამუალო სიმჭიდროვე – 21 კაცი/კვ.კმ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა – ქართველები (90%), ოსები (6%), სომხები, აზერბაიჯანელები, ასირიელები და სხვ.

ქალაქის მოსახლეობა – 30%.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება – 18,6 მლნ ლარი (1999), საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 2%.

მნიშვნელოვანი საწარმოები – ვინეალჰესი; ადგილობრივი დანიშნულების საწარმოები მცხეთაში, ქსანში, ღუშეთში.

აგარაული მიმართულება – მესაქონლეობა, მებოსტნეობა, მარცვლეული კულტურები. მეხილეობა, მევენახეობა.


ტრანსპორტი – საავტომობილო (საქართველოს სამხედრო გზა), სარკინიგზო.

კურორტები – გულაური, ფასანაური, სიონი.

ღირმეისანიშნაობები – ქალაქი-მუზეუმი მცხეთა (სეფტიცხოვლის ტაძარი, ჯურის მონასტერი), ზედაზნის მონასტერი, ანანურის სამონასტრო კომპლექსი, გურჯეთის სამება, არმაზის სამონასტრო კომპლექსი, შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი, მატილი (სოფელი პირიქითა ხევისურეთში, მ.დ. 1400 მ), კოშკური დასახლება მუცო, ლომისის ეკლესია, ბეილემის გამოქვაბული და სხვ.

მცხეთა-მთიანეთი

რუსეთი



თბილისი

კახეთი

მდებარეობა – საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი.

მოსამზღვრე რეგიონები – რუსეთი (ჩაჩხეთი, დაღესტანი), აზერბაიჯანი, ქვემო ქარილი, მცხეთა-მთიანეთი.

ფართობი – 122 ათასი კვ. კმ (საქართველოს 17,5%).

მოსახლეობა – 450 ათასი კაცი (საქართველოს 8,3%).

აღმინისტრაციული ცენტრი – თელავი (28 ათასი მცხოვრები).

აღმინისტრაციული ერთეულები – 8 რაიონი (ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, ლავოღისის, საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს).

ქალაქი – 9 (თელავი, ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, ლავოღისი, საგარეჯო, სიღნაღი, წნორი, ყვარელი).

დაბა – 1 (მირზაანი).

სოფელი – 278.

რელიეფი – ვაკეები, მკენები, ქვაბულები, მიისწინეთი, შიუბი; უმაღლესი მწვერვალები კახეთის კავკასიონზე – ტებულსმთა 8.დ. 4495 მ; ყველაზე დაბალი ადგილი ელდარის ველზე 8.დ. 91,8 მ.

ჰავა – მომიჯრად შერალი სუბტროპიკული. ივლისის საშუალო ტემპერატურა +23+25°C; აგმოსფერული ნალექები: ალაზნის ველზე – 700-1000 მმ; იურის მუცანზე – 300-400 მმ; კახეთის კავკასიონზე – 1000 მმ-ზე მეტი.

მდინარეები – ალაზანი, იორი და სხე;

ტბები – ყვარლის, ყაჯირის.

წიაღისეული რესურსები – ნაფთობი, მარმარილო, კირქვა, სპილენძი, საშუქარნალო გალახი, მინერალური წყლები.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 37 კაცი/კვ. კმ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა – ქართველები (80%), სომხები, აზერბაიჯანლები, რუსები.

ქალაქის მოსახლეობა – 20%.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება – 15 მლნ ლარი (1999) – საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 1,5%. აქედან კვების მრეწველობაზე მოდის 80%.

ძირითადი საწარმოები – მირზაანის ნაფთობსარეწები, ახმეტის ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატი, თელავის მარმარილოს გადამამუშავებელი ქარხანა, დედოფლისწყაროს კირქვის გადამამუშავებელი საწარმო; ლეინის, საკონსტრუქციო, ეთერზეთების, თამბაქოს საწარმოები და სხე.


აგრარული მიმართულება – მევენახეობა, მეხოსტეობა, მარცელეული და ტექნიკური კულტურების მოყვანა.

ტრანსპორტი – საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო (თელავისა და ლავოღისის ავგილობრივი დანიშნულების აეროპორტები).

კურორტები – ახგალა, არსილოსკალო.

ღირშესანიშნაობები – ალავერდის სამონასტრო კომპლექსი, დავითგარეჯის გამოქვაბულთა სამონასტრო კომპლექსი, გრემის ნაქალაქარი, იყალიოს სამონასტრო კომპლექსი, დარბილო (კომკურ ნაკვებობათა კომპლექსი), ცისე-ქალაქი უჯარმა, ყველაწმიდას ორგუმბათიანი ეკლესია, ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი, ხორნაბუჯი (ციხე-ქალაქის ნანგრევები), შუამთის ეკლესიები (ძველი და ახალი), ბოღბის მონასტერი, ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში და სხე.

ქვემო



იმერეთი

მდებარეობა – საქართველოს დასავლეთ-ცენტრალური ნაწილი.

მოსამდგურ რეგიონები – შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა – ლეჩხუმი – ქვემო სვანეთი.

ფართობი – 6.6 ათასი კვ.მ (საქართველოს 9.4%).

მოსახლეობა – 800 ათასი (საქართველოს 14.6%).

აღმინისტრაციული ცენტრი – ქუთაისი (240 ათასი მცხოვრები).

აღმინისტრაციული ერთეულები – 12, აქედან 8 რაიონი (სონის, თერჯოლის, საჩხერის, ზესტაფონის, ბაღდადის, ვანის, სარაგაულის, სამტრედიის), რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქი (ქუთაისი), 3 საქალაქო საკრებულოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია (გვიბული, ჭიათურა, წყალტუბო).

ქალაქი – 11 (ქუთაისი, გვიბული, წყალტუბო, ჭიათურა, ბაღდადი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, საჩხერე, სონი).

დაბა – 3 (მორაპასი, კულამი, სარაგაული).

სოფელი – 530.

რელიეფი – დაბლობები (იმერეთის), მალლობები (იმერეთის), ქედები (აჭარა-იმერეთის, ლიხის, რაჭის); უმაღლესი მწვერვალი – მეფისწყარო ზღ. 2850 მ.

ჰავა – სოციო სუბტროპიკული. იანვრის საშუალო ტემპერატურა +5.2°C (ქუთაისი), ჯაკეზე და ვორაკ-ბორცვებზე აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +22 +24°C; ატმოსფერული წალექები – 1200-1500 მმ.

მდინარეები – რიონი, ცხენისწყალი, ყვირილა, ძირულა და სხვ.

წიაღისეული რესურსები – მანგანუმი (ჭიათურა), ქვანახშირი (გვიბული), ბარიტი, ბენტონიტური თიხები, მარმარილო, მინერალური წყლები.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 121 კაცი/კვ.მ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა – ქართველები (97%), რუსები (2.5%), ებრაელები (0.5%).

ქალაქის მოსახლეობა – 54%.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება – 117 მლნ ლარი (1999) – საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 12%.

მნიშვნელოვანი საწარმოები – ქუთაისის საავტომობილო, სატრანსპორტო, ელექტრომექანიკური, ლიხოვონის ქარხნები, წისქვილკომბინატი, გვიბულისა და ჭიათურის სამთაშობოებზელი საწარმოები, ზესტაფონის ფეროშენადნობა ქარხანა; ელექტროენერგეტიკული საწარმოები; კვების მრეწველობის საწარმოები.

აგრარული მიმართულება – მეჩაიეობა (დასავლეთი ნაწილში), მევენახეობა, მეხილეობა (ცენტრალურ და აღმოსავლეთი ნაწილში); მეპარცელეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, მესაქონლეობა, მეღორეობა. საეარგულეობის 39% – სასანე-საიუსენი, 17% – მრეაღწლიანი სარგავები, 44% – საძოვრები.

ტრანსპორტი – სარკინიგზო, საავტომობილო, მილსადენი, სააეიაციო (ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი).

სატრანსპორტო კვანძი – სამტრედია.

კურორტები – წყალტუბო, საირმე, ნუნისი, კეერეთი, ზეარე.

ღირშესანიშნაობები – სათაფლის კარსტული მღვიმე, ბავრაგის ტაძარი, ჯელათის სამონასტრო კომპლექსი, მოწამეთას მონასტერი, ვანის საქალაქარი, კახის სეტი, ჯრუჭის მონასტერი, შორაპის ციხე (ანტიკური და შუა საუკუნეების ციხესიმაგრე) და სხვ.

სამცხე-ჯავახეთი

მდებარეობა – საქართველოს ცენტრალურ-სამხრეთი ნაწილი.

მოსაზღვრე რეგიონები – იურქეთი, სომხეთი; ქვემო ქარილი, შიდა ქარილი, იმერეთი, გურია, აჭარა.

ფართობი – 6,4 ათასი კვ.კმ (საქართველოს 9,1%).

მოსახლეობა – 240 ათასი კაცი (საქართველოს 4%).

აღმინისტრაციული ცენტრი – ახალციხე (25 ათასი მცხოვრები).

აღმინისტრაციული ერთეულები – 6 რაიონი (ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, აღიჯენის, ნინოწმინდის, ბორჯომის).

ქალაქი – 5 (ახალქალაქი, ახალციხე, ელავი, ბორჯომი, ნინოწმინდა).

დაბა – 6 (აღიჯენი, აბასთუმანი, ასპინძა, ახალდაბა, ბაკურიანი, წალღერი).

სოფელი – 250.

რელიეფი – ქედები (ჯავახეთის, სამსრის, აჟარა-იმერეთის, არსიანის), ქვაბულები (ახალციხის), პლატოები (ახალქალაქის).

ჰავა – იანუარის საშუალო ტემპერატურა $-2,1^{\circ}\text{C}$ (ბორჯომი), $-7,2^{\circ}$ (ახალქალაქი). ივლისის საშუალო ტემპერატურა $+20,4^{\circ}\text{C}$ (ახალციხე), $+16^{\circ}\text{C}$ (ახალქალაქი). ატმოსფერული ნალექები – 500-600 მმ, აჟარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედების ფერდობებზე – 1000-1200 მმ.

მდინარეები – მტკვარი, ქვაბლასი, ურაველი, ბორჯომულა. გუჯარეთის-წყალი და სხვ.

ტბები – ფარაეანი, ტაბაწყური, ხანსალი, საღამო, მაღაიაფა, სოზაფინი და სხვ.

წიაღისეული რესურსები – მურა ნახშირი (ახალციხე), აქიტი, გუეი, ანდემიტი, ბაზალტი, დიაგმიტი, მარმარილო, თაბაშირი, მინერალური წყლები.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 37 კაცი/კვ.კმ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა – ქართველნი, სომხები, რუსები, ბერძენები და სხვ.

ქალაქის მოსახლეობა – 37%.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება – 82 მლნ ლარი, საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 0,8% (1999). აქედან 80% მოდის ბორჯომის რაიონზე.

მნიშვნელოვანი საწარმოები – მსუბუქი და ელვის მრეწველობის საწარმოები; მინერალური წყლების („ბორჯომი“) ქარხნები.


აგრარული მიმართულება – მეკარგოფილეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა. საეარეულების 1/5 უკეთია სახნავენს, 70% – საძოვრებს.

ტრანსპორტი – საავტომობილო, სარკინიგზო, სააეიაციო (ახალქალაქის ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტი).

კურორტები – ბორჯომი, ბაკურიანი, იემი, წალღერი, აბასთუმანი და სხვ.

ღირშესანიშნაობები – ვარძია (ქალემი) ნაკეთი სამონასტრო კომპლექსი), ზარშმის მონასტერი, საუარის მონასტერი, აწყურის ციხე, ხერსიუისის ციხესიმაგრე, ციხე-ქალაქი თმოგვი, ისტორიული ქალაქი წუნდა, სამსარი (გამოქვაბული-მონასტერი), ოქროსციხე და სხვ.

სამცხე-ჯავახეთი



სამეგრელო - ზემო სვანეთი

მდებარეობა - საქართველოს ცენტრალური ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

მოსამდგრე რეგიონები - რუსეთი (ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი), აფხაზეთი, გურია, იმერეთი, რაჭა - ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი.

ფართობი - 7.4 ათასი კვკმ (საქართველოს 10.6%).

მოსახლეობა - 434 ათასი კაცი (საქართველოს 8%). მემო სვანეთში - 13 ათასი.

ადმინისტრაციული ცენტრი - შუგლიდი (50 ათასი მცხოვრები).

ადმინისტრაციული ერთეულები - 8 რაიონი (შუგლიდის, სენაკის, აბაშის, მარტვილის, სობის, ჩხოროწყუს, წალენჯისის, მესტიის).

ქალაქი - 8 (ყოთი, შუგლიდი, აბაშა, მარტვილი, სენაკი, წალენჯისა, ჯვარი, სობი).

დაბა - 2 (მესტია, ჩხოროწყე).

სოფელი - 494.

რელიეფი - მრავალფეროვანი - ზღვისპირა დაბლობიდან (კოლხეთის) მაღალ-მთიან კავკასიონამდე; ქედები: კავკასიონის მთაგარი წყალგამყოფი, ეგრისის, სვანეთის; ქვაბულები (ზემო სვანეთის). მწვერვალები უმაღლესი - შხარა (ზ.დ. 5068 მ). უშბა, იუიხულდი, შოთა რუსთაველი, ჯანსა.

ჰავა - დაბლობ ნაწილში: სოციო სუბტროპიკული. იანუარის საშუალო ტემპერატურა +4 +6°C, ზაფხულის +22 +23°C; ატმოსფერული ნალექები - 1500-2000 მმ.

მდინარეები - ენგური, რიონი, სობი, გესური და სხვ.

ტბები - პალიასტომი.

წიაღისეული რესურსები - ღარიშხანი, ბარიტი, მარმარილო, საშენი მასალები (ყარი, მერგელები, კირქვები); მინერალური წყალები.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე - 58 კაცი/კვკმ (ეაკეზე 100-200 კაცი/კვკმ, მესტიის რაიონში - 6 კაცი/კვკმ).

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა - ქართველები (95%), რუსები (2%) და სხვ.

ქალაქის მოსახლეობა - 40%.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება - 26 მლნ ლარი, საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 2.7% (1999). აქედან შუგლიდზე მოდის 42%, ყოთზე - 21%.

მნიშვნელოვანი საწარმოები - ენგურპესი, საშენი მასალების, სუბტროპიკული ხილისა და ჩაის ვადამამუშავებელი ფაბრიკები.

ატმოსფერული მიმართულება - მესაჩიობა, მეციტრუსეობა, თხილის პლანგაციები, მუშარცელობა, მესაქონლეობა.


ტრანსპორტი - საზღვაო (ყოთის საერთაშორისო დანიშნულების პორტი), სარკინიგზო, საავტომობილო, მილსადენი, სააუიაციო (სენაკის საერთაშორისო, ყოთისა და მესტიის ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტები).

სატრანსპორტო კეანბი - სენაკი.

კურორტები - ცაიმი, ანაკლია, სქერი, ლეზარდე, ლუგელა და სხვ.

ღირმესანიშნაობები - ცაიმის სამონასტრო კომპლექსი, მარტვილის ეკლესია, რუხის ციხე, ციხე-ქალაქი ნიქალაქევი, უმგული (კომპური დასახლება ზ.დ. 2200 მ), საიმის კომპური დასახლება, აღიმის ეკლესიები და კომპები და სხვ.

სამეგრელო - ზემო სვანეთი



რაჭა - ლენსუმი - ქვემო სვანეთი

მდებარეობა - საქართველოს ჩრდილოეთ-ცენტრალური ნაწილი.

მოსამზღვრე რეგიონები - რუსეთი (ყაბარდო-ბალყარეთი, ოსეთი); შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო - ჭემო სვანეთი.

ფართობი - 4.6 ათასი კვკმ (საქართველოს 6.5%).

მოსახლეობა - 55 ათასი კაცი (საქართველოს 1%).

ადმინისტრაციული ცენტრი - ამბროლაური (3 ათასი მცხოვრები).

ადმინისტრაციული ერთეულები - 4 რაიონი (ლენგეთის, ონის, ცაგერის, ამბროლაურის).

ქალაქი - 3 (ონი, ამბროლაური, ცაგერი).

დაბა - 1 (ლენგეთი).

სოფელი - 249.

რელიეფი - შალაღი ქედები (სვანეთის, ლენსუმის), შიდააშორისი ქვაბულები (რაჭის, ლენსუმის, ქვემო სვანეთის). უმაღლესი მწვერვალი - აილაპა (მ.დ. 4546 მ). მწვერვალები ჰანჭახი (4461 მ), ლაილა (4009 მ).

კავა - ზომიერად სოკიო, თბილი. იანვრის საშუალო ტემპერატურა ცაგერში 0°C, შოქში -5.6°C, შამისონის უღელტეხილზე -12°C. ივლისის საშუალო ტემპერატურა +20 +22°C (ქვაბულში), +15.6°C (მოქში), +7.6°C (შამისონზე). აგმოსფერული ნალექები - 800-1000 მმ.

მდინარეები - რიონი, ცხენისწყალი და სხვ.

წიაღისეული რესურსები - ქვანახშირი, ღარიშხანი, ბარიტი, ფერადი ლითონები; მისერალური წყლები.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე - 12 კაცი/კვკმ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა - ქართველები (98%).

ქალაქის მოსახლეობა - 20%.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება - 9 მლნ ლარი (1999). საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 0.9%.

მრეწველობის მიმართულება - ჰიდროენერგეტიკა, მსუბუქი და კვების მრეწველობა; ღარიშხანისა და ბარიტის მოპოვება-დამუშავების საწარმოები.


აგარარული მიმართულება - მევენახეობა, მეხილეობა, მეზოსტეობა, მარცხელეული და პარკოსანი კულტურების წარმოება. საეარგულების 7% - სასნაეები.

ტრანსპორტი - სააეგომობილო, სააეაეიო (ამბროლაურისა და ცაგერის) ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტები.

კურორტები - უწერა, შოეი, მუაში.

ღირმესანიშნაობები - სეკორწმინდის გაპარი, ბარაკონის გაპარი, ეახუნ-ღერის დარბაზული ეკლესია, იეეენის ჭა, სოგეის ციხის ნანგრეეები და სხვ.

რატა - ლეონოზუმი - ჟეგოტ სვანეთი



შილა ქართლი

გურია

მდებარეობა – საქართველოს ცენტრალური სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. **მოსაზღვრე რეგიონები** – აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო – ზემო სვანეთი.

ფართობი – 2 ათასი კვ.კმ (საქართველოს 2,9%).

მოსახლეობა – 161 ათასი კაცი (საქართველოს 3%).

ადმინისტრაციული ცენტრი – ოზურგეთი (23 ათასი მცხოვრები).

ადმინისტრაციული ერთეულები – 3 რაიონი (ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის).

ქალაქი – 2 (ოზურგეთი, ლანჩხუთი).

დაბა – 4 (ურეკი, ქვემო ნასაკირალი, ლაითური, ჩოხატაური).

სოფელი – 187.

რელიეფი – დაბლობები (კოლხეთის), ვორაკ-ბორცვები, ქედები (აჭარა-იმერეთის).

ჰავა – დაბლობ ნაწილში: ნოტიო სუბტროპიკული. ივლისის საშუალო ტემპერატურა $+22$ $+23^{\circ}\text{C}$, აგმოსფერული ნალექები – 1800-2000 მმ. **შიამში**: იანვრის საშუალო ტემპერატურა $-5,2^{\circ}\text{C}$; ივლისის – $+13,4^{\circ}\text{C}$; აგმოსფერული ნალექები – 1600 მმ.

მდინარეები – სუფსა, ნაგანები და სხვ.

ტბები – პალიასტომი.

წიაღისეული რესურსები – ბენგონიტური და კერამიკული თიხები, ნაფთობი, მაგნიტური ქვიშები, მინერალური წყლები.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 80 კაცი/კვ.კმ (ოზურგეთის რაიონში 136 კაცი/კვ.კმ, ჩოხატაურის რაიონში – 32 კაცი/კვ.კმ).

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა – ქართველები (93,3%), რუსები, სომხები.

ქალაქის მოსახლეობა – 48%.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება – 9,3 მლნ ლარი (1999) – საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 0,9%.

მრეწველობის მიმართულება – ქეების მრეწველობა (80%-ზე მეტი).

აგრარული მიმართულება – სუბტროპიკული კულტურები (ციტრუსები, ჩაი), მევენახეობა, მეხარცელობა, სარძევე-სასორცე მესაქონლეობა, მეფრინველეობა.

ტრანსპორტი – საავტომობილო, სარკინიგზო, მილსადენი (სუფსის ტერმინალი).

კურორტები – ბახმარო, ურეკი, ვრიგოლეთი, შექვიეთი და სხვ.

ღირშესანიშნაობები – შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი, ლისაურის ეკლესია და სხვ.

აჭარა

(აეგონომიური რესპუბლიკა)

მდებარეობა – საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.

მოსამზღვრე რეგიონები – თურქეთი, სამცხე-ჯავახეთი, ვურია.

ფართობი – 2,9 ათასი კვ.კმ (საქართველოს 4,1%).

მოსახლეობა – 399 ათასი კაცი (საქართველოს 7%).

დედაქალაქი – ბათუმი (140 ათასი მცხოვრები).

ადმინისტრაციული ერთეულები – 5 რაიონი (ქობულეთის, ქედის, შუახევის, ხულოს, ხელვაჩაურის).

ქალაქი – 2 (ბათუმი, ქობულეთი).

დაბა – 7 (ქედა, ოხსამური, ჩაქვი, შუახევი, ხელვაჩაური, მახინჯაური, ხულო).

სოფელი – 329.

რელიეფი – სანაპირო ზოლში: დაბლობები (ქობულეთის – კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთით, კასაბრისა და გონიოს – მდ. ჭოროხის დელტაში), ვორაკ-ბორცვები; ქედები (შავეთის, არსიანის, აჭარა-იმერეთის). უმაღლესი მწვერვალი – ყანლის მთა - ზ.დ. 3007 მ.

ჰავა – ნოტიო სუბტროპიკული. იანვრის საშუალო ტემპერატურა +7,1°C; მაის-ხულის +22 +24°C. ატმოსფერული ნალექები – 4550 მმ (მთა მტირალაშე), 800-1000 მმ (აჭარის ქვაბულში).

მდინარეები – აჭარისწყალი, კინგრიში, ჭოროხი, ქვაბლიანი და სხვ.

წიაღისეული რესურსები – საშენი მასალები (ქვიშები, თიხები, ქვიშაქვები), სპილენძი, მინერალური წყლები.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 140 კაცი/კვ.კმ. სანაპირო ზოლში – 300-350 კაცი/კვ.კმ. მთაში – 50-150 კაცი/კვ.კმ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა – ქართველები (83%), რუსები (7,5%), სომხები (4%), ბერძნები (1,8%) და სხვ.

ქალაქის მოსახლეობა – 48%.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება – 20,2 მლნ ლარი, საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 2,1% (1999).

მნიშვნელოვანი საწარმოები – ნაფთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური, ცემომშენებელი ქარსნები, ფარმაცევტული, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები (14 ჩაის ფაბრიკა).


აგარაული მიმართულება – მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, ტექნიკური და მარცხელეული კულტურები, მესაქონლეობა.

ტრანსპორტი – საზღვაო, საავიაციო (ბათუმის საერთაშორისო დანიშნულების აეროპორტი), საავტომობილო, სარკინიგზო, მილსადენი.

კურორტები – ქობულეთი, მწვანე კონსი, მახინჯაური, ციხისძირი, ჩაქვი და სხვ.

ღირშესანიშნაობები – გონიოს ციხე, სხალთის ეკლესია, დანდალოს ხიდი, ხიხაძირის ხიდი, ბათუმის ბოგანსკური ბაღი, დელფინარიუმი და სხვ.

ატაპრა



უ ა ვ ი
ფ ლ ვ ბ

თ უ რ ე თ ი

აფხაზეთი

(ავტონომიური რესპუბლიკა)

მდებარეობა - საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

მოსამდგრე რეგიონები - რუსეთი (კრასნოდარის მხარე, ყარაჩაი-ჩერქეზეთი), სამეგრელო - ზემო სვანეთი.

ფართობი - 8,6 ათასი კვკმ (საქართველოს 12,3%).

მოსახლეობა - 486 ათასი კაცი (საქართველოს 9,7% - 1989 წლის მონაცემებით).

დედაქალაქი - სოხუმი (120 ათასი მცხოვრები - 1989 წლის მონაცემებით).

ადმინისტრაციული ერთეულები - 6, აქედან 5 რაიონი (გულაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის, ეულრიფშის, ვალის) და 1 საქალაქო (გაგრის) საკრებულოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია.

ქალაქი - 6 (სოხუმი, გულაუთა, ვალი, ოჩამჩირე, გყვარჩელი, ვაგრა).

დაბა - 4 (ბიჭვინთა, ასალი ათონი, ეულრიფში, ვასთიალი).

სოფელი - 514.

რელიეფი - სანაპირო ზოლში: დაბლობები (კოლხეთის), მაღლობები (მიუსერიის), ვორაკ-ბორცუები; ქედები (კავკასიონის შიდახაზი წყალგამყოფი, ვაგრის, ბზიფის, ჩხალთის, კოდორის). უმაღლესი მწვერვალი - ღობზაი-ულგესი, ზღ. 4046 მ.

ჰავა - ნოტიო სუბტროპიკული. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა +22-+23°C, აგმოსფერული ნალექები - 1300-1500 მმ, მაისში 2000 მმ-მე მეტი.

მდინარეები - უსოუ, ბზიფი, კოდორი, გუმისთა, კელასური, ღალიძგა, ენგური და სხვ.

ტბები - რიწა, ამცყელი, ბებესირი, ინკითი.

წიაღისეული რესურსები - ქვანახშირი (გყვარჩელი), ევრცხლისწყალი, ბარიტი, თაბამირი, დილომიტი, მარმარილო, სამშენებლო მასალები, პოლიმეტალები; მინერალური წყლები.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე - 60 კაცი/კვკმ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა - 1989 წლის მონაცემებით: ქართველები (46%), აფხაზები (18%), რუსები (14%), სომხები (14%), ბერძნები (3%).

ქალაქის მოსახლეობა - 47%.

მრეწველობის მიმართულება - ენერგეტიკა, მსუბუქი და კეების.


აგრარული მიმართულება - მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეფაშაქეობა.

ტრანსპორტი - საზღვაო, სააერომობილო, სარკინიგზო, საავიაციო (სოხუმის საეროაშორისო დანიშნულების აეროპორტი).

კურორტები - ვაგრა, ბიჭვინთა, ასალი ათონი, ავადპარა და სხვ.

ღირშესანიშნაობები - ლიხნის გაძარი, ბესლეთის თაღოვანი ხიდი, მოქვის საკაითედრო გაძარი, ბიჭვინთის მონასტერი, ღრანდის ეკლესია, ბუდიის მონასტერი, ასალი ათონის გამოქვაბული და მონასტერი, ილორის ეკლესია, კელასურის კედელი (აფხაზეთის დიდი კედელი) და სხვ.

აფხაზეთი



რაიონები

თბილისი

მდებარეობა – საქართველოს ცენტრალური სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (ი.გ. 41°42', ა.გ. 44°47').

მოსამდგრე რეგიონები – ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი.

ფართობი – 360 კვკმ (საქართველოს 0,5%); განაშენიანებული ფართობი – 147 კვკმ.

მოსახლეობა – 1,3 მლნ კაცი (საქართველოს 23%).

ადმინისტრაციული ერთეულები – 5 რაიონი (ევკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, მთაწმინდა-კრწანისის, ნაძალადევი-ვლდანის, ისანი-სამგორის).

რელიეფი – გერასები, ქვაბულები (თბილისის), ქედები (თრიალეთის: თელეთის, თაბორის, შიშაწმინდის, ლისის).

ჰავა – სუბტროპიკული-სემიარიდული. იელისის საშუალო ტემპერატურა +24°C, იანვრისა +0,9°C; ატმოსფერული ნალექები – 540 მმ.

მდინარეები – მტკვარი (35 კმ) შენაკადებით: დიდმისწყალი, ვერე, ორხევი, ლოჭინი და სხვ.

ტბები – ლისის, კუს, თბილისის (წყალსაცავი) „ზღვა“.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე – 3900 კაცი/კვკმ.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა – ქართველები (75%), სომხები (12%), რუსები (10%), ოსები (2,6%), ბერძნები (1,7%), ამერბაიჯანელები (1,4%) და სხვ.

სამრეწველო პროდუქციის ღირებულება – 274 მლნ ლარი (1999) – საქართველოს სამრეწველო პროდუქციის 28%.

მრეწველობის მიმართულება – მანქანაიმშენებლობა, კვების მრეწველობა და სხვ. სულ 1200-მდე დიდი და მცირე საწარმო.


აგარაული მიმართულება – საგარეუბნო გიჟის.

ტრანსპორტი – სააეიაციო (საერთაშორისო .დანისწულების აეროპორტი), სააეგომობილო, სარკინიგზო, მილსადენი, საქალაქო.

ღირმესანიშნაობები – ნარიყალას ციხე, ანჩისსაგის ეკლესია, მეტეხის ციხე, სიონის საკათედრო (საპატრიარქო) ტაძარი, შიშაწმინდის პანთეონი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი და სხვ.

მ ბ ი ლ ი ს ი

- ← სეზონური უბნები
- სამრეწველო უბნები
- ტყე-პარკები
- ▲ დასახლ. გეოგრაფიკი
- ⊖ რეკონსტრუქციის მუშაობები
- სოციალ-სამედიცინო მუშაობები
- ტბები და წყალსაცავები
- მდინარეები
- ქუჩები
- საავტომობილო მაგისტრალური ქიროთადი ქუჩები
- მეტროპოლიტენი
- მტკვრული უბნები
- ⊕ მუნიციპალიტეტის საზღვარი
- ▲ აეროპორტი



UNEP/GRID - თბილისი

საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები

გეოგრაფიული ობიექტების (ქედების, მთიანეთების, მიუბის, მწვერვალების, მდინარეების, ტბების, დასახლებული პუნქტებისა და სხვ.) სახელწოდებებს შესწავლის ონომასტიკის დარგი — გოპონიმიკა. რაიმე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდებას გოპონიმი (ადგილსახელი) ეწოდება, ხოლო გეოგრაფიულ სახელთა ერთობლიობას — გოპონიმიკა.

სიტყვა „გოპონიმიკა“ ბერძნულია: გოპოს ნიშნავს „ადვილს“, ხოლო ორიომა — „სახელს“. გოპონიმებიდან ცალკე გამოყოფენ ორონიმებს, ჰიდრონიმებს (მდინარეების, ტბების, ჰაობების, ზღვების სახელებს), ეთნონიმებსა და სხვ.

ყოველ გეოგრაფიულ სახელწოდებას წარმოშობის „საკუთარი“ ისტორია აქვს. ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელწოდებაში შემორჩინილია ძველი სიტყვა ან მისი ძველი გრამატიკული ფორმა, რომლებიც დღეს აღარ იხმარება. გოპონიმი ხშირად ისტორიული ფაქტის აღმნიშვნელია, მიუთითებს მოსახლეობის ვარკვეული ნაწილის განსახლების ძველ არეალს. გოპონიმების შესწავლა ასევე მნიშვნელოვანია გეოგრაფიული ობიექტების სახელების წარმოშობის, ენაობისა და ფუნქციონირების შესახებ. გოპონიმები სამი მენიერული დისციპლინის — გეოგრაფიის, ისტორიისა და ენათმეცნიერების კვლევის ობიექტია.

საქართველოში გეოგრაფიული სახელწოდებები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომელთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. საქართველოში 4500-ზე მეტი სოფელია, ათეულობით ქალაქი და დაბა, 26 ათასზე მეტი მდინარე, 850-მდე ტბა, 700-მდე მყინვარი, 43 წყალსაცავი, ასევე ათასობით მთა, მწვერვალი და სხვა გეოგრაფიული ობიექტი.

გოპონიმების სიმრავლე განპირობებულია ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიითა და კულტურით, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებებით, მოსახლეობის მიგრაციებითა და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით.

გოპონიმები სხვადასხვა წარმოშობისაა. არსებობს მაკროგოპონიმები (მსხვილ გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებები), საკუთრივ გოპონიმები და მიკროგოპონიმები. ისტორიულ წყაროებში უმთავრესად მოიხსენიება მაკროგოპონიმები და საკუთრივ გოპონიმები, ხოლო მიკროგოპონიმები უშოლოდ ხალხის მეხსიერებას შემორჩა.

მიკროგოპონიმები მცირე ზომის გეოგრაფიული ობიექტის — საბოყრის, მინდვრის, ყანის, ღებლის, ხეის, წყაროს, უბნის, ქუჩის აღმნიშვნელია. მათი შესწავლა საკმაოდ რთულია, ვინაიდან ითხოვს დასახლებულ პუნქტში ან მათ შემოგარენში ასეულობით მიკროგოპონიმი. ამის გამო მიკროგოპონიმთა რაოდენობის მიახლოებითი განსაზღვრაც კი შეუძლებელია. უმეტეს შემთხვევაში მათ არ გააჩნიათ გეოგრაფიული მნიშვნელობა. დროთა განმავლობაში მიკროგოპონიმები იცლებოდა, ზოგჯერ საერთოდ ქრებოდა და თაობის ცვლასთან ერთად დაეიწყებას ეძლეოდა. მიკროგოპონიმები შეპირსიტყვიერებით ვადაეყმა თაობიდან თაობას და ნაკლებად არის ასახული ისტორიულ წყაროებში.

მიკროტოპონიმების ძირეული ეკლა დაკავშირებულია მოსახლეობის ადგილმონაცულობასთან, გომებისა თუ გვარების მოსპობასთან, მიწის მფლობელის შეუქვლასთან, ტყის გაჩეხვასთან და ა.შ. მაგალითად, თბილისის ერთერთ ცნობილ ადგილს – ალექსანდრეს ბაღს – ორი საუკუნის მანძილზე რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. მას ერქვა: ყაბახი, საღალბო, დიდი მოედანი, საშხედრო მოედანი, ასპარეზი. მუზეუმის ბაღი და კომუნარების ბაღი.

მაკროტოპონიმები და საკუთრივ ტოპონიმები გაცილებით უკეთ არის შესწავლილი, ვინაიდან მოიხსენიებიან ისტორიულ წყაროებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში, სიგელ-გუჯრებში და ა.შ. ასეთებია: კოლხეთი, ეგრისი, იბერია, ქართლი, კახეთი, თბილისი, ქუთაისი, შორაპანი, მცხეთა, ცხენისწყალი, რიონი, ენგური და სხვ. ტოპონიმები ხშირად სხვადასხვა სახელწოდებითაა მოცემული ისტორიულ წყაროში, რაც გვიჩვენებს გეოგრაფიული სახელწოდებების ცვლილების ისტორიას. მაგალითად, აია → კოლხა → კოლხეთი; ფასისი (ფაზისი) → რიონი; კოტაია → ქოთაისი → ქუთაისი → ქუთაისი; ანარგია → ანაკრია → ანაკლეა → ანაკლია; დაბანისი → დაბანი → დმანისი.

გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოქმნა და განვითარება. თუდაპირველი ტოპონიმები უფრო მეტად ასახავენ ადგილობრივი ბუნებრივი პირობების თავისებურებებს (რელიეფს, კლიმატს, მკენარულ საფარს, ცხოველთა სამყაროს). გეოგრაფიული სახელწოდებები წარმოიქმნებოდა ადამიანთა შიდაბეჭდილების გავლენით თუმცა ლექსიკა ჯერ კიდევ არ იყო მდიდარი, რაც ხშირად ტოპონიმების განმეორებადობას იწვევდა. ხშირად ერთი და იგივე სახელი ჰქონდა დასახლებას, მდინარეს, ტბას ან ადგილს. მოგვიანებით წარმოიქმნა მრავალი ახალი სახელი, გეოგრაფიული ობიექტების გაცილებით მეტი დეტალიზაციითა და ნაირგვარობით. გაჩნდა მეტაფორული, გადატანითი მნიშვნელობის სახელებიც. ამრიგად, თუდაპირველი გეოგრაფიული სახელწოდებების ევრადით გაჩნდა ტოპონიმები, რომლებიც უფრო ხშირად ასახავენ რაიმე ისტორიულ ფაქტს ან ადამიანთა საქმიანობას, ვიდრე გარემო პირობებს. გეოგრაფიული სახელწოდებების დარქმევამ მიიღო კანონზომიერი ხასიათი. ამავე დროს წარმოიქმნა ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებსაც დართული აქვთ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნიშნები: „ნი“, „თა“, „ეთ“, „ები“. მაგალითად, ორბეთი (სოფელი იუთრი წყაროს რაიონში), ურბნისი (სოფელი ქარელის რაიონში), წეროვანი (სოფელი მცხეთის რაიონში), თუმეთი, იმერეთი და სხვ. მკვლევართა აზრით, ეს ტოპონიმები არა მარტო „სიმრავლის“, არამედ „კოლექტივის სამოღვაწეო ტერიტორიის“ აღმნიშვნელიცაა.

დროთა განმავლობაში დიდ ცვლილებას განიცდიდა ტოპონიმების ფუძეც (სიტყვის ფორმა). იგი მოკვერ იმდენადაა შეცვლილი, რომ მისი პირუანდელი სახის აღდგენა შეუძლებელია. მაგალითად, დაუდგენელია საიდან წარმოიშვა მდინარე მტკვრის სახელწოდება (თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ სიტყვა „მტკვარი“ მომდინარეობს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის „კოლა“-ს სახელიდან).

ზოგიერთმა გეოგრაფიულმა სახელწოდებამ ისტორიულ ქარტეხილებსაც გაუძლო. ზოგიერთი მათგანი (მცხეთა, თბილისი) ასწლეულებისა და ათასწლეულების მანძილზე არსებობს, ზოგიერთი შედარებით ახალია. უმეტესწილად

სტაბილურია მაკროგეოპონიშები – ქალაქების, მდინარეების, მთებისა და მწვერვალების სახელები.

ქართული გეოპონიშების უდიდესი ნაწილი ძველია (უძველეს და შუა საუკუნეებში წარმოქმნილი) და თითქმის უცვლელი სახითაა ჩვენამდე მოღწეული, გარკვეული ნაწილი კი ახალია ან სახეცვლილი. ამგვარი გეოპონიშები ძირითადად დამახასიათებელია მესხეთ-ჯავახეთისათვის, ქვემო ქართლისა და აფხაზეთის მღვისპირა მთისათვის.

ჯავახეთი და ქვემო ქართლი, რომლებიც საქართველოს განაპირა მთლიან მოქცეული, საუკუნეების მანძილზე განიცდიდა უცხო გომების თარეშს. ამის გამო, აქ ხშირია ნასახლარები, ნასოფლარები, ნაფუძრები, ნაქალაქარები და სხვ. დაიწყო მთელა ძველი ქართული გეოპონიშები: ცურგაეი, ურდი, არწივანი, მბეულა, ეძანი და სხვ. ამგვარი ფაქტები განსაკუთრებით სშირია წალკის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და თეთრი წყაროს რაიონებში. ძირძველი საცხოვრებლიდან აყრილი მოსახლეობის ადგილას უცხო ეროვნების გომები დასახლდნენ, რომლებმაც თურქული, სომხური, რუსული, გერმანული ან სხვა გეოგრაფიული სახელწოდებები დაამკვიდრეს: მულანლო (სოფლები გარდაბნისა და დმანისის რაიონებში); ყიზილქილისა (სოფლები დმანისისა და წალკის რაიონებში); ხოჯაბევი (სოფელი ნინოწმინდის რაიონში); გამბოჯა (სოფელი ნინოწმინდის რაიონში); ბორჩალო (ისტორიული მხარე ქვემო ქართლში); ყარაღაჯი (სოფელი სიღნაღის რაიონში) და სხვ.

XIX საუკუნიდან მოყოლებული ჩნდება არაქართული გეოგრაფიული სახელწოდებები აფხაზეთის მღვისპირა მთლიან. ეერძოდ: სომხური ათარა (სოფელი ოჩამჩირის რაიონში), ანუხეა (სოფელი გუდაუთის რაიონში), ხეობა (სოფელი გუდაუთის რაიონში); რუსული – ერმოლოვსკი (გაგრის საქალაქო საკრებულოს ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ლესელიძის ძველი სახელწოდება), კრასნი მაიაკი (კონცხი სოხუმის ყურეში) და ა.შ. ამგვარი სახელწოდებები სრულებითაყ არ ასახავენ ტერიტორიის გეოგრაფიულ თავისებურებებს, თუმცა ისინი ეთნოგრაფიული ეთარების მიმანიშნებელია.

ქართული გეოგრაფიული გეოპონიშების გარკვეული ნაწილი წარმოქმნილია XX საუკუნეში, მამინ როცა ქვეყანაში დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები მოხდა.

